

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

ლატავრა ბუკია

თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა
(1868-1956 წწ.)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

„საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ გურული,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

სარჩევი

ანოტაცია -----	4
Annotation -----	6
შესავალი -----	8
ნაშრომის ზოგადი დახასიათება -----	9
თავი I. თედო სახოკია-ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები. განათლება.	
§1. დაბადება, ბავშვობის წლები -----	17
§2. დაწყებითი განათლება -----	22
§3. სასულიერო სემინარია -----	34
§4. საუნივერსიტეტო განათლება -----	41
თავი II. თედო სახოკია - 1890 - 1900 წლებში.	
§1. თედო სახოკია - 1890 - 1894 წლებში -----	47
§2. თედო სახოკია - 1895 - 1900 წლებში -----	49
თავი III. პედაგოგიური მოღვაწეობა -----	51
თავი IV. პოლიტიკური მოღვაწეობა.	
§1. თედო სახოკია „საქართველოს თავისუფლების ლიგაში“ -----	60
§2. თედო სახოკიას „ქართული პარტია“ აფხაზეთში -----	66
§3. ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებთან	
3.1. ურთიერთობა საქართველოს სოციალისტ - ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიასთან -----	80
3. 2. ურთიერთობა ეროვნულ-რადიკალურ გლეხთა პარტიასთან --	85
თავი V. პირველი ემიგრაცია (1900 -1905წწ.)	
§1. პარიზის მსოფლიო გამოფენა -----	89
§2. გაზეთი „საქართველო“ -----	90
§3. ჟენევის კონფერენციაზე (1904წ) -----	95
თავი VI. საქართველოში იარაღის შემოტანის საქმე (1905წ.) -----	99
თავი VII. თედო სახოკია სოხუმში (1905 - 1908წწ.) -----	106
თავი VIII. თედო სახოკიას ოჯახი -----	111
თავი IX. მეორე პოლიტიკური ემიგრაცია (1909 – 1916 წწ.) -----	121
თავი X. ერის სულიერების სამსახურში -----	132

თავი XI. საბჭოთა ხელისუფლების წლებში

- 1. 1924 წლის აჯანყება ----- 144
- 2. 1925 წლის „ავტონომისტების“ წინააღმდეგ ----- 144
- 3. 1927 წლის პატიმრობა ----- 147
- 4. 1938 წლის საიდუმლო წერილი ----- 149

თავი XII. თედო სახოკია - საზოგადოებრივ სამსახურში

- 1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში --
----- 151
- 2. საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებაში ---- 153
- 3. საქართველოს კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში ----- 156
- 4. მწერალთა კავშირში ----- 160

თავი XIII. თედო სახოკიას პუბლიცისტიკა ----- 161

- 1. 1888 -1900 წწ. კორესპოდენციები ----- 163
- 2. 1900 -1905 წწ. კორესპოდენციები ----- 171
- 3. 1905-1909 წწ.კორესპოდენციები ----- 178

თავი XIV. თედო სახოკიას სამეცნიერო და მთარგმნელობითი მოღვაწეობა

- §1. სამეცნიერო მოღვაწეობა ----- 183
- §2. მთარგმნელობითი მოღვაწეობა ----- 188
- §3. ეთნოგრაფიული კვლევები ----- 189
- §4. ქართული ფოლკლორის მკვლევარი ----- 192
- §5. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ ----- 196
- § 6. თედო სახოკიას მოგონებები „ჩემი საუკუნის ადამიანები“ ---- 201

თავი XV. თედო სახოკიას წერილები ----- 203

თავი XVI. თედო სახოკიას სიცოცხლის ბოლო წლები ----- 206

- დასკვნა ----- 211
- გამოყენებული ლიტერატურა ----- 215
- დანართი ----- 230-234

ანოტაცია

თედო სახოკია XIX ს-ის 90-იან წლებსა და XX ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა. მისი, როგორც ისტორიკოსის, როლი საქართველოს ისტორიოგრაფიაში ფასდაუდებელია.

თედო სახოკია ცნობილია, როგორც ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, პედაგოგი, ფოლკლორისტი. მისი ეთნოგრაფიული ნარკვევები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ეს ნაშრომები უძვირფასესი მასალაა ქართველი ხალხის ყოფის, კულტურის ისტორიისათვის. საინტერესოა მისი „მოგზაურობანი“, „ეთნოგრაფიული ჩანაწერები“ და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვრცელი (3-ტომიანი) ნაშრომი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. ეს არის ოცდაათწლიანი შრომის ნაყოფი, რომელშიც თავმოყრილია ხალხურ მეტყველებაში გამოყენებული ხატოვანი გამოთქმების განმარტებითი მასალა. მან გაამდიდრა ქართული ლექსიკა მეგრული, აფხაზური და ქანური ენის ცოდნის მოშველიებით.

თედო სახოკია იყო მთარგმნელი, იტალიურიდან თარგმნა ბოკაჩოს „დეკამერონი“, გარიბალდის „კლელია“, ფრანგულიდან - ვოლტერის, მოპასანის, ოქტავ მირბოს, ემილ ზოლას, ანრი ბარბიუსის ნაწარმოებები, ბულგარულიდან ი. ვააზოვის „დამონებულნი“, რუსულიდან კორნელი ბოროზდინის „სამეგრელო“ და მისივე „ბატონყმობა საქართველოში“ და სხვა.

თედო სახოკიას მოწოდება ერის სამსახურში ყოფნა იყო, თავისი სიტყვითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით იგი ებრძოდა რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკას აფხაზეთში, ქართული ტერიტორიული ერთობის ხელყოფას, საერო და სასულიერო სფეროში ქართული ენის აკრძალვას და ყოველივე ამით ებრძოდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

- 1890-იანი წლებიდან ვიდრე გადასახლებამდე ის იყო აფხაზეთში „ქართული პარტიის“ ხელმძღვანელი. იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის თედო სახოკია არაერთხელ იყო დაპატიმრებული, გადასახლებული, სასტიკი რეპრესიებით შევიწროებული და წლების განმავლობაში იმყოფებოდა ემიგრაციაში (ბელგიაში, საფრანგეთში, ინგლისში).

ემიგრაციაში ყოფნისას ის სწავლობდა და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტში, პარიზის ანთროპოლოგიურ სკოლაში. ის მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო ექსპედიციებში. 1902 წელს თედო სახოკია არჩეული იქნა რეიმსის (საფრანგეთი) აკადემიის წევრ-კორესპოდენტად, ხოლო 1904 წლის ერთ-ერთ სხდომაზე - პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრ-კორესპოდენტად.

ამავდროულად მას ურთიერთობა ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან - საფრანგეთში არჩილ ჯორჯაძესთან, გიორგი ლასხიშვილსა და სხვებთან. ის მონაწილეობას იღებდა და ხელმძღვანელობდა საქართველოში იარაღისა და პარიზში არალეგალურად გამოცემული ქართულ გაზეთ „საქართველოს“ შემოტანა-გავრცელებაში. იტალიაში თანამშრომლობდა ქართველ მეცნიერ მიხეილ თამარაშვილთან, ინგლისში - ოლივერ და მარჯორი უორდროპებთან. მათთან ურთიერთობა მან შემდგომშიც გააგრძელა.

თედო სახოკია სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. განსაკუთრებით ძვირფასია მემუარები, მასალები XIX-XX საკუნეების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა შესახებ. მისი პირადი წერილები ათასზე მეტია, ხოლო ადრესატთა რიცხვი ასს აღწევს.

ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, 1916 წლიდან, თედო სახოკია აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში, კერძოდ, ის იყო საკათოლიკოსო საბჭოს წევრი, ათეიზმის პერიოდში „მამული, ენა, სარწმუნოების“ – წმინდა ილია მართლის ფორმულირებაში ჩადებული იდეის მატარებელი, ქართული ეროვნული ღირსების, სარწმუნოების დაცვისთვის აქტიური მებრძოლი. თედო სახოკია, რომელსაც განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული, იქაურ კულტურას ზიარებული, მაღლი პიროვნული ღირსებებით გამორჩეული, მოწესრიგებული, ორგანიზებული, შრომისმოყვარე ინტელექტუალი იყო.

Annotation

In the modern historical science is very essential for the new and latest searchers of history to compile a monography about a person's life and activity, based on biographical data.

Tedo Sakhokia worked in the ninety years of the XIX century and the first half of the XX century. Great is his role as a historian in Historiography and he opposed actively the political regime.

In the history of Georgia Tedo Sakhokia is known as a worker of the soviet period as a historian, an ethnographer, a lexicographer, a translator, a folklorist and etc. His ethnographic essays published in Georgian, Russian, French, English and Italian languages. These works are the greatest materials for the history of life and culture of the Georgian people. From his works are very interesting: "Travelings" (Guria, Achara, Samurzakhano and Abkhazia), "How we grew up in the old time", "Ethnographic writings" and etc.

The three-volume extensive work, "Georgian imaginative words and sayings", is noteworthy. This is the thirty-year labor, explanatory material used in folk speech. He translated Bokacho's "Dekameron" from Italian, Volter's, Mopasani's, Okhtav Mirbo's, Emil Zola's, Barbius's works from French, Ivane Vaazov's "Ensiaveds" from Bulgarian, Borozdin's "Samegrelo" and "serfdom in Georgia" from Russian.

The aim of Tedo Sakhokia's life was to be in the service of the nation. He fought against the Russian imperialist politics in Abkhazia with his word and social-political life. He was against Georgian territorial unity infringement and opposed the ban on prayer in the Georgian language in the liturgy and in secular sphere as well. So he was opposed to "the Russification policy". From 1890s till exile he was a leader of "a Georgian party" in Abkhazia. Because of fighting against the imperialist polity he was arrested repeatedly, exiled, oppressed with the severe repression, for years he was in emigration (in Belgium, in France, in England, in Italy). While being in emigration he studied and carried the scientific work at Paris anthropological school at Sorbone University in France. He took part in the scientific expeditions. At the same time he had relation to the Georgians public workers being in emigration in France, e. g. Archil Jorjadze, George Laskhishvili and others. He took part and led to bring and spread arms and a Georgian newspaper "Georgia" illegally, published in Paris. In Italy he collaborated with a Georgian scientist Mikhle Tamarashvili, in England – with Oliver and Marjory Wardrop. He had correspondence to them after that.

Except the scientific working Tedo Sakhokia's memoirs, materials about the political workers of the ninety years of the XIX century and the first half of the XX century are essential. His private letters are more than thousand and addressees are about hundred.

After returning from the emigration in 1916 year was included in restore autocephaly of Georgian Church and was a member of catholic council. He was an active fighter for keeping the Georgian national dignity, religion. In ateizm period he kept saint true Ilia's (Chavchavadze) idea of "land, language and religion". Tedo sakhokia educated in Europe, shared their culture. He was a distinctive personality, organized, disciplined, hardworking, fair, intellectual. He knew foreign languages and kept Georgian speech culture.

Inspite of the fact that there are a lot of scientific publications in the Soviet Historiography of XX century, they can't show the complete picture of his working. Besides his works were controled censored by the Soviet regime. It is necessary to study them because the materials are very esential for studing the source base.

Materials about Tedo Sakhokia are protected by the National Archives (arms from abroad, Georgian party in Abkhazia) and etc. Documents are studied but they need the editional searching. Besides his private fund is kept at the National Centre of Manuscripts. It consists of 1988 cases, which is part of the whole study but it needs reconciling and publishing. Also in the archive includes photo- materials. At the museum of literature of Georgia is kept memoris of his exile in Siberia, which is published but is not studied in the scientific aspect. At the National Parliamentary Library of Georgia are kept the correspondences and newspaper articles.

G. Chitaia published works about Tedo Sakhokia in 1956 year. S. Tsaishvili, S. Gersamia, T. Khundadze, V. Sigua and etc. have publications articles as well. After publishing these works has passed more than half a century and it's natural that the material needs studing in some respects, e. g. documents, newspaper articles, publications, life evens in abroad while the emigration for years (In modern Historiography professor Vakhtang Guruli has a fundamental publication).

With studing the archival materials, manuscripts, peridical publication will be possible to finish the doctoral thesis that will allow us to have a pundamental scientific complete work about Tedo Sakhokia's life and working.

შესავალი

თედო სახოკია დაიბადა 1868 წლის 14 თებერვალს ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთაში (ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტი). საქართველოს ისტორიაში თედო სახოკია ცნობილია, როგორც მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, პედაგოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1884 წლიდან სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მოსწავლეთა არალეგალურ წრეში მონაწილეობისთვის. 1886 წლიდან სწავლობდა ჯერ ჟენევის, ხოლო შემდეგ – პარიზის სორბონის უნივერსიტეტებში. 1888 წლიდან ის იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“. პარალელურად მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა.

1900 წელს შევიდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში. 1901 წლიდან თედო სახოკია ეხმარებოდა რომში მიხეილ თამარაშვილს, რომელიც მუშაობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის მონოგრაფიაზე. 1902 წლიდან ის იყო საფრანგეთში მყოფი ქართველების არალეგალური გაზეთის, „საქართველოს“, თანარედაქტორი, - თანამშრომლობდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „Новое Обозрение“, „Кавказ“, განსაკუთრებით კი – „ცნობის ფურცელსა“ და „მომბეში“, რომლებისთვისაც პარიზიდან აგზავნიდა წერილებს.

1905 წელს ის დააპატიმრეს საქართველოში უცხოეთიდან იარაღის ჩამოტანის გამო და 1908 წელს ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებიდან გამოიქცა 1909 წელს და 1916 წლამდე იმყოფება ემიგრაციაში. საქართველოში დაბრუნებული აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, არის საკათალიკოსო საბჭოს წევრი, ერისკაცთაგან ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში აქტიურად ჩართული.

1917 წლიდან იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას. 1924 წლიდან მთლიანად ლიტერატურულ და საგამომცემლო საქმიანობაშია ჩართული სიცოცხლის ბოლომდე. გარდაიცვალა 1956 წელს, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი „**თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-1956 წწ.)**“, წარმოადგენს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას, რომელშიც ბიოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოცემულია პერიოდი მისი დაბადებიდან - (1868 - 1956 წწ.) გარდაცვალებამდე.

მიმდინარე ისტორიული მოვლენების პარალელურად, ნაშრომში ვრცლად არის განხილული თედო სახოკიას პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წყაროებისა და საარქივო მასალების გამოყენებით გამოკვლეულია ისტორიოგრაფიისთვის აქამდე უცნობი ბიოგრაფიული ცნობები, კერძოდ: სამეგრელოში დაბადებისა და აღზრდის პირობები, ოჯახის ისტორია, ცხოვრება სამეგრელოსა და აფხაზეთში, დაწყებითი განათლება, სემინარიაში სწავლა, საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღება.

სხვადასხვა ტიპის საარქივო ფონდებში მოპოვებულ დოკუმენტებში აღწერილია თედო სახოკიას ოჯახის სოხუმში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა და დამკვიდრება, მისი თავდადებული ბრძოლა აფხაზეთში მიმდინარე რუსიფიკატორული მოვლენების (ქართული ენაზე წირვა-ლოცვის, სასკოლო განათლების ქართულ ენაზე აკრძალვის და სხვ.) წინააღმდეგ და მწერლის აქტიური თანამშრომლობა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან (იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვ.).

შესწავლილ იქნა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მრავალი ისტორიული ხასიათის ნაშრომი და წყარო, რომლებშიც გამოიკვეთა თ. სახოკიას, როგორც „ქართული პარტიის“ ხელმძღვანელისა და ლიდერის როლი. ასევე გამოვლინდა მის ხანგრძლივ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული აქამდე უცნობი ფაქტები, კერძოდ: თედო სახოკიას მიერ საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში უცხოეთიდან იარაღის უკანონოდ შემოტანის ხელმძღვანელობა. აღნიშნული საკითხის კვლევისას მოძიებულ იქნა მისი გამოუქვეყნებელი ხელნაწერი: „**1905 წლის იარაღის შემოტანის საქმე საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ**“.

საარქივო მასალებში წარმოდგენილია აგრეთვე ცნობები თედო სახოკიას მიერ, როგორც ადგილობრივი და საიმპერიო ხელისუფლებების მიმართ, ჩადენილი არაერთი "დანაშაულის" შესახებ, მისი იძულებითი დევნილობა საქართველოდან, ხუთგზის დაპატიმრება და „საუკუნოდ“ ციმბირში გადასახლება.

სამეცნიერო ნაშრომში ასევე ვრცლადაა განხილული ციმბირიდან საქართველოში გამოქცევის ეპიზოდი და სხვადასხვა ქვეყნებში (ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია...) ემიგრაციაში ყოფნის 12 წელი.

საარქივო მასალების მოძიებისას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა თედო სახოკიას პირად წერილებზე, რომლებიც გაგზავნილია სხვადასხვა პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი, ასევე ოჯახის წევრების, ძირითადად, მეუღლისადმი (ნადე კეკელია).

თედო სახოკია ცხოვრებდა და მოღვაწეობდა დიდი პოლიტიკური გარდატეხების, უსასტიკესი კომუნისტური რეჟიმისა და ათეიზმის დამკვიდრების პერიოდში. ე. წ. „გაორების პოლიტიკის“ მიუხედავად, მისი ცხოვრების შესწავლითა და კვლევებით დასტურდება თედო სახოკიას თავდაუზოგველი ბრძოლა ქართული თვითმყოფადობისა და სულიერების შენარჩუნებისათვის, ასევე მისი მტკიცე და სამართლიანი დამოკიდებულება მიმდინარე ისტორიული მოვლენებისადმი (1924 წლის აჯანყება, 1925 წლის ქართული ავტონომისტები) და ა. შ.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მწერალთა კავშირში თედო სახოკიას საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველი მასალებიც, მის მიერ შესრულებული თარგმანები, პუბლიცისტური, ჟურნალისტური, ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორი ხასიათის წერილები, მისი ფასდაუდებელი 30-წლიანი შრომის ნაყოფი - „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“.

ნაშრომში დიდი ყურადღებაა გამახვილებული თ. სახოკიას პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ამასთანავე შესწავლილია მისი სამეცნიერო ხასიათის პედაგოგიური ნაშრომები (სწავლის პირობების, წესებისა და ა. შ. შესახებ).

თედო სახოკიას სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად, განსაკუთრებით, აღსანიშნავია მისი თანამშრომლობა

ჟურნალ-გაზეთებთან, რომელიც მან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდიდან - 1888 წლიდან დაიწყო. ნაშრომში განხილულია: მისი საგაზეთო კორესპონდენციები, პუბლიცისტური წერილები, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში გამოგზავნილი მასალები, სამეცნიერო და სხვადასხვა ხასიათის ნაწერები საქართველოსა და ქართველ ხალხზე, ასევე წერილები, რომლებშიც განხილულია უცხოეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. როგორც ზემოაღნიშნული მასალებიდან ირკვევა თედო სახოკიას საქმიანობის უპირველესი მიზანი ქართველი ხალხის ევროპელებისთვის გაცნობა და ევროპასთან დაახლოება იყო.

სადოქტორო ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია თედო სახოკიას გარდაცვალების შემდგომ, მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების ამსახველი მასალები: მის მშობლიურ კუთხეში - სამეგრელოში (ხობის რაიონი, სოფელი ხეთა) მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნა, იქ სამეცნიერო თუ სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება და სხვ.

1. საკვლევი პრობლემის აქტუალობა. სადოქტორო სადისერტაციო თემის „**თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-1956)**“ აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ თედო სახოკია მოღვაწეობდა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში - XIX ს-ის 90-იან წლებსა და XX ს-ის პირველ ნახევარში. სწორედ დროის ამ მონაკვეთში იწყება ერის გამოღვიძების, რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის გავლენისაგან ქართული ენის გათავისუფლების, ქართულად წირვა-ლოცვის აკრძალვის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა პროცესები. აგრეთვე, მიმდინარეობს საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ-ს) და შემდგომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის (1921 წ-ს) ისტორიული მოვლენები; მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სოციალიზმის გაშლილი მშენებლობა, სრულიად სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ თედო სახოკია საზოგადოებრივი ფორმაციის რღვევისა და მიმდინარე ისტორიული პროცესების აღდგენის თვითმხილველი და აქტიური მონაწილე იყო.

„ძნელი დასაჯერებელია ერთი ადამიანის სიცოცხლე ეყოს იმას, რაც თედო სახოკიას შთამომავლობისთვის დაუტოვებია, რაც მას თავს გადახდენია... ამითაც ის

პირდაპირი მემკვიდრეა XIX საუკუნის დიდი მოღვაწეებისა, რომელთაც მდგომარეობა აიძულებდათ ერთდროულად მწერლებიც ყოფილიყვნენ, ჟურნალისტებიც, ფინანსისტებიც, ეთნოგრაფებიც, ენათმეცნიერებიც, პედაგოგებიც ერის სულიერი ცხოვრების დამცველნიც, ამას მოითხოვდა საქვეყნო ინტერესები. საგულისხმო ისაა, რომ თედო სახოკია სავსებით ახალგაზრდა ჩამოყალიბდა ამგვარ მოღვაწედ” (ხეც. სახოკიას ფონდი, #76).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნამდვილად ძნელია ვიწრო კონკრეტულ ჩარჩოში მოვაქციოთ ამ პიროვნების ნაღვაწი, ვინაიდან ცალკე თითოეული საკითხი ვრცელ სამეცნიერო არეალს მოიცავს.

სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა გამოიხატება იმაში, რომ თედო სახოკიას შესახებ წარმოდგენილი ნაშრომი არის ცდა, მთლიანობაში იქნეს დანახული და შეფასებული ამ პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობის ყველა ძირითადი ასპექტი, მისი ღვაწლი, ამასთანავე, იგი შესაბამის დახმარებას გაუწევს თედო სახოკიას შემოქმედებით დაინტერესებულ ყველა მომავალ მეცნიერს, ისტორიკოსს, ფილოლოგს.

2. ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში შესრულებული სათანადო კვლევა საშუალებას გვაძლევს შეიქმნას ფუნდამენტური ნაშრომი, რომლის მიზანია ნათელი მოჰფინოს თედო სახოკიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას; მდიდარ საარქივო და მემუარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შექმნას ობიექტური სურათი ამ პიროვნების ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ქართული საისტორიო და ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე.

წარმოდგენილი ნაშრომი საშუალებას იძლევა, ახლებური კუთხით შევხედოთ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარ მრავალ ისტორიულ მოვლენას, თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის კვალდაკვალ შესაძლებელი გახდა თვალი გავადევნოთ, როგორ გათავისუფლდა ათეიზმის გავლენისაგან მისი შემოქმედება, ახლებური შეხედულების გავლენით შეიცვალა ბევრი ცხოვრებისეული ფაქტი, ამასთანავე ჩვენთვის ნათელი ხდება, ისტორიული მოვლენების კვალად, ათეიზმის ბატონობის პერიოდში, კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებისაგან როგორ გათავისუფლდა

მოაზროვნე თედო სახოკია და შეძლო ახლებურად დაენახა და შეეფასებინა მრავალი მოვლენა.

3. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომს „თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-1956წწ.)“ გააჩნია პრაქტიკული ღირებულება:

1. ნაშრომში მოტანილი მასალა და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს ისტორიაში საჯარო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების დაწერისას;

2. ნაშრომში მოტანილი მასალა და დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს ისტორიაში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა და ლექციების კურსისა და საბაკალავრო ნაშრომების თემატიკის შედგენისას;

3. ნაშრომში მოტანილი მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას საგაზეთო სტატიებში, რადიო და ტელეგადაცემებში;

4. ნაშრომში მოტანილი მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას გამოფენების მოწყობისას.

4. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო. სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრა თედო სახოკიას დაბადებისა და გარდაცვალების წლებით (1868-1956 წწ.).

5. სადისერტაციო თემის შესწავლის მდგომარეობა. სადოქტორო სადისერტაციო

თემაზე მუშაობისას მოძიებულ და შესწავლილ იქნა არსებული წყაროები, ისტორიოგრაფია და სხვ. თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი და მრავალფეროვანი დოკუმენტური თუ სხვა ხასიათის მასალაა შემორჩენილი, დაწერილია რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა.

ა) წყაროების მიმოხილვა. თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დოკუმენტები და მასალები დაცულია საქართველოს ცენტრალურ

სახელმწიფო საისტორიო ეროვნულ არქივში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. ესაა მრავალფეროვანი მასალა, რომელიც განეკუთვნება სხვადასხვა წლებს და ასახავს მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა (შინაგან საქმეთა სამინისტროს) და სასამართლოს მასალები. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული თედო სახოკიას პირადი ფონდი, მასში არსებული დოკუმენტები და მასალები შეიცავს 1988 საქმეს, რომელიც თავად თედო სახოკიას ქალიშვილის მიერაა დამუშავებული, მათში თავმოყრილია თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალები, მდიდარი ფოტომასალა. უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს თედო სახოკიას წერილები და სტატიები, რომლებიც ქვეყნდებოდა გაზეთებში: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „საქართველო“, „Новое Обозрение“, „Кавказ“, ჟურნალებში: „მოამბე“, „დროება“, „კვალი“ და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა საფრანგეთში არალეგალურად გამომავალი გაზეთი „საქართველო“, რომლის ერთ-ერთი თანარედაქტორი თედო სახოკია იყო. ასევე ძალზე საინტერესოა მისი მიმოწერა ქართველ საზოგადო მოღვაწეებსა და ოჯახის წევრებთან.

უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს მემუარები, რომელთაგანაც, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ: ალექსანდრე მიქაბერიძის¹ გიორგი ლასხიშვილის², ლეო ქიაჩელის³, გერონტი ქიქოძისა⁴ და იპოლიტე ვართაგავას⁵ მემუარები. ძალზე მნიშვნელოვანია მოგონებები თედო სახოკიას შესახებ: სოლომონ ცაიშვილისა⁶, სერგო გერსამიასა⁷, ტრიფონ ხუნდაძისა⁸, ალექსანდრე სიგუასი⁹. აღსანიშნავია თედო

¹. ალექსანდრე მიქაბერიძე; თედო სახოკია. - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. - თედო სახოკიას პირადი ფონდი, ხელნაწერი №19868/302.

². გიორგი ლასხიშვილი. მემუარები. თბილისი, 1994.

³. ლეო ქიაჩელი. მოთხრობები, წერილები. ტომი IV. - იხ.: თედო სახოკია. თბილისი, 1955.

⁴. გერონტი ქიქოძე. მოგონებები (განთიადიდან შუადღემდე) რჩეული თხზულებანი. ტომი III. თბილისი, 1965.

⁵. იპოლიტე ვართაგავა. მოგონებები ნაწილი II. თბილისი 1962.

⁶. სოლომონ ცაიშვილი. უხუცესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. - „ლიტერატურული აღმანახი“, თბილისი, 1954, №7.

⁷. სერგო გერსამია. თედო სახოკია (მასალები ბიოგრაფიისთვის).- იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969.

სახოკიას შესახებ შვილიშვილ შუქია აფრიდონიძის „მოგონება -მოუგონელი“ - შვილიშვილის ხსოვნაში დარჩენილი თედო სახოკია“¹⁰.

ბ) სამეცნიერო ლიტერატურა. თედო სახოკიას მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ სამეცნიერო გამოკვლევები შეიძლება თემატურად ასე დალაგდეს:

1. პოლიტიკური მოღვაწეობა. გრიგოლ გიორგაძის „თვითმპყრობელობა და რევოლუცია. საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორია საქართველოში 1870 – 1902“¹¹, ზაქარია შველიძის რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“¹², მარკოზ ტულუშის „გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და შემოქმედება)“¹³, „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია, აპოლონ სილაგაძის, ვახტანგ გურულის „საქართველოს განუყოფლობის ისტორიიდან ნარკვევი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904)“¹⁴, ჯემალ გამახარიას „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“¹⁵, დიმიტრი შველიძისა, გიორგი გაფრინდაშვილის „გიორგი დეკანოზიშვილი - მამულიშვილის დაბრუნება“¹⁶.

2. სამეცნიერო მოღვაწეობა. 1969 წელს გამოიცა კრებული, რომელშიც თავმოყრილი ნაშრომები ეხება თედო სახოკიას ცხოვრებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს დეტალებს. გამოცემაშია გიორგი ჩიტაიას - „თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა“¹⁷. თედო სახოკიას მეცნიერულ მოღვაწეობას ასევე უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა უძღვნა

⁸. ტრიფონ ხუნდაძე. თედო სახოკია (მასალები ბიოგრაფიისთვის).- იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969.

⁹. ალექსანდრე სიგუა. თედო სახოკია (მასალები ბიოგრაფიისთვის).- იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969.

¹⁰. შუქია აფრიდონიძე. მოგონება მოუგონელი. შვილიშვილის ხსოვნაში დარჩენილი თედო სახოკია. - ჟურნალი „მწიგნობარი“, თბილისი, 1988, №98.

¹¹. გრიგოლ გიორგაძე. თვითმპყრობელობა და რევოლუცია. საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1870 – 1902. წიგნი I. ტფილისი, 1929.

¹². ზაქარია შველიძე. რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“. თბილისი, 1969.

¹³. მარკოზ ტულუში. გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და შემოქმედება) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია (1901-1906წწ.)- ჟურნალი „კავკასიონი“, 1964, №19.

¹⁴. აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს განუყოფლობის ისტორიიდან. ნარკვევი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში. (1895-1904წწ). თბილისი, 1999.

¹⁵. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005.

¹⁶. დიმიტრი შველიძე, გიორგი გაფრინდაშვილი. გიორგი დეკანოზიშვილი - მამულიშვილის დაბრუნება. თბილისი, 2010.

¹⁷. გოგიტა ჩიტაიას. თედო სახოკია (მასალები ბიოგრაფიისთვის). - იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969.

პროფესორმა ვალერიან ითონიშვილმა, რომელსაც შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი „თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში“¹⁸.

ფოლკლორის კუთხით ასევე, ნაშრომი შესრულებული და გამოქვეყნებული აქვს თინა შიოშვილს „თედო სახოკია და ქართული ფოლკლორი“¹⁹. მეტად საინტერესოა რამაზ სურმანიძის „ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია“, რომელშიც მოთხრობილია თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ²⁰. საინტერესოა როსტომ ჩხეიძის თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანი „მოციქული“²¹.

ზემოხსენებულ ავტორთა სამეცნიერო ნაშრომები ჩვენთვის წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ისტორიოგრაფიულ ნაღვაწს. ამ გამოკვლევების ფონზე შესაძლებელი გახდა სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის გარშემო მასალების მოძიება-შესწავლა და დამუშავება. საარქივო მასალების, ხელნაწერების, პერიოდული გამოცემების შესწავლით შესაძლებელი გახდა სადოქტორო ნაშრომის შესრულება.

¹⁸. ვალერიან ითონიშვილი. თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. თბილისი, 2013.

¹⁹. თინა შიოშვილი. თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობა. ბათუმი, 1987.

²⁰. რამაზ სურმანიძე. ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2004.

²¹. როსტომ ჩხეიძე. მოციქული თბილისი, 2015.

თავი I. ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები. განათლება

§1. დაბადება, ბავშვობის წლები

თედო სახოკია - ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1868 წლის 2 მარტს ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთაში. თედო სახოკიას დაბადების თარიღი ზუსტდება შემდეგი დოკუმენტით: „ამონაწერი თედო სახოკიას დაბადების და ნათლობის შესახებ გამოწერილი „მეტრიჩესკი წიგნი“ იმერეთის ეპარქიის, ზუგდიდის უეზდის ბიის სოფლის მთავარანგელოზის ეკლესიის 1868 წელს დაბადებულთათვის“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1).

თედო სახოკია თავის სიცოცხლეში წერდა ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს, რომლებიც 1943 წელს აქვს დასრულებული. მის ნაწერებში ვკითხულობთ: „როცა ამ სტრიქონს ვწერ, სამოცდამეთექვსმეტე წელში ვარ. ბედად, ხალისი მუშაობისა არ მაქვს იმაზე ნაკლები, რაც მქონდა ამ ორმოც, ორმოცდაათ წლის წინათ“ (სახოკია 1969: 245).

თედო სახოკიას ამ ავტობიოგრაფიულ თხრობას თუ მივყვებით, რომლის ხელნაწერი ვერსიებიც დაცულია კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მას ვრცლად აქვს გადმოცემული თავისი დაბადების, აღზრდის, სწავლა-განათლების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, რაც უტყუარი ხელჩასაჭიდი მასალაა მისი ცხოვრების შესასწავლად და იმდროინდელი ისტორიული ვითარების გასაცნობად.

თედო სახოკიას ამ ბიოგრაფიული თხრობის მეშვეობით ვეცნობით მშობლებისა და წინაპრების შესახებ ინფორმაციას, კერძოდ, თედოს მამა - ტიმოთე მარკოზის ძე სახოკია, დაბადებული 1844 წელს სოფელ შხეფში (ძველსა და ახალ სენაკს შუა) - სასულიერო პირი, მღვდელმსახური ყოფილა სოფელ ხეთის წმინდა გიორგის ტაძარში.

თედო სახოკიას დედა - ელისაბედი (იგივე ელისა) ხეთელი ყოფილა, ამავე სოფლის წმინდა გიორგის ტაძრის მღვდელმსახურის, დეკანოზ დავით კუკავას ქალიშვილი.

„პაპაჩემი (მამით) ოქრომჭედელი ყოფილა. მის ხელობას დიდი გასავალი და პატივი ჰქონია, მისი ოჯახი, სხვებთან შედარებით, ძლიერ ოჯახად ითვლებოდა თურმე. ჩემი პაპის მამა დადიანის კარის მღვდელი ყოფილა, ბატონს მღვდლის და ისიც სულიერი მოძღვრის ხარისხისათვის სრულებით არ მიაჩნდა თურმე სათაკილოდ და უფერად კვირაობით, ნაწირვევს, ამ მოძღვრისათვის ტყიდან ზურგით შეშა მოეტანინებინა სასახლის საჭიროებისათვის. გარდა ამისა, ჩვენს გვარს ვალად სდებია სხვათა შორის, დიდმარხვაში, ახალ-გამოზაფხულზე, ბატონისა და მისი სასახლის მომარხულე წევრების საქმელად ჭინჭარი ეკრიფა“ (სახოკია 1969: 201).

ავტორი იქვე გვაწვდის ინფორმაციას თავისი გვარის წარმომავლობაზე: „ჩვენი შორეული წინაპარი რაჭველი გამყრელიძე ყოფილა. თავის სოფელში კაცი შემოკვდომია. სასჯელისა და მოკლულის ნათესავეების მხრით შურის ძიებისათვის თავის დასაღწევად გამოქცეულა გორდში (ლექხუმში), აქ ცოლი შეურთავს და მისცემია ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. ამ ჩვენის წინაპრის შვილებსაც არ ასცდენიათ კაცის კვლა. მათს ლამაზ დას შემოჩვევია დადიანის მოურავი ჩიქოვანი. ძმებს გარეთ სამუშაოდ გასულებს გაიგულებდა, ჩიქოვანი თავის ჯარით მოდიოდა მათს სახლში და სატრფოსთან დროს ატარებდა, ძმებს არ შეურჩენიათ ოჯახის შერცხვენა, მოუკლავთ და ხრამში გადაუგდიათ. ამის შემდეგ ლექხუმში აღარ დაედგომებოდათ, გამოქცეულან სამეგრელოში. აქ ჯერ მოსულან მარტვილის ტაძართან და, ნიშნად ყმობისა და მონობისა, კისრით გამობმულან ტაძრის კარების ბოქლომზე. ამის შემდეგ ესენი ითვლებოდნენ მარტვილის ტაძრის ყმებად, და არავის შეეძლო, თვით მთავარ დადიანსაც -კი, მათთვის პასუხი მოეთხოვა და ხელი ეხლო დანაშაულისათვის. გვარიც გამოუცვლიათ. ორ ძმას სახოკიები დაურქმევიათ და შხეფში დარჩენილან, ხოლო ორ ძმას გახოკია აურჩევიათ თავის გვარად. ერთი ამ გვარით ბანძაში დარჩენილა, ხოლო მეორე მდინარე ტეხურზე გასულა და დასახლებულა მარანში (აბაშას ახლო), სადაც დღესაც არიან ამ გვარისანი, მხოლოდ გვარის დაბოლოებისათვის ძე მოუმატებიათ და იწოდებიან გახოკიძეებად“ (სახოკია 1969: 201-202).

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, თედო სახოკიას პირად ფონდში №19868/302, დაცულია ცნობილი ქართველი მწერლისა და

საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე მიქაბერიძის მონოგრაფია: „თედო სახოკია“. ალექსანდრე მიქაბერიძე თედო სახოკიას ერთგული და განუყრელი მეგობარი იყო სიცოცხლის ბოლომდე. მისი ცხოვრება ავტორს ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის წლებში აქვს აღწერილი და თედო სახოკიას ცხოვრების ბიოგრაფიულ თხრობას გადმოგვცემს ვრცლად - დაბადებიდან ვიდრე 1943 წლამდე.

მონოგრაფია თედო სახოკიას მშობლების შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: „თედოს მამა ტიმოთე, მღვდელი სოფელ ხეთაში და ხეთის მახლობელ სოფლებში, პატიოსან და ხალხის შემბრალე და ყოველი გაჭირვების დროს ჭეშმარიტ ღვთისმსახურად ითვლებოდა.

თედოს დედა ელისაბედი, იგივე ელისა, არანაკლებ სახელგანთქმული იყო ხეთისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობას შორის. ელისას მაღლიანი ხელი ყველა სიღარიბესა და გაჭირვებაში მყოფს სწვდებოდა და საჭირო დახმარებას არ აკლებდა.

ტიმოთე მღვდლისა და მისი ერთგული მეუღლის ელისას სახლის კარები ყველგან და მარადის ღია იყო იმ პირებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ სახით დახმარებას საჭიროებდნენ.

ტიმოთე მღვდელი იმ დოვლათს, რომელიც პურისა და ღვინის სახით ოჯახში უხვად შემოდიოდა, თავის მეუღლე ელისასთან შეთანხმებით, ღარიბებსა და ღატაკ მოსახლეობას სრულიად უანგაროდ, გულწრფელად აწვდიდა, დახმარებას არ აკლებდა.

ასეთი იყო სახე იმ მშობლიური ოჯახისა, სადაც თედო სახოკიამ პირველად აღიქვა სამყარო. ცხადია, ის კეთილშობილება, ის ჭეშმარიტი ადამიანობა, რომელიც ტიმოთე მღვდელსა და მის მეუღლე ელისას აგრერიგად ახასიათებდა, მემკვიდრეობით გადაეცა თედო სახოკიას, რომელმაც ეს საუკეთესო თვისებები ცხოვრების სარბიელზე „ხატად და ჯვრად“ დაისახა (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302:2-3).

თედო სახოკიას დაბადების შესახებ ცნობების შესწავლისას აღსანიშნავია ის წეს-ტრადიცია, რომელიც გავრცელებული იყო სამეგრელოში, გაძიძავება. წესი ხელს უწყობდა ღარიბ და ხელმოკლე გლეხების დაახლოებას, შეძლებულ ოჯახებთან, რომელთაც შეეძლოთ მათთვის გაეწიათ დახმარება და მფარველობა.

ამ ტრადიციას გვერდს ვერ აუვლიდა მღვდლის (ე. ი. შეძლებული და მეტად დაფასებული) ოჯახი. შვილის გაზრდა „კეთილშობილის“ ოჯახის ქალის მიერ ითვლებოდა სააუგო, საძრახ, ქვეყნის „ყბადასაღებ“ „თავის-მოსაჭრელ“ შეურაცყოფად. ასეთი დედის ბავშვის გაზრდისათვის უნდა ეზრუნა სოციალური საფეხურის ყველაზე დაბლა მდგომს გლეხის დედაკაცს-ძიძას და მის ქმარს - მამამძუძეს, როგორც სამეგრელოში ეძახიან, მორდუს (გამზრდელს). ტიმოთე მღვდელმა და მისმა მეუღლემ ელისემაც ვერ უღალატეს ამ ტრადიციად შემოდებულ ჩვეულებას და ახლად შეძენილი ვაჟი, თედო, ძიძას მიაბარეს აღსაზრდელად მახლობელ სოფელში“ (სახოკია 1969: 202).

ავტორი იქვე აგრძელებს: „დედაჩემს მოჰგვარეს თურმე ერთი საშუალო შეძლების გლეხის ცოლი ირინე ლატარია, რომელსაც თან მოჰყოლია ჩემი მომავალი მამამძუძე უთუთია იოსავა, ცხოვრობდნენ ჩვენი სახლიდან 14 კილომეტრის მოშორებით“, ძიძას თავისი საქმის მეთვალყურედ ჰყავდა იმავე სოფელში მცხოვრები მამაჩემის ბიძა, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც დახედავდა ჩემს ძიძას, მოიკითხავდა თავის დის შვილიშვილს“ (სახოკია 1955: 4).

თედო სახოკიას აღწერილი აქვს თავისი მოგონებანი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, რომელიც სიცოცხლეშივე, 1955 წელს გამოიცა, რომელშიც ვრცლადაა საუბარი, იმის შესახებ, თუ როგორ და რა პირობებში იზრდებოდნენ ბავშვები ძიძის ოჯახში,

მოგონება იძლევა ნათელ წარმოდგენას ბავშვის ძიძის სახლზე, მის აღზრდაზე, მთლიან სურათს იმ გარემოზე, რომელიც აყალიბებდა ბავშვს. ეს მოგონება გადმოსცემს სოფლის ცხოვრების სურათს, როგორც ლიტერატურული, ასევე ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

საინტერესოა თედოს სოფელში ცხოვრების რამდენიმე დეტალი, რომელიც თედო სახოკიას ყრმობის ასაკს აცოცხლებს: ძიძის სახლში კერიის პირას დადგმული აკვანი გადაყირავებულა, მაგრამ ჩვილი ცეცხლში დაწვას სასწაულებრივად გადარჩენილა. თედო შემდგომში იგონებდა: „მაჯის დაწვით გადავრჩი... ორი თვე მძკურნალობდა ცნობილი მკურნალი ქალი“,... (სახოკია 1955: 7).

საყურადღებოა თედოს ნათლობა. ის ერთხელ ნაწლავის დაავადებით გამხდარა ავად. სოფლის მკურნალობას ვერანაირი შედეგი მოჰყოლია, ვერც

შელოცვამ, ვერც აღთქმამ, ხეთის წმინდა გიორგის ტაძრისათვის შესაწირავი (ხბო) შეეწირათ პატარა თედოს სახელზე, ვერ უშველა. „საქმე იქამდის მისულა, რომ სააქაოს უნდა გამოვთხოვებოდი. რაკი სიკვდილის პირას ვიყავი და მოუნათლავი, ისიც მღვდლის შვილი, არ ეგებოდა ემბაზში ჩაუშვებლად საფლავში ჩავსულიყავ,... მიმრქმელობა ჩემს მამამძუმეს უკისრია, სულ ერთია, სასიცოცხლო პირი არა აქვსო” (სახოკია 1955: 7-8). ნათლობის სასწაულით თედოს მოუხედავს და თანდათან უკეთ გამხდარა. ნათლობა შეუსრულებია სახელოვან მღვდელს, მამა შიო იოსავას, თედოს ბებიის (მამის მხრიდან) ბიძას, რომელსაც თავი მოსწონდა იმით, რომ იშვიათი ყოფილა მისი მონათლული მომაკვდავიც კი არ გადარჩენილიყო სიკვდილს. „სოფელს გამოტირებული ბავშვი, ისე შევრჩი წუთისოფელს, „ცას გამოვეკერეო“, ხშირად იტყოდა თურმე ხუმრობით.

თედო სახოკია ძიძის ოჯახში ოთხი წელი რჩება. უკვე ხანში შესული თედო სახოკია ამ წლებს და ყველაფერს, რაც დედუღეთსა და ძიძასთან აკავშირებს, რაც საოცარ მოგონებად შემორჩა მის ცხოვრებას, განსაკუთრებული სისათუთითა და სითბოთი აღწერს. მისი ყურადღება ეპყრობა ყველაფერს, რაც კი შეიძლება მომხდარიყო „კაკლის ხის ძირას,“ თამაშობებს, ადამიანურ ურთიერთობებს, რიტუალებს, ტრადიციებს, აკრძალვებს - ე. წ. „ტაბუს“ და ასე შემდეგ.

1872 წელს ე. ი. მას შემდეგ, როდესაც თედოს აღზრდა დასრულდა ძიძის ოჯახში, ის დაუბრუნდა თავის დედუღეთს, მაგრამ იქ მათი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. თედოს მშობლებმა საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალეს.

სამეგრელოში, განსაკუთრებით XIX საუკუნის უკანასკნელ პერიოდში, შეიმჩნევა მოსახლეობის სწრაფვა ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნის მიზნით შავიზღვისპირა უძველეს ქალაქ სოხუმისაკენ, თედოს მშობლებიც მუდმივ საცხოვრებლად სოხუმში გადადიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თედო სახოკიას ცხოვრება და მომავალი ამ მოვლენამ განსაზღვრა, იგი მჭიდროდ დაუკავშირდა სოხუმს.

ამ პერიოდისათვის სოხუმში არსებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე იყო. ქალაქ სოხუმის მოსახლეობა რუსული ბიუროკრატიული აპარატის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოდან ჩამოცილებისა და მოსახლეობის გარუსების

ტენდენცია, რომელიც იმ პერიოდში მიმდინარეობდა, მოითხოვდა ქართული ეროვნული მოძრაობის აქტიურ გაშლას, ამის არანაირი წინაპირობა ამ პერიოდისათვის არ არსებობდა, საჭირო იყო ამ კუთხით მოსახლეობის დარაზმვა, მისი ხელშეწყობა.

თედოს მამა ტიმოთე ოჯახით დასახლდა სოხუმში. 1867 წელს იგი, როგორც სასულიერო პირი, მღვდლად დაინიშნა **სოხუმის ეპარქიაში ეპისკოპოს ალექსანდრე (ოქროპირიძის) მიერ განახლებულ და ნაკურთხ წმინდა გიორგის ტაძარში.**

„ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ მიაპყრო თავისი მღვდელმთავრული მზრუნველი თვალი თავის სულიერ შვილთა ამ უნუგემო მდგომარეობასა და მათსავე დახმარებით აღაშენა აწინდელ სოხუმის სასაფლაოს ეკლესია, თან საკუთარი მღვდელი დაუნიშნა. თედო, ამასთანავე, იხსენებს: „მას აქეთ ხსენებულ ეკლესიაში ქართულად იყო წირვა-ლოცვა“, 1887 წლამდე ვიდრე თედოს მამა ცოცხალი იყო. გარდაცვალების შემდეგ, „კანტიკუნტად თუ გაიღებოდა ეკლესიის კარები წირვა-ლოცვის, მღვდელმსახურების მშობლიურ (ქართულ) ენაზე მოსასმენად“ (**„მოამბე“ 1895: #11).**

1887 წელს თედო სახოკიას მამა გარდაიცვალა, ე. ი. თედოს მამას, რომელიც სოხუმში მუდმივ საცხოვრებლად იყო გადასული, გარდაცვალებამდე ამ ტაძარში უმსახურია.

§ 2. დაწყებითი განათლება.

თედო სახოკია სამეგრელოში დაიბადა, მაგრამ შემდგომში ოჯახის აფხაზეთში გადასვლის გამო მისი საზოგადოებრივი საქმიანობაც იქ გაგრძელდა. იგი შეუდრეკლად ებრძოდა რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკას აფხაზეთში, საერო და სასულიერო სფეროში ქართული ენის სწავლების აკრძალვას, წირვა-ლოცვის მშობლიურ ენაზე მოსმენას და სხვა.

ავტობიოგრაფიულ მოგონებანში „როგორ ვიზრდებოდი ძველად“ თედო სახოკიას ვრცლად აქვს აღწერილი თავისი ბავშვობა. „**მოგონებანი**“ შეეხება ავტორის ბავშვობის პერიოდს, დაბადებიდან მარტვილის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებამდე /1876-1884 წწ/ და შედგება ორი ნაწილისაგან. „მოგონებანი“-ს

პირველ ნაწილში მოთხრობილია ავტორის აღზრდა-განვითარების პირობები სასულიერო სასწავლებელში შესვლამდე /8 წლის ასაკამდე/, დაბადება, გაძიძავება, აფხაზეთში ცხოვრება, ომის საშიშროების გამო ოჯახის მობრუნება და სამეგრელოში დროებით, სწავლის დაწყებამდე, სხვა სასწავლებელში სწავლა, მღვდლის შვილებისათვის, ე. წ. „განსაწმენდელი“, ერთი წლით ტრადიციადქცეულ, შიო მღვდლის სახლში ცხოვრება. მეორე ნაწილში მარტვილის სასულიერო სასწავლებელში შესვლისა და სწავლების შესახებ მრავალფეროვანი სურათებია გადაშლილი.

„მოგონებანი“ პირველ ნაწილში მოცემულია ბავშვის თვალთ XIX საუკუნის მიწურულს სამეგრელოს სამღვდლოებისა და გლეხების ცხოვრება, ხალხის ადათ-წესები, ბავშვის აღზრდის პირობები, რელიგიური რწმენა-შეხედულებები. დაწვრილებითაა აღწერილი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მუშაობის პირობები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობა, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სისტემა, პირობები და სულიერი განცდა-მისწრაფებანი.

რუსეთის იმპერიის მიერ სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ სამეგრელოში პირველი სასწავლო დაწესებულება მარტვილის სასულიერო სასწავლებელი იყო. ამ სასწავლებელში არსებული სასწავლო პროცესი, სასწავლებლის ისტორია, გაცოცხლებული თედო სახოკიას მიერ, სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან სასწავლებელი ორჯერ დამწვარა, რომელსაც ვგებულობთ ამავე მოგონებებში.

თედო სახოკიას „მოგონებანი“ უსათუოდ დიდად მნიშვნელოვანი წყაროა, ერთი მხრივ, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ბავშვთა სწავლა-აღზრდის მდგომარეობის გასაცნობად და, მეორე მხრივ, რაც მთავარია, ვეცნობით თავად ავტორის ცხოვრებას, მის სულიერ და გონებრივ ფორმირება-განვითარებას.

თედო სახოკიას წერა-კითხვის შესწავლას 5 წლის ასაკში აწყებინებენ. ის აღწერს ქალაქ სოხუმის არსებულ უცნაურ მდგომარეობას: „იმ დროს სოხუმში ქართულს ვერ გაიგონებდით, მამაჩემს უხაროდა კიდევ, რომ რუსულს ვისწავლიდი, ე. ი. იმ ენას, რომელიც თვით არ იცოდა და ძალიან კი უნდოდა ესწავლა, საყველპუროდ მაინც, რადგან მის მრევლში მეგრელებს გარდა, რუსობაც ერია და დიდი სურვილი ჰქონდა, ეკლესიაში, როცა ქართულად სწირავდა, ზოგიერთი

ასამაღლებელი სლავიანურად ეთქვა, ზოგჯერ სახარებაც წაეკითხა. ამიტომ რუსული ანბანის სასწავლად ერთ პოლონელ ქალს, ინდო-ევროპულ ტელეგრაფში მოსამსახურე პოლონელის ცოლს, მიმაბარა. შემდეგ ერთი რუსული პოლკის უფროსის დასთან დამაწყებინა მეცადინეობა. ერთმაც და მეორემაც მასწავლეს წერა-კითხვა უშინსკის „Родное слово“-ს საშუალებით. ამის შემდეგ მამამ შემიყვანა აფხაზეთის დაარსებულ ერთადერთ რუსულ ორკლასიან სკოლაში. აქ აფხაზეთთან ერთად რუსი ბავშვებიც სწავლობდნენ და მეც იმათთან! თანდათან მეგრული მავიწყდებოდა, ტენდენცია მქონდა გარუსებისა, ამისთვის პირობებიც ხელს მიწყობდა. მამაჩემს ძალიან უხაროდა და თავისი თავი ბედნიერად მიაჩნდა, რომ შვილი რუსული ენის მცოდნე და რუსულ სკოლაში მოსიარულე ვყავდი (სახოკია 1955: 19).

სკოლაში, რომელშიც თედო სახოკიამ სწავლა დაიწყო, მხოლოდ აფხაზ ბავშვებს იღებდნენ. მას „მთიელთა სკოლა“ (Горская школа) ერქვა, რომელსაც პანსიონი ჰქონდა და აფხაზ ბავშვებს სახელმწიფო ხარჯით ზრდიდნენ. „სწავლა, რა თქმა უნდა, რუსულად წარმოებდა ვერც-კი წარმოედგინათ, თუ არა რუსულით, სხვა ენის საშუალებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი ყოფილიყო“ (სახოკია 1955: 20).

თედო სახოკიას ხელნაწერში, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული თედო სახოკიას პირად არქივში, აღწერილი აქვს „მთიელთა სკოლის“ ისტორია, ამ სკოლის მნიშვნელობა აფხაზეთის მკვიდრთათვის. მიზანი ამ სკოლის არსებობისა ყოფილა ახალი თაობის გარუსება და რუსული მოქალაქეობის ჩანერგვა.

ეს სკოლა დაარსდა 1863 წელს აფხაზების, როგორც თედო სახოკია აღნიშნავს, სკოლა შედგებოდა ორი ძირითადის და სამი მოსამზადებელი კლასისაგან. სწავლობდნენ აფხაზეთის სოფლებიდან ჩამოყვანილი ბავშვები. სკოლაში ჰქონდათ პანსიონი, სადაც უზრუნველყოფილი იყვნენ როგორც კვებით, ასევე ტანისამოსით, ბინითა და სწავლით. მოსწავლეებს ფორმის ტანისამოსი ეცვათ შავის მაუდისა, სალდათის ტანსაცმლის სახისა. სკოლაში მოყვანის დღიდან ბავშვს ესმოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენა, ენატრებოდა თავისი დედაენის გაგონება, თავისიანებთან ყოფნა. ამ ანტიპედაგოგიურ ატმოსფეროს იშვიათად თუ

ვინმე უძლებდა ბოლომდე, უმეტესობა ბავშვებისა მეორე - მესამე მოსამზადებელიდან გამოდიოდა და აღარ უბრუნდებოდა სატანჯველად მოვლენილ მასწავლებლებს. განსაკუთრებული ნებისყოფისა და ნიჭის მქონე ბავშვი თუ ახერხებდა „**მთიელთა სკოლის**“ კურსის დამთავრებას. ამ სკოლაში კურსდამთავრებულებს გიმნაზიაშიც გზავნიდნენ, მაგრამ არა მახლობელ ქუთაისის თუ თბილისის გიმნაზიაში, არამედ შორს, რუსეთში, სტავროპოლის გიმნაზიაში, რომ სოხუმში დაწყებული გარუსება აფხაზეთის ბავშვებისა რუსეთის გიმნაზიაში დამთავრებულიყო (**ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #125**).

შედეგი ასეთი სწავლისა იყო საქართველოში ჩამოსული რუსი მოხელეების მსგავსად ადგილობრივ მკვიდრთა შორის რუსეთის ხელმწიფის სამსახურისა და საიმპერატორო კარის ინტერესების დამცველთა აღზრდა თავიანთ მშობლიურ, მკვიდრ ქვეყანაში.

თედო სახოკიას ამ მოგონებიდან ვხვდებით, როგორი მდგომარეობა იყო იმ პერიოდში სოხუმში სწავლა-განათლების მხრივ, როგორი უნდა ყოფილიყო თედო სახოკიას მომავალი.

1874 წელს (6 წლის ასაკში), თედო სახოკიას გარდაეცვალა დედა. თედოს მამას **ტიმოთე სახოკიას**, ჯერ კიდევ ახალგაზრდას (41 წლისას), დარჩა 6 შვილი (4 ქალი და 2 ვაჟი). როგორც აღვნიშნეთ, თედო სწავლას სოხუმის მთიელთა სკოლაში იწყებს, სადაც სწავლება, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ეს კი ნიშანი იყო იმისა, რომ საერთოდ ჩამოშორებოდა ქართულ სწავლა-განათლებას. „მამაჩემმა იფიქრა: კარგია, რომ ჩემი შვილი რუსულად სწავლობსო, მაგრამ ცუდი არ იქნება, ქართულიც ისწავლოსო, მასწავლებლობა მიახლო თავისსავე დიაკვანს. გაჭირვებით იშოვნეს ფურცლის მეოთხედზე დაბეჭდილი ქართული ანბანი. დიაკვანმა სახლის კიბეზე გვერდით მომისვა და მითხრა: ეს არის ანი, ეს არის ბანი, და ესეც განიო. ისწავლე ასე ან, ბან, გან და რომ დავბრუნდები, გკითხავ და თითოეული ანბანის სახელი უნდა მითხრაო. მე ღიმილით ვუპასუხე: დიაკვანი რომ წავიდა, დიდხანს ვათვალიერე, ანბანი მერე მომბეზრდა მათი ყურება, ვიფიქრე, რაკი რუსული ვიცი, ეს სრულებით ზედმეტად მივიჩნიე, დავხიე და ნაფლეთები ქარს გავატანე. ჩემი საქციელი დიდად არ უნაღვლიათ, ასე გადავურჩი ქართული ანბანის სწავლას“.... (**სახოკია 1956: 205**).

1876 წელს გამოცხადებულ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყების გამო სოხუმის მოსახლეობა გააფრთხილეს, დაიწყო მოსახლეობამ საცხოვრებელი ადგილის დროებით დატოვება, რადგან ამ ადგილებში უნდა შემოსულიყო ოსმალეთის ჯარი. ამის გამო დაიცალა არა მარტო სოხუმი, არამედ მისი მიმდებარე დაბები ოჩამჩირესა და გუდაუთაში.

მოსახლეობამ სოხუმი დატოვა და რადგანაც სოხუმის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მეგრელობა შეადგენდა, დროებით ყველამ სამეგრელოს, თავიანთი წინაპრებისა და ახლობლების სოფლებს შეაფარა თავი.

თედოს მამა სამეგრელოში ბრუნდება დროებით საცხოვრებლად, სადაც ცხოვრობდა თედოს ბიძა (დედით) ექვთიმე კუკავა, ღვთისმსახურებაც ამავე სოფლის, ხეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გაუგრძელებია. 1878 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა, რომ სოხუმის დატოვებისას თედოს მამას თან საეკლესიო ნივთებიც წამოუღია.

„1876 წელს, დეკემბრის თვეში, სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსის გამოცხადების ძალით, მოსალოდნელი ომიანობის შიშისა გამო გადადიოდნენ სოხუმის მცხოვრებლები უშიშარ ადგილებში.

ამ დროს მე ჩემდამი რწმუნებულის სოხუმის სასაფლაოს წმ. გიორგის ეკლესიის საეკლესიო სამკაულები, აფხაზეთისა და სამურზაყანოს ეკლესიების უფროსის ბლალოჩინ დავით მაჭავარიანის ბრძანებით, წამოვიღე ყოველივე, სიით აღწერილი ჩემის საკუთარის ხარჯით და დიდის წვალებით, ეს ზემოხსენებული ეკლესიის სამკაულები მაქვს ამჟამად დაცული უკლებლად სამეგრელოში ჩემს მხედველობის ქვეშ, სოფელს ხეთაში“ - წერს მღვდელი ტიმოთე სახოკია 1876 წელს აფხაზეთიდან წამოღებული საეკლესიო ნივთების შესახებ („დროება“, 1878,N#68. „წარსულის ფურცლები“ 2015: 17).

თედო სახოკიას ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილება უნდა მომხდარიყო: რაკი სწავლა სამეგრელოში უნდა განეგრძო, თედოს გარუსების საშიშროება უკვე საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. სკოლა, რომელშიც თედოს უნდა დაეწყო სწავლა, „სახლიდან ¾ კილომეტრის მოშორებით იდგა, იყო ერთადერთი სამ განყოფილებიანი, საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელიც 1872 წელს გაუხსნიათ. მასწავლებლად ყოფილა ზოსიმე ჩიჩუა, რომელსაც უნდა ესწავლებინა რუსულის მცოდნე პატარა თედოსთვის

ჩვენებური („ჩქინობურა“) ქართული. მაგრამ მოხდა კი პირიქით, „მასწავლებელიცა და მოწაფეებიც ერთგვარ შურით მიყურებდნენ, როგორც რუსული წერა-კითხვის მცოდნეს და ამ ენაზე მოლაპარაკეს!.... მე სხვებს ვასწავლიდი რუსულს, ხოლო ყველას ავიწყებოდა, რომ ჩემთვის ქართული ესწავლებინათ. ორ თვეზე მეტი დავყავი ლარჩვის (ხეთის) სკოლაში, მაგრამ ქართული მაინც ვერ ვისწავლე“ **(სახოკია 1969: 206)**. თედო სახოკიას „**მოგონებანში**“ სამეგრელოში ცნობილი სასულიერო პირის, „**შიო მღვდლის**“ შესახებ მოიპოვება საინტერესო ცნობები.

სამეგრელოში აუცილებელ ტრადიციას წარმოადგენდა ის, რომ სწავლის დაწყებამდე, ე. ი. მომავალი მღვდლის სასწავლებელში მიღებამდე, გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი მღვდლის სახლში გაეტარებინა. ამ პროცესს „განსაწმენდელში“ ყოფნა ერქვა. მისი მიზანი იყო ჩვევა მღვდლობის მომავალი ცხოვრებისა, სასულიეროთა წრეში ტრიალი, მათის ცხოვრების დაწვრილებით გაცნობა, წერა-კითხვაში, განსაკუთრებით, „დავითნის“ კითხვაში გავარჯიშება, ზოგიერთი ფსალმუნის ზეპირად დასწავლა, ერთის სიტყვით, მღვდლის საძირკველის ჩაყრა“ („**მნათობი**“ 1937: #7), „ასეთი იმ დროისათვის იყო ზემოაღნიშნული შიო მღვდელი, რომელიც სამეგრელოს მახლობელი სოფლების „სულიერი მოძღვარი“ და თედოს მამის (დედით) ნათესავი იყო. სამეგრელოში ფრიად გავლენიანი, ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ უეჭველად ტრაპეზის სანაქებო მსახური გამოვიდოდი“ **(სახოკია 1955: 21)**.

„განსაწმენდელში“ ესე იგი მღვდლის სახლში, თედო სახოკია რჩება ერთი წელი სასულიერო საქმეთა შესწავლა-გაცნობისათვის, განსაკუთრებით - ქართულის შესასწავლად, რადგანაც ჭყონდიდის რეზიდენციაში - მარტვილის სასულიერო სასწავლებლის პირველ განყოფილებაში შესასვლელად საჭირო იყო ქართულის ცოდნა. აქაც ვერ მოახერხა თედომ ქართულად წერა-კითხვის სწავლა. „ჩემმა პაპამ, მღვდელმა შიო იოსავამ, გამოიყენა ჩემი ზეპირად ცოდნა რუსულის ელემენტარული ლოცვებისა, რუსული ელემენტარული გალობისა და გამიხადა პატარა დიაკვნად, სტუმრებთან საუფლო ლოცვას - „**მამაო ჩვენოს**“ რუსულად მათქმევინებდა და თავი ექებოდა „ჩემით და ყველას დავიწყებული ჰქონდა, რისთვისაც ვიყავ მიყვანილი, ქართული წერა-კითხვის სწავლება“ **(სახოკია 1955: 207)**. სამაგიეროდ აქ, სამეგრელოში, გატარებულ დღეებს, იქაურ საუცხოო ადგილებს ათასნაირი

ფანტაზიით ავსებს წარმოდგენები, „ოჩოკოჩზე, ტყაშმაფაზე, ჭინკებზე“... ყოველივე ეს ასაკში ყოფნის დროსაც წარუშლელად ჩარჩენილა მხცოვანი მოღვაწის მოგონებაში.

მარტვილი უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც განათლებისა და კულტურის დიდი კერა. სწორედ, ამ დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის გამო გადაწყდა აქ სასწავლებლის დაფუძნება. 1878 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი სრულიად ბუნებრივად უნდა გახსნილიყო მარტვილში, ჭყონდიდის ტაძრის გვერდით, რადგან სამეგრელოში მარტვილს ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთის ეკლესიაში“.

1877 წელს უკვე ცხრა წლის თედო ამ სასწავლებელში იწყებს სწავლას და რადგანაც უკვე იცოდა რუსულად წერა-კითხვა, უნდა დაესვათ მეორე მოსამზადებელში, მაგრამ ქართული წერა-კითხვის არცოდნის გამო ისევ პირველ მოსამზადებელში დასვეს.

მარტვილის სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სხვადასხვა პედაგოგიური ხერხების ნაცვლად უმთავრესად მიმართულება ფიზიკურ შთაგონებისა: „ცემა-ტყეპით უნდა შეეთვისებინათ ცოდნა, იმის შიში, რომ გაკვეთილების უცოდინრობისათვის გაწკეპლა, სხვადასხვა სახის ფიზიკური სასჯელი მოელოდა, მოწაფეს ჭკუაზე შლიდა, თუთიყუშვივით ზეპირობას ფართო გასავალი ჰქონდა, მოწაფენი მასწავლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს, ამას ემატებოდა მშობლების სახლიდან შორს ყოფნა, მარტვილის მცხოვრებთა, სამეგრელოს სხვა კუთხესთან შედარებით, უკიდურესი სიღარიბე, ყოველივე ამის გამო სასწავლებელი და მარტვილი სინონიმებად იქცა გოლგოთისა. იშვიათი ბუნების მოწაფე უძლებდა აქაურ რეჟიმს, აქაურ პირობებს. უმეტესობა პირველ წელსვე ანებებდა თავს სწავლას (სახოკია 1955: 46).

„დილის კარგა ხმიანი ზარის რეკვა გვატყობინებს, რომ დროა სასწავლებელში წასვლისა. სწავლისათვის სასწავლოდ ტილოს ჩანთაში ვალაგებთ „როდნოე სლოვო“-ს რვეულად შეკერილ ქაღალდს, ასპიდის დაფას, ასპიდის ჯოხს ზედ საწერად (ხარის ბეჭის მაგიერ) კალმისტარს, კალამს (ზოგს ბატის ფრთისაგან გამოჭრილი კალამი აქვს) და ფანქარს. ჩანთა გადაკიდებული გვაქვს მარცხენა

მხარეზე და ძაფით ჩამოკიდებული აქვს სამელნე. ოთხი საგანი გვექონდა სასწავლი: საღმრთო სჯული ანუ ლოცვები, რუსული ენა, ანგარიში და ქართული ენა, რუსულის სასწავლად დანარჩენ საგნებს ზეპირად ვსწავლობდით. ქართული წერისათვის № 7 ქალაქს რვეულებად ვკრავდით, მერე ხის სავარცხლით ჩვენვე ვხაზავდით და მრგვალი ხელით ფოლადის კალმით ან გამოჭრილ ბატის ფრთით ვწერდით. ასე დავამთავრეთ სწავლის პირველი წელი, ქართულად ვიცოდით რამდენიმე ლოცვა, ქართული წერა-კითხვა, ანგარიში ოცამდე“ (სახოკია 1955: 51-52).

სწავლების პირობების პარალელურად მოკლედ გადმოსცემს მოსწავლეთა ცხოვრების პირობებს, საცხოვრებელ გარემოს, თუ როგორი გაუსაძლისი ყოფა იყო ამ მხრივ. „მოწაფეთა უმრავლესობა ტანჩაუცმელები, თავი და თავი მშივრები ვიყავით. გვშიოდა კლასში, გვშიოდა ბინაზე, გვშიოდა ძილში, საჭმლით გაძღომა გვეღირსებოდა მხოლოდ საშობაოდ, სააღდგომოდ, და საზაფხულო არდადეგებზე... გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მომავალ სულიერ მამათა ორგანიზმი განიცდიდა ქრონიკულს შიმშილს იმ შვიდი წლის განმავლობაში, რაც სასწავლებელში ვიყავით, გვშიოდა და საჭმელს ვეძებდით დღესა და ჟამსა ყოველსა“ (სახოკია 1969: 210). სწავლის პარალელურად თედო სახოკია ახასიათებს მასწავლებლებსაც: „მასწავლებელი ერთი გაცილებული არ გვინახავს. ჩვენთან მოქცევაში ყველას პირქუშად ეჭირა თავი. ჩვენ თვითონ ასე ვუცქერდით, როგორც მტრებს და ჩვენ ავისმდომებს“ (სახოკია 1969: 53). ცხადია, ასეთი გარემო საუკეთესოდ ვერ ჩაითვლება მოზარდის სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის.

თედო სახოკიას მარტვილის სასწავლებელში სწავლის პერიოდში ახლად გამოსული იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“. რაღაც ერთგვარი ხალისი და დიდი საოცრება იყო ბავშვებისათვის მისი ხელში აღება და ქართული ლექსებისა და მოთხრობების იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ მეშვეობით შესწავლა, ამ წიგნით ხომ საძირკველი ჩაეყარა ქართული ენის გადარჩენას გარუსების პოლიტიკის კლანჭებისაგან.

თედო სახოკიას მარტვილის სასწავლებელში სწავლისას, სწავლების მეორე წელს, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სწავლამ მოუწია. მეტად საინტერესოდ აღწერს თედო აღნიშნულ მოგონებებში - „როგორ ვიზრდებოდით ძველად“ (სახოკია

1955), სასწავლებლის და იქაური სწავლის შესახებ, „დედაენის“ - პირველად გამოცემისა და ამ „დედაენით“ სწავლის დაწყებას.

„იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომელზედაც აღიზარდა ჩემი შემდგომი თაობა, პირველად 1876 წელს გამოვიდა და ბავშვებს სულზე მოგვისწრო მეორე მოსამზადებელში. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ქართველი ბავშვებისათვის შედგენილი, ქართულ ცხოვრებასთან შეფარდებით. როცა მასწავლებელმა თბილისიდან ჩამოიტანა და ორ-ორ აბაზად დაგვირიგა ეს წიგნი, ყველას უზომოდ გვიხაროდა. გვახარებდა მისი ყდა და სურათები. გვიხაროდა მისი ფურცვლა. სოფლის ნაცნობი ცხოვრების სურათების ნახვა, თუმცა როგორც პირველი გამოცემა, ძალიან განსაზღვრულ რიცხვს შეიცავდა სურათებისას. გარეკანს მაშინვე ქაღალდი შემოვაკარით გარედან და ასე სათუთად ვინახავდით. ადვილად და ხალისით ვკითხულობდით შიგ მოთავსებულ მოთხრობებსა და ლექსებს, თუმცა ბევრი სიტყვისა არა გვესმოდა, ასეთები იყო ქართლში ხმარებული ქართლელ ბავშვისათვის საყველპურო სიტყვები, განსაკუთრებით საოჯახო და სამეურნეო იარაღების სახელები, მაგალითად: გუთანა, არნადი, კვერი, კალო, ხვაკი და სხვა. რაც სახელმძღვანელოში საზეპირო იყო, ვზეპირობდით, „დედაენის“ საზეპიროსაც არ გავუბოდიტ, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი უფრო გასაგები იყო, თუმცა ვერ ვიტყვით, ხალისიანად ვსწავლობდით-მეთქი“ (სახოკია 1955: 77).

ქართული ლიტერატურის სწავლაზე საუბრისას აღნიშნავს: „ბუნების კარის“ გარდა თუ არსებობდა წიგნი ქართულად, არც ვიცოდით. ასე გვეგონა, მთელ ქართულ ლიტერატურას „ბუნების კარი“ შეიცავდა, მთელ ქართველობის ნააზრევს ეს წიგნი წარმოადგენდა, ეს იყო ალფა და ომეგა ქართული მეტყველებისა. ქართული წიგნის ერთადერთ ავტორად იაკობ გოგებაშვილი მიგვაჩნდა, დიდი ჭკუისა და უნარის კაცი, რომელმაც ამნაირი ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი შეადგინა“ (სახოკია 1969: 140).

შემდგომ, როდესაც თედო სახოკია საზოგადოებრივ სარბიელზე გამოდის, ის ახლოს გაიცნობს იაკობ გოგებაშვილს და რადგანაც თედო სახოკია აფხაზეთის მკვიდრი იყო, აქ მიმდინარე პროცესები დაედო სათავედ საზოგადოებრივი სარბიელის საწყისებზე მოვლენათა შუაგულში ტრიალს. აქედან იწყება თედო სახოკიას დაახლოება ქართველ ინტელიგენციასა და საზოგადო მოღვაწეებთან,

რომელთა დახმარებით იქ, აფხაზეთში, აკეთებდა ქართულ საქმეს. - **იაკობ გოგებაშვილზე** საუბრისას ის აღნიშნავს: „მას ბედმა არგუნა, გამოსულიყო საზოგადო სამსახურის ასპარეზზე იმ დროს, როცა მის გარშემო წყვილიანი მეფობდა, ყოფილიყო ქართული მოაზროვნე საზოგადოების იმ მცირე ჯგუფის წევრი, რომელსაც წილად ხვდა დაარსება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და მხარში ამოსდგომოდა **დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს...** მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყრილი ოჯახებში: არისტოკრატის ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულად მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ანბანი არსებობდა... აფხაზეთის სინამდვილედ ასეთივე იყო, ამ დროს გამოდის **იაკობ გოგებაშვილი** „თავისი „დედაენით“ და ცდილობს, დანერგოს სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შეთვისების საფუძვლად „დედაენა“ ჰქონდეს, საძირკველი ყრმის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედაენის“ საშუალებით ჩაეყაროს“ (**სახოკია 1985: 49**). **იაკობ გოგებაშვილის** „დედაენის“ ღვაწლისა და მნიშვნელობის ამგვარი შეფასება სრულიად ობიექტური და გადაუჭარბებელია.

სასწავლებლის მასწავლებელთა შორის, მათი სიმკაცრის მიუხედავად, განსაკუთრებული სიყვარულით, სითბოთი იხსენებს **ავტორი პოლიევქტო კვიციანიძეს, ვასილ ბარნოვს, ამბროსი ხელაშვილს**, „ეს სამი კაცი სრულებით გვაღიწყებდა ამ გრძნობას და გვიტკობდა იმ ტანჯვას, რომელსაც მაშინ „სწავლას“ ეძახდნენ და რომელიც გვიხშობდა ყოველგვარს ადამიანურს სახიერებასა და გონებას, გვაძულებდა საერთოდ სწავლას, გვაძულებდა სასწავლებელს, საცა ყველა საგანს რუსულის საშუალებით გვასწავლიდნენ, ე. ი. უცნობი უცნობის საშუალებით შეგვეთვისებინა“ (**სახოკია 1969: 210**).

ვასილ ბარნოვი სულ ახალგაზრდა იწყებს მარტვილში პედაგოგიურ საქმიანობას. „ვასილ ბარნოვმა პირველად გვიჩვენა, რომ მასწავლებელი, პირველ ყოვლისა, ადამიანია და მოსწავლეთა მეგობარი, უფროსი ძმა, მათი ხელმძღვანელი და გზაზე დამყენებელი და არა მტერი, მგელი, ჩვენი მოძულე, რომელსაც აქამდე ასე გავურბოდით ხოლმე... ვასილ ბარნოვმა, როგორც ბავშვების, ასევე მათი მშობლების

საერთო სიყვარული დაიმსახურა“ (სახოკია 1955: 174). აქვე აღვნიშნავთ, რომ თედო სახოკიას და ვასილ ბარნოვის, მასწავლებელ-მოსწავლის, მეგობრული ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

ვასილ ბარნოვი თედო სახოკიასთვის იმდენად ახლო მეგობარი იყო, მეგობრებისათვის განკუთვნილ დღეებში, რომელიც ტრადიციად ქცეული წესი იყო, ის ყოველ კვირას სტუმრობდა ბარნოვების ოჯახს. საღამოს 8 საათზე მეგობრების ოჯახის კარი მუდმივად ღია იყო. ამ ტრადიციისათვის თედოს ბარნოვის გარდაცვალების შემდეგაც არ უღალატია, მისი ვიზიტები ამ ოჯახში შვილებთან გააგრძელა

.1881 წელს **მარტვილის** სასწავლებელი დაიწვა, ხანძრის შემდეგ აღდგენა არ უცდიათ და სასწავლებელი გადატანილ იქნა სამეგრელოს შუაგულში, სენაკში. ამ დროს თედო სახოკია უკვე მესამე კლასის მოსწავლეა. სასწავლებლის სენაკში გადმოტანასთან დაკავშირებით ირკვევა, რომ „სამღვდელოებას სენაკში კრება მოუწვევია მარტვილის სასწავლებლის სენაკში გადმოტანის შესახებ“, რომელიც დადებითად გადაუწყვეტიათ. აქაური პირობების აღწერისას თედო განსაკუთრებით აღნიშნავს სენაკის უპირატესობას მარტვილის სასწავლებელთან შედარებით და აღნიშნავს: „სასწავლებლის აქ გადმოტანამ დიდად შეუწყო ხელი დაბა სენაკის წინსვლას, აღებ-მიცემობის განვითარებას. 350-სულამდე შეგირდი, მათი ხშირად ჩამომსვლელი მშობლები, სასწავლებლის მასწავლებლობა, რა თქმა უნდა, ისე დიდ საზოგადოებას ქმნიდა, რომელსაც შეეძლო დაბის ზრდა-განვითარებისათვის საგრძნობლად ხელი შეეწყო. აქ ხშირად იმართებოდა სამღვდელოების კრება სასწავლებლის საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. სულ უკანასკნელი, ასი მღვდელი მაინც მოიყრიდა თავს სენაკში სამი-ოთხი დღით. გარემო პირობები თითქო ხელს გვიწყობდა უკეთესი ცხოვრებისათვის, წარმატებით მეცადინეობისათვის, ხალხიც უფრო შეძლებულად ცხოვრობდა, ბუხრიანი სახლები გლეხებში იშვიათი არ იყო, იყო დუქნები, სადაც ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა, ნავთით გასანათებელი ლამპები შემოვიდეთ, ეს კი დიდი პროგრესი იყო მოწაფეების ცხოვრებაში“ (სახოკია 1955: 172).

სენაკში სწავლა-აღზრდის მხრივაც უკეთესი მდგომარეობა იყო. აქ დაასრულა თედო სახოკიამ სასწავლებელი. ძველი სენაკის სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე

იყო. თედოს მიერ სასწავლებლის დასრულების წელს (1884 წელს 28 ოქტომბერს) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გაეხსნა ეს სკოლა საზეიმო ვითარებაში, სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო. სკოლის კურთხევას დასწრებია აკაკი წერეთელი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით მას წარმოუთქვამს სიტყვა, რომელიც თავის აქტუალობას დღესაც კი არ კარგავს: „ვალდებულნი ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, – გავიცნოთ ჩვენი მამა-პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება!... ის ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს, სხვას როგორღა შეისწავლის?... საჭიროა, რომ მარტო აწმყოზე არ შევჩერდეთ. ეს აგვამალლებს ჩვენ ზნეობრივად, აგვევსება გული სიმართლითა და სიყვარულით... მაშინ შეგვეძლება ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ: ვინც გვეძმობა, ვეძმობ. სად უნდა შევიძინოთ ესეები ყველა? იმ ახალ ტაძარში, რომელსაც ჩვენ სასწავლებლებს ვეძახით და ერთი რომელთაგანაც დღეს აქ ვაკურთხეთ. დიახ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავისი თავი და მიხედნენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ, სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული. ვიმეორებთ, აქ, ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის კერძოდ, თუმცა იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ კერძოდ ის მეგრელია, თავის საკუთარი ფერის მექონი, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად, იგივე ქართველია და თავისი კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას” („მამული, ენა, სარწმუნოება“ 2010:115-116).

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი თედო სახოკიას 1884 წელს დაუმთავრებია მეორე მოწაფედ. ამის შემდგომ სწავლა უნდა გაეგრძელებინა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ მცირეწლოვნების გამო არ იქნა მიღებული, ამიტომ სწავლა უკვე თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. თედო სახოკია, როგორც სკოლის პირველი ხარისხის კურსდამთავრებული, უგამოცდოდ ჩარიცხეს სემინარიის პირველ კლასში.

თედო სახოკია უკვე გამოეთხოვა ბავშვობის ასაკს, მას სულ სხვა, ახალი იმედებითა და ჩანაფიქრებით უნდა გაეგრძელებინა ცხოვრების გზა, თავისი მომავალი დაეკავშირებინა ქართველი ხალხის ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე გამოყვანასთან.

ამდენად, მოგონებანი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, თედო სახოკიას ავტობიოგრაფიული ხასიათის შესანიშნავი ნაშრომია, რომელიც კიდევ ერთი რეალური სახეა არა მარტო ავტორის, არამედ სამეგრელოს იმდროინდელი ცხოვრების, სწავლა-აღზრდის სისტემის რეალური სურათის წარმოსაჩენად. მან საკუთარი ცხოვრების ამ მონაკვეთის აღწერასთან ერთად გადმოსცა სამეგრელოს ისტორიული რეალობა, წარმოაჩინა კუთხის ისტორია, ეთნოგრაფია და ა. შ.

§3. სასულიერო სემინარია.

1884 წელს თედო სახოკია სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. თბილისის სასულიერო სემინარია 1817 წელს გაიხსნა, სწავლება აქაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სწავლის დასრულების შემდეგ თედო სახოკიას შეეძლო ემუშავა სამრევლო და საერო სკოლების მასწავლებლად ან გაეგრძელებინა სწავლა იმპერიის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ, როგორც სასულიერო, ისე საერო უნივერსიტეტსა თუ სხვადასხვა სასწავლებელში.

თბილისის სასულიერო სემინარია, რუსეთის საიმპერატორო ხელისულების აზრით, ქართველთა გარუსების მძლავრი საყრდენი უნდა ყოფილიყო. სემინარიის სასწავლო გეგმები გამორიცხავდა რაიმე ეროვნულის მცირე გამოვლინებასაც კი. პედაგოგები ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის კოლონიურ ინტერესებს, დევნიდნენ ეროვნული სულისკვეთების ახალგაზრდობას (ვარდოსანიძე 2014: 8).

ხელისუფლების ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკა კარგად აქვს აღწერილი თავად თედო სახოკიას მოგონებანში „ჩემი საუკუნის ადამიანები“, რომელშიც იგი ალექსანდრე ყიფშიძის ცხოვრების დეტალების აღწერისას ამბობს: „სემინარიის მთავრობა (რექტორ-ინსპექტორი) ისე უყურებდა სემინარიის ზღუდეთა შორის მოთავსებულ შვილებს საქართველოს სამღვდელოებისას, როგორც ველური ხალხის შვილებს, რომელთაც არ ძალუძთ, შეითვისონ ნათელი სწავლა-ცოდნის! ამიტომ ეს მთავრობა ცდილობდა, მათთვის ამაოდ არ ეშრომნათ და მათი რიცხვი მინიმუმამდე დაეყვანათ. ამ ველური ხალხის შვილებმა თავიანთი ენა, ენა ქართული, რომელზედაც ჯერ ისევ მეოთხე საუკუნეში შეითვისეს მოძღვრება ქრისტესი, ენა, რომელზედაც თარგმნეს სახარება, ჰო, ეს ენა ქართული უნდა დაივიწყონ და მის ბადლად ისწავლონო ენა სლავური, რომლითაც მხოლოდ შეიძლება ადიდოს

ადამიანმა ღმერთიო!.. საქართველოს სასულიერო სემინარიაში ქართულ ენას კვირაში ერთი გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. მასწავლებლად ამ ენისა დანიშნული იყო ნიკოლოზ ტატიშვილი. ამაზე ამბობდნენ, სასულიერო აკადემია აქვს დამთავრებულიო. შეიძლება აკადემია დაემთავრებინა, მაგრამ ცოდნით არც ქართული იცოდა და აღარც რუსული. მისი ქართულის მასწავლებლობა, რომ მეტი არა ვთქვათ, დაცინვა და გამასხარავება იყო ქართული ენისა... აკრძალული იყო ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. მოწაფეებს ნება არ ჰქონდათ ეკითხათ, სახელმძღვანელო წიგნების გარდა, სხვა რუსული წიგნები, რომლებიც მკითხველს უვითარებდა გონებას, ასწავლიდა, რომ სემინარიის გარდა არის სხვა სამყაროც, სადაც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი და არა უსულგულო რექტორ-ინსპექტორი და უსულგულო მასწავლებლები და მათი ჯაშუშ-მოწაფეები. ერთადერთი კარგი მხარე ჰქონდა სემინარიის რეჟიმს, „ბურსაკების“ ცხოვრებას: სულ გონება დაჩლუნგებული უნდა ყოფილიყო, მოწაფე, რომ ვერ დაენახა გარშემო გამეფებული უკუღმართობა... არ აღვსილიყო მტრობითა და შურისძიების გრძნობით იმ მთავრობისადმი, რომელმაც შეუქმნა ასეთი გაუსაძლისი პირობები ცხოვრებისა მოზარდ თაობას... (სახოკია 1969:166-168).

სწორედ სემინარიის ამგვარ ცხოვრების პირობებს უნდა შეგუებოდა მომავალი სემინარიის მოწაფე თედო სახოკია, რომელიც უგამოცდოდ იქნა მიღებული, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დასრულებისათვის. განცხადება სწავლის დაწყების შესახებ შეაქვს თბილისის სასულიერო სემინარიაში, რექტორის დეკანოზ პავლე ჩუდეცკის სახელზე, რომელიც იმ პერიოდში იყო სემინარიის რექტორი და 1884 წლის შემოდგომიდან აგრძელებს სწავლას (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #3).

სემინარიის პირობები ითვალისწინებდა, რომ სწავლება სახელმწიფოს ხარჯით იყო, სინამდვილეში კი საფასურს სამღვდელოება იხდიდა. თედო სახოკია, როგორც მღვდლის შვილი და თანაც დედით ობოლი, სამღვდელოების ხარჯით უნდა შესულიყო სემინარიაში, მაგრამ თედო საკუთარი ხარჯით ცხოვრობდა სემინარიის საერთო საცხოვრებელში.

სემინარიის საერთო საცხოვრებელს სემინარიელები „ბურსას“ ეძახდნენ, ხოლო „ბურსაკებს“ რუსეთში სემინარიის მოწაფეებს ეძახდნენ, საქართველოშიც ეს

სახელი აქედან იქნა შემოღებული. სემინარიის მოწაფეებს ეძლეოდათ საჭმელ-სასმელი, ტანსამოსი, ბინა, თვეში სამი გირვანქა შაქარი და სახელმძღვანელო წიგნები.

თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებული სულის შემხუთველი, იეზუიტური რეჟიმი, რომელიც გამოიხატებოდა ურთიერთ-დასმენაში, ჯამჯობასა და დასჯის სხვადასხვა დამამცირებელ მეთოდში, ყოველივე ეს სემინარიის მოწაფეებს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ უარყოფითად განაწყობდა.

გარდა ამგვარი პირობებისა, თედო სახოკიას სემინარიაში სწავლების პირველი წლის პირველი ნახევარი არაფრით იყო გამორჩეული. მისი ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ „თვინიერ გაკვეთილების სწავლისა, სხვა საზრუნავი, სხვა საფიქრალი ან აზროვნების გამაღვიძებელი ჩემთვის არ არსებობდა. პროვინციიდან ჩამოსულს მქონდა სარწმუნოება, უფროსების, განსაკუთრებით მასწავლებელთა, პატივისცემა და რიდი, შეგნება მთავრობის მოქმედების „წამებისა“ უკრიტიკოდ. ესე იგი ვიყავი 14-15 წლის ყმაწვილი ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო ყველა იმდროინდელი მოქალაქე დიდის რუსეთის იმპერიისა და ამ იმპერიის იმპერატორ **ალექსანდრე III-ის** ერთგული ქვეშევრდომი“. შემდგომ იქვე აგრძელებს, რომ იმავე წლის მეორე ნახევრიდან „სემინარიის ზღუდეთა შორის ცხოვრებამ გამომათხოვა და ხელი ამაღებინა ყოველივე მასზე, რაც მწადდა და ურყევ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა, ძირფესვიანად შემირყია მსოფლმხედველობა, ახალ გზაზე დამაყენა, ზურგი მაქცევინა ყოველგვარი ძველებურისათვის“ (**სახოკია 1969: 212**).

ავტობიოგრაფიული ამონარიდიდან კარგად ჩანს 15-16 წლის ყმაწვილი თედოს მომავალი, რომელიც ესესაა იწყებოდა, უჩვენებდა იმ გზას, რაც საქართველოს ისტორიის პარალელურად იწერებოდა და დაკავშირებული იყო მის ცხოვრებასთან, მხარდამხარ მიჰყოლოდა ისტორიის ქარტეხილებს, რასაც სათავე სემინარიის კედლებში დაედო.

ჯერ კიდევ სამეგრელოს სასწავლებელში სწავლისას, თედო სახოკია მასწავლებელთა შორის იხსენიებს ვასილ ბარნოვს, რომელმაც მოსწავლეთა ეროვნული ცნობიერებისა და პატრიოტული გრძნობების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ითამაშა. აქვე იწყებს თედო იმ ახალი იდეების გაცნობას,

რომლებიც „სოციალისტურის“ სახელითაა ცნობილი. ამაში კი მისი „განმანათლებლები“ სემინარიის მაღალი კლასის მოწაფეები ყოფილან, რომლებიც მათზე დაბალ კლასებში მყოფ მოსწავლეთა გაცნობიერების საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. აქედან იწყება ეროვნული გამოღვიძების ის პერიოდი, რომელიც პატრიოტული გრძნობით ანთებული ახალგაზრდის არალეგალურ საქმიანობაში ჰპოვებს გამოხატულებას. ათეიზმის ბატონობის ხანაში სემინარიელთა საქმიანობა მოიხსენიებოდა, როგორც სოციალისტური იდეისათვის ბრძოლა. სინამდვილეში კი „სოციალისტურ ნიღაბქვეშ“ ამოფარებით თედო სახოკია „ეროვნული იდეის განხორციელებისათვის“ ერის საუკეთესო მამულიშვილთა გვერდით იწყებს აქტიურ ბრძოლას, რასაც სათავე სემინარიის კედლებში ეყრება.

სემინარიაში თედო სახოკია დაუახლოვდა მასზე ერთი წლით ადრე შესულ შიო დედაბრიშვილსა და იოსებ ლალიაშვილს, ამ უკანასკნელთან საერთო ენაც მაშინვე გამონახა მისი სამეგრელოსთან სიახლოვის წყალობით, „ნახევრად მეგრელი - სოსო ლალიაშვილის მამა ახალგაზრდობის წლებში მასწავლებლად ყოფილა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, იქვე ოჯახს მოჰკიდებია და ცოლად შეურთავს ბანძელი დანელიას ქალი და შემდგომ მღვდლად კურთხეულა“ (სახოკია 1969: 213), საერთო საფიქრალ-სატკივარმა და სემინარიის „ბურსაში“ ერთად ცხოვრებამ ეს სამი მეგობარი ერთმანეთს მჭიდროდ დააკავშირა.

უფროსი მეგობრების წყალობით თედო სახოკია ეცნობა „ახალ მიმართულებას“, ეცნობა და კითხულობს აკრძალულ ლიტერატურას, იმ პერიოდის როგორც ქართულ, ასევე რუსულ ჟურნალ-გაზეთებს: „Современник-სა“ და „Отечественные записки-ს“. ქართულ „იმედს“, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე მიხეილ გურგენიძესთან ერთად სცემდა და ა. შ. „ეს იყო მომზადება ჩემი და ჩემის ამხანაგებისა შემდეგ წელს სემინარიასთან არსებულ თვითგანვითარების წრეებში მონაწილეობის მისაღებად“ (სახოკია 1969: 213).

თედო სახოკია სემინარიაში სწავლისას ეცნობა თბილისს და თბილისელთა ცხოვრებას და ყოველთვის ვხედავთ იქ, სადაც ითქმოდა ახალი სიტყვა: ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, სემინარიელთა თავშეყრის ადგილებში და ა. შ. თანაც იგი თავიდანვე გამოირჩეოდა სხარტი, გამჭრიახი გონებითა და ენამახვილობით ე. ი. ენაც უჭრიდა და კალამიც, სწორედ ამიტომ არცაა გასაკვირი, ყოფილიყო იქ, სადაც მის

ყოფნას მოითხოვდა საჭიროება - სემინარიის მოწინავე მოწაფეთა შორის, მღელვარე მოვლენათა შუაგულში, საზოგადოებრივი საქმეებში. თედო სახოკიას თვითგამორკვევა იწყება სემინარიაში სწავლის მეორე წლიდან, 1885 წლის შემოდგომიდან, როცა იგი სემინარიის ეგრეთწოდებულ „ბურსას“ საერთო საცხოვრებელს თავს ანებებს და კერძო ბინაზე გადადის „ახალი მიმართულების უფრო საფუძვლიანად შესათვისებლად“ (სახოკია 1969: 216). აკრძალულ ლიტერატურას, რომელსაც სემინარიაში ვერ შოულობდნენ, ქირით იძლეოდნენ. აქედან ეცნობა თედო სახოკია ალექსანდრე ჯაბადარს და მისი ჯგუფის წევრებს და იღებს ისეთ ლიტერატურას, რომელიც იმ პერიოდში აკრძალული იყო, ასეთად მიიჩნეოდა პისარევის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და სხვათა ნაწერები.

სემინარიის მკაცრი რეჟიმი თანდათან აშორებდა ღმერთს და ღვთისმსახურებას სემინარიის მოწაფეებს, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ არდადეგებზე სოხუმში ჩასული თედო სახოკია, ახალი იდეებით აღფრთოვანებული, სრულიად უმტკივნეულოდ, უყოყმანოდ მამის სამლოცველო ოთახში ხატების ნაცვლად ჩარჩოებში ათავსებს თბილისიდან ჩამოტანილ სოციალისტების სურათებს. „მიკვირს, მამაჩემმა, ამის მნახველმა, თავი როგორ შეიკავა, თავისი გულისწყრომა არ გამოხატა უფრო ენერგიული ჟესტით... ჯვარი აქაურობას! დასძინა, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ამის ჩამდენი იყო მღვდლის შვილი, სემინარიის მოწაფე, მომავალი მღვდელი! გულწრფელად მეგონა, კარგს ვშვრებოდი, ოთახს ვამშვენებდი დიდებულ ადამიანთა სახეებით. შედარებით ადვილად შემრჩა ეს ჩემი პირველი „სოციალისტობა“ (სახოკია 1969: 217).

თედო სახოკიას ეს ავტობიოგრაფიული ჩანაწერები გაკეთებული აქვს 1943 წელს, უკვე ათეიზმის იდეით გაჯერებულ საზოგადოებაში სოციალიზმის ბატონობის პერიოდში. იგი თვითონაც ძალიან ხშირად აღნიშნავს, თუ როგორ ფრთხილობდა, სხვადასხვა ნაწერში „საცენზურო რამე არ იყოს გაპარულიო“ და სწორედ ესაა მისი ერთგვარი „გაორებული ცხოვრებით ცხოვრება“, სემინარიის წლები თედო სახოკიასა და მისი მეგობრების ცხოვრებაში ის პერიოდია, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება საქართველოს რეალური სინამდვილე, ეროვნული ძალების გააქტიურება, რუსული ბიუროკრატიული რეჟიმი და ახალფეხადგმული ეგრეთწოდებული „სოციალისტური“ მიმდინარეობა.

ასე ურთიერთსაპირისპირო პოლუსზე აღმოჩენილი მოწაფეები, ცხადია, ადვილად ვერ გაერკვეოდნენ, თუ რომელი გზა აერჩიათ: ეკლესიაში სიარულს... ეკლესიის ავტორიტეტის ფეხქვეშ გათელვას ლამის ღვთის რწმენის უარყოფამდე მიჰყავდა ისინი, თუმც კი ამავე ეპოქის ღირსეული მოღვაწეები, წმინდა მამები ეპისკოპოსები გრიგოლი (დადიანი) (1824-1907წწ) და გაბრიელი (ქიქოძე), (1825-1896წწ) ხომ მათ გვერდით იყვნენ. მათი ქადაგებები იყო მცდელობა რეალური სინამდვილის ნათლად დანახვისა იმ მიმდევართა გასათვინობიერებლად, გასანათლებლად, რომლებსაც „სოციალისტობა“ და „სოციალისტური“ მიმდინარეობა გონებას უმღვრევდა, სწორი გზით სვლას ურთულებდა. ძნელი წარმოსადგენი არც ისაა, თუ რაოდენ საფრთხეს უქმნიდა ეს „ევროპული ქარიშხალი“ პატარა ერის ზნეობრივ და ეროვნულ ღირსებას და რას უქადდა იგი მათ (სემინარისტების) ცხოვრებას რეალურად.

მიუხედავად ყველაფრისა, თედო სახოკია ქართული ეროვნული იდეის მიმდევრად რჩებოდა. ამის ნათელი გამოვლინებაა ის, რომ სემინარიის წლებშივე თედო დაწაფებულია ქართველ მწერალთა იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ამ პერიოდის ახალგაზრდების ერთგვარი სულიერი გამოღვიძების საწინდარი იყო. ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ და ალექსანდრე ყაზბეგის „მომღვარი“, გაზეთების ფურცლებზე გამომავალი და სხვა სამშობლოს სიყვარულს უღვივებდა იმ პერიოდის ახალგაზრდობას. ეს იყო ერთგვარი თვალის ახელა რუსული ბიუროკრატიული რეჟიმის არსზე და ქართული ეროვნული იდეის დაცვის აუცილებლობის გაცნობიერება.

სემინარიის მოწაფეებისა და მასწავლებლების ამგვარი ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები მტრულად განაწყობდა ამ ორ ძალას. „პროტესტანტი“ მოწაფეების რიგებში თედო სახოკიაც აღმოჩნდა. სემინარიის ადმინისტრაციას არაერთხელ შეუმჩნევია იგი, როგორც სემინარიის რეჟიმისადმი მტრული განწყობილებით გამორჩეული, აგრეთვე, როგორც აკრძალული წიგნების მკითხველი და სხვა მოწაფეებზე „უარყოფითი“ გავლენის მქონე. სემინარიის ადმინისტრაციის ერთგვარ შეღავათს წარმოადგენდა სემინარიიდან ნებაყოფლობითი გასვლა, სინამდვილეში, გარიცხვა. ე. წ. „არასასურველი მოწაფეები“ იძულებული იყვნენ თხოვნა შეეტანათ ადმინისტრაციის წინაშე

სასწავლებლიდან გასვლის შესახებ. ასეთი წესით მოწაფის დათხოვნა ხშირი იყო და მათ რიგებში მოხვდა თედო სახოკიაც.

მეორე კურსის დასრულებამდე, 1886 წლის თებერვალში, თედო სახოკია დაითხოვეს სასწავლებლიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე. სემინარიის ინსპექტორმა თედოს ბინის ჩხრეკისას ლეიბის ქვეშ იპოვა დამალული პეიფერის „კორპორაცია“ და ამაზე აიგო თედოს „არაკეთილ-საიმედოობის“ ბრალდება, მანვე „მირჩია ჩემის ნებით გავსულიყავ სემინარიიდან, ჩათრევას ჩაყოლა ვარჩიე და ჩემის ნებით საუკუნოდ გამოვეთხოვე სემინარიის ამხანაგებსა და ამ სემინარიის კედლებს“ (სახოკია 1969: 218). საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში არის დაცული მასალები თედო სახოკიას სემინარიაში ჩარიცხვის, სწავლის შესახებ, ნიშნების ფურცელი, ნებაყოფლობით გასვლისა და სხვა დოკუმენტი, რომლებიც რეალურ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რაოდენ საშიშროებას წარმოადგენს სემინარიის ადმინისტრაციისათვის თედო სახოკიას დარჩენა სასწავლებელში. საბოლოოდ მის გასვლას ხელს აწერს სემინარიის რექტორი დეკანოზი პაველ ჩუდეცკი: „Воспитанника II кл. оной же семинарии Феодотия Сахокия. По совету семинарского доктора мне небезопасно предолжать свое умственное развитие во вверенной вам духовной о семинарии, почему прошу покорнейше высокопреподобие уволить меня легальным путем, выдавъ необходимое для того свидетельство о моем пребывании семинарии“. როგორც ვხედავთ, პირადი განცხადების საფუძველზე თედო უკვე 21 თებერვალს გარიცხულ იქნა და მას გააქვს საბუთები (სცსსეა. საქმე #942).

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამგვარი ბრალდებით სემინარიიდან ამავე პერიოდში გარიცხულთა შორის იყო მეექვსეკლასელი, შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა თედო უკანასკნელ პერიოდში. თავის მოგონებებში „ჩემი საუკუნის ადამიანები“ თედო სახოკია იგონებს მის შესახებ, რაც შეეხება თედოს კიდევ ერთ მეგობარს, სოსო ლალიაშვილს, მან გარიცხვის შემდეგ არაერთხელ თხოვნით მიმართა სემინარიის რექტორს, დეკანოზ პაველ ჩუდეცკის, რათა დაერთო ნება სწავლის გაგრძელებაზე ან ნებაყოფლობით გასვლის ბარათი მაინც მიეცა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ხანჯლით დაჭრა რექტორი,

რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. იმავე წლის 24 მაისს იოსებ ლაღიაშვილი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

იოსებ ლაღიაშვილის შესახებ ცნობები საზოგადოებისათვის თავის დროზე, თედო სახოკიას წყალობით გახდა ცნობილი. ამავე პერიოდში გარიცხულ იქნა კიდეც 34 მოწაფე. სემინარიის გარიცხულ მოსწავლეთაგან საინტერესოა მეორეკლასელ ხარიტონ კასრადის გარიცხვის მიზეზი: „22 января-въ чтении вредныхъ книгъю 26 въ знакомствувалоъ подозрительного личностю, друга Сахокии 19 февраля почти открытаго невъра и социалиста. Одинъ, изъ державшихъ училъиш классъ въ страхъ“. ე. ი. „მეგობრობა სახოკიასი, თითქმის აშკარა ურწმუნოსი და სოციალისტისა“ (სცსსეა. საქმე #954).

საარქივო მასალების შესწავლით აშკარაა, რაოდენ საშიშად მიიჩნევდა სემინარიის ადმინისტრაცია თედო სახოკიას და რატომ იქნა იგი დროულად „ნებაყოფლობით“ ჩამოშორებული სემინარიიდან.

ამდენად, 1886 წელს თედო სახოკია წყვეტს სწავლას სემინარიაში, ბრუნდება მშობლიურ სახლში სოხუმში და იძულებული ხდება უკვე სხვა მხრივ იზრუნოს სწავლისა და ცხოვრების გაგრძელებაზე.

§4. საუნივერსიტეტო განათლება

სემინარიიდან გარიცხული თედო სახოკია ჩადის სოხუმში. ამ პერიოდის შესახებ თედო სახოკია იგონებს: „მამაჩემი შესრულებული ფაქტის წინაშე დავაყენე და ისიც ძალაუნებურად შეურიგდა თავის მდგომარეობას, ანაფორით შემოსვაზე საბოლოოდ ხელაღებული“ (სახოკია 1969: 218).

სოხუმში ჩასულ თედო სახოკიას უნდა გაეგრძელებინა სწავლა. იმ პერიოდში სოხუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძველი „სოციალისტი“. ასე მოიხსენიებს მას თედო სახოკია თავის „ავტობიოგრაფიაში“, მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე ანთიმოზ ჯუღელი, „ურომლოდ არანაირი საქმე არ კეთდებოდა სოხუმში და რომელიც პატრონსა და ინტელიგენციას მოკლებულ ქართველობას სოხუმისას ნამდვილ პატრონობას უწევდა, მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მისი ნათქვამი მამაჩემისთვის კანონი იყო“. ანთიმოზ ჯუღელის რჩევით გადაწყდა, თედო სასწავლებლად საზღვარგარეთ წასულიყო, ხოლო სპეციალობის არჩევისას

უპირატესობა მინიჭებოდა იმ დროს „ახალი მიმართულების“ მიმდევართა, „მოსოციალისტოთა“ თვალში დიდად მოწონებულ აგრონომიას, საკუთარის ოფლით, ფიზიკური მუშაობით თავის რჩენას, უშუალოდ გლებთან, ამ ყველასგან გაქეცილ, ყველას მიერ აბუჩად აგდებულ არსების გვერდით მოდგომას, მისი შრომის გაზიარებას, მის ნუგეშისცემას“... (სახოკია 1969: 219).

1886 წელს სემინარიიდან დათხოვნილი თედო სახოკია გაზაფხულზე მიემგზავრება შვეიცარიაში, სადაც მას ხვდება ივანე მაჭავარიანი, ცნობილი მწერალი და ფრანგულიდან მთარგმნელი. სწავლის გასაგრძელებლად თედო სახოკიას სჭირდებოდა ფრანგული ენის საფუძვლიანი ცოდნა, ამისათვის კი - მომზადება. ივანე მაჭავარიანის რჩევით, იგი იწყებს მზადებას და უკვე შემოდგომაზე ახარებს საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე.

1886 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში იწყებს სწავლას. თედო სახოკია სწავლის დაწყებისას ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ისმენდა იმ პერიოდის საკმაოდ ცნობილი პროფესორების ლექციებს, მათ შორის გამოყოფს გამოჩენილ ანთროპოლოგსა და ბუნებისმეტყველ კარლ ფოხტს, აღნიშნავს: „მისი სახელი ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას მქონდა გაგებული, მისი ლიტერატურა აკრძალულად ითვლებოდა“ (სახოკია 1969: 219), აგრეთვე გამოჩენილ ქიმიკოს გრებეს და სხვებს.

1887 წლიდან სწავლის პარალელურად, მას მჭიდრო კავშირი აქვს იქ მყოფ ქართველ სტუდენტებთან. ამის დამადასტურებელი საარქივო მასალები დაცულია საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში, კერძოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივში (სცსსეა. საქმე #542).

დიდი მონდომებით დაწყებულ სწავლას ის ვერ აგრძელებს, მისივე ჩანაწერებიდან და დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ სწავლას თავი დაანება იმის გამო, რომ იმავე 1887 წელს თედოს გარდაეცვალა მამა, ტიმოთე სახოკია, რომელიც უზრუნველყოფდა ჟენევაში მის სწავლას. გამოდის, რომ თედომ სრული ერთი წელიც ვერ დაყო ჟენევაში, მაგრამ მისი სწრაფვა განათლების მიღებისა არ განელეზულა, პირიქით, საქართველოში (სოხუმში) ჩამოსული ყოველ ღონეს ხმარობს და ეძებს სახსრებს, რათა ისევ გააგრძელოს დაწყებული სწავლა.

თედო სახოკია ესევ ახერხებს შვეიცარიაში ჩასვლას, მაგრამ აქედან გადადის საფრანგეთში და სწავლას აგრძელებს **სორბონის** (უნივერსიტეტში) საისტორიო

განყოფილებაზე. ის გარემოება, რომ თედომ დაწყებული პროფესია შეცვალა, განპირობებული იყო არა პირადი სურვილით, არამედ იმით, რომ საისტორიო ნაწილზე სწავლა უფასო იყო და არ მოუწევდა თანხის გადახდა. ეს თედოსათვის დიდი შეღავათი იყო, ისიც დიდი მონდომებით იწყებს სწავლას, მაგრამ აქაც, მიუხედავად სწავლის დიდი სურვილისა, ბოლომდე ვერ ასრულებს არათუ სწავლას, ერთ სასწავლო კურსსაც კი.

1889 წელს თედო სახოკია ისევ ბრუნდება საქართველოში. საზღვარგარეთ, ჟენევისა და საფრანგეთში, მის სამწლიან ყოფნას უშედეგოდ არ ჩაუვლია: საკმაოდ კარგად ისწავლა ფრანგული ენა და საქართველოში დაბრუნებული ცდილობს თავისი ცოდნა გამოიყენოს და გააგრძელოს ის საქმე, რომელსაც სამშობლო ქვეყნის ინტერესების დაცვა მოითხოვს.

საქართველოში დაბრუნებულმა თედო სახოკიამ 1889-1900 წლები გაატარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქართლის სოფლებში, დედაქალაქსა და ძირითადად სოხუმში. მთელი ამ წლების განმავლობაში ეწეოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც გულისხმობდა საზოგადოებისა და სამღვდელოების ერთობლივ ბრძოლას რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, რითაც ამავდროულად უპირისპირდებოდა თავადაზნაურობის უმსგავს ქმედებებს. ამხელდა რა რუსი მოხელეების უკანონო საქციელს და მათ პარპაშს, ებრძოდა ცარიზმის უკანონობას და ყოველი ღონით ხელს უშლიდა ამ პოლიტიკის უარყოფით გამოვლინებებს. თავად თედო სახოკია იხსენებს, რომ სათავეში ედგა სოხუმში „ქართული პარტიის“ სახელით ცნობილი ჯგუფის საქმიანობას: „ეს წლები ჩემს სიცოცხლეში ითვლება იმ ხანად, როცა მართლაც, რომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად, თავი სრულებით არ მეზოგებოდა და მთელი ახალგაზრდული აღფრთოვანებით და თავდავიწყებით ვებრძოდი რუსეთის იმპერიალიზმის მიერ ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ხალხის გარუსების პოლიტიკის გატარების საქმეს“ (სახოკია 1969: 223).

ხელისუფლების საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებისათვის თედო სახოკია იღვენება. იგი იძულებულია დროებით გაეცალოს საქართველოს, ამით აიცილოს დაპატიმრება ან გადასახლება.

საქართველოდან წასვლის შემდეგ თედო აგრძელებს სწავლას, რისთვისაც მას სჭირდება მატერიალური უზრუნველყოფა. ამისათვის აგრძელებს თანამშრომლობას გაზეთ „ცნობის ფურცელსა“ და ჟურნალ „მომბის“ რედაქციებთან, საიდანაც ყოველთვიურად გაუგზავნიდნენ სამ-სამ თუმანს, თავად კი ჰპირდებოდა საგაზეთო კორესპონდენციების გამოგზავნას, თანამშრომლობას ჟურნალ-გაზეთებთან. საქართველოში დაწყებული ეს საქმიანობა თედოს უნდა გაგრძელებინა საფრანგეთში.

თედო სახოკიას სწავლაში ფინანსურ დახმარებას ჰპირდება (თვეში 20 თუმანს) საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. წერილი, რომელშიც აღნიშნულია თანხის გადახდაზე, 1899 წლის 16 დეკემბრით თარიღდება: „- ოღონდ ოცმა მანეთმა მოუტანოს სარგებლობა და როგორ დავიშურებ, იანვრიდან, სადაც დამინიშნავს, იქ გავუგზავნი ხოლმე“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #11284).

1900 წლის შემოდგომაზე თედო სახოკია პარიზის ანთროპოლოგიურ საზოგადოებასთან არსებულ ცნობილ ანთროპოლოგ ბროკას მიერ დაარსებულ ანთროპოლოგიურ უმაღლეს სკოლაში აგრძელებს სწავლას. ამავე პერიოდში ისმენს დარგის ცნობილი მეცნიერების: შარლ ლეტურნოს, ანდრე ლეფევრის, ლ. მანუვრიეს, ლაბორდის და სხვების ლექციებს. „ჩემის ცხოვრების უტკბესი დრო იყო ის ოთხი წელიწადი“, ეს იყო დრო, როდესაც დარვინიზმი იყო მოდებული მთელ ქვეყნიერებას. დარვინიზმი ჭეშმარიტებად იყო აღიარებული მატერიალისტური იდეის მიმდევრების მიერ, „ღმერთს-მოკლებულ“ საზოგადოებას მეტი რაღა უნდა, მით უმეტეს, თედო სახოკიას უშუალო შესწავლის საგანს წარმოადგენდა ანთროპოლოგია და ეთნოგრაფია. რა თქმა უნდა, მკვლევარი გვერდს ვერ აუვლიდა ათეისტურ შეხედულებებს და თედოც თავისთავად ჩაეფლო ამგვარ შეხედულებათა მორევში, რომელშიც იმ პერიოდის საზოგადოება აღმოჩნდა ჩათრეული. ამ შეხედულებამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ძალიან გაამძაფრა მეცნიერთა და ზოგადად, საზოგადოების ინტერესი ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მიმართ.

თედო სახოკიას ეთნოგრაფიაში უკვე ჰქონდა შექმნილი გარკვეული ნაშრომები და ამდენად, გასაგებია მისი ინტერესი ამ დარგის საფუძველნი შესწავლის მიმართ. თედო მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო

სხდომასა და ექსპედიციაში. 1902 წელს იგი აირჩიეს რეიმსის (საფრანგეთი) აკადემიის წევრ-კორესპოდენტად.

თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობაზე ცალკე ვისაუბრებთ, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ 1903 წლის 16 აპრილს პარიზის ანთროპოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების სხდომაზე ის თავისი პირველი მოხსენებით წარსდგა. წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ყვავილ - ბატონები საქართველოში, ერთი ფურცელი ხალხური მედიცინიდან“. მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს მეცნიერებმა. საზოგადოებამ 1904 წლის ერთ-ერთ სხდომაზე თედო სახოკია პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრ-კორესპოდენტად აირჩია, ეს მოხსენება კი ცალკე გამოსცა.

პარიზში თედო სახოკია სწავლასთან ერთად ჩართული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ამავე წლებში ის პატიოსნად ასრულებდა დაპირებულ დავალებას, საქართველოს გაზეთებთან თანამშრომლობდა, ამავე პერიოდში მოიარა ევროპის ქვეყნები, იყო იტალიაში.

აღსანიშნავია, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო პარიზში ქართული გაზეთის გამოცემასა და საქართველოში მის არალეგალურად შემოტანაში. უმთავრესი კი ამავე პერიოდის ისტორიაში იყო 1905 წელს საქართველოში იარაღის შემოტანა.

თედო სახოკია ხელმძღვანელობდა საქართველოში, კერძოდ, შავიზღვისპირა ზოლში, შემოტანილი იარაღის მიღება - განაწილების ოპერაციას. ამდენად, ამ პერიოდიდან (მე-20 საუკუნის დამდეგიდან) ის საქართველოში აგრძელებს საქმიანობას და არ ბრუნდება საფრანგეთში.

1909 წელს თედო ისევ იძულებულია, საქართველოდან გადაიხვეწოს, ემიგრაციაში წავიდეს ვიდრე 1916 წლამდე. ემიგრაციაში ყოფნისას თედო სახოკია ემიგრანტის სტატუსით ფეხის მოკიდებისა და ცხოვრების ნორმალურ პირობებში გატარების მიზნით, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისევ იწყებს სწავლას, ამჯერად - ელექტროტექნიკურ სასწავლებელში.

ავტობიოგრაფიულ მოგონებაში ამის შესახებ არაფერია აღნიშნული. ეს ირკვევა მხოლოდ მისი პირადი წერილებიდან.

1909 წლის 18 ოქტომბერს (2 ნოემბერს) ბრიუსელიდან გამოგზავნილ წერილში ის მეუღლეს, ნადე სახოკიას, წერს: „დღეს ორი კვირაა სასწავლებელში დავდივარ, ძალიან კარგი სასწავლებელია, სწავლა არ მიჭირს, ეს არის, მთელი დღე მოცლა არა მაქვს, თუ ღმერთი შემეწია და ამ სამი წლის საგზალი ვიშოვნე, საქმეს ვისწავლი“. იმავე წლის დეკემბერში გამოგზავნილ წერილში თედო აღნიშნავს: „სწორედ რომ უსახსრობა საქმეს აჭირებს, სასწავლებელს დიდი შრომა და დრო სჭირდება. მარტო თეორიული და პრაქტიკული მუშაობა დღეში 8 საათზე მეტია, სასწავლებელში გული არ ამიყრია, მაგრამ სამი წლის განმავლობაში ასეთ ცხოვრებას გავუძლებ - მეთქი, რა გითხრა“? (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #778).

1910 წლის იანვარის წერილში კი აცნობებს შემდეგს: „სწავლა დაგვეწყო, მხნედ შევუდექი მეცადინეობას, მაგრამ სამის წლის განმავლობაში ამნაირ შრომას ჩემი ჯანი ვერ აიტანს“. 1910 წლის 28//15//იანვარს ბრიუსელიდან ბანძაში იტყობინება, რომ, იძულებულია სწავლას თავი დაანებოს, ვინაიდან 15 მანეთით „ყოვლად შეუძლებელია ცხოვრებაც და მეცადინეობაც“. აპირებს ბუღალტერია ისწავლოს და რაიმე ხელობას მიჰყოს ხელი (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #791). ემიგრაციის წლებზე ცალკე ვისაუბრებთ, ამჯერად კი მინდა აღვნიშნო, რომ თედო სახოკია იძულებულია სწავლას თავი დაანებოს და რაიმე სახსარი გამონახოს ცხოვრების გასაგრძელებლად.

თავი II. თედო სახოკია 1890 – 1900 წლებში

§1. თედო სახოკია 1890 -1894 წლებში

თედო სახოკია 1890-1894 წლების შესახებ თავად აღნიშნავს: „ვმსახურობდი საარსებო პურის მოსაპოვებლად: ბორჯომში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში მეტყევის თანაშემწის თანამდებობაზე. „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში“. ზესტაფონში ცნობილი შავი ქვის მრეწველ ნიკოლოზ ლოღობერიძის მრეწველობაში, უცხოეთთან კორესპოდენტად. ბოლოს, 1894 წელს ეგრეთწოდებულ „ფილოქსერის პარტიაში“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იკვლევდა ვენახებს და, როცა სადმე ვაზებზე საშინელ მავნებელ მწერს - ფილოქსერას აღმოაჩენდა, ასეთს ვენახებს ცეცხლის საშუალებით ძირიან ფესვიანად სპობდა“ (სახოკია 1969: 220).

ეს ის მოკლე ჩანაწერია, რომელსაც მთელი ამ ოთხი წლის შესახებ ვხვდებით თედო სახოკიას „ავტობიოგრაფიულ“ ჩანაწერებში. ამ პერიოდის შესწავლა, საარქივო მასალებისა და საგაზეთო კორესპოდენციებითაა შესაძლებელი.

1890 წელს მუშაობდა ბორჯომში მეტყევის თანაშემწედ, ზესტაფონში - უცხოური პრესის კორესპონდენტად. ამ პერიოდის მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად მოგვყავს საგაზეთო კორესპოდენციები.

ფილოქსერა პირველად საფრანგეთში შეამჩნიეს - ნაცარი, რომელიც მოკლე ხანში მთელს ვენახებს მოედო და ანადგურებდა ყურძნის მოსავალს, არ გასულა 5 წელიწადი, რომ ამ სენმა ჩვენშიც ამოჰყო თავი და მოედო ჩვენს ვენახებს ფიქრობენ, რომ ნაცარი შემოჰყვა პირველად „იზაბელასაო“, რომელიც სამეგრელოში სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა შემოიტანაო („ივერია“ 1890: #229) ამის შემდგომ სცადეს დაბლარის გაშენება მაგრამ უშედეგოდ, მიზეზი ამისა ვერავინ უწამლა საფრანგეთში მოისპო. სამეგრელოსა და გურიაში კი, პირიქით, ხელი შეუწყო აქაურმა - სითბოსთან ერთად შეერთებულმა სინესტემ შეუწყო ხელი სენსა და სულ მოკლე ხანში სამეგრელოში ღვინის წარმოებამ 2/3 იკლო.

საგაზეთო კორესპონდენციებით შესაძლებელი ხდება წარმოდგენა შევიქმნათ იმ საქმიანობაზე, რასაც თედო სახოკია ეწეოდა „საფილოქსერო“ დასში

გაწევრიანების შემდგომ. ის ძირითადად დასავლეთ საქართველოს სოფლებში არსებული მდგომარეობის შემოწმებითა და შესწავლით იყო დაკავებული. („ივერია“ 1892: #132) წერილებში, რომლებიც „საფილოქსერო“ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, თედო მკაცრად აკრიტიკებს იმ მდგომარეობას, რაც სოფლებში წარმოშობილა, მოსახლეობას ატყუებდნენ, ვითომდა აგრონომების სტატუსით საფილოქსერო დასში გაერთიანებული გლეხები და აგრონომები ვართ, ვაზის წამლობა ვიცით და ვაზს მოვირჩინთო. თურმე სითხე, რომელსაც გლეხებს ურიგებენ, არის „ლილა წყალში გაქნილი, ცოტა შაბიამან-შერეული, ისეთ ლურჯ წინწკლებს იკეთებს ფოთოლზე, რომ გლეხი აღტაცებაში მოდის: „ჰო, შენი ჭირიმე, გაგვაკეთე, ეს არისო!“ არადა, საკმაოა ოდნავ წამოწვიმოს, რომ „წამლის“ კვალიც კი არ აჩნდეს ვაზს. დასის მუშაობის შედეგი ის იყო, რომ მოსახლეობაში გაიზარდა ცნობიერების დონე. საერთო შეკრებებზე მათ ასწავლიდნენ, უხსნიდნენ. ამან შედეგი გამოიღო, თედო სახოკია აღნიშნავს ერთ წერილში: „უმეტეს ნაწილად გლეხები თვითონ სწამლობენ და სასურველი ნაყოფი მოაქვს მათს შრომას, შარშანდელმა მაგალითმა ყველა დაარწმუნა, რომ წამლობა აუცილებელია, რომ ამისთანა („ნაწამლარი“) ყურძნისაგან უკეთესი ღვინო დგებაო“ („ივერია“ 1892: #135). „გლეხებმა, მაღლობა ღმერთს, გამოახილეს თვალი, ყველამ შეიგნო, რომ ვაზსაც აქვს სენი და რომ მასთან საბრძოლველად სახსარი მოუგონა მეცნიერებს. აქ, ზესტაფონში, დღე ყოველ იმასა ვხედავთ, რომ სოფელს წამოუკიდია ვერმორელის საკურებელი მანქანა და იმედით სავსე თვალით შინისკენ მიეშურება, რა არის, ვენახებს ჩქარა „ვუწამლოთო“ და უღვინოდ არ დავრჩეო.

რაც შეეხება ე. წ. 1894 წლის „ფილოქსერის პარტიას“, მის შესახებ ცნობებს შეიძლება დაუმატოთ ის, რომ „ამ სოკოვან დაავადების გაჩენამდე (ე. ი. ფილოქსერის გაჩენამდე-ლ. ბ.) სამეგრელოში „ფშაური“, „ჩეჭიფეში“ ფართოდ ყოფილა გავრცელებული მაღლარის სახით, რომლისაგან მზადდებოდა საკმაოდ ალკოჰოლიანი ღვინო, რომელსაც ხმარობდნენ მაჭრობის დროს და სწორედ დაავადების გამოვლენის შემდეგ (სოკოვანი დაავადება, ნაცარი, ოზი - ლ. ბ.) ეს ჯიშები საერთოდ გაქრა, მოისპო, ამის შემდეგ აქ მოსახლეობამ ადგილობრივი ჯიშების ნაცვლად დაიწყო ე. წ. „იზაბელას“ (ადესის), ჯიშის გაშენება. ამასაც მალე გამოუჩნდა საშინელი მტერი - ფილოქსერა, რომელიც ამერიკიდან ევროპაში

გავრცელდა. ფილოქსერის გაჩენის შემდეგ ადგილობრივი ვაზის საუკეთესო ჯიშები სავსებით გაქრა.

§ 2. თედო სახოკია 1895-1900 წლებში

1895-1897 წლებში თედო სახოკია საცხოვრებლად გადადის თბილისში. აქ იგი ებმება საგამომცემლო საქმიანობაში, „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში“. გამოცემული წიგნების რეალიზაციის არეალი მოიცავს საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქს.

ამ პერიოდში თედო სახოკიას გამოუცია წიგნები: 1. აკაკის ნაკვესები (1895წ) 2. ჰანს ქრისტიან ანდერსენის „გედები“ (1897წ) 3. რუსულ-ქართული ლექსიკონი (1897წ).

„ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის“ წევრები თედო სახოკიას მიერ გამოცემულ წიგნებს ავრცელებენ, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში. წიგნის გამავრცელებელთა შორის მოხსენიებულნი არიან იმ პერიოდის ცნობილი პიროვნებები, რომელთაც თედო სახოკია იცნობდა და მჭიდრო კავშირიც ჰქონდა მათთან.

სარეალიზაციოდ გამზადებული წიგნები ეგზავნებოდა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წევრებს: ივანე ზედგინიძეს, ანტონ ოცხელს ყუბანში, ანდრია შაფიაშვილს ბაქოში, ირაკლი ზაქარიაძეს ყარსში, ილია ალხაზიშვილს ახალქალაქში, სოლომონ დოლიძეს განჯაში, გიორგი ბურჭულაძეს ახალქალაქში და ა. შ.

თედო სახოკიას სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის გარდა, მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, თედო სახოკია სწავლას აგრძელებს საზღვარგარეთ, შვეიცარიის დედაქალაქ ჟენევაში. ოჯახური პირობების, კერძოდ, მამის გარდაცვალების გამო 1887 წელს ბრუნდება საქართველოში, მაგრამ მისი სურვილი სწავლის მიღებისა არ განულებულა, პირიქით, საქართველოში, ქალაქ სოხუმში, ჩამოსული ყოველ ღონეს ხმარობს და ეძებს სახსრებს, რათა სწავლა გააგრძელოს.

ამ მიზნით თედო სახოკია ისევ ბრუნდება შვეიცარიაში. აქედან გადადის საფრანგეთში და სწავლას აგრძელებს სორბონის უნივერსიტეტში საისტორიო

ნაწილზე, მაგრამ სასწავლო კურსს ვერ ამთავრებს და 1889 წელს ბრუნდება საქართველოში. ამის შესახებ ის წერს: „სამწუხაროდ და სავალალოდ ჩემდა, ვეღარც პარიზს შევრჩი დიდხანს“ (სახოკია 1969: 220).

მაშასადამე, თედო სახოკიას პირველი ორო გამგზავრება საზღვარგარეთ, ჟენევისა და საფრანგეთში, უშედეგო აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, სამი წლის განმავლობაში უცხოეთში მის ყოფნას ამაოდ არ ჩაუვლია, მან საკმაოდ კარგად ისწავლა ფრანგული ენა და საქართველოში დაბრუნებული შეეცადა თავისი ცოდნა გამოეყენებინა იმ საქმეში, რომელსაც სამშობლოს ინტერესების დაცვა მოითხოვდა.

1889-დან 1900 წლამდე, სანამ თედო სახოკიას სამშობლოში ყოფნას საფრთხე არ შეუქმნია მთავრობისათვის, ის რჩება საქართველოში და საქმიანობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, ქართლის სოფლებში, დედაქალაქში, განსაკუთრებით კი - სოხუმში. მნიშვნელოვანია ამ პერიოდის მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა, რუსი მოხელეების უკანონო ქმედებების მხილება და ცარიზმის რუსიფიკატორული და კოლონიზატორული პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობა.

თავი III. პედაგოგიური მოღვაწეობა

საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ თედო სახოკია იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას, მასწავლებლად გადადის გორის მაზრაში, სოფელ ტირძნისში, იქაურ სოფლის სამრევლო სკოლაში, ასწავლის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის შვილების გორში. ამ პერიოდს თედო ასე იგონებს: „ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოვეყვი ქართლის სოფელში. თუმცა ქართულს ენას ძალიან ვეტანებოდი, მეგონა სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა, ასე თუ ისე, ვიცი-მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართლებების ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ დიდი და დიდი მუშაობა მჭირდებოდა ამ ენის შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა. პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვიერებამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ... აქვე ჩაეყარა საძირკველი, ჩემს მიერ ქართულ ხატოვან თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზათა შეკრების საქმეს. ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავმოყრის ზრუნვა გადამეცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად (სახოკია 1969: 220).

ერთწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა და აღმზრდელობითი საქმიანობა ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მომავალი სამსახურისათვის. ამავე პერიოდში დაიწყო თედო სახოკიამ თავისი საგაზეთო პუბლიცისტური წერილებისა თუ საეთნოგრაფიო, საისტორიო მასალების კვლევა, ხალხური წეს-ჩვეულებების ჩაწერა, შეგროვება და გამოქვეყნება.

თედო სახოკიას ნაწერების ბიბლიოგრაფია გაზეთ „ივერიაში“ ტირძნისიდან გამოგზავნილი კორესპონდენციით იწყება. წერილი ეხება მოსახლეობის ჩივილს იმ წლებანდელი მოუსავლიანობის გამო, რაც გადასახადების გადაუხდელობის მთავარი მიზეზი გამხდარა. ამასთანავე, ავტორი საუბრობს ახლად გახსნილ სკოლაზე, მის მნიშვნელობაზე. წერილში ვკითხულობთ: „ეს მესამე წელია, რაც სკოლა არსებობს, ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე სულხანიშვილს, რომელმაც სოფელს უსასყიდლოდ დაუთმო სასკოლო ადგილი და სკოლის მასალის უმეტესი ნაწილი.... დღეს უკვე 40-მდე შეგირდი დადის ამ სასწავლებელში და მათ შორის 5 ქალი. იმათ მალხაზსა და ცქრიალა პირისახეს რომ უყურებს კაცი, გული უმხიარულდება“ („ივერია“ 1889: #267).

ამავე პერიოდში შეგროვებული ხალხური ზეპირსიტყვიერების, ზღაპრებისა თუ სხვა მასალებიდან აღსანიშნავია „ტარიელის ზღაპარი“ ანუ ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თედოს ასევე ტირმნისში აქვს ჩაწერილი („ივერია“ 1890: #7-8).

სოფელში პედაგოგიური მოღვაწეობა თედო სახოკიას საშუალებას აძლევდა დაახლოებოდა ხალხს, გასცნობოდა იმ ადამიანებს, რომლებმაც ქართველი ერის, ქართული სულის გადარჩენა შეძლეს გარუსება-გადაგვარებისაგან. მათთან ურთიერთობამ ხელი შეუწყო მისი შემოქმედების გამრავალფეროვნებას, გამდიდრებას.

ასეთ ადამიანთა შორის უნდა დავასახელოთ ნიკო ლომოური, ცნობილი ხალხოსანი მწერალი. თედოს დიდად ეამაყებოდა ამგვარი ადამიანის გვერდით ყოფნა და საგანგებოდაც აქვს აღნიშნული თავის მოგონებებში „ჩემი საუკუნის ადამიანები“: „გაცნობისას მომხიბლა ნიკო ლომოურმა, რომელიც ესოდენ გამოირჩეოდა მის გარშემო მყოფ ადამიანთაგან. სიტყვა „მომხიბლა“ დიახაც, მეცოტავება იმ გრძნობასთან, რაც მე განმაცდევინა მისმა პირველმა გაცნობამ. ტყვედ-მქმნა მისმა ფაქიზმა გარეგნობამ, მისმა ალერსიანმა, მისმა ტკბილმა, მუსიკალურმა ქართულმა ლაპარაკმა. ჩემს სიცოცხლეში, რაც მე ხალხი მინახავს, როგორც ჩვენში ისე უცხოეთის ქვეყნებში, ვერავინ დამეძარებინა ნიკო ლომოურისათვის. ის რომ გელაპარაკებოდათ, იტყოდით - ტკბილ რამე მუსიკას ისმენო. წარმოგიდგენიათ, რარიგ მენატრებოდა ამ ადამიანის ნახვა და მასთან ლაპარაკი! მეც, როგორც მოვიხელთებდი დროს, სოფლიდან გორში ჩამოვდიოდი მის სანახავად და მასთან საბაასოდ“ (სახოკია 1984: 70).

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება თედო სახოკიას პირადი ფონდი, ნაწილი - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, სადაც დაცულია თედო სახოკიასა და ნიკო ლომოურს შორის მიმოწერა. მისი მეშვეობით შეიძლება იმის თქმაც, თუ როგორი კეთილმეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაა ამ ორ ადამიანს შორის. ამონარიდი წერილიდან: „თედო! გუშინ მივიღე შენი წერილი, ვასრულე შენს თხოვნას! მანდეთ მომავალი მგზავრი შემხვდა და ამას ვატან 7 ნოემბრის რუსულ გაზეთს. რაც შეეხება „ნედელიას“, მისი არც ერთი ნომერი ჯერ აქამომდე არ მოსულა.

მართლაც მეტად საინტერესო იქნება მაგ მხარის მცხოვრებთა გაცნობა, მათი აწმყოსა და წარსულის შესწავლა.... იმედია, შენს წერილებს მაგ მხრის შესახებ დაბეჭდილს წავიკითხავ. თქვენი ძმა ნ. ლომოური (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #11166).

გორში ნიკო ლომოურის სკოლის რიგებში იყვნენ: - ძმები **რაზიკაშვილები**, აგრეთვე საქალბო პროგიმნაზიიდან **ანასტასია ერისთავ-ხომტარიასი**, ამ სკოლის წარმომადგენელთა შორისა ეთნოგრაფი, **ნიკო ჯანაშია**, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ეთნოგრაფმა. თედო სახოკია მას სოხუმიდან იცნობდა და დიდად გაიხარა კიდევ, რაკი იგი გორის საოსტატო სასწავლებელში აღმოჩნდა, ვინაიდან ის იყო კიდევ ერთი ქართველი, რომელიც ქართველთა წრეში მოხვედრით გადაურჩა გარუსებას.

თედო სახოკია მხოლოდ ერთი წელი დარჩა ქართლში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისთვის ამ ერთწლიან პერიოდს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ეს ერთი წელი გახდა საწყისი მისი შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობისა. 1890 წლის დეკემბრისათვის მან უკვე თავი დაანება ტირძნისს, მისი პედაგოგიური საქმიანობაც ძალიან დიდი ხნით გადაიდო.

„თედო სახოკია თავისი ცხოვრების ამ ერთ მონაკვეთს დიდად აფასებდა, ხუმრობით არაერთგზის უთქვამს, - იგონებს მისი შვილიშვილი შუქია აფრიდონიძე, - „ქართლში უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე ვასწავლეო“. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმებისა და ანდაზების შეგროვებას. ასე რომ, სამეგრელოში დაბადებულ-გაზრდილის წიგნით ნასწავლმა ქართულმა თანდათან ქართლური მეტყველების ელფერი შეიძინა და ჭაბუკობიდან მოკიდებული სალიტერატურო ქართულის ეს საყრდენი კილო მუდამ ბურჯად ეყენა მის მართლაც მდიდარსა და მარღვიან ენას, რეზო ინანიშვილი „შამპანურივით შუშუნას“, რომ უწოდებდა. ქართლურივე ქართულით დაზარდა პაპამ ძიძა-გადიებისაგან მოზრუნებული და მეგრულად ამეტყველებული ადრე დაობლებული შვილები (ე. ი. დედაჩემი და ბიძაჩემი) შემდგომ კი - მეც“ („მწიგნობარი“, 1988: #98; „განათლება“ 1998: #11).

ქართლში თედო სახოკიას მოღვაწეობაზე 1968 წელს საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული ლეონარდ ჯულაბაშვილს გორის გაზეთ „გამარჯვებაში“. წერილის ავტორი თედო სახოკიას ქართლში ყოფნის პერიოდს ასე ეხმიანება: „თედო

სახოკიას სამწერლო და საზოგადოებრივ საწყისებზე დავაჟკაცება და მომწიფებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქართლმა და ქალაქმა გორმა.... გორში ფეხადგმული ახალგაზრდა მწერალი დაუახლოვდა ნიჭიერ მკვიდრს, შემდგომში ღვაწლმოსილ აღმზრდელს - გრიგოლ გლურჯიძეს და მას სულიერად დაუკავშირდა. ნიკოლოზურის წახალისებით დაამყარა, გააბა კავშირი, ტირძნისის, ძვერის, ბერშუეთის და სხვ. გლეხებთან.... გონიერი სოფლელებისგან გადმოაქვს ზეპირსიტყვიერების მარგალიტები: ანდაზები, იგავები, გამოცანები, ხატოვანი თქმები და სხვ.“

წერილის ავტორს იმოწმებს თედო სახოკიას სიტყვებს: „ქართლის იერმა დამკრა და ჩემი ქვეყნის ამ ბრძენმა მხარემ შემეყვანა სიტყვიერების წიაღში“. დიმიტრი ტატიშვილი, რაჟდენ მაისურაძე, სიმონ გოგლიჩიძე, სერგო კარიჭაშვილი, სახეები, რომელთანაც ერთად, ეცნობოდა ქართლის ამ შუაგულ მხარეს,...ბალვენახებში ჩაფლული სოფლის მშვენიებით მოხიბლული ხშირად სწვევია ხელთუბნელებს და სულიერი სიმშვიდე უგრძენია, შეუსვამს ხელთუბნის საამო ანკარა წყალი, ზაფხულის სიცხისაგან გახურებული შუბლი გაუგრილებია. ხელთუბნელების წეს-ადათებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ კვირა დღეებში და საეკლესიო დღესასწაულებზე მოუსმენია შაირები, სამეტყველო „ჯირითები“ და ა. შ. ასეთი რწმენისა იყო ჩვენს მხარეზე და ქალაქ გორზე ქართლის მოსიყვარულე თედო სახოკია („გამარჯვება“ 1968: 04,16).

პედაგოგიური საქმიანობა და მასზე ზრუნვა თედო სახოკიას არც შემდეგ შეუწყვეტია, ყველანაირად ეხმარებოდა, ეხმიანებოდა სასკოლო პრობლემებს, განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც თვითონ ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი. ის გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს. ერთ-ერთი ასეთი წერილი ეხება სამრევლო სკოლების ზედამხედველის ჩამოსვლას სოხუმში. 1898 წელს პეტერბურგიდან შემიაკინის მიერ სამასწავლებლო რჩევის საგანგებო სხდომის „სამრევლო საეკლესიო სკოლებში სწავლა, სამშობლო ენის დაუხმარებლად სწარმოებს, ის აზრი, რომ უცხო ტომთა შვილების სწავლების დროს მათი სამშობლო ენის უყურადღებოდ დატოვება ნიშნავს პედაგოგის ელემენტარულ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ მოქმედებასო. საეკლესიო გალობის მტკიცე ნიადაგზე დაყენება და სოფლებში, სასკოლო მრჩევლის

საბჭოს დაარსებაზე, რომელიც უნდა შედგებოდეს მღვდლისა, მასწავლებლისა, მამასახლისისა და ორი საპატიო მოქალაქისაგანო“ („ცნობის ფურცელი“, 1898: #5452).

ემიგრაციაში ყოფნის (1909-1916წწ.) პერიოდში საინტერესო წერილებს ვხვდებით საგაზეთო კორესპონდენციების სახით. ერთ-ერთი ასეთი სამეცნიერო წერილი არის გამოგზავნილი პარიზიდან, რომელშიც საუბარია პედაგოგიკაში სასწავლო პროცესების როლზე, იმაზე, თუ არასწორი სასწავლო პროცესი როგორ უარყოფით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. წერილში ასახულია საფრანგეთის, გერმანიისა და იაპონიის სკოლების მონაცემები. მასში ვკითხულობთ: „თანამედროვე სკოლა, როგორც მიზეზი სიბეცისა, კუზიანობისა და მავნებლობა ირიბად წერისა, ქართულ (პირდაპირ) წერის უპირატესობაზე - განათლებულ ქვეყნებში, კონკრეტულად, იაპონიაში, ყოველ ასი ბავშვიდან 14 წლის ვაჟებში 32-ი ბეცია, ქალებში კი 37. სიბეცესთან ერთად, საფრანგეთში ას მოსწავლეში 60 კუზიანია! გერმანიაში ასიდან ხერხემალი გამრუდებული აქვს 68-ს. „სიბეცე და სკოლიოზი თანამედროვე სკოლის ღვიძლი შვილია“ („ცნობის ფურცელი“, 1905: #2740).

ქართულად წერის სპეციფიურ თავისებურებაზე საუბრისას თედო სახოკია აღნიშნავს: „თუ გინდათ ქართული წერის დროს ნამდვილი ქართული ხასიათი დაიცვათ, იძულებული იქმნებით, რვეული თუ ქაღალდი პირდაპირ დასდოთ, ნაწერს თვალი პირდაპირ მიაშტეროთ, კისერი და თავი სწორად გეჭიროთ, სრულებით თავისუფლად იგრძნოთ თავი და არ განიცადოთ ის ტანჯვა, რომელსაც ირიბად წერის დროს განიცდით ხოლმე“ („ცნობის ფურცელი“, 1905: #2740). აქ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს ქართულად წერისას რუსული წერისთვის დამახასიათებელი ჩვევების ბრმად გადმოღება. ის აღნიშნავს, რომ სკოლებში ქართულად წერას ძველებურის (სწორე) წერით ასწავლიდნენ და ნაწერი ბეჭდურისაგან თითქმის არ განირჩეოდა, მაგრამ რაკი რუსულ წერას უფრო მეტ დროს ანდომებდნენ, რუსულის გავლენას დაემორჩილა.

ერთ-ერთ წერილში ის საუბრობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის „ქართულ წერის დედანი“. წერილში ვკითხულობთ: „ეს ძველებური ხასიათი ქართულის წერას სრულებით დაეკარგებოდა, რომ ამ საქმეს არ

მიშველებოდა ჩვენი სახელოვანი პედაგოგი და მამულიშვილი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი. ის სამსახური, რა სამსახურსაც ბ-ნი გოგებაშვილი ჩვენს მოზარდ თაობას უწევს. მოსწავლეს არა მარტო სწორ გზას ასწავლიდა, სწორედ აჭერინებდა სხეულს წერის დროს“ („ცნობის ფურცელი“, 1905: #2740).

პედაგოგიურ მოღვაწეობაზე საუბრისას აღსანიშნავია თედო სახოკიას წვლილი ქართული ენის სიწმინდის დაცვაში. ამ მხრივ საყურადღებოა 1911 წელს „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი ფელეტონების სერია, ქართული ენა (თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა). მთელ რიგ შემთხვევაში დღესაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული. მასში წამოჭრილია ბევრი საგულისხმო საკითხი და ჯეროვანი ღონისძიებაც არის დასახული ბარბარიზმებისა თუ სხვადასხვა საფრთხისაგან ქართული ენის დასაცავად. ეს ის პერიოდი იყო, როცა ცარიზმი წაშლას უქადდა ადგილობრივ ენასა და ნაციონალურ ერთეულებს.

რეაქციის მძვინვარების პირობებში ქართული ენის შევიწროებას, მის დაცემასა და შერყვნას გულისტკივილით აღნიშნავს თედო სახოკია დასახელებულ ნაშრომში: „დევნილია ქართული ენა სკოლიდან, დევნილია საზოგადო დაწესებულებებიდან ... მწერლობა და თეატრილა შეგვრჩა.... ენა გასაჭირშია, რაკი ენა მახინჯდება, რაკი ჩვენი აზრის გამოსახატი იარაღი დაჩლუნგდება, გაჰქრება თვით აზროვნებაც, გაჰქრება თვით ამ ენაზე მოლაპარაკე ქართველობაც: პირველი რომ მოისპობა, მეორესაც ბოლო მოედება. ერი უენოდ და ენა უეროდ არ გაგონილა“... თედო საყვედურობდა იმ პერიოდის, ე. ი. 1911 წლის, გაზეთებსა და მათს რედაქტორებს, რომ ისინი მარტო ერთი მიმართულებით (ენის სკოლებიდან და დაწესებულებებიდან განდევნის მიმართულებით) ამახვილებდნენ ყურადღებას და ენის სიწმინდის დაცვის სადარაჯოზე არ იდგნენ, ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხისათვის ნაკლებს ზრუნავდნენ: „სანამ გაზეთი „ივერია“ გვქონდა - წერდა იგი, - ჩვენი ენა ასეთ საფრთხეში არა ყოფილა. ილია ჭავჭავაძის ორგანო ჩვენში. სხვათა შორის, ქართული ენის სკოლაც იყო... ახლა უმეტესი ნაწილი კალმოსანთა ისე წერს, როგორც მოეგუნებება .. თავს არავინ იცხელებს, თავისი ნათქვამი თუ ნაწერი კანონს რასმე დაუმორჩილოს... ისე გავკადნიერდით, რომ უკანონობას კანონიერებად ვასაღებთ, ვითომ საკუთარ კანონს ვქმნით. ეგრეთ ხელს ვუწყობთ სრული ანარქია დავამყაროთ ქართულს ლაპარაკსა და წერაში“ („სახალხო გაზეთი“, 1911: #339-348).

თედო სახოკია, როგორც პედაგოგი, ქართული პედაგოგიკის მამამთავრის - იაკობ გოგებაშვილის, კვალზე იყო შემდგარი. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ცნობილი დებულება - დედაენაზე სწავლის დაწყება - მისთვის შეუცვლელი კანონი იყო. თედო სახოკიას შვილიშვილი თავის ზემოაღწერილ მოგონებაში იხსენებს, რომ სკოლის ასაკამდე არათუ რომელიმე უცხო ენა დაუწყებინებიათ მისთვის, არამედ არაქართველი მეზობლებისთვისაც კი უთხოვნია ბატონ თედოს, რომ მხოლოდ ქართულად ელაპარაკათ მასთან, მაგრამ სკოლაში რომ შევიდა და ქართულ წერა-კითხვაში უკვე კარგად იყო გავარჯიშებული, შემდეგ სთხოვა მათ, რუსულში გაეტეხინებინათ ენა.

თედო სახოკია ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა 1916 წელს. 1916 წლიდან 1924 წლამდე პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში ფრანგული ენის მასწავლებლად. ეს პერიოდი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საწყისი ეტაპი. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სხვადასხვა საკითხთა შორის განსაკუთრებულად გამოყოფს განათლების რეფორმას, რადგან მიიჩნევს, რომ მშობლიური ენისა და კულტურის სწავლებისათვის განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. ამ დროის საქართველოს საშუალო სკოლის ნიჭიერი ორგანიზატორებისა და პედაგოგების (ილია ცინცაძის, აკაკი შანიძის, ილია ფერაძისა თუ სხვათა მრავალთა) გვერდითაა თედო სახოკიაც, „რომლებმაც სპეციალური წერილით მიმართეს განათლების მინისტრს ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფის, გრამატიკული ფორმების ნაირგვარობის აღმოფხვრის, სალიტერატურო და ხალხური ენის დაახლოების საჭიროების შესახებ“ (სილოგავა... 2007: 285).

თედო სახოკიას მასწავლებლად დანიშვნის შესახებ ცნობა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერაა გაცემული. დანიშვნა 1917 წელის 25 ოქტომბერთაა დათარიღებული. „თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას თეოდოტი ტიმოთეს ძის სახოკიას თხოვნა. ამით პატივი მაქვს ვთხოვო მმართველობას - ჩამრიცხოს ფრანგული ენის მასწავლებლად ხსენებულ სემინარიაში, მისწავლია ტფილისის სასულიერო სემინარიაში - გასული, 1886 წელს მეორე კლასიდან; მოწმობა სემინარიაში სწავლისა დაკარგული მაქვს.

1904 წელს დავამთავრე სწავლა პარიზის ანთროპოლოგიურ სკოლაში (უმაღლესი სასწავლებელია). სამწუხაროდ, აქაური მოწმობაც დაკარგული მაქვს.“ შემდგომ წერილში ჩამოთვლილი აქვს გამოცემული და დაწერილი წიგნები და აღნიშნავს, რომ არის პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების კორესპონდენტი (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #8).

კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თედო სახოკიას პირად არქივში, დაცულია ცნობები მისი პედაგოგიური მუშაობის, სწავლისა და სწავლების მიმდინარეობის შესახებ, თედოს მიერ შედგენილი პროგრამები, მოსწავლეთა ნამუშევრები, აგრეთვე, პედაგოგიური საბჭოს დადგენილების ოქმები, სასწავლებელში ახალი სასწავლო წლის დაწყება - დამთავრებისას გაცემული ცნობები, შვებულების ფურცლები, ამასთან, ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას პედაგოგთა ხელახლა დანიშვნის ცნობები და ა. შ. (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #11-20).

ამ ცნობებს თან ერთვის აგრეთვე პირადი განცხადება თედო სახოკიას სამსახურიდან ნებაყოფლობით განთავისუფლების შესახებ: „ტფილისის მე-3 ტექნიკუმის გამგის სეით იაშვილის მიერ მასწავლებელ თედო სახოკიას სახელზე გაცემული მოწმობა - დახასიათება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასწავლებლობას თავს ანებებს თავისი თხოვნით, 1923 წ. 2 ოქტომბერი“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #21).

მოწმობა გაცემულია სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ. ე. ი. თედო სახოკია უმუშევარია 1924 წლიდან, ცნობა გაცემულია 1926 წლის 21 იანვარს (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #22).

საქართველოს გასაბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შედარებით უცნობია მისი პოლიტიკური საქმიანობა. ეს პერიოდი ემთხვევა თედოს ნებაყოფლობით განთავისუფლებას პედაგოგიური საქმიანობისგანაც. მართალია, აქტიურად არ მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში, მაგრამ თედო თანაუგრძნობდა მეთაურებს, ფარულად თავშესაფარსაც აძლევდა მათ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ის პოლიტიკურ საქმიანობას საბოლოოდ ჩამოშორდა. სავარაუდოა, პედაგოგიური საქმიანობისთვის ნებაყოფლობით თავის დანებების მიზეზი იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებიდან თავდაღწევის სურვილი ყოფილიყო (სურმანიძე 2004: 23).

თედო სახოკიას პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ შეფასებას ვხვდებით ასევე მისი მეგობრის, ალექსანდრე მიქაბერიძის, მონოგრაფიაში, რომელიც ხელნაწერის სახით ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. მცირე ამონარიდები ამ მონოგრაფიიდან: „მასწავლებლობის დროს თედო ხშირად გამოდის მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე დახელოვნებულ ლექტორის როლში. თავისი ფართო ცოდნის გამოყენებით მრავალ საგულისხმო საკითხებს მჭერმეტყველურად აშუქებს, მოსწავლე ახალგაზრდობით გაჭედულ თბილისის, სხვადასხვა სასწავლებლების აუდიტორიებში“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302).

ქართლში პედაგოგიური მოღვაწეობით დაწყებული ქართული საქმე დაგვირგვინდა ორმოცდაათწლიანი ნაშრომის „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ - გამოქვეყნებით.

თედო სახოკია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობით გახდა გამგრძელებელი XIX საუკუნის მამულიშვილთა - ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა - ქართული საქმეებისა, რომელთათვისაც ქართველი ერის წინაშე მსახურება, ერთგულება წმიდათაწმიდა მოვალეობას შეადგენდა.

თავი IV. პოლიტიკური მოღვაწეობა

§1. თედო სახოკია „საქართველოს თავისუფლების ლიგაში“

თედო სახოკია სრულიად ახალგაზრდა ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. მისი ცხოვრება მთლიანად ქვეყნის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა და სიცოცხლის ბოლომდე მიმართული იყო სამი სიწმინდის - მამულის, ენის, სარწმუნოების, დაცვისაკენ. იგი თავისი საქმიანობით წმ. ილია მართლის მიმდევარი იყო.

თედო სახოკიას გამორჩეული ადგილი უკავია ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. იგი ეროვნულ მოძრაობაში ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდიდან ჩაება. სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ თედო პოლიტიკურ მოღვაწეობას თბილისის იმჟამად არსებულ საიდუმლო წრეებში განაგრძობს და მალე ამ საიდუმლო წრეების აქტიურ წევრიც ხდება.

ქართველი მოწინავე საზოგადოება და განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდობა, არ ურიგდებოდა რუსეთის კოლონიურ რეჟიმს და ბრძოლის სხვადასხვა ფორმას ირჩევდა. რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები ქმნიდნენ საიდუმლო წრეებს. ამგვარი წრეები შეიქმნა პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში, ვარშავაში. ამ წრეებში გაერთიანებული ქართველი სტუდენტობას ჰქონდა არალეგალური ბიბლიოთეკა და ურთიერთდახმარების სალარო.

1892 წელს ვარშავის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტების სათვისტომოს ინიციატივით, რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტების პატრიოტულად განწყობილ სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს საიდუმლო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ: ვარშავის, კიევის, პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, ოდესის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტები. ორგანიზაციის დამფუძნებლები იყვნენ შემდგომში ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი გვაზავა, გიორგი დეკანოზიშვილი, ნიკო ჯაყელი, მიხეილ ხელთუფლიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ივანე ელიაშვილი. ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინეს შეექმნათ ფარული საბჭო,

რომელსაც მიზნად უნდა დაესახა საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან.

საიდუმლო ორგანიზაციის წესდების შესადგენად სათვისტომომ აირჩია კომისია: შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილი), ნიკო შენგელიასა, ნიკო მელიქიშვილის და ანტონ გელეზარიშვილის შემადგენლობით. კომისიამ ორი თვის განმავლობაში შეიმუშავა საიდუმლო ორგანიზაციის წესდება. ორგანიზაციას „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ეწოდა. საიდუმლო ორგანიზაციის იდეის პოპულარიზაციისა და ახალი წევრების მოზიდვის მიზნით თედო სახოკიას საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა შიო არაგვისპირელთან.

თედო სახოკია თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „შიოსთან მიწერ-მოწერა მქონდა, ლიგის შესახებ მწერდა და მთხოვდა ნაცნობ- მეგობრებისათვის გამეცნო წესდების მუხლები, საერთოდ, პოპულარული გამეხადა ლიგის იდეა და მეზრუნა მის თანამგრძნობთა გამრავლებისათვის.... ჟანდარმერიამ წაიღო ჩემი წერილები და ისინიც, სადაც ხსენებული ლიგის შესახებ იყო ლაპარაკი (სახოკია 1969: 220-222).

გარდა შიო დედაბრიშვილისა, თედო სახოკიას მიმოწერა ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ ვახტანგ ღამბაშიძესთანაც. 1893 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში თედო სახოკია დავით კარიჭაშვილს ვახტანგ ღამბაშიძის შესახებ სწერს: „მეტად ჩინებული სტუდენტი ყმაწვილია: მანდ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა რამეები გადაათვალიეროს, იმედია ხელს შეუწყობთ“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #4396). აი, სწორედ ამ ვახტანგ ღამბაშიძის წერილი თედო სახოკიასადმი არის ჩვენთვის საინტერესო. წერილიდან ჩანს, რომ საუბარი, რომელიც ქუთაისში შემდგარა, თავისუფლების ლიგის კრების მოწვევას ეხებოდა. მასში ვკითხულობთ: „ძმაო თედო! კრება არის დანიშნული მართლაც 26-ს ქ. ქუთაისში. ყველა წარმომადგენლებს მიწერილი აქვთ წერილით ეს ამბავი. პასუხი წერილის მათ არ მოეთხოვებოდათ და არ ვიცით, დაესწრებიან თუ არა ყველანი. ქუთაისში მაინცა და მაინც ხოლერის არაფერი შიში არ უნდა იყოს ჯერჯერობით და მგონი, უზრუნველობისა და დაუდევრობის მეტი არაფერი დაუშლის კრებას, თუ მართლაც დაიფუშა საქმე, მაგრამ ესეც უნდა ვიგულისხმოთ, რომ თბილისში ძალიან დაიფანტნენ სტუდენტები, ბევრს შეიძლება წერილიც არ მიუღია და ბევრს შორს წასულს შეიძლება ქართულმა სიზარმაცემ მოუშალოს ქუთაისში ჩამოსვლა.

ამასთანავე, ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ამ პირველ კრებაზე, არა მგონია, რომ გარეშე (არა სტუდენტებს) პირთ შეეძლოთ დასწრება. სათადარიგო კრება იქნება 25-ს და ალბათ მაშინ იქნება ამის შესახებ სჯა, თორემ აქამდე უმეტესობა, რამდენადაც ვიცი, წინააღმდეგია გარეშე პირების თანდასწრების. არ ვიცი როგორ დაბოლოვდება საქმე.

მე მგონია, ზოგიერთ გარეშე პირების დასწრება სასურველი და საიმედოც უნდა იყოს და ზოგიერთი კითხვები კი განსაკუთრებით სტუდენტებმა უნდა განიხილონ და შეიმუშაონ. ასე და ასე, ახლო არს კრების დრო და ვნახოთ რა იქნება. თქვენი ძმა ლადო (ვახტანგ) ღამბაშიძე (საისტორიო მოამბე 1975:143).

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრებმა მართლაც ჩაატარეს დამფუძნებელი ყრილობა, კერძოდ, ქუთაისში 1892 წლის 26-27 ივნისს. დაარსებისთანავე ლიგის უპირველეს ამოცანად იქცა პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, რისთვისაც ორგანიზაციის წევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლას საზოგადოებაში, ამასთანავე, მჭიდრო კავშირის დამყარებას რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ეროვნული უმცირესობის სხვა წარმომადგენლებთან: უკრაინელებთან, პოლონელებთან, ბალტიისპირეთის ხალხებთან, კავკასიელებთან.

1893 წლის ივლისში თბილისში შედგა საქართველოს თავისუფლების ლიგის მეორე ყრილობა. ყრილობის მონაწილეთა შორის იყვნენ: თედო სახოკია, ვარლამ ჭიჭინაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, შიო დედაბრიშვილი,... სწორედ ამ ყრილობაზე დამტკიცდა ლიგის პროგრამა და წესდება” („საისტორიო ვერტიკალები“ 2007: #12;15).

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“ იყო ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც თავისი მოღვაწეობის უპირველეს მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ორგანიზაციის წევრთა მიწერ-მოწერა ჩაუვარდა ხელში რუსეთის მთავრობის ჟანდარმერიას. საქმე განიხილა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა პოდპოლკოვნიკმა დე-ბილმა. თედო სახოკია, ვარშავის ქართველ სტუდენტებთან ერთად, პასუხისგებაში მისცეს.

1893 წლის შემოდგომაზე ჟანდარმერიამ მოახერხა ლიგის წევრთა კვალის მიგნება. თედო სახოკია იხსენიება ვარშავის წრეში, სხვა დანარჩენ მონაწილეთა შორის (შველიძე 1969:83). საქართველოს ფარგლებში არსებული „თავისუფლების ლიგის წრეში“.

საქართველოში ამ წრის ხელმძღვანელი იყო ესტატე მირიანაშვილი. ამ ფარულ წრეში თედო სახოკია 1892 წლიდან უნდა ჩართულიყო, როგორც ეს დგინდება თედო სახოკიას მიმოწერიდან ვარშავაში მყოფ შიო დედაბრიშვილთან.

თედო სახოკიასა და „ლიგასთან“ მისი ურთიერთობის საქმეში აღსანიშნავია, რომ იგი, ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში მყოფი, აქტიურად ჩაბმულა საზოგადოების საქმიანობაში და, აქედან გამომდინარე, საკმარისი ბრალეულობა დაგროვდებოდა მის წინააღმდეგ, მართლაც, ბრალდებულთა შორის აღმოჩნდნენ მისი მეგობრები სემინარიიდან **ანტონ კასრაძე და იოსებ ლალიაშვილი**

რაც შეეხება თედო სახოკიას, აღნიშნავს **ზაქარია შველიძე**: „ჯერ ვარშავის წრის აქტიური წევრი იყო, ხოლო იქიდან სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს „თავისუფლების ლიგის“ წრეში მოღვაწეობდა“ (შველიძე 1969: 83). თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის 1886 წლის 6 იანვრის მოხსენებაში „სემინარიის ყოფილ მოსწავლეთა შორის აშკარად აღიარებულია სასულიერო სემინარიის ყოფილი მოსწავლე.“

1994 წელს ჟანდარმერიამ იგი მიაკუთვნა „თავისუფლების ლიგის“ ირგვლივ დაწყებულ კვლევა-ძიებას და შეუდგა მის მიმართ სათანადო მამხილებელი მასალების შეგროვებას. სხვათა შორის, მას ბრალად ედებოდა მიმოწერა კატორლიდან ამერიკაში გაქცეულ იოსებ ლალიაშვილთან. იმავე 1894 წელს „თავისუფლების ლიგის“ საქმის ძიებისას ჟანდარმერიას ხელში ჩავარდნია მასალები, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ „ლიგის“ წევრებს, შიო დედაბრიშვილსა და თედო სახოკიას, 1891 წელს კავშირი ჰქონდათ კუნძულ სახალინზე კატორლაში მყოფ იოსებ ლალიაშვილთან. მათ შეუგროვებიათ საქართველოში გარკვეული თანხა, რომელიც ჩაუდიათ სახარების ყდაში და გაუგზავნიათ იოსებ ლალიაშვილისათვის. ეს უკანასკნელი სწორედ ამ ფულით გაქცეულა კიდევ კატორლიდან (გიორგაძე 1929: 105; შველიძე 1969: 84).

ჟანდარმერიამ შეძლო „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრთა თავშეყრის ადგილის დადგენა, დააპატიმრეს წევრთა დიდი ნაწილი, დანარჩენები კი აგრძელებდნენ საქმიანობას, თუმცა გასაგები მიზეზების გამო მათ მოქმედებას აღარ ჰქონდა მკაცრად ორგანიზებული ხასიათი („საისტორიო ვერტიკალები“ 2007: #12,15).

თედო სახოკიას ბრალად ედებოდა საქართველოში საიდუმლო საზოგადოების დაარსებაში მონაწილეობის მიღება. ამ ბრალდებით იგი 1894 წლის 20 სექტემბერს თბილისში შეიპყრეს და მეორე დღეს ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. ქუთაისის ციხეში პოლიტიკური პატიმარები ტუსაღთაგან განცალკავებულად იყვნენ, მათ მიმართ განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდნენ: ყოველ პატიმარს ორ-ორი ჟანდარმი ედგა დარაჯად, ლიგის წევრებს ერთმანეთს არ აჩვენებდნენ, სასეირნოდ ეზოში დღეში ნახევარი საათი გაჰყავდათ, ისიც თითო-თითოდ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა პატიმრები სეირნობას მორჩებოდნენ. ამიტომ „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრებმა არც კი იცოდნენ, თუ ვინ იყო დაპატიმრებული კიდევ მათ გვერდით ამ საქმეზე. პასუხისგებაში მიცემულნი დაყოფილი ჰყავდათ მათი სოციალური წარმომავლობისა და სარწმუნოების მიხედვით. საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობდა ვარშავაში ნამსახურევი, იმჟამად ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოდპოლკოვნიკი დე-ბილი. ჟანდარმერია გასაიდუმლოებულად მოქმედებდა.

დაპატიმრებულთა სასჯელი არ ყოფილა მკაცრი. ციხეში თედო სახოკიას და „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ სხვა წევრების ყოფნა სამთვიანი პატიმრობით დასრულდა, (შველიძე 1969: 91) ხოლო საქმეში ბრალეულობის სიმცირის გამო დ. მდივანი და გიორგი. გვაზავა საერთოდ თავდებით გამოუშვეს.

რაც შეეხება საერთოდ საქმეს, ვინაიდან ცნობილი გახდა, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ მარტო წესდება იყო შედგენილი და რაიმე კონკრეტული ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა ჯერ არც ყოფილა დაწყებული, მოსასპობად წარადგინეს. ჟანდარმერიის ამგვარი ლოიალობა, ცხადია, რუსული პოლიტიკური წრეების დაკვეთა იყო. თუ გავიხსენებთ საუკუნის წინ ჩაფიქრებულ 1832 წლის შეთქმულებას, მზგავსება აშკარაა, იმ შემთხვევაშიც ხელისუფლებამ არ ინება მკაცრი სასჯელის გამოყენება შეთქმულთა წინააღმდეგ. შესაძლოა, ეს ჰუმანურობა ყოფილიყო ერთგვარი წინაპირობა იმისა, რომ არ მომხდარიყო ხალხის

მასების გამოსვლა, თავიდან ყოფილიყო აცილებული მძაფრი პროტესტი. ამით საიმპერიო ხელისუფალნი საქართველოშიც და ევროპაშიც ჰუმანურობის ერთგვარ დამცველებად წარმოჩნდებოდნენ. რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებისათვის საქმის მიჩუმათება და შეთქმულების მონაწილეთა იოლი სასჯელით გადარჩენა ორივე მხარისათვის, მთავრობისათვისაც და შეთქმულებისთვისაც, ალბათ მისაღები იყო და ასეც მოხდა.

თავად თედო სახოკია ამ საქმის გამოძიების აგრერიგად დამთავრებას მიაწერს, როგორც თვით აღნიშნავს, რუსეთის იმპერატორ **ალექსანდრე III-ის** გარდაცვალებას „რომელსაც მოჰყვა პატიმართა სვე-ბედის გაუმჯობესების მანიფესტი“.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ პოლიციამ და ჟანდარმერიამ თედო სახოკიას მეთვალყურეობა დაუწესა ისე, რომ გასაქანს არ აძლევდნენ.

განთავისუფლების შემდეგ თედო სახოკიასა და ჯგუფის სხვა წევრებს, მიუხედავად ჟანდარმერიის მიერ მკაცრი კონტროლისა, არ შეუწყვეტიათ ფიქრი, ბრძოლა და მოქმედება საქართველოს თავისუფლებისათვის.

აფხაზეთში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ თედო სახოკიას ქართული საქმისათვის მეზრძოლთა რიგებში ვხედავთ. იგი აჩაღებს ფართო ანტირუსულ საქმიანობას.

ამდენად, „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გადადგმული პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ამ თაობის პირველი დიდი დამსახურება გახლდათ. „ილია ჭავჭავაძის მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამის შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის იყო შექმნილი“ (გურული... 2014: 132).

მართალია, „საქართველოს თავისუფლების ლიგამ“ თითქმის ჩამოყალიბებისთანავე დაასრულა თავისი არსებობა, მაგრამ მან განსაზღვრა მისი რამდენიმე წევრის შემდგომი ცხოვრება: **გიორგი გვაზავა, იაკობ ფანცხავა, თედო სახოკია, შიო არაგვისპირელი, ვარლამ ჭიჭინაძე, ვახტანგ ლამბაშიძე...** შემდგომ ქართული კულტურული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური რეალობის ეროვნულობით გამორჩეული მოღვაწენი გახდნენ“ (შველიძე... 2010: 24).

თავისუფლად შეიძლება ითქვას - ამ პიროვნებათაგან, საქართველოში, პირველი თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეული თედო სახოკია იყო.

§2. თედო სახოკიას „ქართული პარტია“ აფხაზეთში

თედო სახოკიას შეურიგებელი და პრინციპული ბრძოლა არ შეუწყვეტია, პირიქით, იგი ახალი შემართებით უდგას გვერდში ქართულ საქმეს. პირველი პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, 1895 წლიდან, საცხოვრებლად გადადის თბილისში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ მუშაობაში ებმება.

1898-1900 წლებში თედო სახოკია საცხოვრებლად სოხუმში გადადის. მისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ სოლომონ ცაიშვილის მოგონებიდან ვგებულობთ: „აქ ის აქტიურად ჩაება იმ გააფთრებულ ბრძოლაში, რომელსაც ადგილობრივი ქართველები აწარმოებდნენ ცარიზმის პოლიტიკის, - კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის - წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევებინა და ამით ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა“. როგორც მრავალი დოკუმენტით დასტურდება, თვითმპყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოდან სავსებით მოეგლიჯა ეს ულამაზესი კუთხე, რომ დიდი ბრძოლა არ გადაეხადათ ისეთ გავლენიან ქართველ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და მათ გვერდით თედო სახოკია და სხვები.

თედო სახოკიას წერილები ამ საკითხზე, რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო მისი გალაშქრება მეფის აგენტურის წინააღმდეგ, გაზეთ „Петербургское ведомости“-შიც კი თავსდებოდა (ცაიშვილი 1954: 238).

თედო სახოკია აფხაზეთში სათავეში უდგება „ქართული პარტიის“ სახელით ცნობილ პოლიტიკურ მოძრაობას. თავად ამბობს, 1898-1900 წლები სოხუმში გავატარე. ეს წლები ჩემს სიცოცხლეში ითვლება იმ ხანად, როცა მართლაც რომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად, თავი სრულებით არ

მეზოგებოდა და მთელი ახალგაზრდულის აღფრთოვანებით და თავდავიწყებით ვებრძოდი რუსის იმპერიალიზმის მიერ ჩვენის ქვეყნისა და ქართველ ხალხის გამარუსებელ პოლიტიკის გატარების საქმეს (სახოკია 1969: 223).

თედო სახოკიამ ადგილობრივი სოხუმელი მოღვაწეების: ანთიმოზ ჯუღელის, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკისა და სხვათა დახმარებით, აფხაზეთში გააჩაღა სარევოლუციო მუშაობა. თედო სახოკია ნათლად ხედავდა, რომ რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ბიუროკრატიული მანქანის წყალობით განუხრელად ავიწროებდა ქართულ და, საკუთრივ მეგრულ - მოსახლეობას აფხაზეთში და ყოველ ზომას მიმართავდა ამ მხარეში მცხოვრები მეგრული მოსახლეობის საქართველოს ამ ნაწილიდან გასაძევებლად.

რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები წყალობის თვალით უყურებდნენ აფხაზეთა ტომის ხალხს, ვინაიდან ეს უკანასკნელები უფრო რუსეთისკენ იხრებოდნენ, ვიდრე ქართველებისა და მეგრელებისკენ, რაც მრავალ გაუგებრობას ბადებდა აფხაზ და ქართველ (მეგრულ) მოსახლეობას შორის.

თედო სახოკიას ფხიზელ თვალს ეს არანორმალური მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია, ამიტომ მან და მისმა თანამგრძნობმა ადგილობრივმა მოღვაწეებმა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე გააჩაღეს რევოლუციური მოძრაობა.

თედო სახოკიას შესახებ მოგონებანი, ხელნაწერის სახით, ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე მიქაბერიძეს, ავტორს მოგონებანი ჯერ კიდევ თედო სახოკიას სიცოცხლის წლებში 1942 წელს დაუწერია. მოგვყავს ამონარიდები ამ მოგონებიდან: „თედო სახოკია აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში ხალხის წინაშე გამოდიოდა, როგორც მგზნებარე ტრიბუნი და ორატორი და ცხადად, აშკარად მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ დარაზმულიყვნენ და მისი ესა თუ ის განკარგულება უშიშრად უარეყოთ, არ შეესრულებინათ, მთავრობისათვის აშკარა ბოიკოტი გამოეცხადებინათ.

თედო სახოკია თამამად, სრულიად მოურიდებლად უმტკიცებდა ხალხს, რომ მან თავისი მომავალი თვითონვე უნდა გამოჰედოს, თვითონ მოუაროს და უპატრონოს თავის მიწა-წყალს. რუსეთის აღვირახსნილ ბატონობას საქართველოში

და მათ შორის, მის განუყრელ ნაწილში, აფხაზეთში, ბოლო უნდა მოედოს, ხალხმა მთავრობას ზურგი უნდა შეაქციოს, არცერთი მისი ბრძანება, განკარგულება ცხოვრებაში არ გაატაროს: - რუსეთის მთავრობის აღსასრული უკვე ნათლად მოჩანს ცის ტატნობზე, რუსეთის მთავრობა უნდა დაემხოს და ყოველ ეჭვს გარეშეა, იგი კიდევაც სულ მოკლე ხანში დაეცემა - აცხადებდა ორატორი“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302).

სანამ თედო სახოკიას „ქართული პარტიის“ საქმიანობაში მონაწილეობაზე ვისაუბრებთ, მანამდე მოკლედ მიმოვიხილავთ ისტორიულ რეალობას, რისთვისაც გამოვიყენებთ მისსავე მოგონებას „ძველი სოხუმი“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #213), რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მოგონებაში თედო სახოკია მოგვითხრობს ისტორიას, ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებიდან ვიდრე მის თანადროულ პერიოდამდე, გადმოცემული აქვს 1876 წლის რუსეთ - ოსმალეთის ომის პერიპეტიები და იმდროინდელი ისტორიული სინამდვილე, თუ როგორ დაიცალა სოხუმი მოსახლეობისაგან, როგორ შეაფარა თავი ხალხმა ახლობლებს, აფხაზების ნაწილი როგორ გადაიხვეწა ოსმალეთში, ნაწილი კი ტყვედ როგორ წაიყვანეს. ასევე მოთხრობილი აქვს სოხუმის ხელახალი აღდგენა-განახლების ისტორია.

თედო სახოკია აგრძელებს თხრობას და აღნიშნავს: „სოხუმში გარუსების პოლიტიკა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სოხუმის პატრონობა ჩაბარებული ჰქონდა ძველებური დროის რუსეთის „გოროდიჩს“. მოსამართლე, გამომძიებელი, პოლიციის ბოქაულიც კი რუსი იყო. საქმეს ვერ შველოდა დავით მაჭავარიანი, მოსახლეობის სულიერ მდგომარეობაზე ზრუნვა ჰქონდა დაკისრებული. სწავლა-განათლებას ემსახურებოდა მთიელთა ორკლასიანი სასწავლებელი. აფხაზთა შვილები სწავლობდნენ რუსულად, იყო ორკლასიანი ქალთა პროგიმნაზია. ფუნქციონირებდა ხაზინა, ფოსტა, ტელეგრაფი. მთავრობის მთავარ მიზანს კი მოსახლეობის გარუსება შეადგენდა: „გარუსება, ქართულის არ გაგონება, მოსახლეობის არ ჩარევა სკოლის პედაგოგიკაში ნორმალურად მიაჩნდათ“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #213).

თედო სახოკია ასევე გვაცნობს ცნობილი მოღვაწის ანთიმოზ ჯუღელის ბიოგრაფიულ მონაცემებს: „იგი 1883 წელს ჩამოვიდა სოხუმში. ის იყო ერთადერთი

პიროვნება, რომელსაც მოსდიოდა **გაზეთი „ივერია“**, თუმცა საკმაო დაგვიანებით, მაგრამ მაინც. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართული ლაპარაკიც კი მისგან გაიგონეს აქაურებმა, მისგანვე შეიტყვეს, რომ ქართულ ენაზე წიგნები არსებობდა - გაიგონეს ისიც, რომ მეგრელებს, როგორც ქართველებს, ქართული როგორც დედაენა, უნდა ესწავლათ. ყოველივე ამას იგი აკეთებდა „თითქოსდა გარეგნულად მშვიდი და მთავრობის უწყინარ ქვეშევრდომის სახით,“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #213). 1889 წლამდე ქართულად მოლაპარაკე ხალხიც მოემატა“. თედო სახოკიამ ასე არაჯანსაღ საზოგადოებრივ ვითარებაში დაიწყო მოღვაწეობა სოხუმში.

წერილებისა და კორესპონდენციების გამოქვეყნება ჯერ კიდევ 1889 წლიდან დაიწყო **გაზეთ „ივერიაში“**. წერდა საქართველოს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ თუ სხვა ხასიათის მოვლენებზე, ე. ი. ყველაფერზე, რაც ერის სულიერი ტკივილისა და მატერიალური ცხოვრების ამსახველი იყო.

1895 წლიდან კი თედო სახოკია უკვე კარგად გააზრებულ პროპაგანდას ეწევა ქართულ პრესაში, კერძოდ, ჟურნალ **„მომამბეში“**, გაზეთებში: **„ივერია“**, **„კვალი“**, **„ცნობის ფურცელი“**, **“Новое обозрение“**, **„Кавказ“** ა. შ.

1898 წლიდან კი თედო სახოკიამ როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთების, ასევე იმპერიის მასშტაბითაც გამომავალ საინფორმაციო საშუალებებშიც დაიწყო აფხაზეთის შესახებ მასალების გამოქვეყნება, ასეთთა რიცხვშია **გაზეთი „Петербургское ведомости“**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თედო სახოკია აფხაზეთის მკვიდრი იყო და მჭიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზეთის მოსახლეობასთან, ხშირად ჩადიოდა სოხუმში, ხანგრძლივად ცხოვრობდა იქ და ადგილობრივ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას იღებდა.

ამავე პერიოდში მეფის მთავრობამ გააძლიერა აფხაზეთში კოლონიური პოლიტიკა: აფხაზეთის თავისუფალ მიწა-წყალზე ასახლებდა გერმანელებს, ესტონელებს, რუსებს, ბერძნებს, პარალელურად ავიწროებდა აფხაზებს და ქართველებს. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი აფხაზეთის ჩამოცილება საქართველოდან და მისი ასიმილაცია იყო.

ამ მიზნის შემადგენელ ნაწილს შეადგენდა ის, რომ აფხაზეთიდან იდევნებოდა ქართული ენა, დევნილი იყო საქართველოს ეკლესიაც, ქართული კულტურა. აფხაზები მოსწყდნენ ქართულ სამყაროს, რაც გამოიხატა შემდეგში:

1. „დემოგრაფიული ვითარების შეცვლა აფხაზეთში: უცხოტომელთა ჩამოსახლების კვალობაზე განუხრელად მცირდებოდა ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი;

2. ეკლესიიდან განიდევნა ქართული ენა;

3. საეკლესიო-სამრევლო და საერო სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება;

4. ყოველმხრივ ავიწროებდნენ ქართველ მოსახლეობას.

კოლონიურმა ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა აფხაზების გარუსებისა და მათი ასიმილაციისათვის, კერძოდ:

1. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით, აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლს აფხაზები შეადგენენ, ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ;

2. საქართველო - იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით, აფხაზეთსა და სამურზაყანოს სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება, ღვთისმსახურების საეკლესიო-სლავურ ენაზე აღსრულებისა და სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის განხორციელებაზე სასულიერო და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა;

3. სოხუმში უპირატესად აფხაზი ბავშვებისათვის გაიხსნა საქალაქო სკოლა, რომელშიც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა;

4. ქართველებისათვის შეიზღუდა სოხუმის ოკრუგის სასოფლო თემების მუდმივ მაცხოვრებლად ჩაწერა;

5. აფხაზეთში დაიწყო რუსი კოლონისტების მასობრივი ჩამოსახლება“ (გურული... 1999: 9-10).

რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზნებისა და შედეგებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი და რუსი სასულიერო პირები. პირველი ძალა იბრძოდა აფხაზეთის

ერთიან ქართულ სივრცეში ინტეგრაციისთვის, ხოლო მეორე - აფხაზეთის ეკლესიის რუსეთის ეკლესიაში შერწყმისათვის, მხარის გარუსებისათვის.

თედო სახოკია აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარი მოწინააღმდეგე იყო. ქართველ სამღვდელოებასა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებამ აფხაზეთში XIX-XX საუკუნეებში თავის აპოგეას მიაღწია, რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და საეკლესიო ქონება საშემოსავლო საქმედ აქციეს.

თედო სახოკია 1895 წელს გამოცემულ ჟურნალ „მოამბეში“ აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობის შესახებ ამბობს: „დაუდგენიათ, მიზეზი აფხაზეთში ქრისტიანობის დაქვეითებისა ქართული ენა არისო, ან ეგ ქართული ენა მკვიდრთ არ ესმითო, ენა, რომლითაც წმინდა მამანი აფხაზ მოძღვრებს უქადაგებდნენ“.... „აღდგომა დღეს სახარება ყველა (სლავურ, ბერძნულ, ლათინურ) ენაზე წაუკითხავთ, - ქართული კი არავის მოჰგონებია“ („მოამბე“ 1895: #11; 114-123).

განაწყენებულ ქართველებს უკვე ფულის შეგროვება დაუწყიათ საკუთარი ეკლესიის ასაშენებლად, გულისტკივილით დასძენს ბიჭვინთის, ფსირცხის და დრანდის უძველეს მონასტრებში ოსმალეთის ქვეშევრდომი რუსი ბერ-მონაზვნების დამკვიდრების შესახებ:... „სასაცილოდ არ ყოფნით, ქართულად წირვა-ლოცვა რომ უხსენო, განა „ბურსუმანულ“ (ე. ი. ქართულ) ენაზე ღვთის დიდება შეიძლებაო“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #213).

კიდევ უფრო გაბედული და მძაფრი წერილი გამოაქვეყნა თედო სახოკიამ 1900 წელს 1(14) ივლისს გაზეთ „Петербургские ведомост-ში“ სათაურით „Из Сухума“. კორესპოდენციის მიზანი იყო მთელი ქვეყნიერებისთვის ემცნო შემდეგი:

1. აფხაზეთის ქართული მოსახლეობა მოკლებულია წირვა-ლოცვის ჩატარების უფლებას ქართულ ენაზე;

2. აფხაზეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, ეკლესიიდან და სკოლიდან განდევნილია ქართული ენა.

პეტერბურგში აღნიშნულ წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყოლია როგორც საზოგადოებაში, ასევე სამთავრობო წრეებში. წერილი პოლიტიკური, მამხილებელი ხასიათისა იყო. თედო სახოკიამ სააშკარაოზე გამოიტანა აფხაზეთში

რუსული სამღვდლოების რუსიფიკატორული მიზნები. წერილის ავტორი რუს სამღვდლოებას ადანაშაულებდა. იმპერიის ბრძანებულებითა და სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სოხუმის საეპისკოპოსოს მიეთითა, „ღვთისმსახურების შესრულება მეგრულ მოსახლეობაში სრულდებოდა - გასაგებ ქართულ ენაზე. გაზეთ „Петербургские ведомост-ის“ 1900: #177;1(14) ივლისი, თედო სახოკია აღნიშნავდა, რომ ეს მითითება მხოლოდ სამ სამრევლოში სრულდებოდა, დანარჩენი 55-ათასიანი მეგრული მოსახლეობის 39 სამრევლოში სოხუმის ეპისკოპოს არსენის ადრინდელი გადაწყვეტილების (რუსულ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარება) მომხრე დარჩა. სოხუმის 6-ათასიანი მოსახლეობის 3/5 ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები) არიან - წერდა თედო სახოკია, მაგრამ ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე მოსმენის საშუალება არა აქვთ. წერილში აღნიშნული იყო აგრეთვე ის, რომ 1900 წლის 14 იანვარს გადახდილ გიორგი წერეთლის პანაშვიდზე ტაძრის ხანდაზმულ წინამძღოლ დავით მაჭავარიანისათვის პასუხი მოუთხოვიათ. აგრეთვე შერვაშიძის ქვრივს სპეციალური ნებართვა დასჭირდა, რათა გარდაცვლილი მეუღლისათვის პანაშვიდი ქართულ ენაზე გადაეხადა.

წერილში გაკრიტიკებულია ეპარქიის ხელმძღვანელი; მას სოფელ ლინდავაში მცხოვრები ლუთერანი ესტონელებისათვის, რომლებსაც მართლმადიდებლობის მიღების სურვილი გამოუთქვამთ და ეპისკოპოსისათვის მოსახლეობის მიერ შერჩეული ესტონურ - რუსული ენების მცოდნე მღვდლის დანიშვნის თხოვნით მიუმართავთ 1896 წელს, უარყოფითი პასუხი გაუცია.

წერილში თედო სახოკია უბრუნდება სოფელ ღუმურიშის მღვდლისა და ბლალოჩინ ქართული ენის დევნით ცნობილ ივანე ქავჭარაძის - საკითხს. ქავჭარაძეს საკუთარი მრევლი დაპირისპირებია, ამ უკანასკნელს მოუთხოვია მისი გადაყენება. სოფლის ამ გადაწყვეტილებას ხელს აწერდა 169 ადამიანი. შემდგომში გამოძიებისას ჟანდარმერიამ ამ წერილს მიაგნო თედო სახოკიასთან, მიუხედავად ამისა, მღვდელი თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებიათ. ქუთაისის გუბერნატორი და სოხუმის ეპისკოპოსი მას იცავდნენ, როგორც „ინტრიგებისა და პარტიულობის მსხვერპლს“ („Петербургские ведомости“ 1900: #177).

თედო სახოკიას კორესპონდენცია, რომელიც თავისი არსით მიმართული იყო კავკასიის კოლონიური ხელისუფლების, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინააღმდეგ, დაიბეჭდა რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და პოლიტიკურ გაზეთში. თედო სახოკიამ კორესპონდენციის შედგენისას პოლიტიკური ალღო და წინდახედულობა გამოიჩინა. ტექსტში წინა პლანზე ისეთ საკითხებს წამოსწევდა, რომლებიც თითქოს არ განეკუთვნებოდნენ ანტისახელმწიფოებრივს, ანტიიმპერიულს, პირიქით - კორესპონდენციის ავტორს, ერთი შეხედვით, გულიც კი შესტკიოდა ადგილობრივი ადმინისტრაციისა და მაღალი თანამდებობის რუსი საეკლესიო პირების წინდაუხედავ მოქმედებაზე, რომელსაც დიდი ზიანი მოჰქონდა მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის აფხაზეთში. ამ და სხვა ამბების შესახებ ასეთი კრიტიკული მასალები კავკასიის რუსული ხელისუფლების განსჯის და შემფოთების საგანი ხდებოდა.

განსაკუთრებით აქტიური იყო თედო სახოკიას „ქართული პარტიის“ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელიც ამ მხარის მოსახლეობის დაცვას ისახავდა მიზნად. თედო სახოკიას გვერდით ამ ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ: ანთიმოზ ივანეს ძე ჯუღელი, სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძე, ივანე გაბრიელის ძე ბურჭულაძე, გრიგოლ ივანეს ძე კანდელაკი, ივანე კონსტანტინეს ძე გეგია, ფარნა ნიკოლოზის ძე დავითაია. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პარტიის წევრები იყვნენ სასულიერო პირები დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მღვდელი აქვსენტი სახოკია, მღვდელი ივანე ჩხენკელი. ქართულ პარტიაში დაიწყო თავისი მოღვაწეობა ცნობილმა პოლიტიკურმა ფიგურამ შემდეგში საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა - აკაკი ჩხენკელმა (ივანე ჩხენკელის შვილმა).

„თედო სახოკიას „ქართული პარტიის“ წევრი იყო ან მას მხურვალედ უჭერდა მხარს საქართველოს სამი მომავალი კათალიკოს-პატრიარქი: კირიონ II (გიორგი სამაგლიშვილი), ლეონიდი (ლონგინოზ ოქროპირიძე) და ამბროსი (ბესარიონ ხელაია). ეს არ იყო არც უმნიშვნელო, არც შემთხვევითი ფაქტი. სამივე საეკლესიო მოღვაწე ცოტა მოგვიანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელი გახდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ

თედო სახოკიას ქართული პარტიის წევრებისათვის მოღვაწეობის მიზანს არა მარტო აფხაზეთში ქართული ეკლესიის შენარჩუნება შეადგენდა, არამედ უფრო მეტი - საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა“ (გურული... 1999: 16-17).

მთავრობა და მისი აგენტები სამურზაყანოსა და საკუთრივ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს (მეგრელებს) ქართველებად არ თვლიდნენ. მთავრობისათვის ამ „ქართული პარტიის“ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელნი იყვნენ: სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი **იასტრებოვი**, **ბლალოჩინი მარღანია**, სოფელ ოქუმის მღვდელი **ივანე ქავჭარაძე**, ისინი ჟანდარმერიის აგენტები იყვნენ და რუსიფიკატორულ პოლიტიკას სხვებზე მეტად აქტიურად ემსახურებოდნენ.

თედო სახოკიასა და მისი ჯგუფის წევრებს შორის კავშირი ძირითადად მიწერ-მოწერით ხდებოდა და, რა თქმა უნდა, ამ მიწერ-მოწერას კოორდინაციას უწევდა თედო სახოკია. საზოგადოებრივად აქტუალური საკითხების თაობაზე დანარჩენები მასთან იყვნენ წერილობით დაკავშირებულნი. ჟანდარმერიის მიერ ამ კავშირების ირგვლივ მოკვლევის შედეგებმა მათთვის სასურველი ვერანაირი შედეგი ვერ დააფიქსირა, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის წევრები უარყოფდნენ რაიმე ეროვნულ ხასიათის პარტიის ან ჯგუფის არსებობას, მაგრამ ყველანი ამ შეხვედრების მონაწილეებად **თედო სახოკიასა და ანთიმოზ ჯულელს** ასახელებდნენ. დაკითხვისას თედო სახოკიამ განაცხადა, რომ ის პრესის საშუალებით ცდილობდა, „რათა ქართული ენა, როგორც მშობლიური ისწავლებოდეს სოხუმის მოსახლეობაში, რადგან სცნობს, რომ ამ გზით ის ხელს შეუწყობს რუსული ენის უადვილესად შესწავლას, მეორე, რომ ღვთისმსახურება სოხუმის ოლქის მეგრულ მოსახლეობაში წარმოებდეს ქართულ ენაზეო“ (სახოკია 1969: 67).

ამ საქმის გამოძიება დაიწყო ქუთაისის გუბერნატორმა, ცნობილმა გენერალმა რეაქციონერმა გერშელმანმა, რომელმაც 1900 წლის 28 ივლისის, 3 აგვისტოსა და 2 სექტემბერს მოხსენებები შეადგინა. რუსულმა ბიუროკრატია მსგავსი საკითხის შესწავლასა და საბრალდებო დასკვნის მსგავსი საკმაოდ ვრცელი დოკუმენტის შედგენას ოთხი წელიწადი მოანდომა. ამ დოკუმენტში აღწერილია თედო სახოკიას მოღვაწეობა, აფხაზეთში შექმნილი „ქართული პარტიის“, მისი

წევრების საქმიანობა, ბრძოლა აფხაზეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მათი საქმიანობის ისტორია.

თედო სახოკიას საქმის გახსნამდე მთავრობა მისი სოხუმიდან გამევეებით დაკმაყოფილდა. როგორც ცნობილია, თედო სახოკიამ მეგობრების დახმარებით, მათი ფინანსური ხელშეწყობით საზღვარგარეთ გამგზავრება მოახერხა. მთავრობის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ თედო სახოკიას სოხუმიდან წასვლის შემდეგ „ქართული პარტიის“ წევრთა საქმიანობა აფხაზეთ-სამურზაყანოში შენელებულა, თუმცა ეს ჯგუფი არსებობას განაგრძობდა, ხოლო 1903 წელს დროებით დაბრუნებულ თედო სახოკიასთან კვლავ განახლდა წევრთა შეხვედრები.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა გამოძიებისათვის 1900 წელს საიდუმლო კითხვარი შეადგინა (სულ 12 კითხვა). ამ კითხვარს ის აცნობს **სოხუმის ეპისკოპოს არსენს** და სთხოვს პასუხის გაცემას. კითხვაც და პასუხიც მკაფიოდ წარმოაჩენს რუსული ადმინისტრაციის ნამდვილ სახეს, აფხაზეთში შექმნილ აუტანელ სიტუაციას, აშკარად ასაბუთებს თედო სახოკიას ბრალეულობას. აი, ეს მუხლები, რომლებშიც საუბარია თედო სახოკიაზე:

„3) ცდილობენ თუ არა აფხაზეთის გაქართველებს შემდეგი პირნი: თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი;

4) გჯერათ და უწყით, რომ სოხუმის მცხოვრები თედო სახოკია პრესაში და საზოგადოებაში კრიტიკას იწვევს და მასხარად იგდებს ყოველივე თქვენს განკარგულებას;

8) რადგანაც უტყუარი ცნობები მაქვს, რომ ნაცნობობა აქვთ არასაიმედო და წარმართ ხალხთან თედო სახოკიას... (და სხვა შემჩნეულნი - ლ. ბ.) ამიტომ გთხოვთ აღნიშნული პირნი დამიხასიათოთ ზნეობრივის მხრივ, თითოეული მათგანი კერძოდ და დაწვრილებით გამაცნოთ მათი მოღვაწეობის მხრივ;

9) მართალია თუ არა, კორესპონდენტი თედო სახოკია განგებ, წინდაწინვე განზრახულის მიზნით ამახინჯებდა ფაქტებს და ყალბ სტატისტიკურ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში მეგრელებსა და ქართველების შესახებ, რათა დაემტკიცებინა აუცილებელი საჭიროება ქართული ენის შემოღებისა სასწავლებელში;

12) მართლმადიდებელ ეკლესიისათვის მავნებელი არის თუ არა მოღვაწეობა თედო სახოკიასა და ანთიმოზ ჯუღელისა“;

საიდუმლო შეკითხვებზე, რომლებიც 12 მუხლისაგან შედგება და რომლებიც ქართველთა მოძრაობას შეეხება სოხუმის ოლქში, შემიძლია შემდეგი გიპასუხოთ: მოვიყვანო მხოლოდ იმ მუხლებს, რომლებიც თედო სახოკიას ბრალეულობას შეეხება

...,3) რამე დადებითი საბუთები თედო სახოკიასი... შემიძლია ვთქვა, რომ ის ავტორია გაზეთებში მოთავსებულ ყალბი ცნობებისა, მაშასადამე, იგი ყოფილა გამავრცელებელი და დამამკვიდრებელი ქართული ენისა და მოქალაქეობის აფხაზეთში; ..

9) თედო სახოკია განგებ ყალბ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში ქართველთა და მეგრელთა სოხუმის ოლქში მოსახლეობის შესახებ, რადგანაც მას, როგორც სოხუმის ოლქში მცხოვრებს, კარგად უნდა სცოდნოდა ნამდვილი სტატისტიკური ცნობები, მაგრამ იგი წინააღმდეგობით ამხინჯებდა ყოველივე ცნობას;

12) მოქმედება თედო სახოკიასი და ჯუღელისა მავნებლად უნდა ჩაითვალოს მართლმადიდებელ ეკლესიისათვის, რადგანაც გაქართველებული მათგან ახალგაზრდობა მტრად გაუხდებდა რუსეთის ეკლესიას, რომელიც სულ სხვა მიზნით მოქმედებს აფხაზეთში (გურული... 1999: 16-17).

მთავრობამ საქმეში ერთ-ერთ საბრალდებო მუხლად ილია ჭავჭავაძის სტუმრობაც შეიტანა, რომელიც მას სოხუმის საზოგადოებამ 1903 წელს 24 მაისს გაუმართა. „ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი სიტყვა თითქმის სტენოგრაფიულად ჩაწერილია თედო სახოკიას მიერ. „ბატონებო, პატივისცემით მოგესალმებით, ბედნიერი ვარ, რო ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს კალმით დახატულ კუთხეს და მის მოსახელე მშვენიერ ხალხს მადლობელი ვარ თქვენი დახვედრისათვის ჩემი პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ეგრე ადვილად ვერ დავეჩავგრინებით. აქ რომაელთა ერთი თქმა მაგონდება. სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერთ, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მაინც-მეთქი!

თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელის ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს

ეკონომიკურად წელში გამაგრდეს - ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, ეგე რამე გავარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილი იმედი ნუ აქვთ ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთ ერს, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირ-ზეით ასცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მაღლი შესწიროს. ყველასგან გათელილი, ყველასგან დაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავისი ძალ-ღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე - თქვენი მოძმენი აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმით ვართ შესაბრალები, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიკური მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავს, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებ, გული მინათდება, სასოებით მევსება, მთელი ქალაქი თქვენს ხელშია; აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ, ერთხელ შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი - ორად აქციოთ, ფხიზლობთ ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისათვის თქვენთვის გამჩენს შნო მიუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდევცა.

მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიკურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს: თუ ვაჭრობას თანამედროვე, ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს ვუერთგულებთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება, რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბადოთ, ერთობლივი, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევინარჩუნოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსულს ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ.

მაშ, გამარჯობათ, ბატონებო! ჩვენი ქვეყნის აღორძინების პირველი მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს! ჩვენი ხალხის, ამერიკეთის, მთლად ჩვენი ხალხის სანუგეშოდ და წარსამატებლად! (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #196).

ილიას გამოსვლას რომ იხსენებს, თედო სახოკია დასძენს: ყოველი სიტყვა ძვირფასი სტუმრისა ელექტრონის დენსავით უვლიდა სხეულში სმენად გადაქცეულ მაყურებლებს, ყველა ხარბად პირში შეჰყურებდნენ და ცდილობდნენ ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდათ. მათს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. საქართველოს სათაყვანო ადამიანს, მთელის ქართველობისათვის მზრუნველ ილია ჭავჭავაძეს თავიანთს შორის ხედავდნენ ყოველს განუმტკიცდებოდა სარწმუნოება, რომ ობლად არ იყვნენ შთენილნი, ჰყავდათ პატიოსანი პატრონი, ძლიერი, შემაერთებელი, რომლის წინაშე ჩვენი დაუძინებელი მტერიც კი ქედს იხრიდა.

კარგა შებინდებულზე უმატეს სუფრას. ყოველნი მხიარულ და ბედნიერნი დაიშალნენ მერე დიდხანს, დიდხანს ჰქონდათ სოხუმელებს ეს სადილი სალაპარაკოდ და სასიამოვნოდ მოსაგონებლად.

მეორე დღეს გემში მთელმა ქალაქმა ჩააცილა ილია ჭავჭავაძე და მისი თანამგზავრნი, მათს პატივისმცემელთაგან და საკუთრებით მანდილოსანთაგან მოტანილი თაიგულებით და ყვავილებით. ეს გაცილება ერთ მთლიან ზეიმად გადაიქცა.

ილია ჭავჭავაძის ეს მიმართვა, ხელს უწყობდა აფხაზეთში მაცხოვრებელი მოსახლეობის ეროვნული გრძნობების გაღვივებას, საერთო მობილიზაციას ისტორიული ტერიტორიების სამართლებრივი უფლებების დასაცავად. ქართველი ინტელიგენცია და აფხაზეთში მაცხოვრებელი მოწინავე საზოგადოება ერთიანად იყო ჩართული ამ საერთო მხიარულებაში, ილია ჭავჭავაძის სტუმრობაც ამის დასტური იყო.

თედო სახოკიას მოწინააღმდეგენი იმასაც აბრალებდნენ, რომ ის არაქართველის ეტლში არ ჯდებოდა. მღვდელი ივანე ქავყარაძე „პეტერბურგის უწყებებში“ თედო სახოკიას მიერ იმავე გაზეთში მოთავსებული ერთი წერილის საპასუხოდ და ხელისუფლებასთან დასაბეზღებლად წერდა: „გულწრფელად ვურჩევ ბ-ნ თედო სახოკიას, გონს მოვიდეს და რუსულ ეტლში ჩაჯდომაზე უარის

მთქმელს, არ აღუკვეთონ სიარული რუსულ ქალაქებში“ („Петербургские ведомости“ 1900, #177. სახოკია 1969: 69).

საინტერესოა თედო სახოკიას წერილების სერია, სათაურით „მგზავრის შენიშვნები“ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 2309, 2343, 2349, 2356, 2367, 2386, 2454 ნომრებში გამოქვეყნებული. სტატია მოგვითხრობს ავტორის მოგზაურობის შესახებ აფხაზეთში, სოხუმიდან გაგრამდე, მშობლიურ კუთხეში სადაც აღწერს მოგზაურობისას ნანახსა და განცდილს. წერილის ავტორი აღნიშნავს რომ „აფხაზი ბუნებით ნიჭიერია, მიხვედრილი, მაგრამ მარტო ბუნებრივი ნიჭი რას გახდება“; იგი თამამად აკრიტიკებს საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომლებიც ყველაფერს ემსახურებოდნენ, „თვინიერ მთავრის დანიშნულებისა - ყრმათა გონებრივი და ზნეობრივი გაწვრთნისა“. თედო სახოკია იმასაც დასძენს, რომ აფხაზეთში პედაგოგებად ჩამოჰყავდათ „ყოველი ლოთი, ყოველი გზადაკარგული“, რომლისგანაც ბავშვს, ყველაზე დიდი, „რუსულად ათამდე თვლა და ორიოდ საგინებელი სიტყვა შეეძლო ესწავლა“.

მდგომარეობიდან გამოსავალს თედო სახოკია ქრისტიანობაში ხედავდა, მაგრამ სამღვდელეობა, რომელიც, პირველ რიგში, სამწყსოს მოყვარული მოძღვრის მოვალეობას უნდა ასრულებდეს, სინამდვილეში კი მთელი მათი მოღვაწეობა ამ მხარეში მხოლოდ „მონათლულთა“ სიების შედგენა და მუშაობისათვის ჯილდოს მიღება და დაწინაურებაა. არავინ ზრუნავს ახალმონათლულთა სარწმუნოებაში განმტკიცებისათვის. აშკარაა, ეკლესიებსა და სკოლებში რუსული ენის შემოღებამ საგრძნობლად შეასუსტა მართლმადიდებლური პოზიციები აფხაზურ მოსახლეობაში.

აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად არსებულ განათლების მდგომარეობას ეხება 1905 წელის 1 აპრილის გაზეთ „ცნობის ფურცლის“ #2786 გამოქვეყნებული წერილი. ქართველების გარუსებას სოხუმის მთიელთა სკოლა ემსახურებოდა, რაზეც თედო სახოკია მიუთითებდა: „სკოლის არსებობის 40 წლის მანძილზე მის არცერთ კურსდამთავრებულ აფხაზს უმაღლესი განათლება არ მიუღია. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა - ქართველებს...“, „სავალალოდ, არ არსებობს შემაერთებელი ხიდი ქართველებსა და აფხაზებს შორის. არ არსებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაური

სკოლებიდან განდევნილია და (აფხაზებს - ლ. ბ.) უჩიჩინებენ, ქართველები, (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ თქვენს მიწებს იჩემებენო და სხვა“ („ცნობის ფურცელი“ 1905, #2786). სამურზაყანოელების მიმართაც ისეთივე გარუსების პოლიტიკა ხორციელდებოდა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის მიხედვით, საგუბერნიო ადმინისტრაციამ კავკასიის მთავარმართებლის წინაშე აღძრა საიდუმლო შუამავლობა, რომ, რადგან თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, ივანე გეგია, ფარნა დავითაია, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, სპირიდონ ნორაკიძე სისტემატურად ეწევიან მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ადგილობრივ მკვიდრთა შორის, სოხუმის ოლქში მშვიდობის დამყარების მიზნით ეს ადამიანები გაძევებულ იქნენ ამიერკავკასიიდან და ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ იქნენ რუსეთის შიდა გუბერნიებში ხუთი წლის ვადით. (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302), _ „являющихся главными представителями грузинской пртии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа. (სახოკია 1969: ხუნდაძე 69-70) თედო სახოკია ამ სასჯელს „გადასახლებას“ გადაურჩა იგი საზღვარგარეთ ემიგრაციაში, კერძოდ, საფრანგეთში გაემგზავრა.

§3. ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებთან

3.1. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიასთან. 1901 წელს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა გაზეთ „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ გარშემო შემოკრებილ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი (არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები, გიორგი რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა და სხვები). და დაიწყო მუშაობა პარტიის შესაქმნელად. აირჩიეს ხელმძღვანელი კომიტეტი. 1903 წელს პარიზში დაიწყეს გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა. სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს ავტონომიას კონსტიტუციური პარლამენტარიზმის საფუძველზე ვარაუდობდნენ. 1904 წლის აპრილში გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ იმ ქართველ ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობით, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ, ჟენევაში მოიწვია კონფერენცია. სოციალისტ-ფედერალისტებმა მოითხოვეს

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და საქართველოს ავტონომიისა და ფედერალიზმის იდეა წამოაყენეს.

„ჩვენს თვალწინ იდგა ორი ბანაკი ერთი მხრით, ძველი, ეროვნული, უმთავრესად თავადაზნაურული ინტელიგენცია, მეორე მხრივ, ახალი დემოკრატიული ნაკადი - ეგრეთ წოდებული „მესამე დასი“. პირველი ბანაკის ორგანო იყო ილია ჭავჭავაძის „ივერია“, ხოლო მეორისა - გიორგი წერეთლის „კვალი“, ამ ორ ბანაკს შუა იდგა განცალკავებული პატარა ჯგუფი ქართველი ინტელიგენციისა, რომელიც სავსებით ვერ მიმხრობოდა ვერც პირველ და ვერც მეორე ბანაკს, აქ იყვნენ... გიორგი ზდანოვიჩი, ალექსანდრე ნანეიშვილი, რომანოზ ფანცხავა, დიმიტრი მაჩაბელი... თედო სახოკიამ აირჩია გაზეთი „ივერია“ და დროებით „ივერიელებთან“ მუშაობდა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თედო სახოკიას ინტერესები „კვალისაკენ“ უნდა ყოფილიყო მიმართული, ვიდრე „ივერისაკენ“, მაგრამ იყო ერთი გარემოება, რამაც თედო სახოკიას დააშორა ქართველ მარქსისტებს და ბოლოს, საკუთარ ნავსაყუდელში მიიყვანა სოციალისტური ფედერალიზმის ნავსაყუდელში, ეს იყო ეროვნული საკითხი.

თედო სახოკიასთვის ეს საკითხი ყოველთვის იყო განსაკუთრებული ღირებულებისა, რომელსაც ვერ დაჩრდილავდა ვერც ერთი სოციალისტური მსოფლმხედველობა. მისი ღრმა რწმენა იყო, რომ თანამედროვე სოციალურ წეს-წყობილებაში შეიძლება მოხდეს და უნდა მოხდეს კიდევ დამონებული ერის განთავისუფლება ამა თუ იმ სახით, ეროვნულ პრობლემას, უპირველეს მნიშვნელობას აძლევდა და ამიტომ პოლიტიკურ ბრძოლას პირველ ადგილს აკუთვნებდა.

1903 წელს საფრანგეთიდან დროებით დაბრუნებული თედო სახოკია სოციალის-ფედერალისტთა პარტიის დავალებით, პარტიის წევრები შეხვედრას მართავენ ილია ჭავჭავაძესთან საგურამოს მამულში. შეხვედრა შეეხებოდა საქართველოში ახლადჩამოყალიბებული პარტიის საქმიანობას, მათ მოღვაწეობას და ასევე საზღვარგარეთ, საფრანგეთში ახლადგამოსულ გაზეთ „საქართველოს“ და სხვა ფინანსურ საკითხებში მხარდაჭერას და შუამდგომლობას საზოგადოების იმ პირებთან, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა გაუწიონ პარტიას ფინანსური

დახმარება. კერძოდ, საუბარი ეხებოდა, იმჟამინდელ ცნობილ მეცენატ **დავით სარაჯიშვილს**.

ამ შეხვედრის შესახებ ცნობებს ვხვდებით კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ დაცულ თედო სახოკიას პირად არქივში, აღნიშნული შეხვედრის დეტალები თედო სახოკიას მიერაა აღწერილი, მაგრამ გამოქვეყნებით არ გამოუქვეყნებია, მასალა პირველწყაროს წარმოადგენს, იმ პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით მოგვყავს ამ შეხვედრის დეტალები.

საკუთრივ, იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური პარტიები, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ილია ჭავჭავაძეს, იზიარებდნენ მის აზრს და საჭირო რჩევა-დარიგებისათვის ხშირად მიმართავდნენ. ქვეყნის მომავალზე ზრუნვა თითოეული ქართველის და განსაკუთრებით საზოგადოების მოწინავე ინტელიგენციის საშვილიშვილო საზრუნავს შეადგენდა. ილია ჭავჭავაძესთან სტუმრობაც ამის დადასტურებაა, მისგან მიეღოთ რჩევა, თანადგომა და დახმარება.

თედო სახოკია და პარტიის წევრები - **პალიკო ყიფიანი**, **ალექსანდრე გაბუნია** პარტიის დავალებით ხვდებიან ილია ჭავჭავაძეს. შეხვედრა შედგა საგურამოში 1903 წელს (მარიამობისთვის) აგვისტოს. ილია ჩვეულებრივ, თავის არდადეგებს ზაფხულში საგურამოში ატარებდა. „გადაწყდა მიგვემართნა ილია ჭავჭავაძისა და მისთვის გვეთხოვნა შუამავლად დაგვდგომოდა იმ დროს ცნობილი მდიდარი დავით სარაჯიშვილის წინაშე, რათა ამ საქმეში დახმარება გაეწია და „საქართველოსთვის“ ყოველთვიური უზრუნველი ულუფა გაეჩინა“ (**ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #196**).

საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ საუბარი შედგა პარიზში გამოცემულ გაზეთ „**საქართველოს**“ შესახებ, რომლის გარშემო ისაუბრა და გაზეთის პირველი ნომერი გადასცა პალიკო ყიფიანმა, თუ რა პირობებში ხდებოდა გაზეთის მომზადება - გამოცემა, როგორი იყო ხალხის გამოხმაურება, განსაკუთრებულად ყურადღება მიაქცია რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების იდეას, თუ რა თანაგრძნობა და გამოძახილი მოიპოვა საზღვარგარეთის მოწინავე პრესაში, ამავე გაზეთის ფრანგული ნომრის **“La Georgie”** გამოცემამ და ა. შ.

ალექსანდრე გაბუნია ბოდიშს იხდის ილიას წინაშე, აღნიშნავს თედო სახოკია - და იქვე აგრძელებს: რომ მისი, როგორც არაწევრის, შეწუხება განიზრახეს, წმინდა

პარტიული საქმისათვის, „მაგრამ ვიცით რა თანაგრძნობით ეკიდებით ჩვენის დაჩაგრულის ქვეყნის ბედ-იღბალს, რა ძვირფასია თქვენთვის მისი სახელი, მისი დიდება, მისი მონობიდან გამოყვანა, მისი ხსნა მტარვალთა კლანჭებისაგან „საქართველოს“ ამბავი მოგახსენდათ და მე კი იმას დავძენ, რომ თუ აქედან არ მივეშველეთ, მისი არსებობის განგრძობა შეუძლებელი გახლავთ“. ამიტომ თხოვნითი მიმართვა იყო პარტიის ორგანოს გენერალური კომიტეტის დადგენილებით, თავისი ავტორიტეტული სიტყვა შეეწია იმ პერიოდის ცნობილ მეცენატ დავით სარაჯიშვილთან გაზეთ „საქართველოს“, ჰქონოდა მუდმივი ულუფა, სანამ მოლონიერდებოდნენ და თვითონ შეძლებდნენ თავის შენახვას.

ამ მოხსენების შემდეგ საინტერესოა ილიას პასუხი, სიტყვა სრულად გადმოგვაქვს: - „ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარ იმ დროს, როს ჩვენის ახალგაზრდობის, შუახნის კაცობის და ბოლოს მოხუცებულობის ნატვრამ ხორცი უნდა შეისხას; რომ მოვესწარ იმ დროს, ოდეს საქართველოს განთავისუფლების საკითხი საზღვარგარეთ ლაპარაკისა და აზრთა აღებ-მიცემობის საგნად გაუხდიათ და ვინ უწყის, შორს არ იყოს ის წუთიც, ოდეს ვიხილო ჩვენი ქვეყანა საკუთარს ფეხზე მდგარი, წელში გაშლილი, მტრის კირთებისაგან განთავისუფლებული. მე იქნება, ვერ მოვესწრო ამ ბედნიერ დღეს, მაგრამ აქედან თქვენ მაინც მოგესწროთ.

მაგრამ იცით, ბატონებო, რა მძიმე საქმე უკისრნია პარიზის ქართველობას, რა სიფხიზლე, რა მომზადება, რა თავდადება სჭირდება ამ საქმეს რომ ევროპის საზოგადოება დავაინტერესოთ ჩვენი ბედ იღბლითა, მის წინაშე არ შევრცხვეთ. აი იცით, რა სიფრთხილე და აწონ-დაწონვით გვმართებს ყოველ ფეხის გადადგმა, რომ მარცხი არ მოგვივიდეს, ევროპელთა თანაგრძნობას და გულისყურს, სრულის სერიოზულობით მოვეპყროთ, მათ და სიმპათია და დახმარება უზრუნველვყოთ იმ წმინდა საქმისათვის, რომლისათვის ბრძოლა გადაგვიწყვეტნია: ისევ გიმეორებთ, ბატონებო, ამ საქმეს სათავეში დიდი მომზადებული კაცი უნდა ედგეს, რომ მტერმა პირველ შემოტევისთანავე არ დააყრევინოს ფარ-ხმალი, უზურგოდ არ აჩვენებინოს. დიახ, მე ასეთნაირად ვუყურებ ამ საქმეს და იმედი მაქვს, თქვენც ასევე უნდა უყურებდეთ. ჰოდა, მითხარით, ვინ გყავთ ასეთი კაცი, რომ პირნათლად გაუძღვეს ორგანოს, რომელიც პარიზში გამოდის და რომლის ყოველ სიტყვას, როგორც

უცხოეთად მომავალს, ანგარიში უნდა გაუწიოს მთავრობამ“... (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #196).

პალიკო ყიფიანის და ალექსანდრე გაბუნიას შემდეგ, ჯერი ჩემზე მოდგა აღნიშნავს თედო სახოკია, რადგანაც უნდა ესაუბრა პარტიის შესაძლო ლიდერის კანდიდატურის დასახელებაზე, თუ როგორ მიიღებდა ამას **ილია ჭავჭავაძე**: - „უნდა დაგვესახელებინა **არჩილ ჯორჯაძე**. ის **არჩილ ჯორჯაძე**, რომლის უკეთესი ამ საქმისათვის ჩვენ იმ დროისათვის არავინ გვყავდა, მაგრამ რომელთანაც ილიას ამ ერთის წლის წინაც ცხარე პოლემიკა ჰქონდა „ივერიის“ ფურცლებზე, ხოლო ჯორჯაძის „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ წერილების გამო, უნდა ვთქვათ, რომ **არჩილ ჯორჯაძე** მაშინ დებიუტანტი იყო ქართულ მწერლობაში და ადვილად შესაძლებელია, შეცდომებიც მოსვლოდა ყველა შემთხვევაში, **ილია ჭავჭავაძის** აზრით, მაგრამ ილიამ მაშინათვე ყბა დაადგა, ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ვისაც იგი ერთადერთი აითვალწუნებდა, მერე ერთხელვე შედგენილ აზრს ვერავინ და ვერაფერი შეაცვლევინებდა, ეს სიძულვილი სამარის კარამდე გაჰყვებოდა (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #196).

საბოლოოდ თედო სახოკიას მოხსენებისა, **ილია ჭავჭავაძე** გადაჭრით პასუხობს: - „ძალიან ვწუხვარ, ბატონებო, – რომ თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებ. მე დავით სარაჯიშვილის წინაშე პასუხისმგებელი უნდა ვიყვე და **არჩილ ჯორჯაძის** იმედით, კი ნურას უკაცრავად, პასუხს ვერ ვაგებ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #196).

ასეთი კატეგორიული აღმოჩნდა **ილია ჭავჭავაძე** ამ შეხვედრისა და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიმართაც, მან თვისი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო პარტიის და კერძოდ **არჩილ ჯორჯაძის** მიმართ უცვლელად დატოვა. **ილია ჭავჭავაძე** უარს ამბობდა შუამდგომლობაზე. მიუხედავად, პარტიის წევრების მიერ რეალურად დანახული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და პარტიის იმჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციისა, გადაწყვეტილების მიმართ მკაცრი აღმოჩნდა, არ გაუწევდა შუამდგომლობას, პარტიის სახელით მიღებულ თხოვნას.

3. 2. ურთიერთობა ეროვნულ-რადიკალურ გლეხთა პარტიასთან.
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არის დაცული თედო სახოკიას წერილი მიხაკო

წერეთლისადმი. იგი ატყობინებს, რომ დაუარსებიათ ეროვნულ-რადიკალური გლეხთა პარტია, ხოლო მიხაკო წერეთელი დაუსახელებიათ კანდიდატად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე (1917 წლის 14 – (27) XI):

„საყვარელო და ტკბილად მოსაგონარო ძმაო მიხაკო, იქნება მოვიდა კიდევ შენს ყურებამდე, თუ რა განგაში ატყდა აქ შენის სახელის გარშემო. მოგიყვები თავიდან, დაწვრილებით და მიუკერძოებლად. ყოველს უწინარეს იმას გეტყვი, რომ ერთი ჯგუფი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამოვეყავით და ცალკე დავაარეთ რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია. ამ პარტიის უმთავრესი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან განმასხვავებელი, მუხლი არის: 1. გამოცხადება საქართველოს სრულის დამოუკიდებლობისა. 2. მემამულეთაგან ნორმაზე მეტის მამულის ჩამორთმევა უსასყიდლოდ და გლეხებზე გადაცემა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კრებაზე, როცა რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის კანდიდატთა სიას ადგენდნენ, ერთმა თუ ორმა შენი კანდიდატურაც წამოაყენა. უმრავლესობამ ცოფები ჰყარა პირითგან, ხომ ვიცით, რუსი მთავრები რა თვალთ უყურებენ, ის რომ დავასახელოთ, ჩვენს პარტიასაც დავლუპავთ და თვით ჩვენს ქვეყანასაც ზედ მივაყოლებთ.

ჩვენი პარტია, რადიკალ-დემოკრატიული, პრინციპიალურად წინააღმდეგი იყო, ვისიმე კანდიდატურა წამოეყენებინა რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის. მაგრამ საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება მაინც დადგინდა, აგრეთვე, წამოეყენებინა კანდიდატურა ვისიმე მხოლოდ იმისათვის, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გამოცხადებულიყო პარტიის მიერ არჩეული, საქართველოს სუვერენული უფლებანი განეცხადებინა და წამოსულიყო უკან ისე, კრების ორგანულ მუშაობაში მონაწილეობა არავითარი მიეღო. დაგასახელეთ შენ, რადგან ასეთის როლისათვის ყველაზე შესაფერისად შენ ჩავთვალეთ, მართალია, შენი წინასწარი, ფორმალური თანხმობა არა გვექონდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით და ეხლაც ვართ, რომ რაკი გაიცნობდი ჩვენი პარტიის პროგრამას, თავადაზნაურობის იდეოლოგიებს ზურგს შეაქცევდი, რომელთაც პოლიტიკურ პროგრამაში საქართველოს ავტონომიის იქით წინსვლა მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდათ, და დღესაც მიაჩნიათ და რაკი ეს ასე იქნებოდა, ცხადია, შენის კანდიდატურის ჩვენს მიერ წამოყენების წინააღმდეგ არაფერი გვექნებოდა.

რადგან დრო მეტი არა გვქონდა, საარჩევნო კომისიაში განაცხადი შევიტანეთ და ამავე დროს 12/09 ტელეგრამა გამოვაგზავნე. 21/09 უკვე გაზეთებშიც იყო დაბეჭდილი შენი გვარი, როგორც რადიკალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატურა. ეროვნულ-დემოკრატები დაფაცურდნენ ჯერ ისე, შინაურულად, გამოგვიგზავნეს შუაკაცები- მოხსენით მიხაკოს კანდიდატურა, თორემ ის კაცი (შენ) დაიღუპებო. ჩვენ დავიშალეთ, მიხაკოს თუ გარანტია არ ექნება უშიშროებისა, ისე აქ არ შემოვა და მერეც ჩვენ მოვთხოვთ შემოსვლას, და მამასადამე, შიში არაფრის ექნება-მეთქი მაგრამ იმათ, აშკარა იყო, შენი თავი კი არ აწუხებდა, იმათის მუცლის გვრემა სულ სხვა იყო. ხედავდნენ, რომ თუ შენი სახელი დარჩებოდა სიაში, ხმები, თუ სანახევროთ არა, სამესამედ მაინც ჩამოეცილებოდათ.

ამიტომ ეროვნულ-დემოკრატებმა მიმართეს ყოველგვარ ბინძურ და არასაკადრის საშუალებას, ასეთის საზოგადოებას, რომელსაც ყველა, ოდნავაც არის,- თავმოყვარე პარტია იუკადრებდა, შეთხოეს ვითომდა შენგან მოწერილი 25 ა/თ წერილი, სადაც ვითომ უნდა გეთქვა, ვთხოვ არცერთმა პარტიამ არ წამოაყენოს ჩემი კანდიდატიო. მერე ეს საქართველოშიც დაბეჭდეს. შემდეგ ეს „შენი“ წერილი ნოე ჟორდანიასაც შეამოწმებინეს და ქალაქის საარჩევნო კომისიასაც წარუდგინეს საჩივართან ერთად. კომისიის თავ-რედ პეტრე გელეიშვილია. ეს უკანასკნელი თავგამოდებით ექომაგებოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეთაურებს და მათ საჩივარს მხარს უჭერდა. მაგრამ კომისიამ მაინც ასე დაადგინა. რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ წარმოდგენილი განცხადება კანონიერია და სანამ მიხაკო წერეთელი არ წარმოადგენს თავისს ნაწერს, ნოტარიუსის მიერ შემოწმებულს, ან თვითონ პირადად არ გამოცხადდება მის სახელზე შეტანილი განცხადების გასაბათილებლად, ყველაფერი, რადიკალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარმოდგენილი, კანონიერად იქნეს აღიარებულიო. გარდა ამისა, კომისიამ ისიც დაადგინა, რომ მოწმეებისა და ექსპერტების ჩვენებით არაფერი დამტკიცდებაო.

ეროვნულ-დემოკრატებმა, რომ დაინახეს საქციელი წაგვიხდაო, მიმართეს ნოე ჟორდანიას და სთხოვეს ჩარეულიყო საქმეში. ნოე ჟორდანიასაც, უნდა ვიგულისხმოთ, დიდის სიამოვნებით აუსრულა თხოვნა (და თვითონ უსუსური ბავშვისათვისაც ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ნოე ჟორდანია ყოველს ღონისძიებით ხელს შეუწყობდა ყოველს, თუკი ისეთი მეტოქე, როგორიც შენ

იქნებოდა მისთვის, როგორც დამფუძნებელ კრებაზე (და ამერიდან საქართველოს და ქართულის კრებაზე არ ეყოლებოდა). და აჰა, ბ-ნი ჟორდანია მობრძანდება კომისიაში და თამამად ამბობს: ეს ნაწერი (რუსული) მიხაკო წერეთელის ხელი არ არის, ეს კი (ქართული, მოსკოვის ქუჩაზე, სახელდობრ „საქართველოს“ რედაქციაში, შეთითხნილი) - მისი ხელით ნაწერი თავის სიცოცხლეში არ ენახვება (უეჭველი ან ქართული ენისას), რადგან, არა მგონი, შენ იმასთან როდისმე მიწერ-მოწერა (ვისაც რუსულად) გქონდეს! აქ აღმაშფოთებელია თვით კომისიის ასეთი უბოდიშო საქციელი: 8/11 დაადგინა ჩვენს სასარგებლოთ და სულ უმოკლეს დროში, ყველაფერი გააუქმა და ისიც სრულ უსაფუძვლოთ. ნუ დაივიწყებ იმასაც, რომ შენი ვითომ წერილი, სტოკჰოლმიდან მოწერილი იმ დროს, როცა შენი კანდიდატურა პირველად წამოაყენეს ეროვნულ - დემოკრატიზმმა, აქ არ იყო, თორემ ამ გარემოებას ანგარიშს გაუწევდნენ, უეჭველად ახსენებდნენ, - თვითონ არა სურს კანდიდატთა სიაში იქმნეს შეტანილი. „შენი წერილი“ აქ გამოჩნდა მერე, გაცილებით გვიან, მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ შენი სახელი, ე. ი. 7-10 დღეში კიდევ შეგატყობინეს შენ ყოველივე და კიდევ მოგივიდა შენგან უარის წერილი!...ისიც სტოკჰოლმიდან, ისიც იმ დროს, როცა მისვლა-მოსვლა მეტად გაჭირვებული იყო. გასაკვირი აქ კიდევ ის არის, რატომ ხელ-დადებით არ მოიწერე, - რადიკალ-დემოკრატიზმმა ხმა მოხსნან ჩემი კანდიდატურა.

კომისიამ დაადგინა, ჩვენ მაინც პროტესტი განვაცხადეთ და საარჩევნო კომპანია განვაგრძეთ. გატყობინებ ყოველივე ამას და გთხოვ, გამოგზავნო დაუყოვნებლივ ტელეგრამა და შენი თანხმობა შემოგვითვალე. თუ წერილის მოწერასაც მოახერხებ, ძალიან კარგი იქნება, რასაც გამოგზავნი, გამოაგზავნე ჩემს სახელზე, ან „საქართველოს“ და „სახალხო საქმის“ ნომრები სადაც, ამ საქმის თაობაზე წერილები იყო დაბეჭდილი და იგივე ჩვენი პარტიის ორგანოს „ჩვენი რესპუბლიკის“ ნომრები. მარად შენი თედო სახოკია.

წ. კ. მდგომარეობა ასეთის, რომ ამ დღეებში რუსეთის დამფუძნებელ კრეისათვის არჩევნები შეიძლება საქართველოს დამფუძნებელ კრებად გადაიქცეს უკვე ამიერკავკასიის მთავრობის შედგენის თადარიგში არიან და შეადგინეს კიდევ.

უნდა გითხრა, რომ ჩვენი პარტია, როგორც ერთადერთი პარტია საქართველოში სეპარატისტულ იდეების მქადაგებელ, საოცარი სისწრაფით

იზრდება. თუ შენ გასახელებდით, გასახელებდით იმიტომ, რომ ჩვენ თავისუფალ საქართველოს იდეა გვასულდგმულებდა და შენ, როგორც ამ აზრის თავიდან ბოლომდე ურყევად მქადაგებელი და პრაქტიკული განმახორციელებელი, თავში უნდა მოქცეოდი ამ პარტიას ჩვენის პირველ საჯაროთ გამოსვლების დროს (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1184).

ამრიგად, თედო სახოკიას ეროვნულ-რადიკალურ გლებთა პარტიასთან ურთიერთობა შემოიფარგლა წინასაარჩევნო საქმიანობით. ამის შემდგომ, თედო სახოკია იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და პარალელურად ლიტერატურულ-მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას აგრძელებს.

თავი V. პირველი ემიგრაცია (1900 – 1905 წწ.)

§1. პარიზის მსოფლიო გამოფენა

1900 წელს პარიზში ტარდებოდა მსოფლიო გამოფენა ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში უმნიშვნელოვანესი მიღწევების აღსანიშნავად და მომავალი საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დასაჩქარებლად. ექსპოზიცია 50 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოინახულა. ექსპოზიცია გაიხსნა 14 აპრილს და 10 ნოემბრამდე გაგრძელდა. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ჯგუფი საქართველოდანაც უნდა გამგზავრებულიყო. მნიშვნელოვანი იყო ის, თუ თედო სახოკია მოახერხებდა ამ ჯგუფის სახელით გამგზავრებას. მას, რა თქმა უნდა, აუნაზღაურებდნენ მგზავრობის თანხას და გამოფენის დასრულებამდე ყოველთვიურად გარკვეულ გასამრჯელოსაც მისცემდნენ.

1900 წლის პარიზის გამოფენის ორგანიზატორებმა გამოფენაზე მიიწვიეს **რაფიელ ისარლიშვილი**, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს წარმომადგენლობას პარიზში. იგი 15 მარტს გაემგზავრა, ხოლო გამოფენა გაიხსნა 14 აპრილს. ამ გამოფენაზე საქართველოსაც ჰქონდა თავისი კუთხე და იქ წარმოდგენილი იყო ისტორიულ-დოკუმენტური მასალა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, მეურნეობის, მკურნალობის, მუსიკისა და სწავლა-განათლების სფეროებიდან.

ამასობაში სოხუმის „ქართული პარტიის“ სახელი უკვე სააშკარაოზე გამოდიოდა და ამიტომ აუცილებელი იყო თედო სახოკია დროებით მაინც გასცლოდა სოხუმს. 1900 წლის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობის მიღება მის სახელს აქ, საქართველოში, დროებით მაინც უჩინოს გახდიდა, მეორეც, თედოს დიდ სურვილს - სწავლა გაეგრძელებინა, რეალობად სახავდა.

ამდენად, თედო და მისი მეგობრები ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა გამოფენის ორგანიზატორებმა, წარმომადგენლობაში თედოც მოახვედრონ. ალექსანდრე **მიქაბერიძემ** შეძლო **რაფიელ ისარლიშვილთან**, საქართველოდან წარმომადგენლობის ორგანიზატორთან, მოლაპარაკება; „გადავრიე მთლად ბებერი, თედო, პარიზში წასვლა არ აგცდება და თვეში, შვიდ-რვა თუმანსაც დაგინიშნავენ“, - აღნიშნავს თედო სახოკიას მისამართით გაგზავნილ წერილში **ალექსანდრე**

მიქაბერიძე, მაგრამ იქვე დასძენს: „მაგრამ სოხუმის ქალაქის საქმეებმა კი რა ჰქნას. უშენობა მანდაურობას ძლიერ დაეტყობა: შენი კორესპოდენციების ამბავზე, გოლიცინი თურმე ძლიერ ცხარობდა. როგორ, ჩემ ჩინოვნიკებს, ვინ ბედავს, რომ მილანძღავსო და სხვ“ („საისტორიო მოამბე“ 1976: 50).

თედო სახოკია 1900 წლის ივლისში უკვე პარიზშია, მას მსოფლიო გამოფენაში საქართველოს წარმომადგენლობის კორესპოდენტად ნიშნავენ, ე. ი. გამოფენის შესახებ კორესპოდენციები რეგულარულად უნდა ეგზავნა ქართული პრესისათვის.

თედოზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვამ, იმ კოლოსალურმა წინსვლამ, რაც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებით იყო განპირობებული.

§2. გაზეთ „საქართველოში“.

ეროვნული საკითხის საერთო გაგებამ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების პერსპექტივებზე შეხედულებების ნათესაობამ ბურჟუაზიულ-ეროვნული და რადიკალურ ეროვნული მიმდინარეობის წარმომადგენლები გაერთიანებამდე მიიყვანა. 90-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი მის მიწურულს „მოამბის“ გარშემო თანდათანობით შემოიკრიბა ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული ინტელიგენციის ახალი თაობა: კიტა აბაშიძე, დავით ერისთავ-მდივნისა (განდევილი), გიორგი ზდანოვიჩი, იაკობ ფანცხავა (ფხა), ი. ცინცაძე. ამ პიროვნებათა გვერდით დგას თედო სახოკიაც.

1896 წლიდან ვალერიან გუნიას რედაქტორობით გამოსვლას იწყებს „ცნობის ფურცელი“. გაზეთში თავდაპირველად საინფორმაციო ხასიათის ცნობები, განცხადებები იბეჭდებოდა. 1899 წელს ვალერიან გუნიამ გაზეთის დახურვა გადაწყვიტა. ამ დროს ამოქმედდნენ „მოამბის“ ახალგაზრდა პუბლიცისტები და გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი გახდა ალექსანდრე ჭყონია (1899-1900 წწ) მოგვიანებით კი, 1900 წლის დეკემბრიდან, ალექსანდრე ჯაბადარი.

მთავრობის ნებართვით, გაზეთის პროგრამა გაფართოვდა და მასში შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტური და სხვა სახის მასალების ბეჭდვა.

„ამრიგად, - წერს გიორგი ლასხიშვილი, - როგორც იქნა, დაგვირგვინდა ჩვენი კარგა ხნის მოლოდინი და სურვილი საკუთარი გაზეთის დაარსების შესახებ (ლასხიშვილი 1992: 116).

ამ ჯგუფში შემავალ პოლიტიკურ გაერთიანებას თავდაპირველად „**ცნობის ფურცლელთა**“ სახელით მოიხსენიებდნენ და „**ცნობის ფურცლის**“ ჯგუფს უწოდებდნენ. პოლიტიკურად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პარტიის წარმომადგენელთა რიგებში არის თედო სახოკიაც, მიუხედავად მისი საქართველოში არყოფნისა. როგორც ვიცით, ის პოლიტიკური დევნის გამო 1900 წლიდან საფრანგეთშია და იქიდან აგზავნის კორესპონდენციებს გაზეთისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას თვეში ოთხი კორესპონდენცია უნდა გამოეგზავნა გაზეთისათვის, მიღებული ჰონორარით კი გაეგრძელებინა ცხოვრება და სწავლა.

გაზეთ „**ცნობის ფურცლის**“ რედაქციის ირგვლივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე პარტიის ლიდერად **არჩილ ჯორჯაძე** გამოიკვეთა, რომელიც დაჯილდოვებული გახლდათ შესაფერისი ორგანიზატორული უნარით, ჟურნალისტური ნიჭით, ღრმა თეორიული ცოდნითა და ანალიტიკური აზროვნებით. პარიზში მყოფი თედო სახოკია თავის „**ავტობიოგრაფიაში**“ **არჩილ ჯორჯაძის** შესახებ შემდეგს იგონებს: არჩილ ჯორჯაძეს ვიცნობდი, როგორც გიმნაზიაში პირველ მოსწავლეს, მაგრამ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თვალთაგან დამეკარგა.მაშინდელი მისი პოლიტიკური მიმართულება მერყევი იყო. ერთს გარკვეულ რასმე გზაზე ვერ შემდგარა, თითქოს კოსმოპოლიტობდა. ეროვნულ მსოფლმხედველობას გაურბოდა, ჩამორჩენილობად მიაჩნდა ეროვნული იდეის გაზიარება, შორს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი გაეზიარებინა, ექჟეცებოდა, ქართველ ერს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება შესძლებოდა (**სახოკია 1969: 229**).

საქართველოდან ჯგუფის პარიზში ჩასვლამდე ფართო პროპაგანდა გაჩაღდა ახალი ქართული ორგანოს დაარსებისათვის. „საქართველოს მრავალ კუთხეში გიორგი დეკანოზიშვილს თანამგრძნობი აგენტებისა და საერთოდ დაინტერესებული ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის მხარდაჭერის წყალობით 1902 წლის დასაწყისისათვის „**ცნობის ფურცლელთ**“ 7000 მანეთამდე თანხა შეუგროვებიათ. პირველ ხანებში ეს სავსებით საკმარისი იყო. კომიტეტმა თავის ორ წევრს, არჩილ

ჯორჯაძეს და გიორგი დეკანოზიშვილს, დაავალა საზღვარგარეთ გამგზავრება და ქართული გაზეთის გამოცემა. კომიტეტის არჩევანი იმ მოსაზრებით იყო გამოწვეული, რომ ერთი აირჩიეს როგორც თეორეტიკოსი და იდეური მხარის ხელმძღვანელი, მეორე - როგორც ენერგიული ორგანიზატორი და დახელოვნებული პრაქტიკული მოღვაწე“. **ჯორჯაძე - დეკანოზიშვილის** ჯგუფს მესამე წევრიც მიემატა, ეს იყო ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე. ამავე პერიოდში საფრანგეთში მათ შეუერთდა თედო სახოკია (**შველიძე 1993: 39**).

პარიზში ოც კაცზე მეტ მოსწავლე ქართველობას მოეყარა თავი. თავად თედო სახოკია აღნიშნავს, რომ მესამედასელები, როგორც მაშინ ეძახდნენ სოციალ-დემოკრატებს, პარიზში არ იყვნენ, „იმათ ბუდედ აკი ჟენევა ითვლებოდა, შვეიცარიას შეფარებოდნენ, ხოლო პარიზი, როგორც უფრო არისტოკრატიული ქალაქი, „ბურჟუების“, ანუ სოციალ-ფედერალისტებისა იყო“.

ახალი გაზეთის ორგანიზატორებმა გარს შემოიკრიბეს, ერთი მხრივ, იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ქართული ძალები, მეორე მხრივ, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს დასავლეთ ევროპელ და ფრანგ სოციალისტებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან, იქ მყოფ რუსეთის რევოლუციურ-ოპოზიციური მოძრაობის წარმომადგენლებთან.

„ანარქო - სინდიკალების გაზეთ „**Action-ის**“ რედაქციამ მათ დაუთმო თავისი სტამბის კუთხე, მონმარტის ბულვარზე დაიქირავეს თავიანთთვის და რედაქციისთვის ბინა და იქ დაიწყო წინასწარი სარედაქციო თათბირები. გარდა ჩვენ მიერ გაგზავნილებისა, პარიზში იყვნენ ჩვენი თანამემამულენი თედო სახოკია, ექიმი ალექსი დიასამიძე, ზურაბ ავალიშვილი, ნოე ჟორდანია, რომელმაც „ერთი თუ ორი წერილი მოათავსა კავკასიაში მუშათა მოძრაობის შესახებ“ (**ლასხიშვილი 1992: 140**) და სხვა.

ამავე პერიოდიდან პარტიის რიგებში შედის თედო სახოკია, - აღნიშნავს **გიორგი ლასხიშვილი** თავის მოგონებაში, „ხოლო თედო სახოკია მკვიდრად ჩაება საგაზეთო მუშაობაში“ (**ლასხიშვილი 1922: 140**). „აქტიური მონაწილე და თანარედაქტორია მაშინ საფრანგეთში მყოფი ქართველების მიერ დაარსებული არალეგალურ გაზეთ „საქართველოსი“, რომელიც ქართულ-ფრანგულ ენებზე გამოდიოდა და (სხვათა შორის, ამ რედაქციას ეკუთვნის იმ ქართული შრიფტის

ჩამოსხმაც, რომელსაც დღემდე შერჩენია „პარიზულის“ სახელწოდება)“. შრიფტი გარეგნული სილამაზის გარდა, არსებულ შრიფტთაგან დიდად განირჩეოდა ხვავიანობით და ჩამტეობით (სახოკია 1069: 230). თედო სახოკია გაზეთ „საქართველოს“ გამოცემიდან მის დახურვამდე (1905 წლამდე) თანარედაქტორი და ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელია, ხოლო ამის შემდგომ პარტიის დავალებით ბრუნდება საქართველოში.

1903 წლის 1 მაისს გამოვიდა ახალი ქართული ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო“. გაზეთის დაარსების მიზანი ჩამოყალიბებული იყო გაზეთის სარედაქციო წერილში „ქართულ თავისუფალ ორგანოს დაარსების საჭიროება“.

საზღვარგარეთ გამოცემულ „საქართველოს“, ცხადია, ბევრად თავისუფლად შეეძლო ეთქვა სათქმელი, ვიდრე ცენზურის მარწუხებში მოქცეულ „ცნობის ფურცელს“, - ქართველი ხალხის იმჟამინდელი მდგომარეობა უნუგემო და მძიმე იყო. ქართველებს სხვისი დახმარების იმედი არც უნდა ჰქონოდათ, რადგან მას, ვისაც სიცოცხლე სურდა, თვითონვე უნდა მოეწყო თავისთვის. „საქართველო“ თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხს სვამდა და მოკლედ ჭრიდა, რომ თავისუფლება ხელგაუნძრევლად არავის ენიჭებოდა, თავისუფლებისათვის ბრძოლა კი უპირველესად ბრძოლისათვის მომზადებას მოითხოვდა. გაზეთს სურდა ფართო სჯა-ბაასი გაემართა დასელთა შორის „ქართველი ხალხის მომავალი ეროვნული და სოციალური ორგანიზაციის“ შესახებ სათანადო პოლიტიკურ და ეროვნულ დაწესებულებათა შექმნის გზით. „საქართველო“ სურდა გამოერკვია, რა ტკივილები აწუხებდა ქართველ ხალხს ან მის რომელიმე კლასს, „სხვადასხვა მიმართულების წერილების მოთავსების გზით, წერდა გაზეთი, - შევიძლებთ გავიგოთ, რას ჰფიქრობს მთელი საქართველო და არა ერთი რომელიმე მისი კუთხე, პროვინცია, წოდება და კლასი“. „საქართველო“ ფიქრობდა კავშირი დაემყარებინა რუსეთის სხვადასხვა პარტიასთან, „რათა რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა პროგრამებში ქართველი ეროვნების კითხვაც იყოს შეტანილი. ამ პერიოდიდან ქართულ პრესაში და, საერთოდ, პოლიტიკურ სინამდვილეში „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს „საქართველოისტები“ ეწოდათ, მათი ახალი ორგანოს სახელწოდების მიხედვით (შველიძე 1993: 104).

გაზეთის დაბეჭდვა ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ ამაზე მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა გაზეთის ადრესატამდე მიტანა, ე. ი. გაზეთის საქართველოში გამოგზავნა. „გამზადებული ნომრების შემოპარებისათვის რომ გაემზადნენ, აღმოჩნდა, რომ წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით მოქმედება არც ისე ადვილი იყო. ეს მეტად სარისკო საქმე აუცილებლად მოითხოვდა მოხერხებულობას, საზრიანობას, გაბედულობას თუ გონებამახვილობას. ამასთან ერთად, იღბალიც თან უნდა შეშველებოდათ. საიდან გამოჩნდებოდა საფრთხე გაზეთის ცენზურის ხელში ჩავარდნისა, არავინ იცოდა. თანაც საზღვარგარეთიდან როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო გზით ამხელა გზის უხიფათოდ გამოვლა სიკვდილ-სიცოცხლის საფრთხეს უტოლდებოდა.

პირველი ნომრის საქართველოში ჩამოტანა, რა თქმა უნდა, თედო სახოკიას უნდა ედო კისრად. აღნიშნავს გიორგი ლასხიშვილი: „დიდის გაჭირვებითა და მეცადინეობით მოახერხეს გიორგი დეკანოზიშვილმა და თედო სახოკიამ „საქართველოს“ პირველი ნომრის ჩვენში გამოგზავნა. საზოგადოდ არალეგალურ გაზეთების ექსპედიციის საქმე ერთობ ძნელი იყო, ჩვენი გაზეთისათვის კი, ეს პირდაპირ უბედურება იყო პირველ ხანებში“ (ლასხიშვილი 1992:140).

გაზეთების საქართველოში ადრესატამდე მისასვლელად ყველანაირ ზომებს მიმართავდნენ. თედო სახოკია აღწერს ამის შესახებ: „გვადრუცებს ანუ ჩემოდნების ძირებს ისე ვავსებდით, რომ თვალთათვის შეუმჩნეველი იყო, ყველა საქართველოში მომავალი ქართველისათვის - ქალი იქნებოდა თუ კაცი - უეჭველად უნდა გამოეტანინებინა ახალგამოსული „საქართველოს“ ნომრები. ერთ-ერთი ნომრის საქართველოში ჩამოტანა, რა თქმა უნდა, თედო სახოკიას უნდა ედო კისრად და მოახერხა კიდეც.

1903 წლის ზაფხულში თედომ კონსპირაციული გზით საქართველოში შემოიტანა პარიზში დაბეჭდილი არალეგალური ლიტერატურა და კვლავ საფრანგეთში დაბრუნდა, რადგან გაიგო, რომ მას დაპატიმრებას უპირებდნენ.

1903 წელს დაწყებული გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა, გაგრძელდა 1905 წლამდე. სულ გამოიცა 25 ნომერი. გაზეთის გამოცემა შეწყვეტილ იქნა პარტიული საქმიდან გამომდინარე პარტიის წევრებს უფრო რთული რევოლუციური (შეიარაღებული) გამოსვლებისათვის უნდა მოემზადებინა ხალხი.

§3. ქენევის კონფერენციაზე (1904 წ.)

გაზეთების „ცნობის ფურცლის“ სამი წლისა და „საქართველოს“ ერთი წლის მუშაობამ საკმაოდ ფართოდ დააყენა ეროვნული და სოციალური საკითხები და სავსებით გამოარკვია ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო პარტიის პროგრამა და პარტიის მუშაობა, ამიტომ, - იგონებს თედო სახოკიას თანამებრძოლი **გიორგი ლასხიშვილი**, - ჩვენმა ამხანაგებმა საზღვარგარეთ საჭიროდ დაინახეს, აზრთა გაცვლა მოეხდინათ საქართველოს სხვადასხვა სარევიოლუციო პარტიის ჯგუფთა შორის იმის გამოსარკვევად, არის თუ არა ნიადაგი შეთანხმებული მოქმედებისათვის. რადგან ასეთი სურვილი საზღვარგარეთ ზოგიერთ ქვეყანაში იყო, კონფერენციის მოწვევა გადაწყდა და იგი კიდევაც შედგა 1904 წლის დასაწყისში ქალაქ ქენევაში. ამ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო ჩვენი პარტიისათვის, არამედ საერთოდ, ჩვენი კაცობრიობის განვითარებისათვის. რადგან ამ კონფერენციის შესახებ ჩვენში ძლიერ ცოტა რამ იციან თვით პოლიტიკურმა პარტიებმაც (**ლასხიშვილი 1992: 141**).

თავად თედო სახოკია ძალიან მოკლედ გადმოსცემს ამ კონფერენციის შესახებ, მაგრამ იმითაც, რასაც იგონებს, შესაძლებელია კონფერენციის სულისკვეთებასა და განწყობილებაზე სრული წარმოდგენა შეგვექმნას. „1904 წელს ამ კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ როგორც ქართველი **სოციალ-ფედერალისტები**, ისე ქართველი **ანარქისტები (ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი და კომანდო გოგელია)** და **სოციალ-დემოკრატები**. კონფერენციის მიზანი იყო, მონაწილეებს რაიმე საერთო ენა გამოენახათ საქართველოს ავტონომიის განხორციელების საქმეში, მაგრამ კონფერენციის მესამე დღეს სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა დემონსტრაციულად დატოვეს სხდომა და საჯაროდ აღიარეს, საქართველოს ავტონომიისათვის ზრუნვა რეტროგრადობა და მტკნარი უაზრობაა! ამ კონფერენციის ოქმები შემდეგში გამოიცა პარიზში (**სახოკია 1984: 10**).

მოკლედ შევეხოთ კონფერენციის მნიშვნელობას. კონფერენცია გაიხსნა **1904 წლის 1 აპრილს ქენევაში**, მასში საზღვარგარეთ მყოფი ქართული პოლიტიკური ფრაქციები მონაწილეობდნენ. კონგრესის ინიციატორები ამ თავყრილობას უწოდებდნენ „**საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სხვადასხვა მიმართულებათა**

წარმომადგენლების კონფერენციას“, თვით სოციალ-ფედერალისტები ჟენევის თავყრილობას თავიანთი პარტიის პირველ კონფერენციად თვლიდნენ. „საქართველოსტებმა“, როგორც მათ მოიხსენიებდნენ, გადაწყვიტეს საზღვარგარეთ მყოფი ქართული რევოლუციური ფრაქციების გაერთიანება. მათი მიზანი იყო გაერკვიათ:

1. რას ფიქრობდნენ ქართული რევოლუციური ფრაქციები ეროვნულ საკითხებზე;

2. შესაძლებელია თუ არა მათი გაერთიანება ეროვნულ ნიადაგზე, კერძოდ კი, ქართველოს ავტონომიის დროშის ქვეშ.

მიმოვიხილავთ ამ ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენას იმდენად, რამდენადაც კონფერენცია დაკავშირებულია თედო სახოკიას სახელთან. როგორც ზემოთ ვახსენეთ, თედო სახოკია ძალიან მოკლედ აღწერს ამ ისტორიულ ფაქტს, მაგრამ მის შესახებ ვგებულობთ თავად ოქმების ჩანაწერებიდან, რომლებიც გამოაქვეყნა კონფერენციის შემდეგ გიორგი დეკანოზიშვილმა და გამოაგზავნა თბილისში.

კონფერენციის მონაწილენი თავიანთი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მუშაობაში ჩაერთვნენ კონსპირაციული სახელებით და ასევე მიმართავდნენ ერთმანეთს, ოქმებშიც ასე არიან მოხსენიებულნი. (სხვა მონაწილეთა ვინაობა მაგალითად: გიორგი დეკანოზი, თედო სახოკია, მიხეილ წერეთელი და სხვები) უცნობია („კავკასიონი“ 1964: #10; 126) კონფერენციის მონაწილე 21 წარმომადგენლიდან მხოლოდ რამდენიმე პირის ფსევდონიმი იყო ცნობილი. რაც შეეხება თედო სახოკიას, მისი ფსევდონიმი ყოფილა „ცანგალა“, რის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით დიმიტრი შველიძისა და გიორგი გაფრინდაშვილის გამოკვლევაში (შველიძე... 1969: 69).

ჟენევის კონფერენცია უალრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 1900-იანი წლების საქართველოს ისტორიაში, აქ მოიყარა თავი ქართულ პოლიტიკურ არენაზე მოქმედმა მიმდინარეობებმა. აქ იყვნენ „საქართველოსტები“ - რომლებიც ხელმძღვანელობდნენ კონფერენციის მუშაობას, აგრეთვე სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ანარქისტები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატები. სოციალ-დემოკრატებმა მეორე დღესვე დატოვეს კონფერენცია და ამით ისინი დასცილდნენ

ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მეტიც, რამდენიმე წლის განმავლობაში უპირისპირდებოდნენ მას.

კონფერენციაზე დარჩენილმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა შეთანხმებას მიაღწიეს. ისინი გაერთიანდნენ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ და შექმნეს ბლოკისტური ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია „**საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია**“. ქართული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც გაერთიანდებოდა კავკასიის ფედერაციაში და შევიდოდა რუსეთის კონფედერაციაში. ეროვნული ბრძოლა სოციალისტ-ფედერალისტების უპირველესი მიზანი ხდებოდა.

ჟენევის კონფერენციაზე ორგანიზებული პარტია, ფაქტობრივად, იმხანად საქართველოში მოქმედი ეროვნულ-რევოლუციური და ოპოზიციური მიმდინარეობის კონსოლიდაციის შედეგს წარმოადგენდა. ეს ჯგუფები პარტიული კუთვნილების მიხედვით სხვადასხვა იდეალსა და სოციალურ მიზნებს ემსახურებოდნენ და განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ავტონომისტი „**საქართველოისტები**“ სოციალიზმ-ფედერალიზმის მომხრენი იყვნენ, რაც, მათი აზრით, სოციალური და ეროვნული პრობლემების კომბინირებული გადაწყვეტის ნიმუშს წარმოადგენდა; ესერები მიწის სოციალიზაციის განხორციელებას ისახავდნენ მიზნად; ეროვნულ-დემოკრატები კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პოზიციაზე იდგნენ და კაპიტალიზმის განვითარებას უკავშირებდნენ საქართველოს მომავალს; ანარქისტები უსახელმწიფო სოციალური სისტემის განხორციელებას მიიჩნევდნენ იდეალად. აი, ეს განსხვავებული ჯგუფები გაერთიანდნენ ერთ ძირითად პუნქტში - ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლაში ერთად უნდა ყოფილიყვნენ (**შველიძე... 2010: 65-66**).

კონფერენციის მსვლელობისას სულ რვა საკითხზე იმსჯელეს, მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც შეიძლება შევაფასოთ, როგორც საპროგრამო დოკუმენტები, რომლებსაც იღებდა საბოლოოდ ჩამოყალიბებული სოციალისტ-ფედერალისტების პარტია. ზოგიერთი რეზოლუცია ასე გამოიყურებოდა: ფედერალისტებმა თავიანთ მთავარ მიზნად ოფიციალურად გამოაცხადეს

საქართველოს დამოუკიდებლობა. აგრარულ საკითხში მხარი დაუჭირეს მიწის სოციალიზაციას, ანუ მის დანაწევრებას გლეხთა თემებს შორის.

რეზოლუცია რევოლუციურ ორგანიზაციად აცხადებდა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას, რომელსაც რევოლუციური, შეიარაღებული ბრძოლის გზით უნდა მოემზადებინა ხალხი „პოლიციასა და ჯართან შეტაკებისათვის“, განეხორციელებინა „სარევოლუციო რაზმების“ ორგანიზება ბიუროკრატიულ სამხედრო და სხვა დაწესებულებათა დასამხობ - აღმოსაფხვრელად“ (შველიძე... 2010: 65-66).

ბოლო რეზოლუცია გაზეთ „საქართველოს“ აცხადებდა „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანოდ“. ჟენევის კონფერენცია ღიად და თავისუფლად ამცნობდა საქართველოსაც, რუსეთის იმპერიასაც, ევროპასაც, რომ ამიერიდან „ცნობის ფურცლეულთა“ და „საქართველოისტების“ ეროვნულ-რადიკალთა ჯგუფებმა მიიღო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ სახელი. გარდა ამისა, ჟენევის კონფერენციაზე დამტკიცებულმა საპროგრამო დოკუმენტებმა დაასრულა პარტიის ჩამოყალიბების პროცესი.

1904 წლის 7 აპრილს, საღამოს, ჟენევის კონფერენციამ მუშაობა დაასრულა.

თავი VI. საქართველოში იარაღის შემოტანის საქმე (1905 წ.)

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალა, თედო სახოკია და საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანა საქართველოში 1905 წელს (ერთი გვერდი 1905 წლის რევოლუციის ისტორიისა).

თედო სახოკიას გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, რომელიც დათარიღებულია 1931 წლის 27 მარტით. ხელნაწერის მოცულობა შეადგენს 90 გვერდს. გადმოცემულია ცნობები 1905 წელს საქართველოში შემოტანილი იარაღის შესახებ. კერძოდ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საფრანგეთში მყოფმა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი დეკანოზიშვილმა საქართველოში მიმდინარე მოვლენების, /მოახლოებული რევოლუციის/ გათვალისწინებით იაპონიის სამხედრო ხელისუფალთა დახმარებით შვეიცარიაში შეიძინა (თოფები - ვაზნებით) იარაღი. საქართველოში, შავიზღვისპირა ზოლში პარტიის ლიდერებთან ერთად შორის, ამ მისიას უშუალოდ ხელმძღვანელობდა თედო სახოკია.

თედო სახოკიას ხელნაწერში აღწერილი აქვს, საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის გიორგი ლასხიშვილის, პარტიის წევრთა მიერ, იარაღის მისაღებად გაწეული საქმიანობა. დეტალურად აქვს აღწერილი იარაღის შეძენა, აგრეთვე გემ „სირიუსის“ და მისი ეკიპაჟის წევრთა ისტორია. გემიდან იარაღის გადმოტვირთვა, წინასწარ მომზადებულ საწყობშივე დალაგება, შემდეგ გატანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ხალხის შეიარაღება; სარევოლუციო კომიტეტების დაარსება ფოთში, ბათუმსა და სოხუმში.

მოგონებაში ასევე აღწერილია რეპრესიები და სადამსჯელო ოპერაციები. აგრეთვე იმ პერიოდის მოვლენების ამსახველი საგაზეთო კორესპონდენციები, დამნაშავეთა დასჯისა და დაკავების სასამართლო პროცესები.

თედო სახოკია თავის ავტობიოგრაფიაში მოკლედ აღწერს იარაღის შემოტანის ამბავს. ეს ალბათ იმიტომ, რომ მას უკვე გამზადებული ჰქონია ზემოაღნიშნული მოგონებანი გამოსაცემად, ვრცელი მონოგრაფია, მიძღვნილი ამ უაღრესად ისტორიული მოვლენისადმი. „1905 წლის გაზაფხულზე გიორგი დეკანოზიშვილმა პარიზიდან თითქმის ყველა იქ მყოფი ქართველი გამოისტუმრა სამშობლოში, ზოგს რა დაავალა, ზოგს რა. ბოლოს ჯერი ჩემზე მოდგა. სამშობლოში

ჩამოსულს უნდა მეკისრა საზღვარგარეთიდან წამოსული იარაღის მისაღებად დახვედრება. ხალხისა და ამ იარაღის გადმოცლა შავი ზღვის პირის სხვადასხვა პუნქტებში. ეს ჩემი გასაკეთებელი საქმე ჩემთვის უნდა გაეადვილებინა იმ გარემოებასაც, რომ შავი ზღვის პირის (სოხუმის) მცხოვრები ვიყავ და ამ ზღვის სანაპირო ადგილები და მკვიდრნი ჩემთვის ნაცნობნი და შინაურნი იყვნენ.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გემის მოლოდინისა და მის მიერ წამოღებული იარაღის მისაღებად მზადების ამბავი გავუზიარე ჩემს სკოლის ამხანაგს მიხეილ ესაკიას, რომელსაც ფოთის პორტის მუშათა შორის დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა. და სწორედ ამ პორტის მუშებს და მენავეებს უნდა მიეღოთ ამ საქმეში უშუალო და მხურვალე მონაწილეობა: იმათის მეშვეობით უნდა გადმოტვირთულიყო საზღვარგარეთიდან მოსული იარაღი და დარიგებოდა ხალხს რევოლუციისათვის.

დავაარსე კომიტეტები ფოთს გარდა ბათუმსა და სოხუმში. ბათუმში მოეწყო გაზეთ „Черноморский вестник-ის“ სტამბაში პარტიულ არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვა, აქედან კი ხდებოდა ხალხში გავრცელება. მოეწყო სხვადასხვა ქალაქებში საჯაროდ მიტინგებზე გამოსვლა, აშკარად დაგმოზა არსებულ წესწყობილებისა და მოთხოვნა ამ წყობილების შეცვლისა.

ამასობაში, პარტიის მიერ საზღვარგარეთ (ჰოლანდიაში) შექმნილმა სამანძიანმა ორთქმავალმა გემმა „SIRIUS-მა“ საქართველოს ნაპირებს მოაყენა პარტიის მიერ შვეიცარიაში ნაყიდი თოფები. გემს მიგებებულმა სანდლებმა იარაღის ნაწილი გადმოტვირთეს შავი ზღვის პირის სხვადასხვა ადგილას. გადმოტვირთული იარაღი ნაწილი მთავრობამ ჩაიგდო ხელში, სხვა ხალხს დაურიგდა (სახოკია 1969: 234-235).

1905 წლისათვის საფრანგეთში მყოფი თედო სახოკია პარტიის დავალებით საქართველოში ბრუნდება. იმპერიის მასშტაბით მზადდება საყოველთაო რევოლუციური გამოსვლები. საქართველოშიც უნდა დაიწყოს რევოლუციისათვის მზადება, საჭირო იყო როგორც ცარიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის ხალხის შემზადება, ასევე - იარაღი, რომელიც ხალხის საბრძოლო სულისკვეთებას რეალობად აქცევდა. საზღვარგარეთიდან წამოღებული იარაღის გადმოცლა შავი

ზღვის სანაპირო პუნქტებში სწორედ თედო სახოკიას ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო.

გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში აღწერს პარტიის ამ საქმიანობას. კერძოდ, ის წერს: „1905 წელს ჩვენმა პარტიამ შეაჩერა გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა. იმავე დროს საზღვარგარეთიდან დაბრუნდა თედო სახოკია. **გიორგი დეკანოზიშვილი** ისევ პარიზში დარჩა და განაგრძობდა თავის სარევოლუციო მუშაობას. მთავარი საქმე, რომელსაც იგი მაშინ აკეთებდა, იყო იარაღის შოვნა და შეგროვება და შემდეგ მისი საქართველოში გამოგზავნა“ (**ლასხიშვილი 1992: 176-177**).

გიორგი დეკანოზიშვილმა იმ პერიოდში საფრანგეთში მყოფი სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციურ პარტიებთან თანამშრომლობით მიაღწია იმდენს, რომ კავშირი დაამყარა საფრანგეთში იაპონიის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკ **მოტოძირო აკაშისთან**. ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომამდე იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა ფულითა და იარაღით დახმარებოდა რუსეთის იმპერიის რევოლუციურ და ოპოზიციურ, განსაკუთრებით კი დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიებს. მიზანი იყო ნიკოლოზ მეორისათვის გაეხსნათ მეორე ფრონტი. (**შველიძე... 2010: 77**).

იაპონური ფულით ეწყობოდა სრულიად საიმპერიო მასშტაბის რევოლუციურ-ოპოზიციური პარტიების კონფერენციები, გამოიცემოდა ჟურნალ-გაზეთები და რუსეთის ტერიტორიაზე იგზავნებოდა არალეგალური ლიტერატურა, ყიდულობდნენ დიდძალ იარაღს, რომელთა რიცხვში გიორგი დეკანოზიშვილის მიერ შეძენილი საბრძოლო იარაღიც (თოფები, თავისი ვაზნებით) შედიოდა.

1905 წლის ივლისის შუა ხანებისათვის პოლკოვნიკ აკაშისაგან მიღებული ფულით იარაღის დასამზადებლად აძლევს შეკვეთას და ამის პარალელურად გემის შეძენასა და საქართველოში იარაღის შემოტანისათვის იწყებს მზადებას. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც თედო სახოკიაც პარტიის დავალებით უკვე საქართველოშია.

გიორგი დეკანოზიშვილმა საიდუმლოდ შეიძინა „ვეტტულისის“ 8 000 თოფი და 1 მილიონ **200 000** ვაზნა, აგრეთვე გემი „**SIRIUSI**“. ამ პერიოდში იაპონელი აკაშისგან დახმარებაც შეწყდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ რუსეთ-იაპონიის ომი დამთავრდა რუსეთის დამარცხებით. იაპონიის სამხედრო ატაშე რუსეთ-იაპონიის

1905 წლის 5 სექტემბრის ზავის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, გაწვეულ იქნა საფრანგეთიდან, მისი ფინანსური დახმარება რუსეთის პოლიტიკური პარტიებისადმი შეწყდა და გიორგი დეკანოზიშვილიც მატერიალური დახმარების გარეშე დარჩა. გიორგი დეკანოზიშვილს ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად სჭირდებოდა გემის მთლიანი ეკიპაჟი, ამისათვის კი თანხა უკვე აღარ ჰქონდა. დახმარებისათვის მიმართა საფრანგეთში მყოფ ქართველ კაპიტალისტ ბესარიონ ლოლობერიძეს, რომლისგანაც უარი მიიღო. აგრეთვე მიმართა და იარაღის გაყოფის სანაცვლოდ, დახმარება სთხოვა საფრანგეთში მყოფ სომეხ „დამნაკებს“ მაგრამ მათგანაც უარი მიიღო. რჩებოდა „ექსპროპრიაციის აზრი“ საფრანგეთში მყოფი ქართველი იაკობ ზუბალაშვილის მიმართ, მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული „ექსპროპრიაცია“ ილბლიანად დამთავრდა, მან ამ საქმისათვის 25 000 ფრანკი გაიღო. „თუმცა უხერხულ მდგომარეობაში კი ჩააგდო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერები. ამის შესახებ თავად თედო სახოკია წერდა გიორგი დეკანოზიშვილს ბათუმიდან 18 ნოემბერს: „თქვენ რომ ულტიმატუმები დაგიდვიათ, ის კაცი ჩვენთან ძალიან კარგად იქცეოდა. აქამდე იმით ვიბრუნებდით სულს. სამწუხაროა, რომ შენ არაფერი იცოდი და იმასთან სირცხვილში ჩავარდი. არა უშავს, გამოვასწორებთ საქმეს და ბოდიშს მოვიხდით მასთან. ყოჩაღად კი მოქცეულხართ“ („კავკასიონი“, 1964: #10: 125).

ამ საქმის დასრულებისა და გემის საქართველოში მშვიდობიანად გამომგზავრების შემდეგ უნდა დაწყებულიყო ყველაზე უმთავრესი - გემის დახვედრა და იარაღის მიღება.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერი გიორგი ლასხიშვილი აღწერს იარაღის მისაღებად გაწეულ საქმიანობას. „იარაღის მისაღებად ჩვენ აქ შესაფერისი ორგანიზაცია მოვაწყვეთ და საჭირო თადარიგი დავიჭირეთ. შემუშავებული იყო გეგმა, როგორ უნდა მომხდარიყო იარაღის გემიდან გადმოტვირთვა, წინათვე მომზადებულ საწყობშივე მისი დალაგება, შემდეგ გატანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ხალხის შეიარაღება. მთავარი ზედამხედველობა დაევალა მიხა ესაკიას, რომელიც მაშინ ფოთში ცხოვრობდა: ტფილისიდან გავგზავნეთ თედო სახოკია და ვლადიმერ ლორთქიფანიძე: თან

გავაყოლეთ ერთი მეტად გამოცდილი მარჯვე მომუშავე სპირიდონ ნორაკიძე“ (ლასხიშვილი 1992: 177).

ბათუმში სპეციალური დავალებით თედო სახოკია და აგრეთვე ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე ჯაბადარი შეხვედრას მართავენ იმ პერიოდში ბათუმში მომსახურე დავით კლდიაშვილთან. როგორც ცნობილია, დავით კლდიაშვილს დიდი გავლენა ჰქონდა ჯარისკაცებსა და სხვა პირებთან. მართალია შეხვედრის შემდეგ რომ რაიმე მნიშვნელოვანი დახმარება მიეღოთ დავით კლდიაშვილისაგან, არ ჩანს, მაგრამ რჩევა-დარიგება და თანადგომა აშკარა იყო.

სარეგოლაციო კომიტეტი, ფოთს გარდა, ბათუმსა და სოხუმშიც დაარსდა. ბათუმში გაზეთ „Черноморский вестник-ის“ რედაქციის სტამბაში იბეჭდებოდა აგრეთვე პარტიის არალეგალური გამოცემები, საიდანაც ურიგდებოდა ხალხს.

ყოველივე ზემოთქმულს დავძენ იმასაც, რომ ხდებოდა ხალხის შემზადება, დაიწყეს სხვადასხვა ქალაქში მიტინგების მოწყობა. ამ პროცესებში თედო სახოკიას როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა, ამ დროის თედოს მდგომარეობა უტყუარი სინამდვილით არის აღწერილი მისივე წერილში მეუღლე ნადესადმი. 1905 წლის 24 ივლისს თედო სახოკია წერს: „კარგო ნადე! ძალიან დამიგვიანდა ჩემი ამბის მოწოდება, მიზეზი ერთის ადგილიდან მეორეში მუდმივად გადასვლა, მოუსვენარი ცხოვრებაა, მაპატიე“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #705).

ხოლო იგი მეუღლეს ატყობინებს, მეორე წერილში ვკითხულობთ, რომ 1905 წლის 4 ნოემბერს მიტინგს მართავენ ფოთში. ის, რომ წერილის ადრესატი, ერთიანად გამოკიდებულია შავი ზღვისპირა ზოლის ქალაქებს, ამ წერილიდან კარგად ჩანს. წერილი გამოგზავნილია ბათუმიდან ბანძაში, მეუღლეს ატყობინებს, მიტინგი იმართება ფოთშიო, თვითონ სოხუმშია და წერილის დაწერისთანავე მიდის აბაშაში. საჭიროდ ჩავთვალე წერილის უცვლელად გადმოღება:

„ჩემო ნადე, 10 იმ თვეს მივიღე შენი წერილი, მაგიერი იმ დღესვე გამოგზავნე. მე კი სოხუმში წავედი და გთხოვე მანდედან მოგეწერა, მაგრამ მერე გზები შეიკრა და მგონი ჩემი წერილიც დაიკარგა და შენიც, გწერდი მალე ნახვას, მაგრამ ეგზომ აქამდე შორს მამყოფა. ხვალ ღამ ფოთში მივდივარ, კვირას მანდ მიტინგს ვმართავთ და ან იმავე დღეს და ან მეორე დღეს გამოვწევ პირდაპირ შენსკენ.

მეჩქარება და მეტს ჯერჯერობით ვერას გწერ - მე კარგად ვარ და იმედია, შენც კარგად დამხვდები. კარგად და ბედნიერად იყავ, ჩემო კარგო ნადე. შენი თედო. აბაშაზე მივდივარ“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდ, # 707).

ასეთ პირობებში ხდება იარაღის მისაღებად მზადება. 1905 წლის 22 ნოემბერს ფოთის ნავსადგურთან, მიცემული ინსტრუქციისა და შემუშავებული გეგმის მიხედვით, გემი გაჩერდა, ფოთის სანაპიროდან 20 კილომეტრის მანძილზე მის დასახვედრად თანახმად წინასწარი შეთანხმებისა, გემიდან იარაღის გადმოსატვირთად ნავები იდგა.

მიუხედავად ხელმძღვანელობისა და პარტიის მიერ ამ საქმის გასაიდუმლოებისა, რუსეთის ხელისუფლებას და სპეცსამსახურებს უკვე ჰქონდათ ინფორმაცია საქართველოში იარაღის შესაძლო შემოტანის შესახებ. რუსული ესკადრა ესწრაფოდა ამ იარაღის ხელში ჩაგდებას.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელი აღმოჩნდა იარაღის მიღების მზადების პროცესის გასაიდუმლოება. ამას დაემატა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურობა, რათა თვითონ ჩაეგდო ხელში ეს იარაღი, ამისათვის პარტიამ ყველანაირ ხერხს მიმართა, - დარაზმა ხალხი სოციალ-ფედერალისტების წინააღმდეგ, არ დაზოგა არანაირი საშუალება, რათა მოეხდინათ არეულობა, ამით ესარგებლათ და ეს იარაღი მათ ხელში აღმოჩენილიყო.

გემ „SIRIUSI-დან“ იარაღის ნაწილი გადმოცალეს. ცუდი ორგანიზებულობის გამო გემის კაპიტანი იძულებული გახდა, მეორე ნაწილი ზღვაში გადაეყარა, როგორც შეთანხმებულნი იყვნენ წინასწარ. გადმოცლილ იქნა 4500 თოფი და მათი სამყოფი ვაზნები, რაც ჩაიბარა ფოთის ნავსადგურში ამ ოპერაციისთვის დაქირავებულმა სამმა სანდალმა. ხოლო დანარჩენი იარაღის ჩაბარება ევალებოდა ბათუმის საორგანიზაციო კომიტეტს, რომელმაც სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, - დატოვა ადგილი და „სირიუსს“ არ დაახვედრა საჭირო ნავი (სანდალი).

ამდენად, „SIRIUSI-ს“ კაპიტანი გემის მოსალოდნელი დაკავების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით დარჩენილ იარაღს, 3500 ცალ ერთეულს თავისი ვაზნებით, ყრის ზღვაში და გადის სამშვიდობოს.

ასე, დასრულდა ოპერაცია. სანახევროდ გადმოცლილი იარაღის ნაწილიც რუსი ჯარისკაცების ხელში აღმოჩნდა.

თედო სახოკია ამ ოპერაციის წარუმატებლობას სოციალ-დემოკრატებს აბრალებს. ამის შესახებ მას აღნიშნული აქვს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. კერძოდ, თედო სახოკია თვლის, რომ სოციალ-დემოკრატებმა მოღალატეობა გამოიჩინეს, რადგან სწორედ ისინი შეეცადნენ იარაღს დაპატრონებოდნენ. შედეგების შესახებ თედო სახოკია წერს გიორგი დეკანოზიშვილისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1906 წლის 4 იანვარით არის დათარიღებული და იწინასწარ გიორგი დეკანოზიშვილის პირად არქივში, საფრანგეთში. იგი აღნიშნავს: „რასისადაც არ მიმართეს (იგულისხმება სოციალ-დემოკრატები) ოღონდ ჩვენთვის ხელი შეეშალათ, რუსის მთავრობა ხელს არ გვიშლიდა იარაღის გამოტანაში, მხოლოდ ესენი გვიშლიდნენ. იმ გადარჩენილი იარაღის შესახებ ხალხს ეუბნებიან, იმიტომ მოიტანეს ფედერალისტებმა, რომ თავადებს დაურიგონ და ხალხი გაჟლიტონო. ჩვენმა ხალხმა ამ იარაღის მიღების დროს ნამდვილი ველურობა გამოიჩინა: არც დისციპლინა, არც შეგნება თუ რისთვის მოვიდა. თავისუფლების ღირსი არა ვყოფილვართ მეთქი, რამდენჯერმე ვთქვი“ (**„საისტორიო ვერტიკალები“ 2007: #13;11**).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ანტიეროვნული, მოღალატეობრივი საქმიანობის წყალობით, რუსეთის „**ოხრანკამ**“ შემლო იარაღის გამოტანასთან დაკავშირებული დეტალების გარკვევა და ბროშურის სახით რუსულად გამოსცა კიდევ ამ საქმის გამოძიების მასალები. აღნიშნული ბროშურა ქართულად თარგმნა და ბერლინში გამომავალ ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ „**ქართველი ერის**“ 1944 წლის # 8-9-ში გამოაქვეყნა ემიგრაციაში მოღვაწე გამოჩენილმა მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ **ვიქტორ ნოზაძემ**.

თავი VII. თედო სახოკია სოხუმში (1905 -1908 წწ)

1905-1908 წლებში თედო სახოკია რჩება სოხუმში და იქ აგრძელებს ცხოვრებას თავის მშობლიურ სახლში. ეს განპირობებულია არა მისი სურვილით, არამედ იმით, რომ მისი საქმე სასამართლო გამოძიების პროცესში იყო.

თედო სახოკიას სოხუმში ცხოვრების პერიოდს დაემთხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც იყო სოხუმის ეპისკოპოსად კირიონის (ერში გიორგი სამაგლიშვილის) დანიშვნა, რასაც მიესალმა ქართველი საზოგადოება, რადგანაც ამ კუთხეს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ქართული საქმის ერთგული გულშემატკივარი სასულიერო თუ საერო პირი. თედო სახოკია არაერთგან აღნიშნავს კირიონის შესახებ, როგორც საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მიესალმა კირიონის აფხაზეთში მსახურებას.

საქართველოში ხალხის გამოფხიზლების, რევოლუციური აქტიურობის, არსებული წყობილების წინააღდეგ შეურიგებლობის გამოხატულებას წარმოადგენდა ხილულად, ყველას დასანახად იარაღის შემოტანა. რუსეთის ხელისუფლება ამას არ შეურიგდებოდა და აკი, აწია კიდევ საქართველოს შავზნელი რეაქცია 1905-1906 წლებში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია იმ პირთა საბრალდებო საქმის მოკლე აღწერილობა, ვინც მონაწილეობას იღებდა საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოტანილი შვეიცარიული ვეტტულისის ტიპის თოფების და ვაზნების შემოტანაში.

თავად თედო სახოკია აღნიშნავს: „საქმე განსახილველად გადაეცა სასამართლო ორგანოებს, თბილისის სასამართლო პალატამ სასამართლო პალატის წევრის **ბოგოლოვსკის** თავმჯდომარეობით და ამავე პარტიის წევრის და წოდებათა წარმომადგენელ სოხუმის ქალაქის თავის ნიკო თავდგირიძის, ქალაქ სოხუმის **ექიმის ბარსკისა** და ესტონელთა სოფლის მამასახლისის მონაწილეობით. ქალაქ სოხუმში გაირჩა საზღვარგარეთიდან თოფებისა და სხვა საბრძოლო იარაღის კონტრაბანდად შემოტანის საქმე.

სასამართლო პროცესზე პასუხისგებაში მიცემულ თედო სახოკიას იცავდნენ პეტერბურგიდან ჩამოსული ვეჟილები: **ლუარსაბ ანდრონიკაშვილი** და **დავით**

ერისთავი, ხოლო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის მხრიდან ვექილები გიორგი გვაზავა და იოსებ ბარათაშვილი.

1907 წლის 19 სექტემბერს თბილისის სასამართლო პალატამ დაადგინა: თედო სახოკია დამნაშავედ იქნას ცნობილი საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანის საქმეში, რისთვისაც იგი გადასახლებულ იქნას ციმბირში სამუდამოდ საცხოვრებლად.

1905-1906 წლების რევოლუციური გამოსვლები დაღმავლობისკენ იხრებოდა, იმპერიის მასშტაბით დაიწყო რეპრესიები, რომელსაც მოწინავე ინტელიგენციისთვის მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია. ამის დასტურია შავრაზმელების მიერ პედაგოგ შიო ჩიტაძის მოკვლა, აგრეთვე ცნობილ იურისტისა და ეთნოგრაფის ილია ჭავჭავაძის მეგობარ ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობა და ა. შ. უცხოეთში გადაიხვეწნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, რომელიც შემდგომ წლებში ემიგრაციაში ხვდებოდა, მეგობრობდა თედო სახოკიას და მოგონებაც უძღვნა ამ შეხვედრებს. ამავე პერიოდში გადასახლეს აფხაზეთის ეპარქიაში ახლა დანიშნული ეპისკოპოსი კირიონი, ქუთაისის ციხიდან გაქცევით უშველა თავს ლეო შენგელაიამ (სილოგავა... 2007:241).

სოხუმის ციხეში პატიმრობის პერიოდს, თავად თედო სახოკია ასე იხსენებს: „სოხუმის ციხეში შევიტყვე ილიას ვერაგული მკვლელობა, - ამასთან დაკავშირებით, სოხუმის საპატიმროში ყველა პატიმარს (მათ შორის სისხლის სამართლის დამნაშავეებსაც კი) მეფის ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად ერთდღიანი შიმშილობა გამოეცხადებინათ. - ამ დროს პატიმრებს დაემტვრიათ ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ. თბილისში ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე სოხუმელ პატიმრების სახელით სამძიმრის დეპეშაც მე გამოვაგზავნე, როგორი იყო ჩემი გაცემა, როდესაც თბილისის გაზეთები მივიღეთ, სადაც ჩემი დეპეშა იყო დაბეჭდილი“ (სახოკია 1969: 95).

სამგლოვიარო დეპეშის ხელმომწერთა შორის გამონაკლისს სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, რომლებმაც უარი განაცხადეს ხელის მოწერაზე პოლიტიკური თვალსაზრისით. სამძიმრის დეპეშა შემდეგი სახისა იყო; - „აქაური ციხის პოლიტიკური პატიმარნი ვიზიარებთ დაობლებულ საქართველოს

თავისუფლად მყოფთ ასულთა და ძეთა მწუხარებას. მათთან ერთად ძაძით ვიმოსებით და ვგლოვობთ ყველა წერა კითხვის მცოდნე ქართველთა უებრო მასწავლებელს და მოქალაქეობრივის შესანიშნავ მოძღვრის ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებას, ჩვენ ზიზღს ვუგზავნით იმათ, ვინც საქართველოს ასე ვერაგულად მოსტაცა მისი სიამაყე და მისი დიდება. დარწმუნებული ვართ, რომ ავაზაკნი, რომელთაც მხცოვან მოხუცის წმინდა სისხლით ხელი შეიღებეს, და მათნი სულის ჩამდგმელნი სამარცხვინო ბოძზე იქნებიან გართხმულნი. თედო სახოკია 1907 წელი“ (**ჭავჭავაძე 1907: 95**).

სწორედ ამ მოვლენების სასამართლო გარჩევისა და მისი გასაჩივრების მოლოდინის გამო რჩება თედო სახოკია საქართველოში, აფხაზეთში.

თედო სახოკიას ბრალეულობის გამო გამოტანილი განაჩენი ვექილებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს უმაღლეს ინსტანციებში, ხოლო თედო თავდების ქვეშ გათავისუფლებულ იქნა ციხიდან, მას სოხუმის დატოვება და სხვა ადგილას საცხოვრებლად გადასვლა აეკრძალა.

საქმე, რომელმაც თითქმის ერთ წელიწადს გასტანა, საბოლოოდ სენატში გადაწყდა. ამ ხნის განმავლობაში თედო ხშირი სტუმარი იყო ქალაქის თავ ნიკო თავდგირიძისა და სოხუმის ოლქის უფროს ლევან ჯანდიერის ოჯახებისა.

ნიკო თავდგირიძის ბინაზე ცხოვრობდა სოხუმის ცნობილი ბოქაული პლატონ მიქაბერიძე, რომელიც ლევან ჯანდიერის ოჯახშიც ხშირად დაიარებოდა. ნიკო თავდგირიძისა და ლევან ჯანდიერის მეუღლეებს არაერთხელ უთხოვიათ პლატონ მიქაბერიძისთვის, თუ პეტერბურგიდან თედო სახოკიას საკასაციო საქმეზე უარყოფითი პასუხი მოვიდოდა, რაც მის ციმბირში ეტაპით გაგზავნას გულისხმობდა, იქნებ როგორმე მოეხერხებინათ მისთვის საზღვარგარეთ გამგზავრება და ამ გზით თავის შველა.

პლატონ მიქაბერიძე ორივეს ჰპირდებოდა, რომ იგი იმდენად პატივს სცემდა მათ და თედო სახოკიას, რომ მათ თხოვნას სიამოვნებით შეასრულებდა და ამის შესახებ მათაც უმაღლ მოახსენებდა.

ლევან ჯანდიერის მეუღლე და ნიკო თავდგირიძე ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ პლატონ მიქაბერიძე თავის დაპირებას პირნათლად

შეასრულებდა და ამრიგად, თედო სახოკია მოსალოდნელ სასჯელის ზომას თავს დააღწევდა და როგორმე მოახერხებდა საზღვარგარეთ საიდუმლოდ წასვლას.

თედო სახოკიას შესახებ საკასაციო საჩივარი სენატმა უცვლელად დატოვა და ამრიგად, თბილისის სასამართლოს განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ. სოხუმის ბოქაულმა პლატონ მიქაბერიძემ მიიღო მოწერილობა, რომლითაც მას ევალეზოდა თედო სახოკიას დაპატიმრება და მისი ეტაპით ციმბირში გაგზავნა სასჯელის მოსახდელად.

პლატონ მიქაბერიძე დაუყონებლივ გაემურა თედო სახოკიას ბინისკენ სრული იმედით, რომ თედო სახლში დახვდებოდა და იქვე დააპატიმრებდა. დაგეშილ ბოქაულს იმედი გაუცრუვდა, თედო სახლში ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო.

თედოს სახლობამ ბოქაულს განუცხადა, რომ თედო დილაადრიან სახლიდან გავიდა და ამჟამად უეჭველია ქალაქის თვითმმართველობაში იქნება ქალაქის მოურავთან რაღაც საქმეზე მოსალაპარაკებლად.

ბოქაული მიქაბერიძე ელვის სისწრაფით ქალაქის თვითმმართველობის შენობისკენ გაემურა. მთხოვნელთა მისაღებ დარბაზში თედოს ადგილი კუთხეში დაეჭირა და გაზეთს კითხულობდა ქალაქის თავის ნახვის მოლოდინში.

ბოქაულმა მოკრა თვალი თუ არა კუთხეში მჯდომ თედოს, ხმამაღლა შეჰყვირა: „თქვენ დაპატიმრებული ხართ! აი, მოწერილობა თქვენი დაპატიმრების შესახებ.“ თედო სახოკია, რა თქმა უნდა, ძალაუნებურად უნდა დამორჩილებოდა ბოქაულის ტლანქსა და უხეშ განკარგულებას.

1908 წლის გასულს თედო სახოკია ეტაპით გაამგზავრეს შორეულ ციმბირში, **ირკუტსკში, ვერხოლენსკის** მაზრის სოფელ **ტუტურში**, სადაც უნდა დამკვიდრებულიყო და მოეხადა სასჯელი.

თედო ციმბირში ცხოვრობდა ერთ ოთახში ციმბირშივე გადასახლებულ ერთ-ერთ ქართველთან. მართალია, სასმელ-საჭმლით სრულად უზრუნველი იყო, ჟურნალ-გაზეთებიც თუმცა დაგვიანებით, მაინც დროგამომშვებით მოდიოდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების სურვილი ტყვეს დღითიდღე უძლიერდებოდა.

ციმბირისაგან თავის დაღწევას თედო როგორმე მოახერხებდა, მაგრამ საგზაო ფულის უქონლობა ხელს უშლიდა, მის განუყრელ სურვილს სამშობლოში

დაბრუნების შესახებ. თედო სახოკია დეპეშას უგზავნის საქართველოში თავის მეგობრებს იაკობ გოგებაშვილს და თედო ჟორდანიას. სთხოვს მათ დეპეშით ხუთ-ხუთი თუმანი გადაუგზავნონ. ციმბირში საქმე გაიჩარხა, თედომ საჭირო ზომები მიიღო იმისთვის, რომ ციმბირის ადმინისტრაციას შეუმჩნევლად დასხლტომოდა და საქართველოში გამომგზავრებულიყო.

თედო სახოკია საგანგებოდ ჩავიდა ქალაქ ირკუტსკში, სადაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ჩვენს თანამემამულე ვინმე კალანდარიშვილს, გაეცნო მას და თავისი საიდუმლო გაანდო.

აქ საუბარია ნესტორ კალანდარიშვილზე (1874-1922წწ), რომელიც 1903 წლიდან ჩაება სოხუმში რევოლუციურ საქმიანობაში, ადვილი სათქმელია თედო სახოკიასადმი ნაცნობობაც, 1904 წელს სოციალ-ფედერალისტთა პარტიაშია, მონაწილეობდა იარაღის გადმოტვირთვის საქმეს, რის გამოც შეიპყრეს, აქედან ხვდება ციმბირში ირკუტსკის ციხეში, საიდანაც გაიქცა და რჩება საცხოვრებლად.

ნესტორ კალანდარიშვილი თანაგრძნობით შეხვდა თედოს წინადადებას, შეუდგინა ფიქტიური პასპორტი, საქართველოში დაბრუნების ნებართვის ქაღალდი და თავისი ლოცვა-კურთხევით გამოისტუმრა სამშობლოში გაციმბირებული რევოლუციონერი. თედო რამდენიმე კვირის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, რათა თავისი ნაცნობ-მეგობრები მოენახულებინა, შემდეგ კი საზღვარგარეთ გასამგზავრებლად თადარიგს შესდგომოდა.

სწორედ იმ დროს, როცა თედო სახოკია ციმბირიდან სამშობლოში ჩამოვიდა, თბილისის საპოლიციო ნაწილს განაგებდა სოხუმიდან გადმოყვანილი **პლატონ მიქაბერიძე**. თედო ფრთხილობდა, დღისით პოლიციელმა მიქაბერიძემ თვალი სადმე არ მომკრასო და ამიტომ იგი თავის ნაცნობ მეგობრებში ღამდამობით დაიარებოდა და ციმბირის ამბებს მოუთხრობდა თავის ნაცნობ-მეგობრებს.

იაკობ გოგებაშვილს, თედო ჟორდანიას, აკაკი ხოშტარიას და მის სახლობას სასიამოვნოდ დაურჩათ თედოს ციმბირიდან ფარულად დაბრუნება. ყველანი ერთხმად ურჩევდნენ, რამდენიმე ხნით საზღვარგარეთ შეეფარებინა თავი. თედოც ამ აზრისა იყო, მაგრამ სანამ საზღვარგარეთ გაემგზავრებოდა, იგი უნდა გამგზავრებულიყო სოხუმიდან საგანგებოდ ჩამოსულ მეუღლესთან გამოსამშვიდობებლად (ლიტ. მუზ. სახოკიას ფ. #19868/302).

თავი VIII. თედო სახოკიას ოჯახი

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა გვერდით მათი ცხოვრების და შემოქმედების აქტიურ მხარდამჭერებად, როგორც წესი, გვევლინებიან მათი ოჯახის წევრები, განსაკუთრებით - მეუღლე, სულ ერთია, სად უნდა იყვნენ ეს პიროვნებები, ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ, უცხოეთში. ისინი არანაკლებ ღვაწლსა და ამაგს სდებენ საერთო საქმეს, რადგანაც ერთგულად უდგანან მხარში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეს. საქართველოში ამგვარია თითქმის ყველა შემოქმედისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწის უკან მდგომი ოჯახის (მეუღლის) ხვედრი.

საქართველოში, ასე ვთქვათ, „ჩრდილში მდგომი“ ადამიანები არსებითად არ არიან ღირსეულად დაფასებული. უცხოელი მეცნიერები კი ამგვარი პიროვნებების პირადი ცხოვრების დეტალების კვლევას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

თედო სახოკიას ოჯახის შესახებ ცნობებს მისივე ცხოვრებისეული მოვლენების ასახვისას ვხვდებით, გარდა ამისა, არსებობს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მოგონებები, პირადი ხასიათის წერილები და ა. შ.

თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კვლევისას განსაკუთრებულად გამოვყოფთ მის **მეუღლეს ნადე კეკელიას**. თედო სახოკიასა და **ნადე კეკელია-სახოკიას** ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა, 1906-1918 წლები. ამ ერთ ათეულზე ცოტა მეტ პერიოდში **ნადე კეკელიას** იმდენი წამება, საყვარელ მეუღლესთან განშორება ერგუნა, რომ ძნელია განსაზღვრო, ეს ბედნიერება იყო თუ ტანჯვა. თედო სახოკიას ხუთჯერ საქართველოში პატიმრობა, **ქუთაისის, სოხუმის, თბილისის** ციხეები, კატორღა, ციმბირში სამუდამოდ გადასახლება და შემდგომ საქართველოსაგან, საყვარელი მეუღლისა და შვილებისგან შორს, ემიგრაციაში წლების გატარება. ამდენად, ცხოვრებისეული სირთულეების, გადატანა თავად მარტოს უწევდა ე. ი. ქალის მხრებზე გადადიოდა.

ნადე კეკელია სამეგრელოში ცნობილი **დეკანოზის ანტონ კეკელიას** ქალიშვილი იყო, რომელიც თავისი სულიერი ცხოვრებითა და შინაგანი პატიოსნებით გამოირჩეოდა, ამასთანავე, ძალიან განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყო. **„ანტონ კეკელია (1855-1920 წწ.)** ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო მთელ სამეგრელო-გურიის ეპარქიაში. ის მღვდლად თვით ცნობილმა **გაბრიელ ეპისკოპოსმა** აკურთხა. მისი ამაგის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ვიტყვი

მხოლოდ იმას, რომ მის სახელს უკავშირდება საქართველოში ოცამდე სკოლის გახსნა, აგრეთვე ამავე სოფელში (ბანძა) სოფლის საავადმყოფოს, ფოსტის, ბანკის და სასამართლოს დაარსების ინიციატივ. მათვე სკოლაში ის სამ საგანს ასწავლიდა: ღვთიმეტყველებას, მათემატიკასა და ფრანგულს.

დეკანოზი ანტონ კეკელია წინ აღუდგა ცარიზმის მზაკვრულ პოლიტიკას მეგრულად ეთარგმნათ სახარება, რაც ქართველი ერის დაშლა-დანაწევრებისათვის იყო გამიზნული. დეკანოზი ანტონი თავგამოდებით იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, თავისი შვილებისაგან 5 ვაჟს უმაღლესი განათლება მიაღებინა და ქალებს კი თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი დაამთავრებინა, რომელთა შორისაა **ნადე კეკელია, თედო სახოკიას** მეუღლე (**სურმანიძე 2004: 17**). დავძენთ, რომ მის ხელში აღიზარდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, პროფესორები: **სერგი ჯიქია, ეფრემ ზაქარაია, სერგი დანელია** და სხვები.

თედო სახოკია და **დეკანოზი ანტონ კეკელია** ერთმანეთს იცნობდნენ ჯერ კიდევ თედოს დაოჯახებამდე. 1891 წელს წერილში ანტონ კეკელიასადმი თედო ძმად მოიხსენიებს მას: „ძმაო ანტონ, ბოდიშს გიხდი, ყაზბეგის მიღება ასე დაგიგვიანე...“ , აგრეთვე ამავე წერილიდან ირკვევა, რომ ნადესაც ქორწინებამდე ახლოს იცნობდა: „წარსულ კვირას სასწავლებელში წაველ ნადიას სანახავად“, ამ დროს ნადე ჯერ კიდევ ბავშვი 11 წლისაა, „გამოვკითხე სასწავლებლის ყოფაცხოვრებაზე, ჯერჯერობით კმაყოფილი ვარო სწავლითა და პირობებით... მეორე გამომასლაათებამდე!“ (**საისტორიო მოამბე 1975: 143**).

ემიგრაციაში ყოფნისას კი, 1900 წელს, პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ჩასული თედო სახოკია აღნიშნავს ანტონ კეკელიას მეგობრობას „პარიზში 1900 წელს მსოფლიო გამოფენაა. საქართველოდან ჩამოსულს საფრანგეთის დედაქალაქში დამხვდა მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი. მან ჩემთან სხვა ფოტოებთან ერთად დაინახა სურათი ჩემი მეგობრის, **დეკანოზ ანტონ კეკელიასი**, რომელიც სამეგრელოში როგორც სასულიერო, ისე სახორციელოთა შორის უმშვენიერესის, პირდაპირ კლასიკური სილამაზის ადამიანად ითვლებოდა. განსაკუთრებით შვენოდა ანაფორა და მაყურებელი ძალაუნებურად ქრისტეს ადარებდა (**სახოკია 1984: 165**). ზემოაღწერილიდან გამომდინარე, თედო სახოკია მეუღლის მამას,

დეკანოზ ანტონ კეკელიას, ნადე კეკელიაზე დაოჯახებამდე იცნობდა და მასთან მჭიდრო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდა.

აფხაზეთის, კერძოდ, სოხუმის მოვლენების აღწერისას, კიდევ ერთხელ ვხვდებით ანტონ კეკელიას სახეს; „**ანტონ კეკელია** 1906 წელს **სოხუმის** ქალაქის თვითმმართველობის მდივნადაც აირჩიეს” (**სურმანიძე 2004:20**). ეს ის პერიოდია, როდესაც სოხუმის მმართველობის ზემდგომ ინსტანციებში თითქმის ყველა ქართულენოვანი წარმოშობის ჩინოვნიკი დგას, რუსი შავრაზმელების პოლიტიკა კი სულს ღაფავს. ანტონ კეკელიას გარდა, ამ დროს **სოხუმში** მოღვაწეობდნენ: **ქალაქისთავი ნიკო თავდგირიძე, სოხუმის ოლქის უფროსი ლევან ჯანდიერი, აფხაზეთის მღვდელმთავარი კირიონი**. თუმცა, ყველა ძირითად რგოლში ქართველების ყოფნა ძალზე გამაღიზიანებელი აღმოჩნდა საიმპერიო კარისათვის.

დაოჯახებამდე, დროებით ციხიდან გამოშვებული თედო სახოკია აგრძელებს საზოგადოებრივ საქმიანობას, აპირებს ქორწინებას. ნადესადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „დავბინავდი და ბოლო მოელო ჩვენს ამგვარ მდგომარეობას. შენგან ველი დახმარებას, როგორ მოვუხიბლოთ „მამას“ გული, როგორ შევუდგეთ მასთან საქმის მოგვარებას, ჯერ მე მოვიდე თუ სხვა მივუგზავნო, მე, შესაძლოა, შენს სანახავად წამოვიდე, მაგრამ მამაშენს მანამდე ვერ ვეჩვენები, სანამ გადაჭრილ პასუხს არ მივიღებ, ჩემო სიცოცხლე, ნადე, შენი თედო“ (**ხეც. სახოკიას ფ. #718**).

1906 წლის 20 ივლისს თედო სახოკია სოხუმიდან ბანძაში უკვე თვითონ აგზავნის წერილს **დეკანოზ ანტონ კეკელიასთან** და ატყობინებს დაოჯახებას ნადე კეკელიაზე (**ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #597**). რა თქმა უნდა, მათი ქორწინება ურთიერთშორის დიდი ხნის მეგობრობით და სიყვარულით იყო განმტკიცებული.

თედო სახოკიამ და ნადე კეკელიამ ქორწინების შემდგომ ცხოვრება სოხუმში, საკუთარ სახლში, გააგრძელეს. თედო სახოკია დროებით ქალაქის თვითმმართველობაში იწყებს მუშაობას, ხოლო ნადე (ნადეჟდა) კეკელია, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა თბილისის ქალთა სასულიერო სასწავლებელი და დაოჯახებამდე სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა, იქვე აგრძელებს მოღვაწეობას.

ამ პერიოდის მოვლენები გადმოცემული აქვს **იპოლიტე ვართაგავას** თავის მოგონებაში თედო სახოკიას შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „ერთ დღეს

მესტუმრა თედო თავისი მეუღლით... ძალიან გამიხარდა. თედო სრულებით არ გამოცვლილა. ყოჩაღად, ჯანმრთელად, მხიარულად გამოიყურებოდა. ბევრი ვილაპარაკეთ სხვადასხვა საკითხებზე. მე რამდენიმე შეკითხვა მივეცი 1905 წლის რევოლუციის მსვლელობის შესახებ ჩვენში. შევატყვე, რომ დიდი სიამოვნებით მაინცდამაინც არ მპასუხობდა. ამ პერიოდის გახსენების დროს მას სახეზე (განსაკუთრებით თვალეებში) აღებეჭდებოდა ჭმუნვა, სევდა. ეტყობოდა, რომ თედოს არ უნდოდა რევოლუციის საკითხებზე მეუღლის თანდასწრებით ელაპარაკა. როდესაც თედოს მეუღლე ცოტა ხნით მეორე ოთახში გაიყვანა ჩემმა ცოლმა, თედომ ნაღვლიანად მითხრა, რომ ამ ეპიზოდის შესახებ წარმოებს ფართო გამოძიება, რომ მის წინააღმდეგაც წარმოებს გამოძიება, რაც თითქმის დამთავრებულია და პროცესიც მალე დაინიშნება. „მეო, - თქვა თედომ, - არ ამცდება თუ კატორღა არა, გადასახლება მაინც. საშინელი სისულელე ჩავიდინე - ცოლი შევირთე. ამ საბრალოს ბედი საშინლად მტანჯავს. მე ჩემს თავზე არც კი ვფიქრობო“ (ვართაგავა 1962: 322-323).

მართლაც, რამდენიმე თვეში განახლდა საქმის გამოძიება და პროცესების პარალელურად, თედო დააკავეს. 1907 წელს უკვე სოხუმის ციხეშია. ეს პერიოდი დაემთხვა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას წიწამურში. პატიმარებს ისე განუცდიათ მომხდარი, რომ სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნიათ. ტექსტი თედო სახოკიას მიერ ყოფილა შედგენილი და პატიმრების მიერ ხელმოწერილი. აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა პატიმრებმა უარი განაცხადეს დეპეშაზე ხელი მოეწერათ.

1907 წლის შემოდგომაზე თედო სახოკიას საქმე უნდა გარჩეულიყო უმაღლეს ინსტანციაში პეტერბურგში. საქმის აღსრულებამდე პატიმარი გამოუშვეს, რაკი იმჟამად სოხუმში მცხოვრებ ებრაელი ვაჭარი **სამურიდი** უხდის დროებით გამოსასყიდს 100 მანეთს.

1908 წლის ზაფხულში თედო სახოკია მოგზაურობს სამეგრელოს სოფლებში, აგროვებს ზეპირსიტყვიერებისა და საეთნოგრაფიო მასალებს (ექსპონატებს) **პეტერბურგისა და საქართველოს** საეთნოგრაფიო საისტორიო მუზეუმებისათვის (საკითხი ცალკე თავშია განხილული, აქ მხოლოდ დავიმოწმებთ

ნადესადმი წერილს, რომელშიც იგი მეუღლეს უზიარებს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

ოჯახის შექმნის შემდგომ თედო სახოკიას ცხოვრებაში იწყება ყველაზე მწელი და რთული პერიოდი. 1908 წლის შემოდგომაზე **პეტერბურგის** საიმპერატორო კარისგან მოვიდა ცნობა, თედო დამნაშავედ ცნეს! სასჯელის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი ხელახლა უნდა დაეპატიმრებინათ. ყოველივე ამის შესახებ თედოს მალულად უნდა მიეღო ინფორმაცია, სავარაუდოდ, სოხუმის პოლიცემისტერ პლატონ მიქაბერიძისგან. ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის დატოვება იყო. მაგრამ, მიუხედავად პოლიცემისტერთან წინასწარი შეთანხმებისა, ეს უკანასკნელი მაინც აპატიმრებს და სამართალდამცავებს გადასცემს „დამნაშავეს“.

ციმბირიდან გამოქცეულ თედო სახოკიას უცხოეთში გამგზავრებამდე კიდევ ერთხელ ეძლევა ცოლ-შვილის ნახვის შესაძლებლობა. ნადეც შვილთან, ორი წლის **თინასთან**, ერთად ხვდება მეუღლეს, შორეული ციმბირის ათასგვარ ხიფათს გადარჩენილს, სამშობლომდე მშვიდობით სასწაულებრივად ჩამოღწეულს.

თედო სახოკია ბათუმიდან გადადის თურქეთში, (ოსმალეთის ახლად დაარსებულ რესპუბლიკაში) იმ იმედით, რომ თავი აარიდოს სასჯელს, ხოლო იქ ცხოვრების პირობების გარკვევის შემდეგ ოჯახიც თან წაიყვანოს. მაგრამ ჩანაფიქრს ვერ ახორციელებს თურქეთში არსებული მდგომარეობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების არქონის გამო, საბოლოოდ გადადის ბრიუსელში, ბელგიაში, სადაც დაიდო კიდევ ხანგრძლივი დროით ემიგრანტის ბინა.

ემიგრაციაში ხანგრძლივად ცხოვრების და პირადი თუ საზოგადოებრივი საქმეების გამო უხდება სხვადასხვა ქვეყანაში გადასვლა (საკითხი ემიგრაციის წლების შესახებ ცალკეა აღწერილი), აქ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ოჯახში ნადეს მდგომარეობაზე: მცირეწლოვანი შვილებით ხელში (თედო სახოკიასა და ნადე კეკელიას ორი შვილი ჰყავდათ, **თინათინი (თინა) და ვახტანგი** მარტო დარჩენილი ქალი რამდენ ვაებას გადაიტანდა, მწელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთ თქმული ცხადყოფს, თუ რატომ დაავადდა ახალგაზრდა ნადე იმ დროისათვის უკურნებელი სენით (ქლექით). ნადეს ხშირმა ავადმყოფობამ, ბავშვების მცირეწლოვანებამ, მეუღლისაგან შორს ყოფნამ კიდევ უფრო დაამძიმა მისი ფიზიკური მდგომარეობა.

თედო სახოკია ემიგრაციაში ყოფნის დროს ერთი წუთით არ კარგავს მეუღლის გამოჯანმრთელების იმედს და ზრუნავს მისთვის საჭირო მკურნალობაზე. ასეთია ერთი წერილი (ხეც. 1914 წელს 5 მაისი (22 აპრილი), გამოგზავნილი **ბრიუსელიდან ბანძაში**: „ერთმა ექიმმა უებრო წამალი გამოიგონა შენის ავადმყოფობის. ამას წინ, მოხსენება წაიკითხა პარიზის სამეცნიერო აკადემიაში და ყველამ აღტაცებით მოუსმინა: „დღეს წერილს ვწერ და ვთხოვ ყოველგვარი დარიგება და დამზადებული წამლები (შესაშხაპუნებელია კუნთებში, თავგვამქრის მსგავსად) გამომიგზავნოს ყოველივე და აქედან ყოველივე გომართელს მინდა გავუგზავნო და ჩავაბარო შენი თავი. შენს თავს რომ მიხსნის და მიხსნის, თვითონაც ძალიან სახელს გაითქვამს თუ ამ მეთოდით წამლობა განაგრძო.

თედო სახოკიას არქივში ძალიან ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული მისი მეუღლის, ნადე კეკელიას, შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა პირადი წერილები, რომელშიც კარგად ჩანს ნადე კეკელიასა და თედო სახოკიას ურთიერთობა, მათი სიყვარულის, ერთმანეთს მონატრებული ცოლ-ქმრის ისტორია.

წმინდა ალექსი შუშანიას (თეკლათის მონასტრის ბერი) წერილი ნადე სახოკიასადმი (დათარიღებულია 1914 წლის 11 მაისით) თეკლათიდან არის გაგზავნილი ბანძაში. იგი იმითაა საინტერესო, რომ თან დართული აქვს ნადე სახოკიასადმი მიძღვნილი ლექსი „**ამად მხედველთა - ვმადლობდეთ ღმერთსა და განძლიერდი**“. ამ სიტყვებით დასრულა თავისი წერილი ბერმა ალექსი (შუშანიამ), რომელიც მისწერა თედო სახოკიას მეუღლეს. წმინდა ბერის ეს წერილი მისთვის იქნებოდა ნუგეში ამქვეყნიური ტანჯვა-ვაების გადატანაში. მოგვყავს წერილის ვრცელი ნაწყვეტი: „ზეგარდმო მშვიდობა მადლი და კურთხევა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყავნ შენთანა მდიდრად, რათა იტვირთო მხნედ საწუთრო ესე ბედისა, დაჩაგრულისა, ჭირი და ავადმყოფობა ელისაბედმა მომითხრო შენი და კიდევ მომეთხოვა წერილი მომეწერა, რასაც სიამოვნებით ვასრულებ.

შვილო ნადე! შენ ახალგაზრდობიდან ზნეობით, პატიოსნებით და ღმრთის მოყვარულობით განირჩეოდი თანა მყოფ ქალიშვილებისაგან და ესეთი ციური თვისების სათნოებანი, რა რომ ღვთის საშურ თანაშემსმელ აშენებდა შენს სახელს, განა საფიქროა, რომ განსაცდელის დროს უსუსტოთ სულის შემყენებელ სათნოებას. არა, მე მწამს ყოველი შენზედ მოვლენა ჭირისა და მწუხარებისა, უფრო აღამაღლებს

შენში შენს სულიერ მხარეს... მხიარულად მიეყრდენ მამობასა მისსა, რომელმან ზიარ გყო ჯუარსა მისა საუკუნო სუფევისა მისისადმი აღსაყვანად.

ამასთან, გონების თვალთ მიმოხედე მსოფლიო ტანჯულთა კვნესა-ვაებისაგან, რომელთა უმრავლესობას საყვარელი ძვირფასი გულშემატკივარი მამის ხელი არ ემსახურება და ყოველგვარ ნიჭიერ საჭიროებისაგან უნუგემოდ მცირე რამეზე, განწირული აგდიათ სარეცელზე, ხოლო შენ შენი ძვირფასი მამა და ძმანი განუგემებენ ტკბილი სიტყვებით და ყოველგვარ საჭიროებისამებრ დაუზოგველად შენი სიმრთელისათვის ზომის მიღებით თავს გევლებიან, რაც იშვიათთა ხვედრია, - ამად მხედველთა - ვმადლობდეთ ღმერთსა და განძლიერდი“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1832).

ნადე სახოკიამ სიცოცხლის ბოლო წლები თავის მშობლიურ სოფელ ბანძაში გატარა. ცხოვრების აღსასრულმაც იქ უწია ჯერ კიდევ ახალგაზრდას. 38 წლის ასაკში გარდაიცვალა 1918 წლის მარტში და იქვე, თავის მშობლიურ სოფელში, დაკრძალეს.

ნადე კეკელიას დაკრძალვის დღეს გამოსათხოვარი სიტყვა თქვა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა, 1921 წლიდან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ: „იყავი კეთილი ადამიანი, მატარებელი მოძმეთადმი სიყვარულისა... იყავი მორწმუნე შვილი ეკლესიისა, შენ იყავი ღირსეული შვილი ღირსეული მშობლებისა, ასრულებდი მოსიყვარულე შვილის მოვალეობას, როგორც მასწავლებელი მოზარდი თაობისა... შენ იცოდი, რომ ეს არის წმინდა საქმე და მას შესწირე თავის ძალ-ღონე, ამან კი მოამზადა ნიადაგი შენი ავადმყოფობისათვის. შენ იყავი მოვალეობის აღმსრულებელი, როგორც ღირსეული მეუღლე ღირსეულის ქმრისა, რომელმაც სავსებით განიცადა სიმძიმე ამქვეყნიური უსამართლობა-ძალმომრეობისა, განიცადა დევნა - ექსორიობა მხოლოდ იმისთვის, რომ ის პირნათლად ასრულებდა მოვალეობას თავის სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურისას. ხოლო შენ, განსვენებულო, არ გიღალატნია მოვალეობისათვის როგორც მეუღლეს, როგორც დედას. მხნედ იტანდი სიყვარულის და მოსიყვარულე მეუღლის დიდი ხნით მოშორებას, თუმცა კი სულით იტანჯებოდი.... ნეტარ ხარ შენ, განსვენებულო, რადგან შენ აასრულე შენი მოვალეობა, რადგან შენ, მიუხედავად შენის უკურნებელის სენისა, მოესწარი სიცოცხლეში გეხილა არამც თუ დაბრუნებული მეუღლე, არამედ ისიც, რომ შენი ქვეყანა მოესწრო იმ დღეებს,

როდესაც ის დგება განთავისუფლების გზაზე, რასაც შეჰხაროდი და ემსახურებოდი შენც და მეტადრე შენი ღირსეული ქმარიც... საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო ადამიანო..

თედო სახოკიასა და ნადე კეკელიას 12-წლიანი თანაცხოვრების შესახებ გადმოგვცემს ალექსანდრე მიქაბერიძე: „მოსიყვარულე ცოლ-ქმარი 12 წლის განმავლობაში მეგობრულად ცხოვრობდნენ. ეს მეგობრული, ამხანაგური კავშირი მოსიყვარულე ცოლ-ქმარს შორის ცხოვრების მძიმე ქარტეხილს არ შეუსუსტებია, ჩრდილი არ მიუყენებია, ოჯახის მორალური სიმტკიცე, ყოველთვის და ყველგან თან სდევდა ამ იშვიათად მოსიყვარულე ცოლ-ქმარს. 1918 წელს გარდაიცვალა თედოს მეუღლე. დაობლდა ოჯახი თედოს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი, თინათინი და ვახტანგი მოსწყდნენ დედის სათუთ სიყვარულსა და გულთბილ მოვლა-პატრონობას.

ნადე სახოკიას გარდაცვალების შემდეგ თედო სახოკიას მეორედ ცოლშვილს არ მოჰკიდებია, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება და მოცალეობა მცირეწლოვანი შვილების ირგვლივ აამოძრავა და თავის საყვარელ ქალ-ვაჟს შესაფერისი სწავლა-განათლება მისცა, თავად კი დარჩენილი ცხოვრება ერის სამსახურს შესწირა თავისი სამწერლო მოღვაწეობით (**ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302**).

თედოს შვილებიდან უფროსი, თინათინ (თინა) სახოკია (1907-1996წწ) მამის სიცოცხლეში მას გვერდიდან არ მოშორებია, ეხმარებოდა როგორც საოჯახო, ასევე სამეცნიერო მოღვაწეობაში, რაც ძირითადად სამეცნიერო თუ სხვა სახის შრომების გადაწერაში გამოიხატებოდა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში თინამ მიიღო მამამისის საგამომცემლო მემკვიდრეობაზე სრული პასუხისმგებლობა...

თედო სახოკიას გარდაცვალების შემდეგ მისი არქივი სრულად დაამუშავა, აღწერა, დააარქივა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა მისმა ქალიშვილმა. ეს საქმე დიდი შრომას და ენერგიას მოითხოვდა. მანვე გამოსცა აგრეთვე თედო სახოკიას პირად არქივში დაცული წერილები.

თედო სახოკიას ვაჟი, ვახტანგ სახოკია (1909-1988წწ) მამა-შვილს შორის დაპირისპირება წარმოშობილა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელებულა.

ამის შესახებ ცნობები მოცემული აქვს ალექსანდრე მიქაბერიძეს მონოგრაფიაში. მოგვყავს ამონარიდი ამ მონოგრაფიიდან: „თედო სახოკიას მტკიცე ნებისყოფის დამამტკიცებელი ფაქტები ჩვენს სინამდვილეში მრავალზე უმრავლესია. თედო თუ ვინმეს შეამჩნევდა შეუფერებელ, უსამართლო საქციელს, მიუხედავად ისეთი პირის მდგომარეობისა, ნიშნად პროტესტისა, სამუდამოდ წყვეტდა მასთან ყოველგვარ კავშირს და დამოკიდებულებას. თედო ასეთ გადაწყვეტილებას ზუსტად ატარებდა ცხოვრებაში, ამ გადაწყვეტილების შეცვლა ან შერბილება თედოსთვის ყოვლად მიუღებელი, ყოვლად შეუძლებელი იყო.“

შვილმა ვახტანგმა სახლში ერთხელ, ნაცნობი და უცნობი პირების თანდასწრებით მამა უსამართლოდ მოიხსენია: „რას მიედ-მოედები! შენ ქვეყანას თვალებს უხვევ, ყველას არწმუნებ, ვითომ შენ დიდი ღვაწლი მიგიძღვის რევოლუციის წინაშე, ვითომ შენ დიდი გაქანების რევოლუციონერი იყო! ვინ შენ და ვინ შენი რევოლუციონერობა! ეს სულ მტკნარი სიცრუეა! აბა რა დასაჯერებელია ან ვინ სულელი დაიჯერებს, რომ შენ დიდი რევოლუციონერი ხარ!“

თედომ შვილის ესეთი უსაფუძვლო და უტაქტო საქციელი დიდ შეურაცხყოფად მიიღო. მართალია, მამამ საკადრისი პასუხი შვილს არ გასცა, ზედმეტად მიიჩნია, მაგრამ სამაგიეროდ მან თავის შვილთან სამუდამოდ გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი და დამოკიდებულება. ნაცნობ-მეგობრები ყოველ პირად შეხვედრისას თედოს სთხოვდნენ, „აპატიე შენს შვილს დანაშაული, შეურიგდი, ძველებური მამაშვილური განწყობილება დამოკიდებულება დაიჭირო“. თედო ამ რჩევას ყოვლად მიუღებლად თვლიდა და ყველას სთხოვდა: „უზრდელ და უმართებულო ჩემი შვილის სახელს ნუ ახსენებთ ჩემთან, მე მას სიცოცხლეში არ შეურიგდები და არც უნდა შეურიგდე. ადამიანი, რომელიც უსაბუთოდ, უხეშად, სრულად დაუმსახურებლად აყენებს ვინმეს შეურაცხყოფას, ღირსი არ არის შებრალებისა, იგი უეჭველად უნდა დაისაჯოს“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302).

თედო სახოკიას ოჯახის წევრთა შორის ამჟამად უპირველესი ადგილი მის შვილიშვილს, (ქალიშვილისაგან) შუქია აფრიდონიძე ფილოლოგი წლების მანძილზე ეწევა სამეცნიერო მუშაობას, არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ლინგვისტურ ენათა ცენტრის თანამშრომელი, ამავე უნივერსიტეტის **ემერიტუს-პროფესორი**.

შუქია აფრიდონიძე, არის ცოცხალი მემკვიდრე პაპისა. შვილიშვილი, რომლის დაბადებისა და ბავშვობის წლებმა პაპის ხელში, მის მეთვალყურეობაში გაატარა. **შუქია აფრიდონიძემ** პაპას უძღვნა „**მოგონება მოუგონელი**“, რომელშიც იხსენებს პაპას და საინტერესოდ აღწერს მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს.

თავი IX. მეორე პოლიტიკური ემიგრაცია (1909-1916 წწ.)

თედო სახოკიამ თავისი ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთი ემიგრაციაში გაატარა. პირველად 1900-1905 წლებში მოუწია სამშობლოს დატოვება, უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა მეორე ემიგრაცია 1909 - 1916 წლებში, ციმბირიდან გამოქცევის შემდგომ. ემიგრაციაში ყოფნისას ის სწავლობდა საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტსა და პარიზის ანთროპოლოგიურ სკოლაში, პარალელურად სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, იღებდა მონაწილეობას სამეცნიერო ექსპედიციებში. 1902 წელს თედო სახოკია არჩეულ იქნა რეიმსის (საფრანგეთი) აკადემიის წევრ - კორესპოდენტად, ხოლო 1904 წლის ერთ-ერთ სხდომაზე - პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრ - კორესპოდენტად.

ემიგრაციაში ყოფნისას თედო სახოკიას ურთიერთობა ჰქონდა ემიგრაციაში მყოფ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან: **არჩილ ჯორჯაძესთან, გიორგი ლასხიშვილთან** და სხვებთან. მათთან ერთად მონაწილეობას იღებდა „**საქართველოს სოციალისტ - ფედერალისტთა პარტიის**“ ჩამოყალიბებაში, ამასთან ერთად, პარიზში არალეგალურად გამომავალ ქართულ გაზეთ „**საქართველოს**“ გამოცემაში, აგრეთვე საქართველოში მის არალეგალურად შემოტანა-გავრცელებაში.

1905 წელს საზღვარგარეთ მყოფი თედო სახოკია პარტიის დავალებით საქართველოში ბრუნდება. ამჯერად იგი იმპერიის მასშტაბით საყოველთაო რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობასა და ცარიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდასთან ერთად საქართველოში შემოტანილი შვეიცარული საბრძოლო იარაღის, ტყვია-წამლის მიღება-განაწილების საქმეს ხელმძღვანელობს.

საზღვარგარეთიდან წამოღებული იარაღის გადმოცლა შავი ზღვის სანაპირო პუნქტებში სწორედ თედო სახოკიას ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო. ამავე საქმის გამო დაწყებული გამოძიება დასრულდა, - თედო სახოკიას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და ციმბირში გადაასახლეს. გამოძიებისა და სასამართლო პროცესები დიდხანს გააჭიანურა მოსარჩელე მხარეთა მიერ საქმის უმაღლეს ინსტანციებში გასაჩივრებამ, მაგრამ საბოლოოდ პატიმარს მაინც მიესაჯა „ყოველგვარი ღირსების აყრა“, გადასახლება ციმბირში, სამუდამო პატიმრობა.

ციმბირში თედო სახოკიამ რამდენიმე თვე დაყო, 1908 წლის შემოდგომიდან 1909 წლის მაისამდე. 1909 წლის მაისში მოახერხა გაქცევა და, მიუხედავად უამრავი ხიფათისა და ფათერაკისა, მშვიდობიანად მოაღწია საქართველოს. მაგრამ საქართველოში ვერ ჩერდება, იძულებულია თავშესაფარი რომელიმე უცხო ქვეყანაში ეძებოს, სანამ რუსეთის ხელისუფლებისაგან ხელშეუხებლობის გარანტიას არ მიიღებს. მეგობრების დახმარებით 1909 წელსვე ემიგრაციაში მიდის და ხანგრძლივად, 1916 წლამდე რჩება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ვიდრე რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისგან საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცემა.

ციმბირიდან დაბრუნებული, ემიგრაციაში საბოლოოდ დამკვიდრებამდე, ცდილობს საქართველოსთან ახლოს ოსმალეთის ახლად დაარსებულ სახელმწიფოს შეაფაროს თავი.

ცხოვრების ამ მონაკვეთის შესახებ ცნობები თედო სახოკიას ძალიან მოკლედ აქვს აღწერილი თავის „ავტობიოგრაფიულ მოგონებებში“, აგრეთვე, მოგონებებში „ციმბირში“. შედარებით ვრცლად ამ პერიოდზე ცნობები დაცულია წერილებში, რომლებიც ძირითადად მეუღლის, ნადე სახოკიასადმი, აქვს გამოგზავნილი. ეს წერილები საუბრობს თითქმის ყველაფერზე: თედოს ცხოვრებაზე ემიგრაციაში, მის ყოველდღიურ საქმიანობაზე... წერილები ეხება როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირადი ხასიათის საკითხებს. ამ წერილების საფუძველზე შესაძლებელია თედო სახოკიას ემიგრაციაში ყოფნის 1909-1916 წლების მოვლენების ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერა.

ციმბირიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოსული დიდხანს ვერ ჩერდება ჟანდარმერიისა და პოლიციის შიშით. მეგობრების დახმარებით მალულად გადადის **ბათუმში** და იქიდან კი ლაზი ბეგების მეშვეობით **შავი ზღვით ხოფაში** ჩადის, **ხოფიდან - ტრაპიზონში**, აქედან **მარსელში**, **მარსელიდან - პარიზში** და საბოლოოდ **ბელგიაში**, **ბრიუსელში**, მკვიდრდება, როგორც ემიგრანტი, პოლიტიკური დამნაშავე, თავდახსნილი რუსეთის ხელისუფლების დევნისაგან.

ბათუმში ჩასულ თედოს ემიგრაციაში წასვლამდე თანაპარტიელები და ძველი ნაცნობ-მეგობრები ხვდებიან, ეხმარებიან ქვეყნის საზღვრების მშვიდობიანად გადაკვეთაში, სოხუმიდან ჩამოდის აგრეთვე მეუღლე ნადე კეკელია შვილთან, ორი

წლის თინასთან ერთად, რათა იხილოს მეუღლე, შორეული ციმბირის ათასგვარ ხიფათს გადარჩენილი, სასწაულებრივად სამშობლომდე მშვიდობით ჩამოღწეული.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თედო სახოკიას საქართველოში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. მეგობრების ხელშეწყობით ბათუმში ჩასულის საზღვარზე გადაყვანა აჭარელმა ბეგმა ლორთქიფანიძემ ორ მენავე ლაზს მიანდო, რომლებიც პასუხიმგებელი იყვნენ თედო სახოკიას მშვიდობით გაყვანაზე (**სახოკია 1969: 238**).

თედო ხშირად იგონებდა და ვრცლად აქვს სიუჟეტი ჩართული „ავტობიოგრაფიაში“, თუ როგორი საუბარი გააბეს ამ ლაზებმა (ლაზურ ენაზე, რომელიც თედოს კარგად ესმოდა) თედოს შესახებ: „ამ ჭინჭრაქას თურმე რუსეთის ფადიშაჰის ჩამოგდება განუზრახავს“, შემდეგ დაურიდებლად, ხმამაღლა განიზრახეს მისი ძარცვა და ზღვაში გადაგდება, მაგრამ თავი შეიკავეს, რადგან მოერიდათ ბეგის რისხვისა და თედომ თურქეთის ტერიტორიას უვნებლად მიაღწია (**სახოკია 1969: 74**).

თედო სახოკია წერილში მეუღლე ნადეს წერს თავის ცხოვრებაზე ხოფასა და ტრაპიზონში. წერილიდან ჩანს, რომ თედო ოცნებობს, იქნებ ნადემაც მოახერხოს გამგზავრება ქმართან ტრაპიზონში (1909 წ; 30/05. ტრაპიზონიდან სოხუმში) (**ხეც.თ. სახოკიას ფონდი, #764**): „ჩემო სიცოცხლე, ხოფაში ორშაბათს ჩამოვედი, მაგრამ იქ დარჩენა არ შეიძლებოდა, ჯერ ერთი, ცხოვრება ძვირი ყოფილა.“ 30 მაისს ტრაპიზონში აპირებს გამგზავრებას აქედან პარიზში, შემდეგ კი - ბრიუსელში (1909 წელი, 12 ივნისი, ტრაპიზონიდან ბანძაში) (**ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #766**).

მოგზაურობისას თედო აღწერს, ვიდრე გზას დაადგებოდა, როგორ მოხვდა ხოფის ერთ-ერთ ლაზურ სოფელში. თედოს გადაუწყვეტია, დაეთვალე რებინა თვალწინ გადაშლილი სოფელი, მისი მოსახლენი - ლაზები... მაგრამ მას თავისი მდგომარეობა არ აძლევდა ამის საშუალებას, აკი სევდანარევად წერს კიდევ, „აჰა, ამისთანა ხელსაყრელი კარს მომდგარი შემთხვევა და თავად კი ხელფეხშეკრულად ვგრძნობდი თავს - ლტოლვილი და უსახსრო.

ჩვენი ძმები, ჩვენს გულმკერდს, ჩვენს მიწა-წყალს საუკუნოებით მოწყვეტილები, თავისუფლად, შინაურულად მენახა, მათს შორის დავტრიალებულიყავ, მათს სულსა და გულს ჩავწვდომოდი, საერთო ენა გამომენახა

სალაპარაკოდ, მეძებნა ნიადაგი ჩვენს შორის ძველის გაწყვეტილის კავშირის აღდგენისა“...

თედო აგრძელებს: „ეს რა ხდება, სამეგრელოსა და გურიის სოფელი ხომ არ გადმოტყორცნილა აქეთ - ფიცრული სახლები, ხეებით სავსე ეზოებიანი.... ხეებზე გასული ვაზები, ფორთოხლისა და ლიმონის ხეები. იქვე წყაროები, სადაც წყლის ამოსაღებად და კოკაში ჩასასხმელად მეგრულტარიანი ხრიკებია... მეგრული ლაპარაკი ქალებისა და ბავშვებისა...“ თედოს მოსვლისას მამაკაცები ყანებში იყვნენ სამუშაოდ, ასე რომ, უმამაკაცო ოჯახში შესვლა, როგორც არამაჰმადიანს, სათაკილოდ და საშიშადაც კი მოსჩვენებოდა... თვალებით ესალმებოდა იქაურობას და ვიდრე რაიმე უსიამოვნება - და შესაძლოა დიდიც - შეხვდებოდა, ამჯობინებდა დროზე გასცლოდა...

ხოფაში თედო სახოკია შეხვდა სოხუმის ციხის საპყრობილეში მასთან ერთად მყოფ ლაზ ამხანაგს, **ბექირ-ოღლის**, რომელიც საზღვარგარეთიდან იარაღის გადმოტვირთვაში მონაწილეობდა, დატუსაღებულთა შორის ისიც იხდიდა სასჯელს. ციხეში ბექირ-ოღლისთვის თედოს ქართული წერა-კითხვაც კი უსწავლებია. ერთმანეთის ნახვით ორივემ დიდად გაიხარა. ბექირ-ოღლი ეხვეწა დროებით მაინც მასთან დარჩენილიყო, მაგრამ დარჩენა ვერ მოხერხდა.

ხოფიდან თედო გემით გადადის **ტრაპიზონში**, სადაც მას თავისი თანაპარტიელი **მემედ-ბეგ აბაშიძე** ხვდება, ისიც ბათუმიდან საიმპერიო ხელისუფლების შიშით იძულებით გადმოხვეწილი.

ტრაპიზონში თედო სახოკია გარკვეული პერიოდი ქართველი კათოლიკე ბერების მონასტერში ცხოვრობდა, სანამ მოახერხებდა მარსელში გამგზავრებას, იქიდან კი - ბრიუსელში. „კიდევ კარგი, ბინა უსასყიდლოდ მაქვს: ქართველ კათოლიკე ბერების მონასტერს შევაფარე თავი, აქ გავიცანი ფაღავა - პოლიციაში გუბერნატორის თანაშემწედ მომუშავე, მეტად კარგი კაცი აღმოჩნდა, გაეხარდა ჩემი ნახვა,... ის დამპირდა ბილეთის აღებას და ხვალ გავემგზავრები გემით საფრანგეთში“ (**ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #776**).

ტრაპიზონში თედო ორი კვირა დარჩა რაიმე სამუშაოს შოვნის იმედით, მაგრამ უშედეგოდ: „აქ ერთი თვე გავატარე, ვითომ ადგილი რამ მეშოვნა. მაგრამ ამაოდ, შემრჩა საქართველოდან ლტოლვილი **იმერეთის მეფის, სოლომონის**,

საფლავის ქვის დათვალიერება. **ტრაპიზონიდან სტამბულში** ორი კვირით, აქედან კი **ევროპაში**, რათა **ბელგიის დედაქალაქში** დამედო **ემიგრანტული ბინა**“ (**სახოკია 1969: 240**).

1909 წლის ზაფხულში, უფრო კონკრეტულად, ივლისის ბოლოსათვის, თედო სახოკია საფრანგეთშია, აქ მას ხვდება და ხელს უმართავს **გიორგი დეკანოზიშვილი**, (1867-1910 წწ), რომელიც ცხოვრების მძიმე პირობებისა ავადმყოფობის გამო სრულიად ახალგაზრდა 1910 წელს **საფრანგეთშივე, კანში**, გარდაიცვალა. მისი ცხოვრების შესახებ ცნობები და ამაგი, საქართველოზე გაწეული, პირველად ქართველ ხალხს სწორედ თედო სახოკიამ გააცნო (**სახოკია 1969: 194-2010**).

თედო სახოკია მასთან შეხვედრის შემდგომ გადადის **ბელგიაში**, ქალაქ ბრიუსელში. იგი, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, ბელგიის მთავრობის კანონის ძალით, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ხელუხლებელი იყო.

თედო სახოკიას, რომელიც კარგად იცნობდა ევროპის ქვეყნებს, თითქმის ყველა ქვეყანაში ჰყავდა მეგობარი თანაპარტიელი, საქართველოდან წამოსული ზოგი სასწავლებლად, ზოგიც - ემიგრანტად. **ბელგიაში** თედო სახოკიას ხვდება მეგობარი **პალიკო ყიფიანი**, რომელიც უწვდის ხელს მეგობარს, ეხმარება მას. თედომ სწორედ ამ ქვეყანაში დაიდო ემიგრანტის ბინა უკვე დიდი ხნით, რაც აგრეთვე განპირობებული იყო ამ ქვეყანაში პოლიტიკურ დამნაშავეთა ხელშეუხებლობითა და ცხოვრების პირობების შედარებით უკეთესი მდგომარეობით, რასაც აღნიშნავს მეუღლისადმი გაგზავნილ წერილში. მას გადაუწყვეტია ემიგრაციაში თავისი ოჯახობაც ჩამოიყვანოს და ბელგიაში ერთად იცხოვრონ. ამას ხელს უშლის ნადეს ავადმყოფობა, იგი დაავადდა ფილტვების სისუსტით (ჭლექით). „მადლობა უფალს, რომ გადარჩი და ცეცხლი არ მოგვიკიდე მე და ჩემს შვილებს. სახადის შემდეგ თავს მოუარე,“ – წერს თედო ერთ-ერთ წერილში და აგრძელებს: „თბილისიდან ალექსანდრე ჯაბადარს მოუხდება წამოსვლა და იმასთან ერთად წამოხვალ“ (**ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #778, #796**). 1910 წლის 15(2) თებერვალს ბრიუსელიდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს ცხოვრების პირობების შესახებ: „აქ ცხოვრების არ მეშინია, რადგან საშიში არაფერია, ავი მოგწერე, ჩემს სახელზე პასპორტი მაქვს - მეთქი. ჩემი ძველი პასპორტი შენახულა აქ, ის წარმოვადგინე და ამათაც თავისი მომცეს. პასპორტიც რომ არა მქონდეს, ხმის გამცემი არავინაა. ამჟამად ბელგიაზე

თავისუფლად საცხოვრებელი სახელმწიფო მეორე არ არის ევროპაში“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #778).

თედო სახოკიას ევროპაში ცხოვრების ყოველდღიური პირობების მოწესრიგებასთან ერთად საქართველოში ავადმყოფი მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილების ბედზეც უწევს ზრუნვა. მთელი ემიგრაციის წლების განმავლობაში პარალელურად სამშობლოში დარჩენილების ბედიც აწუხებდა, უწევდა შრომა როგორც ფიზიკურად, ასევე შემოქმედებითი თვალსაზრისით.

საუნივერსიტეტო განათლების შესახებ ზემოაღნიშნულ ჩანაწერებში ვნახეთ, რომ ბელგიაში ჩასული იწყებს სწავლას ელექტროტექნიკურ სასწავლებელში (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #778).

დროის სხვადასხვა მონაკვეთში აგრეთვე სწავლობს ფოტოგრაფიას, „ფოტოგრაფიას ძალიან ვერთგულობ, ძალიან წავეწიე წინ, ასე, ორის თვის განმავლობაში კარგად მეცოდინება, არც ველოდი. მერე იქნება ღმერთმა ქნას და სამუშაო გავიჩინო და მოგებაც შევძლო“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #796).

თედო სახოკიას ბიოგრაფიულ ცნობებში ვხვდებით ინფორმაციას მისი მუშაობის შესახებ. მეუღლისადმი 1912 წელს გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ერთი სასიამოვნო ამბავი, როგორც იქნა, - სამსახური ვიშოვე. ეს მესამე დღეა, რაც დავდივარ კარგს ალაგას და კარგს კაცთან ჩავვარდი, ჯერ თვეში 35 მანეთი მაქვს, (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1013). ეს „კარგს ალაგას“ მუშაობა ნიშნავს „სახლების ამშენებელ ფირმის კანცელარიაში“ ადგილის დაკავებას. ამავე სამსახურის მიხედვით, მას ევალება „ფირმის ბიბლიოთეკის მეთვალყურეობა და რუსეთთან მიმოწერის ფრანგულად თარგმნა“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1013).

თედო სახოკიას პირად არქივში არის მუშაობის შესახებ მოწმობის ფურცლები, გაცემული თედო სახოკიას სახელზე: - მოწმობა 1915 წელს პარიზში „იარაღის ქარხანაში“ მუშაობის შესახებ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #6).

მეორე მოწმობა, დათარიღებული იმავე 1915 წლით, გაცემული ადმინისტრაციის მიერ, რომელშიც აღნიშნულია, რომ ის მუშაობდა „შოკოლადის ქარხანაში“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #7).

ვხედავთ, რომ თედო სახოკია ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის არავითარი სამუშაოს შესრულებაზე არ ამბობს უარს. ამას თან ერთვის

სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც არანაკლები დრო მიჰქონდა. ამ პერიოდში პეტროგრადის საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის წერს წერილებს სამეგრელოს შესახებ, ამავე გოლუბევის დავალებით მუშაობს სამეგრელოს ეთნოგრაფიულ საკითხებზე, ამისათვის სთხოვს მეუღლეს მასალების გამოგზავნას, აპირებს აგრეთვე ციმბირში მოგზაურობის აღწერას და ა. შ. ყოველივე ამის პარალელურად საქართველოში ჟურნალ-გაზეთის არაერთი რედაქციისათვის აგზავნის საგაზეთო კორესპოდენციებს.

თედო სახოკიასთან ემიგრაციაში ყოფნის დეტალებს იხსენებს ცნობილი მკვლევარი და ევროპეისტი გერონტი ქიქოძე: „ემიგრაციაში ყოფნისას ძვირფას თედოს პირველად ნაციონალურ და სოციალურ თავისუფლების ბრძოლებით სახელგანთქმულს ბელგიის ქალაქ ბრიუსელში შევხვდი. ვერც ციმბირს, ვერც ემიგრაციაში ყოფნას იგი ვერ მოედრიკა, მას ურყევი ნიადაგი ეპოვა ამაღლებული იდეალების სიწმინდეში, რა დროსაც არ უნდა შესულიყავი მის სტუდენტურ ოთახში, თუნდ დილაადრიანად, პატარა ტაბელ კალენდარზე ის დღე უკვე წაშლილი ჰქონდა, თითქოს უკვე განვლილი ყოფილიყოს. ხოლო როდესაც ერთხელ ვუთხარი, შე კაცო, დღევანდელი დღე ხომ მხოლოდ ესაა დაიწყო, შენ კი უკვე გადაგიხაზავს - მეთქი, მიპასუხა: ემიგრანტისთვის, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა სტანჯავს, ყოველი ახალ-გათენებული დღე უკვე განვლილი დღეაო... იგი მზად იყო, სიცოცხლის დღეები შეემოკლებინა, ოღონდ საქართველოში დაბრუნებას ღირსებოდა და მაშინ ჩემთვის გასაგები გახდა ძველ ათენელების სამართალი, რომლის მიხედვით სამშობლოდან გაძევება და სიკვდილი თანაბარ სასჯელად ითვლებოდა“ (ქიქოძე 1959: 306).

1910 წელს თედო სახოკია ლონდონში ჩადის, როგორც წარმომადგენელი ჭიათურის შავი ქვის ერთ-ერთი მრეწველისა. ამ მხრივ ძალიან შრომატევადი საქმე გასწია. წერილებიდან ირკვევა, რომ თედო სახოკიამ ინგლისში ერთი წელი დაყო, ემიგრაციაში ცხოვრებისას ხშირად უწევდა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა და პირიქით. (ემიგრაციის წლებში თედოს ცხოვრება უწევს პარიზში, ბელგიაში, ინგლისში).

1910 წელი, 15 მარტი. თედო წერილს აგზავნის მერიპორტიდან ბანძაში, იმედოვნებს, რომ ინგლისში შემდგომშიც გამოჩნდება მისთვის ხელსაყრელი საქმე

და ამით გაიუმჯობესებს ცხოვრების პირობებს, მეუღლეს აცნობებს, რომ შეუდგა ინგლისური ენის სწავლას. „დღეს ჩემი დაბადების დღეა. ცხრა მთა და ცხრა ზღვა და ცხრა სახელმწიფო გვაშორებს ერთმანეთს. ჩვენს საქმეს მალე მოვრჩები და დავბრუნდები ბრიუსელში“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #800).

ბრიუსელში ჩასვლისთანავე თედო სახოკია იწყებს ზრუნვას განთავისუფლებაზე და წერილებს აგზავნის, სთხოვს მეუღლეს, ნადე კეკელიას, რომ მამამისი პეტერბურგში გაემგზავროს. თედო ფიქრობდა, რომ დეკანოზ ანტონ კეკელიას, განსაკუთრებულად პატივდებულ პიროვნებას, ანგარიშს გაუწევდნენ და დააკმაყოფილებდნენ მის თხოვნას, „რაშიც ანტონი მოინდომებს, ის საქმე გამოუვა, თანაც აქაური გაზეთები იუწყებიან, რუსეთს იაპონიასთან ომში 300 000 ჯარი გაუგზავნია ირკუტსკში. თუ მართლა ომი ატყდა, ასეთი საქმის გაკეთება უფრო გაადვილდება“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #787).

პეტროგრადიდან განთავისუფლების მიღებაში თედოს აგრეთვე დიდი იმედი აქვს აკაკი წერეთლისა. ბრიუსელიდან ბანძაში გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „აკაკი წერეთლის ცოლისდა ყოფილა ბარონ ბოტბერგის ცოლი. - წერს თედო მეუღლეს. - ბარონი ბოტბერგი დიდი (თუ პირველი არა) ბობოლაა პეტერბურგში, გამგეა ხელმწიფის სახელზე შემოსული თხოვნების კანცელარიისა. იმაზეა თურმე ყოველივე ბედი მთხოვნელთა დამოკიდებული. აკაკის ცოლ-შვილიც პეტერბურგშია. წერილი დაწეროს მამაშენმა, თუ თვითონ ჩავიდა, ათასჯერ დარწმუნებული ვარ, საქმის გასაკეთებლად ხელცარიელი უკან აღარ დაბრუნდება. მასავით საქმეს ვერავინ და აღარავინ გააკეთებს. პეტერბურგში ყველა დაეხმარება“... (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #797).

თედო არ წყვეტს განთავისუფლებაზე ფიქრს, წერს წერილებს პეტერბურგში მყოფ ქართველთა წარმომადგენლობას. ყოველივე ზემოთქმულის გამოხატულებაა 1913 წელს გამოგზავნილი წერილი, რომელშიც მეუღლეს ატყობინებს: „ამინისტიით მეპატიება გამოქცევის მისჯილი 4 წლის კატორღა“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1059).

წერილებს მოჰყვება საიმედო პასუხი, აცნობებენ, „რომ პეტერბურგში ზრუნავენ მისი განთავისუფლებისათვის“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1107).

ზემოაღწერილიდან გამომდინარე ემიგრაციაში ყოფნისას თედო სახოკიას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი და ზრუნვა სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ მხოლოდ დიდი ხნის შემდგომ, 1916 წელს, შეძლო მიეღო მისთვის სასურველი ინფორმაცია განთავისუფლების შესახებ და ამ სასიხარულო ამბავს მეუღლეს ატყობინებს (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1145, #1146).

საზღვარგარეთ ყოფნისას თედო სახოკია არც სამშობლოს ინტერესებს ივიწყებდა, ცდილობდა, გასცნობოდა და დაახლოებოდა მეცნიერების, ლიტერატურისა თუ კულტურის სხვადასხვა დარგის ცნობილ და გავლენიან მოღვაწეებს, გაეცნო მათი ნამუშევრები: „ვცდილობდი გამეცნო მათთვის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხის გაჭირვება, მისი პოლიტიკური ჩაგვრა რუსეთის იმპერიალიზმის მიერ, ჩვენი თავგანწირული ბრძოლა ამ დამონავებული მდგომარეობისაგან თავის ხსნისათვის გამეცნო. ყოველი მათგანის თუნდ უბრალო თანაგრძნობის სიტყვა მაღამოდ ეცხებოდა ქართველის დაკოდილს გულს და შიგ იმედს უსახავდა, რომ პოპულარული გახდებოდა სახელი საქართველოსი, მის სვე-ბედის თანამგრძნობთა რიცხვი თანდათან გაიზრდებოდა და შეიქმნებოდა ერთგვარი მიმდინარეობა აზრისა, აქმაღლებინა ერთგვარი ხმა უკმაყოფილებისა და პროტესტისა, რომლისათვის ანგარიში უნდა გაეწია რუსეთის მთავრობას.

საქართველოს ასეთის თანამგრძნობთა და მეგობართა რიცხვში იყვნენ ინგლისელი და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები. როდესაც 1910 წელს თედო სახოკია ბელგიიდან ინგლისში გადავიდა, როგორც წარმომადგენელი ჭიათურის შავი ქვის ერთ-ერთი მრეწველისა, და ოლივერ უორდროპისა, მარჯორი უორდროპი, გარდაცვლილი იყო. ოლივერ უორდროპმა თავის სოფელში, სევენოკში, ლონდონიდან რკინიგზით 2 ½ საათის სავალზე, დაგვპატიჟა მაშინ ლონდონში მყოფი ქართველობა. გავიცანი ეს ადამიანი, რომელსაც დასთან ერთად, საქართველო და ქართველები ისე უყვარდა უანგარო სიყვარულით, როგორც თავის სამშობლო და მშობელი ერი. ოლივერ უორდროპის განსვენებულს დას, მარჯორი უორდროპს, უკვე თარგმნილი ჰქონდა ქართული ხალხური ზღაპრები, ვალერიან აღნიაშვილის მიერ შედგენილი. „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო ოლივერ უორდროპს დაწერილი ჰქონდა „საქართველოს სამეფო“ (The Kingdom of Georgia),

ეთარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ. ბოლოს (1914) თარგმნა „ვისრამიანი“.

ინგლისიდან ბრიუსელში მეტად საინტერესო მიმოწერა მქონდა ამ ძვირფას ადამიანთან მთელის ოთხის თუ ხუთის წლის განმავლობაში. ყოველი წერილი მისი თავს დასტრიალებდა საქართველოს, ქართველი ერის კეთილდღეობას, მის წარმატებას, ყოველი, თუნდ სულ მცირედი, ფაქტი ქართველი ხალხის თუ მისი ლიტერატურის წინსვლისა, უორდროპს ახარებდა, ხოლო ყოველი სამწუხარო ამბავი ანაღვლებდა ისევე, როგორც ყველა ნამდვილს ქართველს“ (სახოკია 1969: 241).

გზა, რომელიც თედომ გამოიარა უკან, საქართველოსკენ, ცხრაწლიანი ემიგრაციის დასრულების შემდეგ, მთელი რიგი ფათერაკებითა და სიცოცხლისათვის მეტად საშიში მოგზაურობებით იყო მოცული. ამ გზის გავლა მოუწია აგრეთვე ცნობილ მწერალ ლეო ქიაჩელს, რომელსაც თავის მოგონებაში ვრცლად აქვს აღწერილი ამ მოგზაურობის შესახებ. მოგვყავს ამონარიდები ამ მოგონებიდან:

„პირველი მსოფლიო ომის გამო პარიზიდან რუსეთის საზღვრამდე მაშინდელმა გართულებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ შორი გზით გვამგზავრა: საფრანგეთით, ინგლისით, ნორვეგიითა და შვეციით.

ლონდონში საჭირო ვიზების მიღების შემდეგ, რკინიგზით ჩავედით შოტლანდიაში, ქალაქ ნიუკასტლში, აქედან გემით ნორვეგიაში, მთელი ფათერაკებით ,ჯერ ერთი, საშინელ უამინდობაში (ზღვის დელვა, გემის აფეთქების საშიშროებისა გამო) ორი დღე და ღამე გავატარეთ ზღვაზე და მშვიდობით ჩავედით ბერგენში.

თედომ აიჩემა, ბერგენში ჩვენი მეგობარი უორდროპი ცხოვრობს..., ვიზიტი უნდა გავუკეთოთ. ძალიან ეწყინება, თუ გაიგო, რომ აქ ვიყავით ქართველები, და ის კი არ მოვიკითხეთო..., ბერგენიდან ვიდრე ტორენომდე და იქიდან რუსეთ-ფინლანდიის საზღვრამდე რკინიგზით თუ მარხილით ვიმგზავრეთ, თუმცა ჩვენი საბუთების გასინჯვა და ჩხრეკა ყველა საზღვარზე წარმოებდა. განსაკუთრებით გაძლიერებულ ჩხრეკასა და დაკითხვაში მოვხვდით რუსეთ-ფინლანდიის საზღვარზე ყველგან ერთნაირი დაკითხვა მიმდინარეობდა: სად იყავით და რატომ? სად მიდიხართ და რატომ?.....

აი, ბედის ირონია! ჩემი გაცემა დიდი იყო. მე ყოველგვარი ნამდვილი ნებართვის გარეშე მოვდიოდი, და დაუბრკოლებლად გამატარეს. თედო კი ოფიციალური ნებართვით იყო აღჭურვილი და დააკავეს.

იქვე გადავწყვიტე, პეტროგრადში ჩასვლისთანავე მეცნობებინა სათათბიროს ქართველი დეპუტატებისათვის სამწუხარო ამბავი, რათა სასწრაფო ღონისძიება მიეღოთ თედოს გასათავისუფლებლად, რაც შევასრულე კიდეც” (ქიაჩელი 1952: 382-387).

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, თედო სახოკიას მიერ ემიგრაციაში გატარებული წლები აღსანიშნავია იმით, რომ, უამრავი სირთულისა და დაბრკოლების მიუხედავად, მან შეინარჩუნა უტეხი სული და საარაკო გამძლეობა, სამშობლოსა და ოჯახს მონატრებულს გაეტარებინა 12 წელი.

ამდენად, თედო სახოკია ემიგრაციაში ცხოვრობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში - საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში. ემიგრაციაში ყოფნისას საკუთარი ცხოვრებისეული პრობლემების პარალელურად აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ - პოლიტიკურ საქმიანობაში. აღრიცხული და სათანადოდ შესწავლილია ემიგრაციაში ყოფნის ამსახველი დოკუმენტები, მისი ცხოვრების როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური, ასევე სამეცნიერო კუთხით უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები.

თავი X. ერის სულიერების სამსახურში

მნელია, შეაფასო ის, ვინც იცხოვრა სახელმწიფოში, რომელშიც ათეიზმი ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენდა. ამ ისტორიული მნელბედობის ხანას შეიძლება ვუწოდოთ „სანქცირებული“ უღმერთობის პერიოდი, ე. ი. პერიოდი, როდესაც „ღმერთის სახელით წარმოებული უღმერთობა აღზევდა“. ამ იდეოლოგიის ფონზე გააკეთო და იღვაწო ქვეყნისათვის, ეს მეტად მძიმე, ერთეულთა ხვედრია.

თედო სახოკიამ მოახერხა, რომ მასში ქრისტიანული სული და ქართული გენი განუყოფელი იყო, მისთვის საქართველო და მართლმადიდებლობა ერთ მთლიანობად მოიაზრებოდა.

თედო სახოკიას ერთი წუთით არ შეუწყვეტია ზრუნვა ქართული ეკლესიის გაძლიერებისათვის. იგი დაუზოგავად იღვწის ქართველი ხალხის სულიერებისა და ერის კეთილდღეობისათვის, აკეთებს იმას, რასაც ქართული საქმე მოითხოვს.

თედო სახოკია ეხმიანება ყველა იმ მოვლენასა და ფაქტს, რომელზედაც ქვეყნის მომავალი დამყარებული. მისი საგაზეთო პუბლიკაციები, მიწერ-მოწერა საზოგადოების წარმომადგენლებთან მუდმივად ერის ინტერესების გამომხატველია. თედო არ უშინდებოდა და აშკარად გამოხატავდა თავის სამართლიან დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენების მიმართ, რაც ხშირად მისი თავისუფლების ხელყოფის წინაპირობაც კი ყოფილა. ამის გამო იგი არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული და გადასახლებული. „გარუსება, ქართულის არ გაგონება, მოსახლეობის არ ჩარევა სკოლის ცხოვრებაში, პედაგოგიკაში ნორმალურად მიაჩნდათ“ – (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #213) იგონებს თავად: აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლს აფხაზები შეადგენენ, ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ; აფხაზეთსა და სამურზაყანოს სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება, ღვთისმსახურების საეკლესიო-სლავურ ენაზე აღსრულებისა და სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის განხორციელებაზე სასულიერო და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა;

აშკარაა, XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი და რუსი სასულიერო პირები. პირველი ძალა იბრძოდა აფხაზეთის ერთიან ქართულ სივრცეში ინტეგრაციისთვის, ხოლო მეორე -

აფხაზეთის ეკლესიის რუსეთის ეკლესიაში შერწყმისათვის, მხარის რუსეთთან ასიმილაციისათვის.

თედო სახოკია რუსიფიკატორული პოლიტიკის თავგადაკლული მოწინააღმდეგე იყო. ქართველ სამღვდელოებასა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებამ აფხაზეთში XIX-XX საუკუნეებში თავის აპოგეას მიაღწია. „რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და საეკლესიო ქონება საშემოსავლო საქმედ აქციეს“ (გურული... 2003:). თედო სახოკია სოხუმში „ქართული პარტიის“ სახელით აშკარად უპირისპირდება არსებულ რეალობას, აქტიურად იბრძვის რუსული ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი სოხუმის ეპარქიაში წირვა-ლოცვის მშობლიურ, გასაგებ ენაზე ჩატარების აკრძალვას ებრძვის.

„აქეთკენ ჩვენი საქმე სულ უარესად მიდის ეგზარქოსის დავალებით აქაურმა ეპისკოპოსმა ლამის არის ჩვენი ხორცი შესჭამოს. წმინდა ნინობას ქართულის წირვის ნება ვთხოვეთ, და კინალამ გადირია ბრაზისგან. ამიერიდან არ მოხვიდეთ და ამგვარი რამ არა მთხოვთ. ვინ ნინო ვინ წმინდანი!... ვაპირებთ უმაღლესი მთავრობის წინაშე ვუჩივლოთ“ (სახოკიას წერილი იაკობ გოგებაშვილისადმი 1898) („საისტორიო მოამბე“ 1975: 207). ამგვარი შინაარსის იყო წერილები, რომლითაც ის ეხმიანებოდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს - იაკობ გოგებაშვილს, ალექსანდრე ხახანაშვილსა და სხვებს.

„იმდენი უწესობა ხდება სოხუმის ოლქში და, კერძოდ, სოხუმის ეპარქიაში, რომ ყოვლად შეუძლებელია მოთმენა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ქართული წირვა-ლოცვის მოსპობის საქმე. საჭიროა, ქვეყანამ გაიგოს, სოხუმელები რა ბურბონების ხელში ვართ“ (სახოკიას წერილი ალ. ხახანაშვილისადმი 1898 წ). („საისტორიო მოამბე“ 1975: 212).

თედო სახოკია იცავს ქართული ეკლესიის ღირსებას, რის გამოც მას კვლავ გადასახლებაში უშვებენ, როგორც „ანტისახელმწიფოებრივი საქმეების“ მოთავეს. ემიგრაციაში ყოფნისას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თედო სახოკია აგზავნიდა კორესპონდენციებს, იხილავდა სხვადასხვა საკითხებს და დაინტერესებულ მკითხველს, საქართველოში არსებულ გამომცემლობებს უგზავნიდა როგორც საინფორმაციო, ასევე სამეცნიერო ხასიათის წერილებს, რომლებშიც საკითხები

განხილული იყო საქართველოსთან მიმართებაში, აგზავნიდა ახალი გამოცემების შესახებ მასალებს.

ერთ-ერთი ასეთია 1912 წელს გამოცემული წიგნის „საქართველოს საეკლესიო ისტორიის მიმოხილვა“, შედგენილი მღვდელ-მთავარ დაულინგის მიერ. (ბიბლიოგრაფია) თედო სახოკია მკითხველს აწვდის ამ წიგნის მეცნიერულ მიმოხილვას, რომელიც გამოქვეყნდა 1913 წლის „სახალხო გაზეთის“ #823, 824, 827-ში. ხსენებულ ნაშრომში თედო სახოკია გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ამ დროისათვის საქართველოს ისტორიაში არსებული და გამოქვეყნებული მასალები, რომელთა ავტორები იყვნენ **დიმიტრი ბაქრაძე, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი**, ჩვენი მეცნიერი-ეკლესიოლოგი კირიონი, ხელმისაწვდომი არ იყო ევროპელი სამეცნიერო წრისათვის. ავტორი საგანგებოდ ჩერდება მიხეილ თამარაშვილის დიდ ნაშრომზე „**საქართველოს ეკლესიის ისტორია**“ (1912 წ.), რომელიც უკვე მეორე წიგნი იყო საქართველოს შესახებ. ავტორი სინანულს გამოთქვამს, რომ ევროპა დღესაც არ იცნობს საქართველოს, რომელიც რა მხრივაც, მწერლობისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა თუ სარწმუნოებრივისა, ყველა მხრივ ღირსია შესწავლისა და გაცნობისა.

თედო სახოკია ახლოს იცნობს ქართველ სასულიერო პირებს, თავის მეგობრად თვლის **დეკანოზ ანტონ კეკელიას, (1885-1920 წწ)** მარტვილის ტაძრის წინამძღვარს (შემდგომში, მის სიმამრს, მეუღლის ნადე კეკელიას მამას). აგრეთვე, ამბროსი ხელაიას, რომელიც ჯერ კიდევ მარტვილის სემინარიაში სწავლისას გაიცნო და დაუმეგობრდა (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი **ამბროსი (1921-1927წწ)**), რომელმაც თედოს ქართული წერა-კითხვის უცოდინრობას რამდენიმე ხანში უშველა „უმტკივნეულოდ, რაც მანამდე ექვსი წელი ვერ შემასწავლეს ქართული წერა-კითხვა, ბესარიონმა მასწავლა“ - იგონებდა თედო (**სახოკია 1969: 209**).

თედო სახოკია ასევე კარგად იცნობდა **ეპისკოპოს კირიონს, (1917-1918წწ)** შემდგომში საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, რომელიც მას, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, საზღვარგარეთ სწავლისას ფინანსურად ეხმარებოდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ **კალისტრატე ცინცაძეს (1932-1952წწ)** თედო თავის უახლოეს მეგობრად თვლიდა. პირად წერილებში, რომლებიც

ძირითადად 1932-1950 წლებით თარიღდება და კათალიკოსის მიერაა მოწერილი თედოსადმი, მოკითხვების, მოლოცვების გარდა, ირკვევა, რომ თედო სახოკია მას დახმარებას უწევდა თარგმანისა და სხვადასხვა ნაწერის კორექტურის მხრივ. თედო პატრიარქს ყოველ ორშაბათს სტუმრობდა, რადგან მას ეს დღე ჰქონია გამოყოფილი მეგობართა აუდიენციისათვის. ამ წესს ის უცვლელად ასრულებდა. საერთოდ, თურმე იგი თავის უახლოეს მეგობრებს სტუმრობდა კვირის ყოველ დღეს, საღამოს 8 საათზე. მეგობრების ოჯახის კარიც მუდმივად ღია იყო მისთვის (სახოკია 1969: 73).

თედო სახოკია წლების განმავლობაში მეგობრობდა იტალიაში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსთან, ღვთისმეტყველების დოქტორ კათოლიკე ბერ მიხეილ თამარაშვილთან, მათ მრავალწლიანი მიმოწერა ჰქონდათ. იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე მოუშავე მეცნიერთან ხშირად ჩადიოდა საფრანგეთში მყოფი თედო; „რომში მიმიწვია, რათა მივშველებოდი ამ ნაწერების დაბეჭდვაში“. მათ შორის, მიმოწერა გრძელდება 1906-1911 წლებში, ვიდრე ტრაგიკულად არ დაიღუპა, სრულიად ახალგაზრდა 48 წლისა. „პატივცემულო მამაო მიქაელ!... მადლობელი ვარ ბედნიერი დღეების მოლოცვისთვის, მოლოცვასავე გიბრუნებთ და ღმერთსა ვთხოვ დიდ ხანს აშრომოს თქვენი თავი ჩვენის მამულის სასარგებლოდ. „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ დაწერით მიმიე და საპასუხისმგებლო საქმე იდო თავს მამა თამარაშვილმა: გაფანტვა იმ უმეცრებისა, რომელიც დღემდე ევროპაში სუფევდა ჩვენი ეკლესიის შესახებ. ევროპის მკითხველი საზოგადოებისათვის, დამწერისგან მოითხოვს არაჩვეულებრივ სიყვარულს საქმისადმი, მოთმინებას, ხანგრძლივ შრომას და ათასგვარი დაბრკოლების დამლევას. ჩვენდა სასიამოვნოდ და პატივცემული ავტორის სასახლოდ უნდა აღვნიშნოთ, ნაკისრი საქმე მიხეილ თამარაშვილს წუნდაუდებლად აქვს შესრულებული“ (ხეც. მ. თამარაშვილის ფონდი, #68).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოცხადდა 1917 წელს, მცხეთაში - სვეტიცხოველში, სასულიერო პირების გარდა, სინოდის სხდომაზე ერისკაცთაგან იყვნენ მოწვეული საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის იყო თედო სახოკია, მისივე თქმით, „როგორც სასულიერო სემინარიის მასწავლებელი“. იპოლიტე ვართაგავა აღნიშნავს, „როდესაც გადაწყვიტეს სემინარიაში შემოეღოთ ფრანგული ენის სწავლება, მასწავლებლებმა გამოიჩინეს თაოსნობა, რომ ფრანგული

ენისა და ლიტერატურის სწავლების კურსი წაყვანა თედო სახოკიას. იქვე აღნიშნავს - ამ გადაწყვეტილებამ მოწაფეებშიც გამოიწვია დიდი აღფრთოვანება (**ვართაგავა 1962: 317-318**). სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია თქმა იმისა, რომ თედო ნამდვილად საჭირო სიტყვას იტყოდა საკათალიკოსო საბჭოში თავისი ერისა და ხალხის სასიკეთოდ. ამ მწირ ცნობებთან ერთად, მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თედო სახოკიას შესახებ „მოქალაქე მღვდლის“ სახელით ცნობილი **დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე** თავის დღიურებში.

დღიურებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინა დღეს საიდუმლო კრება გამართულა მის ბინაში, რომელსაც თედო სახოკიაც დასწრებია. აღსანიშნავია, რომ თედოსთან ერთად ამ კრებაზე დასახელებულნი არიან: **ნოე ჟორდანია**, (სოსიკო მერკვილაძის მიერ მოყვანილი) **დარის მონასტრიდან ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე)**, **დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი**, **იპოლიტე ვართაგავა** და **პეტრე ბარათაშვილი**. ამ კრებაზე გადაწყვეტილა, რომ 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში გადახდილიყო მშვიდობის პარაკლისი და წაკითხულიყო ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აქტი (**თალაკვაძე 2013: 73**).

მართლაც, 1917 წლის 12 მარტს აღდგენილად გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. კათოლიკოსის არჩევამდე ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია-ოდის ეპისკოპოსი ლეონიდე, საქართველოს ეკლესიის მმართველობა დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები, მათ შორის, თედო სახოკია.

„ძმაო თედო! აღსრულდა, რაც სანატრელი და მოსალოდნელი იყო: შეიძლება ჩვენთვისა გათენდეს. მივიღე დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა სხვათა შორის „Сахокин“-იც, რომელიც შენ უნდა იყო... ნუ დაიზარებ მოწერას იმის შესახებ, თუ როგორ მიდის საქმე. თუ მე საჭირო და რამეში გამოსადეგი ვიქნე, მომწერე და წამოვალ“. შენი ერთგული არქიმანდრიტი ამბროსი (**ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #11295**).

საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეებში საქართველოს ყველა კუთხეში იყვნენ წარგზავნილები.

თედო სახოკია, როგორც სამეგრელოს მკვიდრი, დასავლეთ საქართველოში იქნა გაგზავნილი.

ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით სამღვდელოებისა და სამრევლოს წარმომადგენელთა კრებები შედგა ქუთაისსა (1916 წლის დეკემბერში) და დაბა სენაკში (1917 წლის იანვარში). ამ კრებებმა მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, ქართულ საეკლესიო ბეჭდებზე ქართული წარწერების შენარჩუნების, ნათლობისას ქართული საეკლესიო სახელების დარქმევის აუცილებლობისა და საეკლესიო საბუთების ქართულად წარმოების შესახებ. 1917 წლის 23 თებერვალს სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაციამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე თავისი მოთხოვნა რუსეთის იმპერატორისადმი გადასცა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

ავტოკეფალიის გამოცხადების დღეს საქართველოში არ იყო თავად ეპისკოპოსი კირიონი. აქტის გამოცხადებისას სვეტიცხოველში შეკრებილი იყო ყველა მღვდელმთავარი და საზოგადოების დიდი ნაწილი. ამავე საბჭოს წევრებმა აქტის შესახებ დეპეშით აუწყეს პეტერბურგის დროებით მთავრობას, სინოდს და ამიერკავკასიის კომისარიატს. აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს, თუ როგორ განვითარდა მოვლენები, მაგრამ ცხადია, თედო სახოკიას საკათალიკოსო საბჭოში თავისი ადგილი ჰქონდა და პირნათლად შეასრულებდა მოვალეობას ერისა და ეკლესიის წინაშე.

1934 წელს საქართველოს საპატრიარქოს სამოციქულო ეკლესიის მე-7 საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, „ამიერიდან საკათალიკოსო საბჭოს ნაცვლად შეიქმნა წმინდა სინოდი“ ეს ნიშნავდა, რომ საერო პირთა ყოფნა სინოდში იზღუდებოდა. ცხადია, ეს შეზღუდვა შეეხებოდა თედო სახოკიასაც.

თედო სახოკია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს სამღვდელოების, სიონში არსებული სიძველეთა მუზეუმის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებისა და საგანმანათლებლო საზოგადოებათა ყოველდღიურ საქმიანობაში.

თედო სახოკიას ცხოვრების ნახევარზე მეტ ხანს მოუხდა მოღვაწეობა სოციალიზმის პერიოდში. ამ პერიოდის ნებისმიერი საქმიანობა საზოგადოებრივ სარბიელზე, მწერლობასა თუ სხვა სფეროში მიზანმიმართულად უნდა ყოფილიყო განმსჭვალული საბჭოთა იდეოლოგიის პოსტულატებით, აუცილებელი იყო მარქსისტულად გამართული აზროვნებისა და შეხედულებების დემონსტრირება, რათა ნაშრომი მისაღები ყოფილიყო საბჭოთა ცენზურისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება თედო სახოკიას ახასიათებდა, როგორც რევოლუციური წარსულის მქონე საზოგადო მოღვაწეს. არადა, ყოველი მისი საქმიანობა საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნვას ეძღვნებოდა, მისი ყველა ნაწერი აშკარად განიცდიდა ცენზურის მსახვრალი ხელის გავლენას. თავად ამბობს ერთ-ერთი ნაშრომის გაგზავნისას - „საცენზურო რამ არ გაიპაროსო“, მიუხედავად ამისა, მან მოახერხა და სოციალისტურ პერიოდში თარგმნა იტალიელი მწერლის, ალბრინების ხანის წინამორბედის, **ჯოვანო ბოკაჩოს „დეკამერონი“**, რომლის გამოცემაც საბჭოთა მთავრობამ მხოლოდ იმიტომ ჩათვალა საჭიროდ, რომ მასში შესული ასი ნოველიდან მხოლოდ სამში ავტორს გამასხარავებული ჰყავს სამღვდელოება. 1928 წელს ამ გამოცემას გამოხმაურება და დიდი მოწონება ხვდა საბჭოთა მთავრობისაგან. გაზეთ „კომუნისტი“ („კომუნისტი“ 1928: #110). გამოქვეყნდა მწერლისა და ფილოლოგის სიმონ გაჩეჩილაძის (წევლის) სტატია, რომელშიც „დეკამერონის“ შეფასებისას საგანგებოდ აღნიშნული იყო მთარგმნელის ენისა და მისი თარგმანის შესახებ. ამავე პერიოდში გამოიცა თედო სახოკიას ავტობიოგრაფიული მოგონებანი **„როგორ ვიზრდებოდი ძველად“**. წიგნის მთლიანად გამოცემამდე, 1/07/1938წ., გამოქვეყნდა მისი ფრაგმენტი სათაურით **„შოი მღვდელი“**. რეცენზია ეკუთვნოდა საქართველოს სსრ უღმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს, რომელშიც ნათქვამი იყო: „წარმოგიდგენთ თედო სახოკიას ნაწერს „შოი მღვდელს“, რომელიც ანტირელიგიური პროპაგანდის გასაძლიერებლად მეტად საყურადღებო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს... მოგახსენებთ, რომ წიგნის დასასურათებლად მხატვარ **ოსკარ შმერლინგს** გავაკეთებინეთ 7 კარიკატურა...“ ქართული კარიკატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ამ წერილს ხელს აწერდა საქართველოს მეზრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **სახაროვი (ხეც. თ. სახოკიას ფონდი #395)**.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შედარებით უცნობია თედო სახოკიას პოლიტიკური საქმიანობა. ეს პერიოდი ემთხვევა თედოს ნებაყოფლობით განთავისუფლებას პედაგოგიური საქმიანობისაგან. მართალია, იგი აქტიურად არ მონაწილეობდა 1924 წლის შეიარაღებულ გამოსვლაში, მაგრამ თანაუგრძნობდა ამ მოვლენების მეთაურებს და ფარულად თავშესაფარსაც აძლევდა მათ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ის პოლიტიკურ საქმიანობას საბოლოოდ ჩამოშორდა. სავარაუდოა, რომ იმ პერიოდის მოვლენებისაგან თავის დაღწევის სურვილი ყოფილიყო მიზეზი. პედაგოგიური საქმიანობისთვის თავის დანებების ამიერიდან იგი მთლიანად ერთვება ლიტერატურულ, სამეცნიერო და საგამომცემლო საქმიანობაში.

ალექსანდრე მიქაბერიძე აღნიშნავს თედო სახოკიას სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ. მიუხედავად სახელმწიფოში მიმდინარე ანტირელიგიური აგიტაციისა, იგი არ უშინდებოდა სახელმწიფო ორგანოების შემოტევას, აშკარად გამოხატავდა საკუთარ რელიგიურ მისწრაფებებს, მოგონებაში ვკითხულობთ: „ათეიზმის ბატონობის“ პერიოდში „გაბედულობა და პირში თქმა თედოს პიროვნების განუყოფელი თვისებაა“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ეკლესია გამოყო სახელმწიფოსაგან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და სასტიკი დევნა გააჩადა ეკლესიისა და ღვთისმსახურების მიმართ.

ეკლესიები იხურებოდა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამღვდელოების წარმომადგენლები, საერთოდ, ეკლესიის ღვთისმსახურნი, რომელთაც ცხოვრების სახსარი მთლად მოესპოთ, უმეტეს შემთხვევაში ანაფორას იხდიდნენ და საერო მოღვაწეობის ფერხულში ებმებოდნენ. სამღვდელოების ერთი ნაწილი კი მტკიცედ იდგა თავის საპასუხისმგებლო პოსტზე და ყოველი საშუალებით ცდილობდა თავისი რწმენისა და უფლისთვის მიცემული აღთქმისათვის არ ეღალატა, სასწაულებრივად გადარჩენილ ეკლესიაში განეგრძო ღვთისმსახურება. ხალხი მთავრობის შიშით ეკლესიაში ვერ შედიოდა, სამღვდელოებასთან კონტაქტსაც ვერ ბედავდა, არათუ რაიმე უფრო სერიოზულ კავშირსა და დამოკიდებულებას.

თედო სახოკია არ უშინდებოდა მოსალოდნელ რეპრესიებს, იგი ყოველ უქმე დღეს უშიშრად დადიოდა სიონის ტაძარში და დიდი მოკრძალებითა და სასოებით მონაწილეობდა ღვთისმსახურებაში. იგი თამამად აგრძელებდა ურთიერთობას სასულიერო პირებთან, ხშირად დადიოდა მათ ოჯახებში და სიყვარულითა და დიდი პატივისცემით ექცეოდა ოჯახის წევრებს.

თედო სახოკიას ღრმად სწამს, რომ მთავრობა სინდისის საქმეში არ უნდა ერეოდეს, მაგრამ რადგანაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, სამწუხაროდ, ასე ხდება, იგი თავისი ყოველდღიური მოქმედებით პროტესტს გამოხატავს და თავის რწმენასა და შეხედულებებს არ ღალატობს. „თედო სახოკია, თუმცა ბუნებით სოციალისტი იყო, - ვკითხულობთ ერთ დოკუმენტში, - მაგრამ იგი დიდი მოკრძალებით დღესასწაულობდა ისეთ უქმეებს, როგორც ქრისტეს შობა, ახალი წელიწადი, აღდგომა და სხვა ბრწყინვალე უქმე დღეებია. ამ უქმეებისათვის თედო განსაკუთრებით ემზადებოდა, სათანადო თადარიგს იჭერდა და იგი ღირსეულადაც ხვდებოდა ამ დღესასწაულებს.

აღდგომა თედოს საყვარელი დღესასწაული იყო, კვირა უქმე დღეებში თედო სტოვებდა „ხმაურიან“ თბილისს, ერთი დღით სოფლად გადიოდა, ჩვეულებრივ, მცხეთასა ან დიღომში. მცხეთაში წირვის მერე თედო სტუმრობდა არმაზის მიდამოს კალთებზე სააგარაკოდ გასულ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს, ხოლო სოფელ დიღომში - თავის მეგობარ ვანო სონღულაშვილს. მთელი დღეს ამ ორ მეგობარ კაცთან ატარებდა და საღამო ჟამს ისევ თბილისს უბრუნდებოდა“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302).

თედო სახოკიას შესახებ ნინო ნადირაძეს აქვს საინტერესო მოგონება, რომელშიც აღნიშნავს მისი რელიგიური მრწამსის შესახებ: „გვიყვარდა კამათი სხვადასხვა საკითხზე. განსაკუთრებით ხშირად ვკამათობდით იმაზე, შეიძლება თუ არა განათლებული ადამიანი იყოს მორწმუნე. თედო, რა თქმა უნდა, მორწმუნე არ იყო. ამას ადასტურებს თუნდ ის ფაქტი, რომ მღვდლის შვილმა, სემინარიის მოწაფემ სახლში ხატები დარვინისა და სხვა მეცნიერების სურათებით შეცვალა.

პარიზში ყოფნის დროს კი იღებდა ანტირელიგიურ გამოსვლებში მონაწილეობას - „ანტიკლერიკალურ მოძრაობაში“, მაგრამ მე თავს ვითომ მორწმუნედ წარმომიდგენდა და ცხარე კამათში ჩაებმებოდა“. „საწერი მაგიდის ერთ

კუთხეში ჩემი ყურადღება წითელი კვერცხებით სავსე მოზრდილმა ლარნაკმა მიიპყრო. მან ეს შენიშნა და მითხრა, რომ ყოველ აღდგომას ახალ წითელ კვერცხს ვუმატებ ამ კვერცხებსო. მე ძალიან გამაკვირვა ამ ამბავმა, მაგრამ ვერ შევბედე კითხვა, თუ რა მიზანი ჰქონდა წითელი კვერცხების შეგროვებას“ (სახოკია1969: 76-80).

თედო სახოკია, მიუხედავად მისი ამაგისა და ღვაწლისა ქვეყნის წინაშე, არ ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი, რის გამოც ხშირად უხდებოდა ზემდგომი ეშელონებისათვის მიემართა საპროტესტო წერილებით. მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ამონარიდი მისი განცხადებიდან სოცურუნველყოფის მინისტრის სახელზე, რომელსაც სთხოვს საგზურს სანატორიუმში სამკურნალოდ: „მინდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისთვის შემეჩივლა, მაგრამ უთქვენოდ ამ ნაბიჯის გადადგმას მოვერიდე. ახლა მოგმართავთ და გთხოვთ უბრძანოთ თქვენის კანცელარიის გამგეს ჩემის „უპარტიოებით“ არ დამიწუნოს 87 წლის დაავადებული ადამიანი და მომცეს ერთი საგზური ახალი ათონისათვის. ბოდიშს გიხდით თქვენის შეწუხებისათვის და მადლობას წინდაწინვე მოგახსენებთ თქვენის პატივისცემისათვის. მარად თქვენი პატივისცემელი თედო სახოკია. 1954 წელი სექტემბრის 8 დღეს“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #40).

თედო სახოკიას შესახებ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ცნობილი ისტორიკოსი, თედო ჟორდანიას ვაჟი გიორგი იხსენებს თედოს, განსაკუთრებით აღნიშნავს მის ფედერალისტურ საქმიანობაზე - „უცხოეთში რომ გაიქცა მია თედო, მაშინ ჯერ კიდევ იზიარებდა ქართველ ფედერალისტთა სოციალისტურ აზრებს, მათ შორის, მათ მიერ მიღებულ ანტირელიგიურ მოძღვრებასაც. ამასთან დაკავშირებით მია თედოს საფრანგეთში ცხოვრებისას მონაწილეობა მიუღია დიდ „ანტიკლერიკალურ“ დემონსტრაციაში, რომელიც უსიამოვნებით დასრულებულა. საფრანგეთში ამ მოვლენების, „ანტიკლერიკალთა“ გამოსვლების შესახებ, თედო სახოკია ქართველ მკითხველს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1904: #2459-ში დაბეჭდილი კორესპოდენციით აუწყებდა.

საქართველოში დაბრუნებულმა ემიგრანტმა საბოლოოდ მოიშორა თავისი სოციალისტური „ბაგაჟი“ და, ცხადია, ანტიკლერიკალური იდეებიც, საქმე იმით გათავდა, რომ იგი საკათალიკოსო საბჭოს წევრადაც აირჩიეს. გიორგი ჟორდანიას

დასძენს: „დიახ, ძია თედომ მოიშორა სოციალისტური „შხამი“. იგი არათუ საკათალიკოსო საბჭოს წევრი გახდა, არამედ თავად ემეგობრებოდა საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქებს.ძია თედოს სიმპათიები შეეძლო შეეცვალა და იცვლიდა კიდევ, უკეთუ ამას საჭიროდ დაინახავდა. უცვლელად რჩებოდა მხოლოდ ძირითადი იდეა და სიმპათია ეროვნული იდეა, სულიერი მრწამსი, იშვიათი, გულწრფელი სიყვარული თავისი ერისადმი. აზრები და სიმპათიები იცვლებოდნენ, ეროვნული იდეა და პატრიოტული გრძნობა უცვლელი და ურყევი იყო (საქართველოს რესპუბლიკა“ 1998:21/07, #183).

თედო სახოკიას მოვლილი აქვს თითქმის ყველა კუთხე, იგი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეპყრობა ყველა იმ მოვლენისა და ფაქტის აღწერას, რაც ეკლესიასთან, სულიერებასთან არის დაკავშირებული, ერთგან დიდი გულისტკივილით ამბობს: „შემთხვევით წავაწყდი საკურთხეველში ერთს ნაფლეთებად ქცეულ საეკლესიო წიგნს, ტყავზე დაწერილს, ზოგი ფურცელი ჩრჩილისგან საცოდავად დახრული იყო, ზოგი სქელს მტვერს დაეფარა და ზოგანაც წვიმის წყალი მოხვედრია..... გული გამეწურა სიბრალულისაგან, ერთის მხრით - მაგალითი ჩვენის წინაპართა, გულმოდგინებისა, მათთა უანგარო ღვაწლისა, ხოლო მეორეს მხრივ, დაუდევრობა ჩვენი, არცოდნა ნაანდერძევის განძისა, უსასყიდლოდ მოპოვებულის წმინდა ნივთის ფასისა, თითქმის დაცინვა, აბუჩად აგდება ჩვენის მამებისა, რომლებიც იღვწოდნენ ჩვენი სასულიერო მწერლობის გამდიდრებისათვის, თვალს იწყალებდნენ წიგნების გადაწერაში“... (სახოკია 1985: 96).

თედო სახოკია „ქართული სიტყვა-თქმანის“ უბადლო ოსტატია, ქართული ანდაზები, რომლებიც მას გამოცემული აქვს, დაყოფილი იყო ორ ჯგუფად, მათ შორის მე-17-ე ჯგუფში ცალკე აქვს გამოყოფილი საკითხები ღმერთისა და სამღვდელოების შესახებ.

ძნელია ამ კუთხით პიროვნების შესახებ დასკვნის გამოტანა, ვინაიდან სახელმწიფოში, სადაც ათეიზმი ოფიციალურ რელიგიას წარმოადგენდა, როცა ისეთი ისტორიული ძნელბედობის ხანა იდგა, რომელსაც შეიძლება თამამად ვუწოდოთ „სანქცირებული უღმერთოების“ პერიოდი, როდესაც ღმერთის სახელით წარმოებული „უღმერთოება“ აღზევდა, თედო სახოკია, თავისი ძალებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ზრუნავდა ეკლესიასა და ღვთისმსახურებზე,

სულიერების გადარჩენაზე. თედო სახოკიამ ყოველივე მოახერხა იმით, რომ მასში მძლავრობდა ის ქართული სული, ქართული გენი, რომლისთვისაც საქართველო და მართლმადიდებლობა ერთ მთლიანობაში მოიაზრებოდა და მიუხედავად ათეიზმის ზეობისა, ერის სულიერი სამსახურის ფერხულში ჩაბმულმა გაბედულად თქვა თავისი სიტყვა.

თავი XI. საბჭოთა ხელისუფლების წლებში

1. 1924 წლის აჯანყება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში შედარებით უცნობია თედო სახოკიას პოლიტიკური საქმიანობა, ეს პერიოდი ემთხვევა თედოს ნებაყოფლობით განთავისუფლებას პედაგოგიური საქმიანობისგანაც. მართალია, აქტიურად არ მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში, მაგრამ თანაუგრძნობდა ამ მოვლენების მეთაურებს და ფარულად თავშესაფარსაც აძლევდა. ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ის პოლიტიკურ საქმიანობას საბოლოოდ ჩამოშორდა. იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებისაგან თავდაღწევა შესაძლებელია ყოფილიყო სავარაუდო მიზეზი პედაგოგიური საქმიანობისთვის ნებაყოფლობით ჩამოშორება.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში სამეგრელოში ფეხი მოიკიდა ადგილობრივი ინტელიგენციის ჯგუფმა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკისაგან გამოეცალკეებინა სამეგრელო და მისი მართვა-გამგეობა ავტონომიურად მოეწყო. ინტელიგენტთა ეს ჯგუფი დღითიდღე რაზმავდა თავის მხარეებს როგორც თვით სამეგრელოში, ისე საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მეგრელებს შორის.

2. „ავტონომისტების“ წინააღმდეგ.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ერთგვარი ანგარიში გაუწია სამეგრელოს „ავტონომისტების“ მიერ წამოყენებულ საკითხს და ამ საკითხთა ყოველმხრივ გამოსარკვევად და გასაშუქებლად 1925 წლის 24 სექტემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოაწყო ფართო სადისკუსიო კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

საღამოს 7 საათისთვის რუსთაველის პროსპექტი უკვე ხალხით იყო გადაჭედილი. შესვლის დროს კარებთან ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. თეატრში შემსვლელთა მსურველები თავგანწირვით აწყდებოდნენ კარებს, მაგრამ ყველანი შესვლას ვერ ახერხებდნენ. სხდომა გაიხსნა საღამოს 8 საათზე. გიორგი ჟორდანიას წინადადებით, პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: სხდომის თავმჯდომარე თედო სახოკია

და წევრებად აკაკი ფაღავა, დიომიდე თოფურბე, ბართლომე პატარაია და ანდრო თოდუა.

პრეზიდენტის საპატიო წევრად ერთხმად არჩეულ იქნა ამხანაგი ალექსანდრე გეგეჭკორი. პირველი სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა თედო სახოკიას. თედომ თავის ვრცელსა და საფუძვლიან სიტყვაში დაუნდობლად გააკრიტიკა სამეგრელოს „ავტონომისტთა“ ჯგუფის მიერ წამოყენებული საკითხი.

სამეგრელოს „ავტონომიის“ საკითხი, - ამტკიცებს თედო, წამოყენებულია ერთი ჯგუფის, ავტონომისტების, მიერ, სამეგრელო ყოველთვის და ყველა საკითხში საქართველოს განუყოფელ ნაწილად უნდა დარჩეს.

მეგრული ენის საკითხი არასდროს წამოჭრილა საქართველოში. ეს საკითხი დაისვა მხოლოდ რუსეთის ჩვენს ქვეყანაში შემოჭრის შემდეგ. რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ კარგად იგრძნო საქართველოს გაერთიანების საშიშროება და ამიტომ იგი ხელოვნურად ცდილობდა გამოეწვია საქართველოს დაყოფა-დანაწილება, მისი დაქუცმაცება.

რუსეთის ბიუროკრატის კარგად ჰქონდა შეგნებული „**Divide et impera**“-ს პრინციპი და კიდევაც ამ პრინციპის მიხედვით აწესრიგებდა საქართველოს ფარგლებში ყველა იმ საკითხს, რომელიც ასე თუ ისე შეადგენდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს. 60-იან წლებში რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს სკოლებიდან განდევნა ქართული ენა. 1890 წლამდე გრძელდებოდა სამეგრელოში ეს წარბმეუხრელი, აუტანელი სასკოლო რეჟიმი.

ამიტომ ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დააყენეს ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის ცნობილმა მზრუნველმა იანოვსკიმ და ქუთაისის სახალხო სკოლების მეთვალყურე მავრაზმელმა ლევიცკიმ. მთავრობის ეს მავრაზმელი აგენტი არა მარტო სამეგრელოს, არამედ მთელს საქართველოს სკოლებში სცდილობდა ეგრეთწოდებული „მუნჯი“ მეთოდის საშუალებით ქართული ენის განდევნას, მის მთლიანად მოსპობას, გაუქმებას.

მიზნის მისაღწევად ლევიცკიმ დაავალა ხონის სემინარიის მასწავლებელ პეტროვს და ამ სემინარიის მაშინდელ მოწაფეს თადა ამორდიას მეგრული ანბანის შედგენა რუსული ასოებით. ამრიგად, განსაკუთრებით სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლება სრულიად მოისპო. ეს ენა ჯერ კიდევ ბოგინობდა მხოლოდ

სამრევლო სკოლებში, რადგან ეს სკოლები გამართული იყო ეკლესიებთან, საცა ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმოებდა.

იმ მიზნით, რომ ქართული ენის სწავლება სამრევლო სკოლებიდან განედევნათ, ლევიცკიმ ცნობილ აშორდიას დაავალა საღმრთო სჯულის და წირვა-ლოცვის, საღვთო წიგნების თარგმნა მეგრულ ენაზე. აშორდიამაც ეს დავალება სიამოვნებით შეასრულა, მაგრამ აშორდიას ამ ნაბიჯს მთელი სამეგრელოს მოსახლეობა და საქართველოს სასულიერო და საერო საზოგადო მოღვაწეები ერთხმად წინ აღუდგნენ და ყველანი განუხრელად მოითხოვდნენ ღვთისმსახურების ქართულ ენაზე განგრძობას.

ლევიცკის და აშორდიას მხარს უჭერდა შავრაზმელი ანაფორაში გახვეული დეკანოზი ვოსტორგოვი, რომელიც იმ ხანებში სასულიერო სემინარიის მთავარ მეთვალყურედ იქნა არჩეული.

დეკანოზი ვოსტორგოვი ამტკიცებდა, რომ მეგრელებს არავითარი ნათესაობა არა აქვთ ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენენო. დეკანოზი ვოსტორგოვი იმდენად გაკადნიერდა, რომ ეს საკითხი პრესაშიც კი გადაიტანა და თავის განზრახ მოჩმახულ აზრებს ვითომდა ასაბუთებდა. ყოველივე ამის გამო აკადემიკოსმა ნიკო მარმა დეკანოზი ვოსტორგოვი, შავრაზმელი, ანაფორაში გახვეული „რაინდი“ პირდაპირ მიწასთან გაასწორა.

დეკანოზ ვოსტორგოვის უნიადაგო პოზიციებს ამაგრებს სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, რომელმაც ბრძანება გასცა, რომ სამურზაყანოს სკოლებში, სადაც მოსახლეობა თითქმის მთლიანად მეგრული იყო, წირვა-ლოცვა შემოღებული ყოფილიყო რუსულ ენაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვთისმსახურების მეგრულ ენაზე შემოღების განზრახვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია როგორც მთელი სამეგრელოს მკვიდრთა, ისე საქართველოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა შორის.

მთელი სამეგრელო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა ასეთი გამოსვლის წინააღმდეგ, - აღნიშნულია სამეგრელოს ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდელო გრიგოლის (დადიანის) დასაბუთებულ მოხსენებებში. მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებდა ლევიცკების, ვოსტორგოვების და აშორდიების ავანტურისტული გამოსვლების მთელ უმსგავსოებას და უსაფუძვლოებას, იმ ავანტურისტების „საგმირო

საქმეებს“, რომელთაც ასე თავგამოდებით დაუჭირეს მხარი „სამეგრელოს საქართველოს სხეულიდან ჩამოგლეჯას და საშვილიშვილოდ გადასცემს ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობას“. თედო სახოკიას ამ სადამოზე გამოსვლის შესახებ აღნიშნულია შემდეგი: „თედო სახოკიას სიტყვა ყუმბარასავით გასკდა თეატრის დარბაზში და საერთო აღტაცება გამოიწვია. დაუსრულებელ ოვაციებსა და „ვაჰას“ შემახილებს ბოლო არ ეღებოდა.

თედო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით აშუქებდა სამეგრელოს ავტონომიის საკითხს, ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა სამეგრელოს, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სხეულიდან ჩამოჭრა. ასეთი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება თვით სამეგრელოს სასიცოცხლო ინტერესებისთვის იქნებოდა საზარელი და დამღუპველი“ (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302).

თედოს სახოკიას რწმენითა და გაბედულებით წარმოთქმული ამ სიტყვის შემდეგ კრების მონაწილეებმა ერთხმად უარყვეს ავტონომისტების მიერ წამოყენებული იდეა სამეგრელოს ავტონომიის მინიჭების შესახებ და ამრიგად, კრებამ სამეგრელო იხსნა მოსალოდნელი კატასტროფისაგან.

3. 1927 წლის პატიმრობა.

თედო სახოკიას 1927 წლის პატიმრობაზე არსად ყურადღება არ მახვილდება, არის მხოლოდ წერილები მიწერილი ქალიშვილის თინასადმი. საჭირო მასალა, ისიც ძალიან მოკლედ, თავად მას აქვს აღწერილი მეტეხის ციხეში ორთვიანი პატიმრობის შესახებ თავის მოგონებებში „ჩემი საუკუნის ადამიანები“, სადაც საუბრობს საბჭოთა კავშირში და კერძოდ, ცნობილი ფრანგი მწერლის ანრი ბარბიუსის საქართველოში მოგზაურობის შესახებ, რასაც ერთვის მისი პატიმრობის ამბავი. სწორედ აქედან ვაკეთებთ მოკლე ამონარიდებს ამ პიროვნების საქართველოში სტუმრობისა და თედო სახოკიასთან შეხვედრის დეტალების შესახებ.

„ანრი ბარბიუსი 1927 წელს შემოდგომაზე გვეწვია თბილისში. ამ დროს ერთი გაუგებრობის გამო მეტეხის ციხის პანსიონად ვიყავ, ჩემი მეგობრები და კეთილის მდომნი გასცნობიან ძვირფას სტუმარს, უამბნიათ ჩემ მიერ მისის წიგნის, „ცეცხლის“, ქართულად გადმოთარგმნის ამბავი, თვით ქართულად დაბეჭდილი „ცეცხლი“ მიურთმევიათ და თან უთხოვიათ ჩარევა საქმეში და შველა მისის წიგნის

მთარგმნელისა. ისიც სიამოვნებით დაჰპირებია. ეს ამბავი მეტეხშიც მოგვივიდა და ველოდით ანრი ბარბიუსის მოსვლას... მე ციხის მეორე სართულში მქონდა საკანი. ჩემს პირობებში მყოფს ოღონდაც რომ მერიდებოდა მასთან შეხვედრა და ამხანაგებსაც ვუთხარი, მე ქვევით არ ჩამოვეშვები ბარბიუსის შესახვედრად-მეთქი. საპატიმროში მის თანმხლებთ გადაუწყვეტიათ და რადგან მაშინ ჩემს მეტი არავინ გამოჩენილა ფრანგულის მცოდნე, კაცი გამომიგზავნეს და შემომითვალეს - დაუყოვნებლივ ჩამოვსულიყავი ქვევით. მეტი გზა არა მქონდა. ჩამოვედი. დავუპირდაპირდი მაღალ, ხმელ-ხმელი და ენერგიული გამომეტყველების ადამიანს. მითხრეს-ეს ანრი ბარბიუსია, ჩვენს სანახავად საფრანგეთიდან მოსულიო. მივუახლოვდი ხელი გამომიწოდა და მეც ჩამოვართვი. თან ვუთხარი: - პატივი მაქვს გაგეცნოთ თქვენი „ცეცხლის“ ქართულად მთარგმნელი მეთქი. - ძალიან სასიამოვნოა, ჩემო ბატონო, რასაც მეუბნებით,- მითხრა ძვირფასმა სტუმარმა - ხომ არ შემიძლია რითიმე გემსახუროთ.

- სულ დიდს მაღლობას მოგახსენებთ თქვენის გულკეთილობისთვის,- მოგახსენე მე, - გთხოვთ არ შეწუხდეთ...

- მით უკეთესი! - მითხრა წმინდა ფრანგულის ზრდილობით, ჩამომართვა ხელი და გამომემშვიდობა. გულაჩუყებულმა სინანულით თვალი გავაყოლე ქვეყნად მშვიდობისა და ძმათა შორის სიყვარულის უებრო მქადაგებელს, მთელ მსოფლიოში სიყვარულის ერთ-ერთი მონატრე იმ დროს, როცა ყოველ კაპიტალისტურ ქვეყნებში იმის ზრუნვაშიდა იყვნენ, როგორ გაეუმჯობესებინათ ძმათა გამანადგურებელი იარაღი“ (სახოკია 1984: 222-225).

საინტერესოა ის გარემოება, რომ თედო სახოკიას მოგონებათა კრებულის - „ჩემი საუკუნის ადამიანები“ - 1969 წლის გამოცემაში არ შეუტანიათ ანრი ბარბიუსის პატიმართან ამ ვიზიტის შესახებ, შესაძლებელია ფართო საზოგადოებისთვის გაცნობისაგან თავი შეიკავეს. ხოლო მეორე გამოცემაში, რომელიც შესრულებულია 1984 წელს, არის შეტანილი ეს მოგონება.

როგორც აღვნიშნეთ, თედო სახოკიას პირად არქივში 1927 წლის პატიმრობის ამსახველი მხოლოდ წერილებია, მიწერილი შვილის, თინა სახოკიასადმი. წერილების მიხედვით ირკვევა, რომ ციხეში თედო სახოკიამ გაატარა 1927 წლის 20 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე მონაკვეთი. სულ არის 17 წერილი, ამას წერილებსაც

ვერ დავარქმევთ, არის ფანქრით ნაწერი ქაღალდის ნაგლეჯებზე. წერილები ძირითადად ასეთი შინაარსისაა: მოკითხვა და იმ ნივთების სია, რომელთაც შვილისაგან იღებდა ციხეში, ძირითადად საკვები და ტანსაცმელი: „ჩემო მამა! გიგზავნი (ძირითადად ჩამოთვლის იმას, რასაც უგზავნის)... ზედმეტი არ მომწერო არ შეიძლება, მარტო შეგიძლია: რას მიგზავნი და რა გინდა. შენი თინა გაკოცებს“. თედო სახოკიას კამერა # 14. 20/ 09/ 1927 წელი. (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, 1562).

თედო სახოკიას პატიმრობამ, „ერთის გაუგებრობის გამო“ მომხდარს რომ უწოდებს თვითონ, ორ თვეს გასტანა. განთავისუფლების შემდგომ აგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას.

4. 1938 წლის საიდუმლო წერილი.

თედო სახოკია, დიდი თავდაჭერისა და ყველა ნაბიჯის მკაცრად მოზომვა-გასაიდუმლოების მიუხედავად, როგორც ბოლო ხანს გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება, საბჭოთა პერიოდშიც იყო სპეციალური სამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ. უფრო მეტიც, მისი, როგორც „ფაშისტური ორგანიზაციის მონაწილის“, დაპატიმრების ნებართვასაც კი ითხოვდნენ. უფრო დეტალურად საქმე შემდეგში იყო: 1938 წელს, როცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარი იყო ნიკოლოზ ეჟოვი, ხოლო მისი მოადგილე - ლავრენტი ბერია, საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სახალხო კომისარი იყო სერგო გოგლიძე. მათ სახელზე მოსკოვში გზავნის მოხსენებით ბარათს, რომელშიც აღნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა კონტრევოლუციურ ფაშისტურ ორგანიზაციას, რომლის იდეოლოგი და ხელმძღვანელია პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. გარდა ამისა, სერგო გოგლიძე აღნიშნავს, რომ „ივანე ჯავახიშვილი საქმის კურსში იყო, რომ მზადდებოდა აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1924 წელს“. ავტორის თქმით, ქართველ ანტისაბჭოთა ჯგუფს ჯერ კიდევ 1921 წლიდან კავშირი ჰქონდა გერმანიის დაზვერვასა და ქართველ ემიგრანტებთან, რომელთაგან ლეზულობდნენ დირექტივებს, რათა დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და საქართველო გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მოექციათ.

„ვითვალისწინებთ რა, რომ კონტრევიოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის საქმის გამოძიება ამ ეტაპზე დაწყებით სტადიაშია... გთხოვთ მოგვცეთ სანქცია, რათა დავაპატიმროთ შემდეგი პირნი“. ჩამოთვლილია საქართველოს ნაღები ინტელიგენცია, რომელთა ნიჭმა და გენიამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ ეროვნულ კულტურას, მეცნიერებას, მწერლობასა და ხელოვნებას. ამ სიაში ვის არ ნახავთ, რა პროფესიისა და საქმიანობის ადამიანს, საკმარისად მიგვაჩნია ზოგი მათგანის გვარ-სახელის ჩამოთვლა: გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, კოტე ფოცხვერაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ნიკო ბერძენიშვილი, პეტრე ბუაჩიძე, მოსე გოგიბერიძე, ივანე ჯავახიშვილი, სერგი ჯიქია, სიმონ ჯანაშია, ვლადიმერ ჟღენტე, ლეო ქიაჩელი, სარგის კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ლეონიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ალექსანდრე ნათიშვილი, თედო სახოკია, პეტრე სარაჯიშვილი, ვარლამ თოფურია, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე წუწუნავა, ალექსანდრე წულუკიძე, აპოლონ წულაძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინიშვილი, აკაკი შანიძე და სხვა. სულ 121 კაცი.

დოკუმენტი დათარიღებულია 1938 წლის 2 ოქტომბრით. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ამ ადამიანების მიმართ ჩაედინათ ისეთი სისასტიკე, როგორც ბუდუ მდივნის, მალაქია ტოროშელიძის, შალვა და ევგენი მიქელაძეების, გრიგოლ წერეთლის, იოსებ აბაკელიას, სანდრო ახმეტელის, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის და სხვათა მიმართ იქნა გამოვლენილი, ალბათ საუკუნეები ვერ გამოასწორებდა ამ ინტელექტუალურ დანაკლისს, ხოლო ჩვენი მეცნიერება, მწერლობა, კულტურა და განათლება არ იქნებოდა ისეთ დონეზე, რომ საერთაშორისო აღიარება მოეხვეჭა. არავინ იცის, ამ საბუთს რატომ არა აქვს ავბედითი ორსიტყვიანი რეზოლუცია: „თანახმა ვარ“, არც ისაა ცნობილი, ვინ შემოდო ეს საშინელი დოკუმენტი მაუდქვეშ და ვინ გადაარჩინა საქართველო ამ დიდზე დიდი უბედურებისაგან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: დასახელებული 121 კაციდან არც ერთის მიმართ არ განხორციელებულა პოლიტიკური რეპრესიები და ისინი ბოლომდე აგრძელებდნენ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას. ამათ შორის იყო ჯერ კიდევ ცარიზმის დროს ათას ჭირ-ვარამ გადატანილი თედო სახოკია (სურმანიძე 2004: 34-35; „სრულიად არასაიდუმლოდ“ 2003: #6/8-10)

თავი XII. თედო სახოკია საზოგადოებრივ სამსახურში

1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

თედო სახოკიას საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობას ცალ-ცალკე გამოვყოფ. პირველი, რითაც დავიწყებთ, არის თედო სახოკიას ურთიერთობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. საქართველოში მცხოვრები ყველა ქართველის საშვილიშვილო საქმეს წარმოადგენდა, ამ საზოგადოების მეშვეობით ქართული ეროვნული კულტურის, სიძველეების, და ა. შ. მოძიება, შესწავლა, გამოცემა და სხვ.

ამ კუთხით დიდია თედო სახოკიას მიერ გაწეული ამაგი. დავიწყებთ იმით, უცხოეთში საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად მყოფმა ჟენევის ქართველი სტუდენტების სახელით ჯერ კიდევ 1887 წელს თხოვნით რომ მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რათა ამ უკანასკნელს გამოეყო თანხა და გაეგზავნა ქართული წიგნები იქაური ქართველებისათვის. „საზოგადოებისგან გამოყოფილი (37) ოცდაჩვიდმეტი მანეთი მივიღე“, ამასთან ერთად, არის წერილი, რომელშიც „თანახმად ჟენევაში მყოფი ქართველ სტუდენტთა თხოვნისა, დიდ მადლობას მოგახსენებთ“. ცნობა ამ წერილის დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში საქმე, #42. თეოდოტ სახოკია. P.S. „სრული იმედი გვაქვს, პატივცემული საზოგადოება შემდეგაც არ დაგვივიწყებს“ (სცსსეა. #42: ფურ.1,2,3,4). „თანახმად მმართველობის განჩინებისა, გეგზავნებათ თითო ცალი ქვემოთ მოხსენებული წიგნებისა (36 წიგნი), გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის წერილი ყოფილა გამოგზავნილი ჟენევაში მყოფი სტუდენტების სახელით 24 იანვარს 1887 წელს“. არქივში დაცულ ცნობებს მოჰყვება სამადლობელი წერილი, თედო სახოკიას მიერ გამოგზავნილი (სცსსეა. საქმე #164: ფურც.17), მიწერ-მოწერა სხვადასხვა პირთან, თედო სახოკიას სამადლობელი წერილი ჟენევის ქართველი სტუდენტობის ბიბლიოთეკისათვის წიგნების გაგზავნის გამო (სცსსეა. საქმე #135: ფურც. 1.2.3).

ამ საზოგადოების მიმართ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის თედო სახოკიას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ პროგრამაში სამეგრელოს მხარე არ იყო წარმოდგენილი. საქმე შემდეგში მდგომარეობდა - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა

საზოგადოებამ 1882 წელს გამოსცა პროგრამა „ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“. ამ პროგრამის შედგენაში მონაწილეობდნენ **პეტრე უმიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე**. ძირითადად ხალხური საუნჯის ნიმუშების შემკრებად გათვალისწინებულნი იყვნენ სახალხო სკოლის მასწავლებლები. პროგრამაში რატომღაც არ იყო აღნიშნული საქართველოს მნიშვნელოვანი და თავისებური კუთხე სამეგრელო, თედო სახოკიამ სცადა გამოესწორებინა ეს ნაკლი. 1891 წელს გაზეთ „ივერიის“ #22-ში დაიბეჭდა მისი მოწოდება „ხალხური ნაწარმოების მოყვარულთა მიმართ“, სადაც ვკითხულობთ: „მას აქეთ, რაც ჟურნალ-გაზეთები შეუდგა ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვიერების მოგროვებას, თითქმის ყოველ კუთხიდან ბანი მისცეს. ყველამ შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეიტანა. საქართველოს ერთი კუთხე, სამეგრელო - კი მივიწყებული დარჩა, თითქო სამეგრელოში ზეპირსიტყვიერების ჭაჭანება არ იყოსო. ჩვენს მწერლობაში ეს კი დიდ ნაკლად, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ახლა ჩვენ განვიზრახეთ ეს ნაკლი, მცირედაც არის, შევავსოთ. ამიტომ გულმხურვალედ ვთხოვ ყველას, ვისაც ასე თუ ისე, რაიმე დამოკიდებულება აქვს ხალხთან, სოფლის მასწავლებელთ, - შეგვიგროვონ მეგრული ხალხური ზღაპრები, შაირები ანდაზები, ლექსები, შელოცვები, გამოცანები, თქმულებები ალქაჯებზე და სხვადასხვა. ყველა ეს მასალა მეგრულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი, რა თქმა უნდა, ქართული ასოებით, ხოლო მათს ქართულად გამოცემას ჩვენა ვკისრულობთ.

ამასთანავე, ვთხოვ ყველას, გადმოწერის დროს, ნებით თუ უნებლიეთ, თავისი არა ჩაამატონ რა, არამედ ჩასწერონ ისე, როგორც გაიგონებენ. აგრეთვე აღნიშნონ ის სოფელიც, სადაც გაიგონებენ ჩასაწერ მასალას. როდესაც საჭირო მასალა შეგროვდება და ცალკე გამოიცემა, თითო ცალი ყველას გაეგზავნება, ვინც კი დახმარება თავისი არ დაიშურა“ („ივერია“ 1891: #22). წერილში საუბარია ასევე საეთნოგრაფიო ნივთების შემოწირულ სახარებასა და სხვა ნივთებზე, სულ აღწერილია 9 ნივთი (სცსსეა. საქმე #542: ფურც. 23), თედო სახოკიასა და სხვა პირების განცხადებები სამუზეუმო ექსპონატებისა და ძველი ხელნაწერების მოგროვება-შემოწირვის შესახებ 1897 წლის იანვრის 13-დან დეკემბრის 2-მდე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც არის

დაცული დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მიმართავს თედო სახოკიას თხოვნით, შეკრიბოს საეთნოგრაფიო მასალა და შეიძინოს ძველი ხელნაწერები. მიმართვა დათარიღებულია 1908 წლის 20 მაისით, # 475. ამ მიმართვის პასუხად აქვეა საეთნოგრაფიო ნივთების სია, წარდგენილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, იგი 5 ფურცელს მოიცავს (**ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #475**). ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, თედო სახოკიას ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, თუმცა ის მუდმივად ახერხებდა საზოგადოებისთვის საჭირო სამსახურის გაწევას. ერთ-ერთი ასეთია იმავე ეროვნულ არქივში დაცული ცნობა, თედო სახოკიას წერილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

თედო სახოკია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან აქტიურ თანამშრომლობას არ წყვეტს მაშინაც, როდესაც მისი საქმე სასამართლო გამოძიების პროცესშია და ეკრძალება საქართველოდან გასვლა. 1908 წელს მან მოიარა სამეგრელოს სოფლები, შეაგროვა მდიდარი საეთნოგრაფიო და წერილობითი მასალა, ჩაიწერა უამრავი ფოლკლორული ნიმუში და სხვ. ცნობებს ამის შესახებ ვხვდებით ასევე ეროვნულ არქივში (**სცსსეა. საქმე #2024:**). საქმეში დაცულია თედო სახოკიას ანგარიში სამეგრელოსა და აფხაზეთ-სამურზაყანოში შეკრებილი საეთნოგრაფიო ნივთების შესახებ.

საინტერესო დოკუმენტია თედო სახოკიას თხოვნა ზეპირსიტყვიერების მასალების შეგროვების შესახებ 1897 წელს (**სცსსეა. არქივი # 608: ფურც. 1**). წერილი ეხება ფულის სესხებას. იგი ადრესატს უხსნის, რომ წარადგენს ამ ფულს სარგებლით, კერძოდ, აპირებს დასავლეთ საქართველოში ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებას და მათს გამოცემას. ამგვარი ხასიათის წერილებიდან ვასკვნით, რომ თედო სახოკია აქტიურად თანამშრომლობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან.

2. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში.

ამ საზოგადოებას საფუძველი ჩაეყარა 1907 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში იქ მოსწავლე ქართველ სტუდენტების თაოსნობით. მას ეწოდა, „ქართული კულტურის

მოყვარულთა წრე“. 1912 წელს თბილისში დაარსდა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“. საზოგადოების მიზანი იყო ქართული კულტურა, ენა, მწერლობა, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ხელოვნება, ეთნოგრაფია, სამართალი ყოველმხრივ შეესწავლა და გაეცნო მოსახლეობისათვის. საზოგადოების საქმიანობას შეადგენდა საჯარო ლექციების და მოხსენების კითხვა, ლიტერატურულ-მუსიკალური და ქართველ მოღვაწეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოების მოწყობა. ამ საზოგადოების დამაარსებლები იყვნენ გიორგი ჟორდანიას, შალვა დადიანის. საზოგადოება 609 საპატიო და ნამდვილ წევრს ითვლიდა, მათ შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი. ეს იყო 1918 წლამდე. ამ წელს კი იგი გარდაიქმნა „კულტურისა და შრომის კავშირად“. 1924 წელს ისევ ძველებურად იწოდებოდა, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებად“. საზოგადოება აწყობდა საჯარო ლექციებს სხვადასხვა ქალაქში. „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ ლიკვიდირებულ იქნა 1928 წელს იმის გამო, რომ მსგავსი ორგანიზაციის მუშაობას სათავეში უნდა ჩადგომოდა მაშინდელი ახლად დაარსებული საბჭოთა ხელისუფლება. „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ფონდი დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში. ფონდი შეიცავს 94 საქმეს 1908-დან – 1928 წლამდე. საინტერესოა, რომ ამ ფონდში ცალკეა დაცული თედო სახოკიას წერილები „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისადმი“ (სცსსეა. საქმე: #67), რომელსაც იგი უკავშირდებოდა კულტურისა და შრომის კავშირს, რათა მისგან შეეძინა სახლი თბილისში, პანასკევიჩის ქუჩაზე ლევან გაბაშვილისაგან. მიმოწერა წარმოებდა 1918 -1922 წწ. საქმეში აგრეთვე დაცულია თედო სახოკიას ხელწერილები, ოქმის ამონაწერები, მატერიალური მასალები.

დაცულია აგრეთვე ილია შუბლაძის წერილი თედო სახოკიასადმი, რომელშიც ლევან გაბაშვილის სიკვდილის შესახებ ნათქვამია და აღნიშნავს დასაფლავებისათვის გამოსაყოფი მიწის შესახებ: „1918 წელს მისაცემია უფასოდ ერთი საფლავი გაბაშვილს. არ ვიცი არც მამის სახელი და არც მიზეზი სიკვდილისა“. თქვენი ღრმად პატივცემული დეკანოზი: ილია შუბლაძე.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ცნობებში „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში“ თედო სახოკიას მოღვაწეობის შესახებ ყურადღება გამახვილებულია ღონისძიებებსა და შეხვედრებზე.

თედო სახოკიას იწვევენ და თვითონაც აქტიურად მონაწილეობს იმ ღონისძიებებში, რომელთაც არა მარტო კულტურული, არამედ სამეცნიერო ხასიათი აქვს: „უწყება თედო სახოკიასადმი. მოსმენილ იქნება პეტრე მირიანაშვილის მოხსენება „ქართული მართლწერის შესახებ“. 1927 წელი, 24 ოქტომბერი“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #462).

ამგვარი და სხვა სახის შეხვედრები, რომლებზეც იწვევდნენ თედო სახოკიას, მრავლადაა, მაგალითად, ასეთთა შორის შეიძლება აღვნიშნოთ: „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საჯარო კრება საკონცერტო განყოფილებით. პროგრამა: 1. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის სოციალური მოტივები XIX საუკუნეში. 2. საკონცერტო განყოფილებაში შესრულებული იქნება კომპოზიტორების ზაქარია ფალიაშვილის და მეღვინეთუხუცესის ახალი ნაწარმოებები. მონაწილეობას მიიღებენ გუნდები - მარო თარხნიშვილის ლოტბარობით და ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებასთან არსებული ძუკუ ლოლუას სახელობის გუნდი. „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება გთხოვთ დაესწროთ ხსენებულ კრებას. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება: ივანე გომართელი, შალვა დადიანი, გივი ელიავა, იპოლიტე ვართაგავა, კოტე მარჯანიშვილი, მ. ზანდუკელი, მ. თუხარელი, დ. კოპლატაძე, მ. მაჩაბელი, კ. მეღვინეთუხუცესი, პ. მირიანაშვილი, ზ. ფალიაშვილი, გ. ჟორდანიას, ი. შარლემანი, ილ. ჯანდიერი. 1927 წელი, 11 ნოემბერი“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #463).

ასევე გამოყოფთ სამეცნიერო სახის შეხვედრებს: „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობა აცნობებს თავის საზოგადოების წევრებს, რომ ამის შემდეგ სხდომები გაიმართება ორშაბათს, 7/ ½ საათზე სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის აუდიტორიაში და უწყებები საზოგადოების წევრებს აღარ დაეგზავნებათ, მორიგი სხდომა იქნება 5 მარტს, ჟორდანიას მოხსენება: „ხალხური ადათ-ჩვეულებანი, მათი მნიშვნელობა და შესწავლის გზა“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #465). საზოგადოების წევრების ერთ-ერთ მიმართვაში თედო სახოკიასადმი აღნიშნულია,

რომ ის (თედო სახოკია) „დაეხმარება საქართველოს სიძველეთა შესწავლის ფონდს თავისი წვლილის გაღებით“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #466).

აღნიშნული მასალების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ თედო სახოკია აქტიურად თანამშრომლობს ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებასთან.

3. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

საზოგადოება დაარსდა 1907 წელს თბილისში ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით, ისტორიის მოყვარულთა წრის ბაზაზე. საზოგადოების წესდება დამტკიცდა ფართო განხილვის შემდეგ 1907 წლის 30 ივნისს.

საზოგადოების წევრები იყოფოდნენ კატეგორიებად: მზრუნავნი, საპატიონი, ნამდვილნი, კორესპონდენტნი და დამხმარენი. მზრუნავისა და საპატიო წევრის არჩევა ხდებოდა საზოგადოების კრებაზე ხმების უმრავლესობით. ნამდვილი წევრების არჩევა შეიძლებოდა საზოგადოების 2 წევრის წინადადებით. კორესპონდენტებსა და დამხმარეებს ირჩევდა საბჭო. საზოგადოების საქმეებს მართავდა საზოგადოების კრება და საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: საზოგადოების თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი, ხაზინადარი, მდივანი და 4 წევრი. საზოგადოებას ჰქონდა განყოფილებები: საისტორიო, საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საანთროპოლოგიო, სალინგვისტო და სანუმიზმატიკო.

საზოგადოებამ დაარსებისთანავე დიდი თანაგრძნობა მოიპოვა საქართველოს მოსახლეობაში, რომელიც უხვად იღებდა სხვადასხვა სახის შესაწირავებს (ფულს, წიგნებს, ხელნაწერებს და სხვა), ამასთან, წესდების შესაბამისად, საზოგადოების წევრთა მიერ შემოტანილი თანხა (მაგ. მზრუნავი ყოველწლიურად 600 მანეთს იხდიდა) აძლიერებდა საზოგადოებას და საშუალებას აძლევდა მას, ფართო საზოგადოებრივი საქმიანობა გაეშალა. საზოგადოების წევრები აგროვებდნენ და ინახავდნენ საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნების არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ლიტერატურულ და ეთნოგრაფიულ მასალებს.

საზოგადოებამ გამოსცა სამეცნიერო შრომების 2 სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. 1914 წელს გამოსცა ვეფხისტყაოსანი, 1916 წელს — „შაჰნამეს“ ქართული თარგმანი (I ტომი).

დიდი ყურადღება ექცეოდა ექსკურსია-ექსპედიციების მოწყობას, რომლებსაც ფართო მეცნიერული ხასიათი ჰქონდა (გროვდებოდა ძვ. წიგნები, ხელნაწერები, ტარდებოდა არქეოლოგიური გამოკვლევები). მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენა. მნიშვნელოვანი იყო ძველი ქართველ ხუროთმოძღვართა ნამუშევრების გამოფენა (VI—XIX საუკუნეები). საზოგადოება დიდი საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. ფართო აუდიტორიისათვის სხვადასხვა საკითხზე კითხულობდნენ ლექციებს საზოგადოების წევრები. აბულაძემ, სიმონ გიორგაძემ, გიორგი იმნაიშვილმა, პავლე კარბელაშვილმა, ივანე სონლულაშვილმა და სხვებმა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქართველოლოგიის ცენტრი იყო რევოლუციამდელ საქართველოში. მის წევრებს დიდი ღვაწლი მიუძღვით თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, მოსე ჯანაშვილი, აკაკი შანიძე, დავით კარიჭაშვილი, პავლე ინგოროყვა.

საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სალექსიკონო და ლინგვისტურ საქმიანობას. სათანადო მასალების შეგროვებაში, კვლევასა და დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს:

საქართველოში საბჭოების დამყარების შემდეგ საზოგადოების საქმიანობა მრავალმხრივი და საინტერესო გახდა. მუზეუმი და წიგნთსაცავი გამდიდრდა ახალი ძვირფასი ისტორიული კოლექციებით. ამ კოლექციათა ერთი ნაწილი მოსკოვიდან და ლენინგრადიდან (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი) დაუბრუნდა რესპუბლიკას. 1923 წელს სიგელ-გუჯრებისა და სხვა საბუთების რაოდენობამ 10.000-ს მიაღწია. 1922 წელს საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილი. მასთან ერთად საზოგადოების საქმიანობაში კვლავ აქტიურად მონაწილეობდნენ: აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჩიტაია, სარგის კაკაბაძე და სხვები. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავისი დროისათვის აკადემიის მიმართულების ერთადერთი დაწესებულება იყო ჩვენში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობა ახალი ძალითა და მასშტაბით გაიშალა 1959 წლიდან, როცა შეიქმნა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება.

თედო სახოკიას საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრია 1908 წლიდან. მას დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოების საქმიანობაში, უცნობი მასალების მოძიება-შესწავლაში. ხელისუფლებისაგან გამუდმებით დევნილი **მამულიშვილი“ (სურმანიძე 2004: 23)** მშვიდი სამეცნიერო საქმიანობისთვის დროსა და ადგილს ვერ პოულობდა, ამიტომ მოძიებულ მასალებსა და წიგნებს ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებს უგზავნიდა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ცნობების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ საქმეებს, რომელთაც ეწეოდა თედო სახოკია. მათი მართო ჩამოთვლაც ძნელია, იმდენად ბევრია, მაგრამ გამოვყოფთ რამდენიმეს:

1908 წლის 27 აპრილის დოკუმენტი თედო სახოკიას **„საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების“** ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. დოკუმენტი ხელმოწერილია **ექვთიმე თაყაიშვილისა და სერგი გორგაძის მიერ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #434);**

ამავე საზოგადოებისადმი თედო სახოკიას მიერ შემოწირული **„მხატვარ ალექსანდრე ბერიძის ნახატი და ვახტანგ - VI კანონების რუსული თარგმანი XIX- ს. გამოცემა. 1921 წლის 9 ივნისი“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #635);**

ასევე ბევრია ექსპედიციაში მონაწილეობისა და ამ ექსპედიციის მასალების შესახებ ცნობები. **„საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების“** დავალებით მან ახალციხე-ახალქალაქის მაზრებსა და ბორჯომის ხეობაში შეიძინა ეთნოგრაფიული ნივთები **ამავე საზოგადოების მიზნებისათვის. 1922 წელი (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #436, იქვე #437);** ამ ექსპედიციისათვის **„შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მიმართვა ახალქალაქის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავ-რესადმი. კომისარი ითხოვს, აღმოუჩინონ დახმარება თედო სახოკიას, რომელიც მიემგზავრება სამუზეუმო ნივთებისა და ეთნოგრაფიული მასალის, ექსპონატების შესაძენად „საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დავალებით. 1922 წლის 3 ივლისი. (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #438–443);** მიმართვები თედო

სახოკიას „საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების“ სხდომებზე დასწრების შესახებ, და ა. შ.

ამდენად ყველა ეს დოკუმენტაცია იმას მიგვანიშნებს, თუ რა აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა თედო სახოკია და რამდენად საჭირო იყო მისი მოღვაწეობა ქვეყნისათვის.

4. მწერალთა კავშირში.

საქართველოს მწერალთა კავშირის შესახებ მასალებიც ასევე დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თედო სახოკიას ფონდში, რომლის შესწავლა გვარწმუნებს იმაში, თუ როგორი დაუღალავი, ენერგიული პიროვნება იყო თედო სახოკია.

მეტად საინტერესოა თედო სახოკიას განცხადება, რომელიც მან გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში“. იგი გულისტკივილით აღნიშნავს მისი კავშირის წევრად არ დასახელების შესახებ: „პრეზიდიუმს! თედო სახოკიას განცხადება გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კავშირის წევრების მიმღებ კომისიის მუშაობის შედეგი. მე თედო სახოკია მიღებულთა სიაში მოყოლილი არ გახლავართ. ყურადღება მივაქციო შემდეგს გარემოებას. 1. როგორც მითხრეს, ჩემი წევრად მიუღებლობის საბუთად ისა ჰქონია კომისიას, რომ მე სიტყვაკაზმულ მწერლობაში (ორიგინალურში) წილი არ მიძევს. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ჟურნალ „მომბეში“ დაბეჭდილი ჩემი ნარკვევი „გურია, აჭარა და სამურზაყანო“, ჩემის აზრით, სიტყვაკაზმულ მწერლობის ხასიათისაა. გარდა ამისა, ჩემი 45 წლის მანძილზე სამსახური ქართულის მწერლობისა უფლებას მაძლევდა მეც მწერლობაში ჩემი სიტყვა მეთქვა. ივნისი („კომუნისტი“ 1934: 19/06).

453. 15 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირის კლუბში შესდგება ვასილ ბარნოვის გარდაცვალებიდან 10 წლის აღსანიშნავი საღამო, გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა. მწერალთა კავშირის დირექცია: 1944 წელი 15 ნოემბერი.

#454. საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირი. ა/წ 9 აგვისტოს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობა რუსთაველის სახელობის თეატრში აწყობს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 90 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს.

საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის თავ-რე სიმონ ჩიქოვანი სთხოვს დაესწროს. 1945 წლის 9 აგვისტო.

#455. ამხანაგ თედო სახოკიას საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირი ა-წ 3 დეკემბერს სადამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში /მაჩაბელის 3/ მთარგმნელთა სექციის თათბირს შემდეგი დღის წესრიგით: 1. მთარგმნელთა სექციის მუშაობის შესახებ; 2. მთარგმნელთა ბიუროს გადარჩევა; 3. მიმდინარე საკითხები. გთხოვთ აუცილებლად დაესწროთ, მწერალთა კავშირი.

#457. ამხანაგ თედო სახოკიას ა/წ 13 ივნისს სადამოს 4 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის კლუბში /მაჩაბლის 3/ მთარგმნელთა სემინარზე დანიშნულია თქვენი მოხსენება თემაზე: „ჩემი გამოცდილება მხატვრული ლიტერატურის თარგმანში“. გთხოვთ მოზრძანდეთ დაუგვიანებლივ, ვინაიდან თქვენი გამოუცხადებლობა ან დაგვიანება გამოიწვევს სემინარის სამუშაო გეგმის ჩაშლას. საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირი პრეზიდიუმის წევრი მთარგმნელთა სექციის ხელ-ლი: სიმონ ჩიქოვანი.

#459. ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაციის წევრს მოქალაქე თედო სახოკიას. ამით გაცნობებთ, რომ თქვენ ასოციაციის საზოგადო კრების მიერ არჩეული ხართ ასოციაციის კრების დელეგატად სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის ყრილობაზე, რომელიც გაიხსნება მიმდინარე მარტის 4-ს ქალაქ ტფილისში ხელოვანთა სასახლეში შუადღის 12 საათზე. ყრილობის საკითხების წინასწარ განსახილველად პარასკევს, 2 მარტს, სადამოს 7 სთ-ზე ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ასოციაციის დელეგატების თათბირი. გთხოვთ დაესწროთ აღნიშნულ თათბირს ასოციაციის ბიუროს დავალებით: პავლე ინგოროყვა. აცნობებს, რომ ის არჩეულია ასოციაციის დელეგატად სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის ყრილობაზე და სთხოვს, დაესწროს დელეგატების თათბირს, რომელიც წინასწარ განიხილავს ყრილობის საკითხებს; უთარილო.

#460. ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაციის მორიგი თავ-რე კონსტანტინე გამსახურდია მიმართავს თედო სახოკიას და აუწყებს, რომ აკადემიური ასოციაციის საბჭოს კრებაზე მისი დასწრება აუცილებელია.

აღნიშნული აღწერებიდან გამომდინარე, თედო სახოკია აქტიურადაა ჩართული საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის საქმიანობაში.

თავი XIII. თედო სახოკიას პუბლიცისტიკა

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პრესას, დიდად აფასებდა მის როლს ქართველი ხალხის ინტელექტუალური წინსვლის საქმეში. იგი წერდა: „როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება” (ჭავჭავაძე 1953: 257).

თედო სახოკიას საგაზეთო წერილები, კორესპონდენციები, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფელეტონები და ის უამრავი მასალა, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობით დაგროვდა, საინტერესო, მდიდარ წარმოდგენას გვიქმნის ავტორის მსოფლხედვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ასპექტების თვალსაზრისით.

XIX საუკუნის დასასრულისა XX საუკუნის პირველი ნახევარში მოღვაწეობის პარალელურად განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მუშაობდა და აქვეყნებდა მასალებს, რითაც ერთნაირად ეხმიანებოდა საქართველოს მთისა და ბარის ყოველი კუთხის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენასა და ფაქტს.

ქართველი მკითხველი დიდი გულისყურით ელოდებოდა და ეცნობოდა თედო სახოკიას ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს, აქტუალობითა და სამართლიანი შეფასებით აღბეჭდილ გამოხმაურებებს ერის მტკივნეულ საკითხებზე. ზემოაღწერილს შეიძლება დაემატოს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები და ფელეტონები, სამეცნიერო თუ საინფორმაციო ხასიათის წერილები. უცხოეთიდან ძირითადად აგზავნიდა ევროპის იმ ქვეყნების შესახებ, რომელშიც იმყოფებოდა და ასეთთა რიცხვშია: **შვეიცარია**, სადაც პირველად გაემგზავრა სასწავლებლად, **საფრანგეთი**, სადაც სწავლის გარდა, საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩართული, **იტალია**, სადაც ზაფხულს ატარებდა ე. ი. ისვენებდა და სამეცნიერო საქმიანობაში ეხმარებოდა კათოლიკე მღვდელ **მიქაელ თამარაშვილს**, **ბელგია**, სადაც ემიგრანტის მრავალი წელი და მძიმე დღეები გაატარა, **ინგლისი**, სადაც სავაჭრო საქმიანობის გარდა, ნაყოფიერ მეგობრულ კავშირებს ეძიებდა საქართველოს მეგობართა ოჯახთან.

ევროპის ამ ქვეყნების გაცნობის გარდა, თედო სახოკია იმ ქვეყნის ენასაც სწავლობდა, სადაც ცხოვრება უწყევდა, ხოლო ქართველ მკითხველს საინტერესო, მდიდარ მასალას აწვდიდა ამ ხალხის ცხოვრებიდან, რომელიც მას შეიძლებოდა საკუთარი გამოცდილებისათვის გამოეყენებინა. აქვეყნებდა მასალებს რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

თედო სახოკიას პუბლიცისტური მემკვიდრეობა იმდენად ვრცელ მასალას შეიცავს, შეუძლებელია ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვისას ვრცლად განვიხილოთ, ამდენად შევეცდებით ბიბლიოგრაფიულ საკითხების გაცნობით შემოვიფარგლოთ.

თედო სახოკიას პუბლიცისტური მემკვიდრეობა შემდეგ ქრონოლოგიურ არეზად დაიყოფა:

1. 1888 – 1900 წწ. პირველი გამგზავრება ემიგრაციაში, ოჯახური პირობების გამო ნაადრევად დაბრუნებული, საქართველოში იწყებს მუშაობას და თანამშრომლობას გაზეთ „ივერიაში“ 1889 – 1893 წლებში. ამავე პერიოდში 1894 წლიდან იწყებს რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთში, „Кавказ“ - ვიდრე 1898 წლამდე, „Новое обозрение“-ში, ყველაზე გახმაურებული საგაზეთო წერილი, გამოქვეყნებული „Петербургския ведомости“-ში.

2. 1900– 1905 წწ. ემიგრაციაში ყოფნის ამსახველი მასალები, კორესპოდენციების, სამეცნიერო შეხვედრების შესახებ წერილები, ფელეტონები და საინფორმაციო ხასიათის კორესპოდენციები და ა. შ. ემიგრაციაში მყოფი საფრანგეთში თანამშრომლობს და აქტიურად არის ჩართული ქართულ გაზეთ „საქართველოს“ გამოცემაში. თამამად შეიძლება ითქვას, თანარედაქტორია. იმავე „საქართველოს“ ფრანგული გამოცემა „La Georgie“, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო, არჩილ ჯორჯაძესთან ერთად თედო სახოკია თანარედაქტორია. ამ გაზეთის ნომრები არ არის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მაგრამ ვიცით, რომ გაზეთი ნამდვილად გამოდიოდა, ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით გიორგი ლასხიშვილის „მემუარებში“ (ლასხიშვილი 1992:159-160).

ამავე პერიოდში საქართველოში დროებით ჩამოსულს თავად ჩამოაქვს აღნიშნული ნომრები კონსპირაციული გზით.

3. 1905-1909 წწ. იარაღის ჩამოტანა, სოხუმში მიმდინარე მოვლენები, პატიმრობა, ციმბირში გადასახლება, უკან გამოქცევა და ემიგრაციაში ამჯერად ხანგრძლივი დროით წასვლა. გაზეთები: „ცნობის ფურცელი“, „Черноморский вестник“, „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „მუქი“, „ისარი“, ჟურნალები: „ნიშადური“, „მოგზაური“ - რომლებშიც აქტიურად თანამშრომლობს.

4. 1909 – 1916 წწ. ემიგრაციაში გატარებული წლები ბელგიაში, საფრანგეთში, ინგლისში. ამ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან, აღსანიშნავია, რომ ამ გაზეთების ჰონორარებით ახერხებს საკუთარი თავის სამშობლოში ავადმყოფი მეუღლისა და შვილების რჩენას. ამავე პერიოდში თანამშრომლობს და აგზავნის წერილებს პეტერბურგის სამუზეუმო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ამავე პერიოდში ემიგრაციაში მყოფმა გამოსაცემად მოამზადა რამდენიმე ეთნოგრაფიული წერილი სამეგრელოს შესახებ, რომელიც პერიოდულობით იბეჭდებოდა რუსულ გაზეთში, „Про Мингрелии“ (Брачные обряды), Этнографический очерк, „Петроградские ведомости“, 1916, ##176, 178,181, 191.

საქართველოში თანამშრომლობს გაზეთებთან: „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „კოლხიდა“, „ჩვენი ერი“, „საქართველო“.

5. 1916 -1924 წწ. საქართველოში დაბრუნებული აგრძელებს თანამშრომლობას გაზეთებთან: „სახალხო საქმე“, „ტრიბუნა“, „ბახტრიონი“, „ლომისი“, „ქართული სიტყვა“, ჟურნალი: „დროშა“.

მიმოვიხილავ მოკლედ პირველ, მეორე და მესამე პერიოდის პუბლიკაციების, კორესპოდენციების ზოგიერთ წერილს.

1. 1888 - 1900 წლების კორესპოდენციები.

თედო სახოკიას პირველი კორესპოდენცია, გამოგზავნილი ქართლიდან (გორიდან), სადაც დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა, კიდევ გამოაქვეყნა სტატია: „სკოლა და მისი მზრუნველი ხელი“ („ივერია“ 1889, #267). შემდგომ კი სისტემატურად იწებს და აქვეყნებს აქტუალურ მასალებს. აქვე შეიძლება აღნიშნოთ, ამავე პერიოდში(1888 წლიდან) იწებს მთარგმნელობით საქმიანობას და მუდმივად აქვეყნებს თავის თარგმანებს (იხ. თარგმანები).

„ილია ჭავჭავაძეს დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნდა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრება და პუბლიკაცია. ამ საქმეს „ივერიაში“ და მისმა თანამშრომლებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თედო რაზიკაშვილისა და ნიკო ხიზანიშვილის დიდი ღვაწლი, ასევე ზაქარია ჩხიკვაძის, ლადო აღნიაშვილის, თედო სახოკიას და სხვათა დამსახურება. მრავალფეროვანია „ივერიაში“ დაბეჭდილი ხალხური შემოქმედების საუნჯე: საგმირო-საისტორიო ლექსები, სატრფიალო ლირიკა, საყოფაცხოვრებო ლექსები, სამეურნეო და შრომის სიმღერები, მითოლოგიური ლექსები და გადმოცემები“ (ქართული ლიტ. ისტ. ტ. 5. 23).

თედო სახოკიას ნაწერების ბიბლიოგრაფია ტირძნისიდან გაზეთ „ივერიაში“ გამოგზავნილი კორესპონდენციით იწყება. წერილში საუბარია ახლად გახსნილ სკოლასა და მის მნიშვნელობაზე. „ეს მესამე წელია, რაც სკოლა არსებობს, ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე სულხანიშვილს, რომელმაც სოფელს უსასყიდლოდ დაუთმო სასკოლო ადგილი და სკოლის მასალის უმეტესი ნაწილი... დღეს უკვე 40-მდე შეგირდი დადის ამ სასწავლებელში და მათ შორის 5 ქალი. იმათ მალხაზსა და ცქრიალა პირისახეს რომ უყურებს კაცი, გული უმხიარულდება“ („ივერია“ 1889: #267).

ამავე პერიოდში პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად იწყებს ხალხური ზეპირსიტყვიერების, ზღაპრებისა თუ სხვა მასალების შეგროვებას, რომელთაც აქვეყნებს იმდროინდელ გაზეთში, მათ შორისაა, ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ასევე ქართლში, ტირძნისში, აქვს ჩაწერილი („ივერია“ 1890: #7,8).

სოფლის მასწავლებლობა, საშუალებას იძლეოდა გასცნობოდა ხალხს, მათს ჭირ-ვარამს, ახლოს ყოფილიყო იმ ადამიანებთან, რომლებმაც ქართველი ერის, ქართული სულის გარუსება-გადაგვარებისაგან გადარჩენა შეძლეს, ხელი შეუწყვეს თედოს, როგორც ქართველი ერის მსახურს, ნაყოფიერი, შინაარსიანი ცხოვრებით ეცხოვრა.

საგაზეთო კორესპონდენციებში დიდი ყურადღება ეთმობა სოფელს და სოფლის ცხოვრების სამეურნეო თუ ეკონომიკური თვალსაზრისით მიმოხილვას. ასეთთა რიცხვშია 1892 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილები:

„მოსავალი კავკავში“, „წილკნის ეკონომიკური მდგომარეობა“. ამას მოჰყვება ვრცელი კორესპონდენციები ზესტაფონიდან, სადაც თედო სახოკია უცხოეთის კორესპოდენტად აგრძელებს მუშაობას შავი ქვის მრეწველ ნიკოლოზ ლოლობერიძის წარმოებაში. აქედან აგზავნის საინფორმაციო ხასიათის წერილებს შავი ქვის წარმოების შესახებ, განიხილავს მუშების ეკონომიკურ, სოციალურ, ჯანმრთელობის მდგომარეობას და ა. შ. აღწერს ისტორიას 1879 წლიდან, როცა ჭიათურის მანგანუმის საბადოს ექსპლოატაციას ეწეოდნენ ადგილობრივი კერძო პირები, უცხოელი კაპიტალისტები, სააქციო საზოგადოებები და გაერთიანებები. ამ პერიოდში მარგანეცის მოპოვება და დამუშავება ხდებოდა ხელით, პრიმიტიული წესით.

მაგალითად, ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ, თუ რამდენი ფუთი შავი ქვა გაიზიდა ჭიათურიდან ქ. ფოთამდე: „შავ ქვას აგზავნიდა სულ 8 მწარმოებელი, რომელთა შორისაა 3 ბერძენი, 1 ინგლისელი, 1 შვეიცარიელი, 1 გერმანელი, 1 ქართველი და ერთიც ქართულ-ბერძნული ამხანაგობა,“ აღნიშნავს, რა რაოდენობის ნედლეული გაჰქონდათ, სად, რომელ ქვეყნებსა და ქალაქებში იგზავნებოდა ტვირთი და ა. შ. („ივერია“ 1893: #48). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1909-1916 წლების ემიგრაციაში ყოფნისას თედო სახოკიას კიდევ ერთხელ გამოუჩნდა შესაძლებლობა ეთანამშრომლა უცხოეთთან, კერძოდ, ინგლისში ამავე შავი ქვის რეალიზაციასთან დაკავშირებით, გასცნობოდა მოვაჭრეებს და მიეწოდებინა მათთვის საჭირო ინფორმაცია. ამისათვის ის ერთი წლით სამუშაოდ გადავიდა ინგლისში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მონდომებამ საბოლოოდ უშედეგოდ ჩაიარა.

1910 წელს, თედო სახოკია აქვეყნებს წერილს გაზეთ „სახალხო გაზეთში“ #171-ში. ის სინანულით აღნიშნავს, რომ შავი ქვის მრეწველობა წყდება, რადგან ჭიათურის შავი ქვის წარმოებაზე სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობები შეიზღუდა. ავტორს მოჰყავს მაგალითები, თუ რამ გამოიწვია შავი ქვის რეალიზაციის შეწყვეტა და რა გამოიწვია ამან: „ტალახიან ქვებს უშვებდნენ, დაზარალდა მოსახლეობა - რკინიგზა, ფოთის ნავსადგური დაცარიელდა და ა. შ. ეს 20-30 წელიწადია, ჭიათურას და მთლიანად დასავლეთ საქართველოს შეღავათს აძლევს ჭიათურის შავი ქვის წარმოება. დღეს ლონდონის ბაზრიდან განდევნილია ჩვენებული შავი ქვა, ჩვენი ქვა არაფერში სჭირდებათ, ჭიათურის შავი ქვა ევროპაში

ჩაანაცვლა ინდოეთსა და ბრაზილიაში მოპოვებულმა შავმა ქვამ“ („სახალხო გაზეთში“1910: #171)

ასევე კორესპონდენციებში საუბარობს ზესტაფონში ხოლერის გავრცელებისა და მასთან ბრძოლის საწინააღმდეგო ვაქცინების შესახებ („ივერია“ #141, #187, #203).

გაზეთ „Кавказ“-ში 1894-დან -1998 წლამდე თედო სახოკია აქვეყნებს მასალებს სოფლის ცხოვრების, ძირითადად შიდა ქართლის, აქტუალური პრობლემების შესახებ, მაგალითად, სკოლების შესახებ ვკითხულობთ („Кавказ“ 1894: #107), სოფლებში გლეხების ცხოვრების პირობების, ასევე ყურძნისა და პურის მოსავლის თაობაზე („Кавказ“ 1894: #162), ხეხილის მოსავლის, მცენარეთა სოკოვანი დაავადებების ირგვლივ („Кавказ“1895: #200). და ა. შ.

თედო სახოკიას კორესპონდენციები უაღრესად საიმედო წყაროა განსაკუთრებით აფხაზეთისა და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამ პრობლემების გაშუქებას, თედო სახოკია ამავე პერიოდიდან აქტიურად იწყებს საგაზეთო სტატიებში.

თედო სახოკიას მწერლური კრედაა, წეროს სამართლიანად, ისტორიული სინამდვილე რეალისტურად, შეუფერადებლად ასახოს, ძირითადად ამ კუთხის, აფხაზეთის ისტორია, რომლის მკვიდრად ითვლება და ეს მასალებიც, ერთი-ორად ძვირფასია, რადგან ის სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, ღრმად ჩასწვდეს მშობლიური მიწა-წყლის საიდუმლოს და გამოამზეუროს იგი.

საგაზეთო კორესპონდენციები გრძელდება გაზეთ „Новое обозрение“-ში. აქაც, როგორც წინამორბედებში, ავტორი იცავს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, წერს სამართლიანობისა და რეალობის შეუფერადებლობის სურვილით, წერს სხვადასხვა საკითხზე, იქნება ეს სოხუმის ოლქში ახალი სამრევლო სკოლების გახსნა („Новое обозрение“ 1895: #4095), რუსი გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობა („Новое обозрение 1895: #4078), საქალაქო არჩევნები (1896: #4319), საზღვაო-სანავსადგურო ზონის აშენება („Новое обозрение“ 1896: #4369) და სხვა უამრავი მასალა, რომელთა ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა.

1896 წლიდან გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“. თედო სახოკია ძირითადად ამ გაზეთში გადადის სათანამშრომლოდ. იგი აგრძელებს აფხაზეთის ცხოვრების აქტუალური მოვლენების გაშუქებას, რაც ძალზე

შეზღუდული იყო ცენზურის მიერ. აღსანიშნავია, რომ „ცნობის ფურცელში“ გაზეთის ძირითადი ნაწილი ახალ ამბებს ეკავა, ამასთან, უპირატესად - თეატრალურ ღონისძიებებს (ეს გარემოება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ გაზეთს ამ დროს რედაქტორობდა ცნობილი თეატრალური მოღვაწე ვალერიან გუნია, რომელიც აგრეთვე იყო თედო სახოკიას მეგობარი).

თედო სახოკია აფხაზეთში, დამკვიდრების შემდეგა ქტიურად აჩაღებს იქ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელიც ისტორიაში ზემოხსენებულ „ქართული პარტიის“ სახელით არის ცნობილი.

საგაზეთო კორესპონდენციები ძირითადად აქ მიმდინარე ამბებს ეხება, ეხმიანება ყველა მოვლენასა და ფაქტს, აშუქებს მთელი სიმკაცრითა და პირდაპირობით საზოგადოებისათვის ყურადსაღებ მოვლენებს, აცნობს ქართველობას, თუ რა მდგომარეობაშია იმდროინდელი აფხაზეთი.

წირვა-ლოცვის ქართულად, გასაგებ ენაზე ჩატარების შესახებ „მაღალყოვლადუსამღვდელოეს ფლავიანესთვის თედო სახოკიას თხოვნა მიუერთმევია იმის შესახებ, რომ ადგილობრივ საკათედრო ტაძარში კვირაში ერთხელ ქართულ ენაზე ჩატარდეს წირვა-ლოცვა და რომ მღვდელმსახურება ქართველი მრევლისათვის ამავე ენაზე უნდა სრულდებოდეს („ცნობის ფურცელი“ 1898: #553).

1900 წლისათვის თედო სახოკიას საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა ისეთ ხარისხს აღწევს, აფხაზეთში „ქართული პარტიის“ მოღვაწეობა იმდენად საგანგაშო მასშტაბებს იძენს, რომ თედო სახოკია იძულებულია დატოვოს საქართველო, ამჯერად ის პარიზის მსოფლიო გამოფენაზე მიემგზავრება საქართველოდან მიმავალ ჯგუფთან ერთად, როგორც ამ მოვლენების გასაშუქებლად, აგრეთვე როგორც გაზეთ „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი. მას ევალება ყოველთვიურად 4 კორესპონდენციის გამოგზავნა.

ამავე, 1900 წელს ეკუთვნის თედო სახოკიას გახმაურებული სტატია სოხუმის მოვლენების შესახებ, „Петербургския ведомости“-ში გამოქვეყნებული. „Из Сухума, _ ერქვა სტატიას, რომლითაც ავტორი, სოხუმის ოლქის სხვადასხვა სოფელში მოსახლეობისათვის გასაგებ (ქართულ ენაზე) წირვა-ლოცვის აკრძალვის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

ამავე წლებში თედო სახოკია თანამშრომლობს ჟურნალებში: „კვალი“, „მეურნე“, „მოამბე“. უკანასკნელი, „მოამბე“, გაცილებით მაღლა იდგა თავის წინამორბედებზე. „მოამბე“ იყო ევროპული სტილის, ახალი ხედვისა და მოთხოვნილებების გამომხატველი სალიტერატურო ჟურნალი. მან თავისი არსებობის მანძილზე (1894-1905 წლები) დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ისტორიაში. „მოამბე“ დროულად ეხმაურებოდა ქართული კულტურის, აზროვნების და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს. ორიგინალურ მწერლობასთან ერთად „მოამბეში“ ფართოდ იყო წარმოდგენილი ნათარგმნი ლიტერატურაც. „მოამბე“ ბეჭდავდა მასალებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევებზეც. ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნაშრომები, 90-იან წლებში თანამშრომელთა შორის - თვალსაჩინო ადგილს იჭერს თედო სახოკია.

უთანხმოება ილია ჭავჭავაძესთან. თბილისის სასამართლო პალატა იხილავს თედო სახოკიას საჩივარს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ილიას რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ჩიორა“ არტემ ახნაზაროვს გამოუქვეყნებია წერილი. მომჩივანის მტკიცებით, სტატია შეიცავდა თედოს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. რედაქტორის ბრალეულობა არ დასტურდება და სასამართლო პალატა ილია ჭავჭავაძეს უხსნის ბრალდებას. („ივერია“ 1898: #250.

თედო სახოკიამ გამოსცა წიგნი „აკაკის ოხუნჯობანი“, რომლის მისამართით უარყოფითი შეფასებებიც გამოითქვა. 1895 წელს გამოცემულმა ამ წიგნმა საზოგადოებისა და განსაკუთრებით, საგაზეთო კორესპონდენციების ყურადღება დაიმსახურა, ამ ამბის გარშემო გამართული სასამართლო პროცესების განხილვას გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“ 1897 წ. #131-ში და ამავე წლის გაზეთ „ცნობის ფურცლის“ #250, #255.

მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ ახალი ამბების რუბრიკაში ვკითხულობთ: „შაბათს, 28 ნოემბერს, ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია საქმე თავად ილია ჭავჭავაძისა, რომელსაც მღვდლის შვილი თევდორე სახოკია უჩივის, რომ 1895 წლის „ივერიის“ #79, დაბეჭდილ „ჩიორას“ არტემ ახნაზაროვს, ფელეტონში გაკიცხული და შეგინებული ვყავარო. ოლქის სასამართლომ ეს საქმე განიხილა 1896 წელს, 24 ივლისს და თედო სახოკიას საჩივარი უკანონოდ იცნო, ხოლო თავად ილია

ჭავჭავაძე - უდანაშაულოდ. მომჩივანმა ეს საქმე პალატაში გადაიტანა სააპელაციო საჩივრით და იქ ეხლა ხელმეორედ იქმნება განხილული“. სტატიას გამოეხმაურნენ ასევე გაზეთები („*Кавказ*“ 1895: #137), („*Новое Обозрение*“ 1896: #4319).

საინტერესოა თავად თედო სახოკიას შემდგომი მონათხრობი ამ გახმაურებული მოვლენისადმი, როგორ ხსნის თავად ამ ამბავს: „ერთხელ „*ივერიაში*“ არტემ ახნაზაროვმა დაბეჭდა წერილი, რომელშიც მე უსამართლოდ გამკიცხა. თურმე ილია მაშინ თბილისში არ იყო და არც იცოდა, თუ ეს წერილი იბეჭდებოდა, მე რედაქციას სასამართლოში ვუჩივლე, მეგონა რედაქციის მდივანს და იმ წერილის ავტორს ახნაზაროვს გამოიძახებდნენ, როგორ გავოცდი და შევკრთი, როცა დარბაზში დიდი ილია დავინახე. გამაცია და გამაცხელა, აღარ ვიცოდი საით გავქცეულიყავი (სახოკია 1969:112).

თედო სახოკიას მოგზაურობა აფრიკაში. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897 წელს (#242, #251, #257) ბეჭდავდა მასალას თედო სახოკიას აფრიკაში მოგზაურობის შესახებ. ერთ-ერთ სტატიაში საუბარია თედო სახოკიას ალჟირში გამგზავრების შესახებ: „...იქ, საქარის უდაბნოში, გადაკარგული ქართველები მოგვიძებნოს და საქართველოში მოგვიყვანოს, - ეს დიდი საქმე უტვირთია ერთ-ერთ დიდ ენერჯის მქონე რედაქციის თანამშრომელს, (საუბარია თედო სახოკიაზე) ამ ამომავალს ვარსკვლავს საქართველოს ლიტერატურისას. ეს საქმე გაზეთს დაუვალებია ერთ თავის „უსაზღვრო ენერჯის“ მქონე თანამშრომლისათვის.

წერილში ავტორს გაქილიკებული ჰყავს „*ცნობის ფურცელი*“ და მისი სარედაქციო ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში „*ცნობის ფურცლისა*“ და „*კვალის*“ რედაქციებს შორის დიდი დაპირისპირება იყო. ავტორი იმასაც აღნიშნავს, ამგვარი საქმისათვის ქართველებისგან ფულსაც ბევრს მოაგროვებენო და წუხილს გამოთქვამს, ზემოხსენებული ანდაზისა არ იყოს, იმაზე, რომ საქართველოს ნებისმიერ სოფელში ძალიან საჭიროა წავიდნენ ზაფხულობით მაინც და იქაურ ბავშვებს ასწავლონ ქართული წერა-კითხვაო,- დასძენს წერილის ავტორი, თუმცა ბოლოს პესიმისტურად დაასკვნის: „დარწმუნებული ვარ, ამაზე არცერთი ქართველი ფულს არ გამოიღებს“. საპასუხო წერილში რედაქცია აღნიშნავდა: აფრიკაში წასასვლელი თანხა ჩვენ უკვე მივიღეთ. 300 მანეთის შემომწირველი

პოდპოლკოვნიკი გრიგოლ დავითის ძე მაჭავარიანი. მიმდინარე მოვლენა ჟურნალ „კვალშიც“ აქტიურად გაუშუქებიათ.

თედო სახოკიას ბიბლიოგრაფიული შენიშვნა რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ. გაზეთ „კვალის“ 1897 წლის # 28-ში რეცენზენტი მიტროფანე ლალიძე წერილით „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ აკრიტიკებს თედო სახოკიას ამ გამოცემისათვის.

წერილში გამოთქმულია მთელი რიგი შენიშვნები: - იმდენად შეუფასებელ მასალად მიგვაჩნია ეს არაქართული ლექსთა კონა, რომ ამაზე სიტყვის თქმაც არ მიგვაჩნდა საჭიროდ, ხოლო ამ წერილს იმიტომ ვაქვეყნებთ „კვალშიც“, რომ აქ წარმოთქმული აზრი ნამდვილად ამტკიცებს იმას, თუ როგორი თვითცნობიერებით აფასებს ხალხი ასეთ ნაწარმოებებს.

სტატიის ავტორი უარყოფითად აფასებს ლექსიკონს და აღნიშნავს, რომ მას არანაირი დადებითი მხარე არ გააჩნია. მას მოჰყავს 33 სიტყვა, რომელთა თარგმანში უზუსტობას ხედავს, ბოლოს კი ასკვნის რომ „ამაზე ხმასაც არ ამოვიღებდი, რომ „ცნობის ფურცელს“ უსაზღვროდ ხოტბა არ შეესხა ამ ყალბ მარგალიტების მოძღვნისთვის“. ავტორი საუბრობს აგრეთვე იმაზე, რომ რამდენიმე ლექსიკონი მზადდება გამოსაცემად და იმედოვნებს, რომ ისინი მაინც აცდება მსგავს დამახინჯებას. მას აღნიშნული აქვს ისიც, რომ ლექსიკონის გამოცემა, ენის ახალი ტერმინებით შევსება-გამდიდრება აუცილებლობაა, მაგრამ „სახოკიასებრი არა“-ასკვნის ბოლოს.

კრიტიკული შენიშვნა გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „ივერიაში“, 1897 წლის #212-213-ში. ავტორი „ფერეიდნელი ქართველის“ ფსევდონიმით წერს. იგი მკაცრად აკრიტიკებს ლექსიკონს. ავტორს სანიმუშოდ მოყვანილი აქვს ორმოცდაათამდე სიტყვის ახსნა, ყოველ მათგანს თან ერთვის კრიტიკული შენიშვნა, დაახლოებით ამგვარი ხასიათისა: თედო სახოკიამ „ზოგი გამოქეჟა ძველის წიგნებიდან, ყოველივე შეცდომით თუ უცოდინრობით, ერთხელ ოდესმე ნახმარი ჩვენს მამა-პაპათაგან უწინდელი სიტყვები და შემოიტანა ახალს მწერლობაში“. ავტორი კრიტიკულად აფასებს იმ ახლად აღმოჩენილ სიტყვებს, რომლებიც თედო სახოკიას შეუტანია ლექსიკონში შემდგომ „ფერეიდნელი ქართველი“ ასახელებს სიტყვებს და მოჰყავს მათი სწორი მნიშვნელობა. მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე სიტყვას: „საჟამნე“

(საათი) . ე. ი. ძველი ქართულის „ჟამნი“ სიტყვიდან არის შექმნილი ახალი სიტყვა სა-ე თავსართ-ბოლოსართის დართვით. ავტორი დასძენს, რომ რადგან ენაში არსებობს ცნება „საათი“, არავითარი აუცილებლობა არ არის ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნისა, მით უფრო, რომ თავად სახოკია წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: ჩვენი მიზანი იყო „დავხმარებოდით ჩვენს საზოგადოებას ენის სუფთად შენახვაში“. ბოლოს საზოგადოებას სთხოვს თავიდანვე აიკრძალოს ამგვარი ლექსიკონის გავრცელება, რათა მოზარდ თაობებს ხელში არ ჩაუვარდეს ასეთი გაუმართავი არაკომპეტენტური ლექსიკონი.

2. 1900 – 1905 წწ. კორესპოდენციები

ემიგრაციაში ყოფნის მასალები. ამ პერიოდს მიეკუთვნება კორესპოდენციების, სამეცნიერო შეხვედრების ამსახველი მასალა, ფელეტონები და საინფორმაციო ხასიათის წერილები და ა. შ., რომელთაც თედო სახოკია საზღვარგარეთიდან აგზავნიდა. ქართველ მკითხველ საზოგადოებას აცნობს, ევროპის განათლებულ სახელმწიფოების ყოფაცხოვრებას, ამ სახელმწიფოების მკვიდრთა მიღწევებს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ თუ სხვა სფეროებში. ასე ეცნობოდა ქართველი მკითხველი დასავლურ ღირებულებებს, ევროპის მიღწევებს, ევროპელთა ყოველდღიურ ყოფა - ცხოვრებას.

თედო სახოკია საზღვარგარეთ დევნილობის დროს აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში ჟურნალ-გაზეთებთან, განსაკუთრებით კი **„ცნობის ფურცელთან“**. აქ ძირითადად ყურადღებას გავამახვილებ იმ საგაზეთო კორესპოდენციებზე, რომლებიც ეხება უცხოელ მოღვაწე-მეცნიერთა შეხედულებებს საქართველოს შესახებ. ასეთთა შორის გამოსარჩევია პოლ ადამსის აზრი, რომელიც დაბეჭდილია ამავე წლის **„ცნობის ფურცელის“ 1901 წლის #1343-ში**. პოლ ადამსი ყურადღებას ამახვილებს **რაფიელ ისარლიშვილისა და პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის** ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნზე, რომელიც საქართველოს ეძღვნება. „ამ წიგნის საშუალებით, - წერს იგი, - კაცი ადვილად მიხვდება ამ პატარა ხალხის, ქართველთა ტომის, ისტორიას, რომელმაც XIX საუკუნემდე მოაღწია და საბოლოოდ მაინც არ განქრა, არ დაუკარგავს არც თავისი ენა, არც სარწმუნოება და არც თავისი ზნე-ჩვეულება“, - წერს ავტორი და შემდეგ ვრცლად მიჰყვება

საქართველოს ისტორიას ვიდრე 1801 წლამდე. თანამედროვე საქართველოს შესახებ კი ამბობს: „დღეს ტფილისი მდიდარი ქალაქია. საქართველოს დიდძალი ჭირნახული მოჰყავს საფრანგეთში გასაგზავნად. სახელიდა დარჩა იმ ურდოთა, რომელნიც ესოდენ საუკუნეთა განმავლობაში მისის სისხლით მორწყულ მიწასა სთელავდნენ, მართლა ყველანი ამ ერს იბრიყვებდნენ და ჩაგრავდნენ, ყველა იმას ამარცხებდა, მაგრამ დღეს ეს ერი მაინც ბატონია თავის ქვეყნისა და კეთილდღეობითა ხარობს, ვიდრე ეს ერი არის -ერი მწარმოებელი“ („**ცნობის ფურცელის“ 1901: #1343**).

საქართველოს თემას ეხება და საქართველოს ისტორიის და ქართველი ხალხის უძველესი წარსულის უგულითადესი სიყვარულითაა თქმული სიტყვები, რომლებიც არ შეიძლება მოკლედ არ მოვიხსენიოთ გაზ. „**ცნობის ფურცელი“ 1901წ #1369**-ში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფია თედო სახოკიას მიერ. ბარონ დე-ბაი საქართველოში მის მიერ ფრანგულად გამოცემული წიგნი (52 გვერდი) აღწერს ისტორიულ წარსულს. აქ მოვიხსენიებთ ფრაგმენტს მისი წერილიდან: „მისი (ქართველ ერის) ისტორიული ცხოვრება, - ამბობს ბარონი დე-ბაი, - გრძელი და განუწყვეტელი ბრძოლა იყო, სადაც მისი მამაცობა ბრწყინავდა, სადაც იხარჯებოდა მისი სიყვარული იარაღისადმი. მისი გულუხვობა, მისი კეთილშობილური ხასიათი ვეღარ იფერებს წვრილმანურ ანგარიშიანობას თანამედროვე ცხოვრებისას, ამ დიდსულოვან ერს დიდებული აღმაფრენა აქვს გრძნობათა, უმაღლესი შეგრძნება თვისი ღირსებისა და თავის მეგობრობას ფულზე კი არა ჰყიდის, არამედ უსასყიდლოდ იძლევა“. ჩვენს საზოგადო მოღვაწეთაგან მარტო ილია ჭავჭავაძე ჰყავს დასახელებული: „ქართველებს, მეომრების გარდა, პოეტებიც ჰყავთ - ერთი მათგანი ტფილისში ცხოვრობს. მისი ვინაობა და მისი ფრანკოფილური გრძნობანი მახედვინებს აგიწეროთ ეს კაცი: ქართველი თავადიშვილი **ილია ჭავჭავაძე** ნაციონალური და სახალხო პოეტია, მის ლექსებს გაიგონებთ როგორც ქუჩებში, ისე ქოხებსა და სასახლეებში. ეს განათლებული პირი უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნის, ყოველ უწინარეს კი თანამედროვე კაცია და ეს მცირე ღირსება კი არ გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ იმ წრეს, რომელშიც ისა სცხოვრობს“ („**ცნობის ფურცელი“ 1901: #1369**). აქ ავტორი, ჩამოთვლის მის საქმეებს და დამსახურებას ქართველი ერის წინაშე.

ბარონ დე-ბაის საფრანგეთის საერო განათლების სამინისტროსაგან დავალებული ჰქონდა შეესწავლა საქართველოს საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო კვლევა-ძიებანი.

ბარონ დე ბაის ფელეტონი, რომელიც დაიბეჭდა „ცნობის ფურცლის“ 1901 წლის #1622-ში სწორედ ამ მივლინების შედეგია. დე-ბაი კიდევ ერთხელ აღნიშნავს საქართველოს სიმშვენიერეს და აღფრთოვანებული აღნიშნავს: „კავკასია ულეველ წყაროს წარმოადგენს მოგზაურთა, მწერალთა და მასწავლებელთათვის, ყველას შეუძლია დაეწაფოს სასმელად ამ წყაროს, სვან რამდენიც ენებოთ, მაგრამ წყაროს მაინც არაფერი დააკლდება. ეს მხარე ნაქებ-ნადიდი იყო პოეტთაგან და მაინც მისი სიმშვენიერე, უკუნისამდე მომხიბვლელი, უკუნისამდე შეიძლება ქებულ და დიდებულ იქნეს“. კავკასიის საკვირველი ბუნების ქება გადაჭარბებული არ არის, ის კი არა, ქებათა-ქება, რაც მისთვის მიუძღვნიათ, ერთია, ხოლო მისი სიმშვენიერე - ისეთია, „უნდა თვითონ იხილოს ადამიანმა ეს დიადნი სურათნი ეს დიადნი სანახავნი, თვითონ გამოსცადონ მომხიბვლელი ამ დიდებულის ბუნებისა და ამ ნათლისა, რომელიც მას ათასჯერ ასურათხატებს: შემოდის სამხედრო გზით და მიჰყვება მის ისტორიას“ („ცნობის ფურცლის“ 1901: #1622).

თედო სახოკია სპეციალურ წერილს უძღვნის ბულგარელი მწერლის ივანე ვააზოვის წერილს „მოკლე მიმოხილვა ქართველთა ერის ისტორიული ცხოვრებისა“, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხის გაცნობას ეძღვნება. აი, რას უყვება ივანე ვააზოვი თავის მკითხველს ქართველი ხალხის შესახებ: „ბუმბერაზ კავკასიის ქედის სამხრეთ მხარეს უხსოვარ დროიდან სცხოვრობს მთის, მამაცი და მძლავრი ხალხი, ქართველთა ტომისა. ავტორი აცოცხლებს ისტორიულ თანამიმდევრობას და ბოლოს ახსენებს რუსეთს, რომელმაც უბრძოლველად, საბედისწერო გარემოებათა წყალობით, სისხლ-დაუღვრელად შეიერთა საქართველო და ამ ქვეყანაში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასპარეზი იყო უბედურებისა და აწიოკებისა, დაიმკვიდრა მშვიდობიანობამ. მაგრამ ამ მშვიდობიანობას შესწირა თავისი დამოუკიდებლობა. ერთი მუჭა ერი ოცის საუკუნის განმავლობაში ებრძოდა ურიცხვ მტერს ხმალი და ცეცხლი მუსრს ავლებდა მთელს მხარეს: ხანდახან კაცი იფიქრებდა, გრიგალმა ეს ერი, ეს არის, პოლიტიკური ცისკიდურიდან გადააგდო, მაგრამ გაიხედავთ და ქართველი ერი მუდამ მეზრძოლი და ცოცხალი რჩებოდა. ამ ერს ამდენი უბედურება

დაატყდა თავს და მაინც დაიცვა თავისი ენა და ეროვნული თვითცნობიერება იმ დროს, როცა ბევრნი იმაზე უძლიერესნი სახელმწიფონი აზიისა თავიანთ ცივილიზაციასთან ერთად დედამიწის პირიდან სამუდამოდ აღიგავენ“.

ავტორი იქვე აგრძელებს და აღნიშნავს: „წარმოდგენთ ქართველი ერის ამ დაუღალაობას და გულ-გაუტეხლობას, მისს დაუსრულებელს ბრძოლას, გული გეწვით მისთვის პატივსა სცემთ ამ ხალხს ისე, როგორც პატივსა სცემთ და სიმპათიით ეკიდებით ხოლმე ყოველ ერს, სიცოცხლითა და სულიერის სიძლიერით სავსეს: გიკვირთ, ეს ერი, მხნე, ვითარცა ახალი კლდე კავკასიისა, სადაც ისტორიამ ის დაამკვიდრა, როგორ გადაურჩა აზიის უთვალავ ურდოთა სიმხეცეს და უღმობელობა, გიკვირთ, მათს შემდეგ როგორ მოახერხა კიდევ ცოცხალი დარჩენილიყო“ („ცნობის ფურცელი“ 1901: #1428).

თედო სახოკია ასევე აქვეყნებდა წერილებს, საფრანგეთის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, აგრეთვე სამეცნიერო წერილებს, რომლებიც ეხება ქართველი მკითხველისათვის საჭირო და საინტერესო მოვლენებსა და ფაქტებს, წერილებიდან გვინდა გამოვყოთ რამდენიმე.

სწავლა-განათლების შესახებ. წერილში საუბარია საქართველოდან ჩასულთა მდგომარეობაზე საფრანგეთში, როგორც სწავლა-აღზრდის, ასევე მათი ცხოვრების პირობების მხრივ. გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში ვკითხულობთ: საფრანგეთში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდების რაოდენობა 20-21-ია. ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც ეშურებიან სწავლა-განათლების მიღებას, მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიან, თედო სახოკია წერილში სთხოვს ქართველ მკითხველს, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში შექმნილი აქვთ გამოსაღები ამ ყმაწვილთა დასახმარებლად, ეს მაინც საკმარისი არ არის აქ და საჭიროა, ყურად იღონ მათი გასაჭირი და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ. „იმედი გვაქვს, ქართული გაზეთების რედაქციები სიამოვნებით იკისრებენ შუამავლობას და საქმის გასაადვილებლად, მსურველთაგან მიიღებენ შემოწირულობას, ჩვენი სალაროს გასაძლიერებლად, ჩვენს მადლობას წინდაწინვე მოგახსენებთ“ („ცნობის ფურცელი“ 1903: #2096).

სწავლა-აღზრდის საკითხებზე ევროპაში: - საუბარია ევროპაში თუ რამხელა ყურადღებას უთმობს მთავრობა და საზოგადოება სკოლასა და მოსწავლეს, იცავს მათ უფლებებს და ზრუნავს მოზარდი თაობის ჯანმრთელობასა და ა. შ. აღწერიდან

მოკლე ამონარიდები გვამცნობს დღევანდელი სკოლის მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა განსაკუთრებით საქართველოსთვის იყოს გასათვალისწინებელი: „დღევანდელი სკოლა, სადაც მომავალი მოქალაქე ატარებს თავის სიცოცხლის პირველსა და საუკეთესო ნაწილს, სკოლა, რომელიც მეორე დედობას უწევს შეგირდს, ამ უკანასკნელთ გულქვა დედინაცვალად გახდომია, გონებრივად ასახიჩრებს, ხასიათს უდუნებს, ხორციელად ჩაგრავს და აჩიავებს. აქ თედო სახოკია საუბრობს ექიმის დანიშნულებაზე სკოლაში, საფრანგეთის დედაქალაქში დაარსებულ საზოგადოებაზე, რომელშიც არიან გაერთიანებული ექიმები და მშობლები და „რომელთაც აზრად აქვთ გაუმჯობესება გონებრივი და ფიზიკური ჰიგიენისა საფრანგეთის სკოლებში, აქვე დასძენს, რომ ფრანგთა მაგალითი ჩვენთვისაც მეტად საგულისხმოა, „პატივცემული მკითხველი ნებას მოგვცემს მოკლედ გავაცნოთ ხსენებულ საზოგადოების დანიშნულება და ის მომავალი სიკეთე, რომლის გამოღება მას შეუძლია. აქ ავტორი ჩამოთვლის აღწერს და განიხილავს იმ ნაკლოვანებებს, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება თანამედროვე სკოლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკლასო ოთახების სისუფთავეს, ავეჯს, ფეხის-ადგილიც კი როგორ არის კარგად მოწყობილი, ფიზიკური ვარჯიშები, სუფთა ჰაერი და ბოლოს, საჭმელ-სასმელი. ბოლოს კი დაასკვნის, რომ კარგი იქნება, თუ ქართველი საზოგადოებაც გაითვალისწინებს, ყურად იღებს და სათანადოდ მიაქცევს ყურადღებას საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმეს („ცნობის ფურცლი“ 1903; #2097, #2103).

ილია ჭავჭავაძის სტუმრობა სოხუმში. 1903 წელს ილია ჭავჭავაძე ჩადის სოხუმში. ჩასვლის მიზეზი პრინცი ოლდენბურგელი, რომელმაც გახსნა გაგრაში სასწავლებელი და იწვევს ილია ჭავჭავაძეს. ურთიერთ-მიმოწერით და დეპეშებით მხარეები აცნობებენ ერთმანეთს მიმდინარე მოვლენებს, დეტალურად აქვთ განხილული პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგელის გადაწყვეტილება გახსნას დაწყებითი სკოლა და ამის შესახებაც სთხოვს ილიას ჭავჭავაძეს რჩევას. 19 მაისს ილიასთან ერთად გაგრაში ჩავიდნენ დიმიტრი ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. ჩასულებს ზარბაზნების ზალპით ეგებებიან.

24 მაისს გაგრიდან წარმომადგენლობა ჩადის სოხუმში. დელეგაციის წევრებისა და **ალექსანდრე ოლდენბურგელის** საპატივცემლოდ შერვაშიძეთა ბაღში იშლება სადღესასწაულო სუფრა. ამ სადღესასწაულო სუფრას დასწრებია აგრეთვე სოხუმში საგასტროლოდ ჩასული ქართული დრამატული დასი (**ელ. რეს. #180**).

ილია ჭავჭავაძე მისასალმებელ სიტყვაში საუბრობს მშობლიური მიწა-წყლის გაფრთხილების აუცილებლობაზე. ცნობილია, რომ ილიას ეს სიტყვა სტენოგრაფიული სიზუსტით ჩაიწერა თედო სახოკიამ (**იხ.: „ქართული პარტია“ აფხაზეთში**).

სოხუმელები სთხოვენ ძვირფას სტუმარს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან შუამდგომლობას, რათა მათ ქალაქში ქართული სკოლის დააარსონ. ცნობილია აგრეთვე საერთო ფოტო **„ილია ჭავჭავაძე სოხუმის საზოგადოებასთან“**. სოხუმელთა მხრივ საზოგადოებამ დიდი სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება გამოხატა ილია ჭავჭავაძისა და დელეგაციის სხვა წევრების მიმართ. გაცილებისას ხელში აყვანილი მიუყვანიათ ეტლამდე და ქართული სიმღერით გაუცილებიათ.

უთანხმოება და სასამართლო პროცესი თედო სახოკიასა და ბერენსს შორის. 1903 წელს თედო სახოკია ბრუნდება საქართველოში, როგორც წინა თავში აღინიშნა, აფხაზეთში ქართული პარტიის სახელის სააშკარაოზე გამოტანა გახდა მიზეზი თედო სახოკია დროებით გასცლოდა საქართველოს. 1900 წელს საფრანგეთში გაემგზავრა პარიზის მსოფლიო გამოფენის მონაწილე ჯგუფთან ერთად. სოხუმში განვითარებული მოვლენები აძლევდა უფლებას დაბრუნებულიყო და გაეგრძელებინა მოღვაწეობა. 1903 წელს მონაწილეობას ღებულობს ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნებში. ამავე წლის გაზეთ **„ცნობის ფურცლის“ #2269** აღწერილია ამ არჩევნების ჩატარებისა და მონაწილეთა შესახებ რომელთა შორის არის თედო სახოკია კონკრეტულად „15 სექტემბერს დანიშნული იყო არჩევნები ქალაქის მოურავისა და გამგეობის ერთი წევრისა, ნაცვლად თედო სახოკიასი, რომელიც ამ თანამდებობაზე არჩეულ იყო და მთავრობამ არ დაამტკიცა, მის ნაცვლად არჩეულ იქნა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე ვასილ აბულაძე („ცნობის ფურცლი“ 1903: #2269).

თედო სახოკიასა და ბერენსის საჩივარი და ამ თემაზე სასამართლო პროცესის ამსახველი მასალები, საგაზეთო კორესპონდენციის სახით „ახალ ამბებში“ იქნა გაშუქებული „ცნობის ფურცლის“ 1903 წლის #2320-ში. აქ აღნიშნულია, რომ 13 ნოემბერს სოხუმში ქუთაისის ოლქის სასამართლო სესია განიხილავს სოხუმის ქალაქის ნამოურავალ ბერენსის საჩივარს. ბერენსი ნახმოსნარ ბ-ნ სახოკიას უჩივის, 1900 წლის თებერვლის საბჭოს კერძო მოლაპარაკებაზე სიტყვით „შეურაცხმყო, ცრუ და ყალბისმქნელი მიწოდაო“ („ცნობის ფურცლის“ 1903: #2320).

„ცნობის ფურცლის“ იმავე 1903 წლის #2328-ში გვაუწყებს, რომ შემდგარა თედო სახოკიასა და ბერენსის სასამართლო საქმე, რომელიც ეხება ხმოსან თედო სახოკიასა და ქალაქის მოურავ ბერენსს შორის დავას. ეს უკანასკნელი თურმე ხმოსნებთან შეთანხმების გარეშე წყვეტდა ქალაქის საქმეებს და ამის გამო თედო სახოკიამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საინტერესოა, თუ რა შედეგით დამთავრდა სასამართლო. თედო სახოკია ვრცლად საუბრობს და საქმის ვითარებას აცნობს მოსამართლეს. საბოლოოდ საქმე დამთავრდა იმით, რომ ბრალმდებელმა (ბერენსმა) უარი განაცხადა თედო სახოკიას ბრალეულობაზე.

უთანხმოება თედო სახოკიასა და მიხეილ თამარაშვილს შორის. საინტერესოა საგაზეთო პუბლიკაციების გამო ატეხილი უთანხმოებანი ასეთთა რიცხვს ეკუთვნის, თედო სახოკიასა და მიხეილ თამარაშვილს შორის კონფლიქტი. წინარე თავებში აღწერილია, რომ თედო სახოკიასა და მიხეილ თამარაშვილს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდათ. მათ შორის უთანხმოების საბაზი გამხდარა თედო სახოკიას მიერ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ეძღვნება უთანხმოებას რომის პაპსა და საფრანგეთს შორის, ახსნილია მიზეზი და შედეგი ამ უთანხმოებისა, ავტორი აკეთებს პროგნოზს იმაზეც, თუ ვინ დარჩება მოგებული („ცნობის ფურცელი“ 1904: #2541).

მიხეილ თამარაშვილის თედო სახოკიასადმი საპასუხო წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1904 წლის #183-184-ში, სადაც ვკითხულობთ: „ამ წერილში სიმართლე და ჭეშმარიტება ბევრგან დამახინჯებულია და რაც მოუყვანია, ყველა აზრები ავტორს გამოუკრებია რომის მოწინააღმდეგე დასთა ჟურნალ-გაზეთებიდან, რომელთა რედაქტორები არიან სოციალ-ანარქისტები. ყველამ ვიცით, რომ ამ დასების მეცადინეობა ის არის, მთლად დაამხონ ქრისტეს ეკლესია და ღვთის ხსენება

ქვეყანაზე მოსპონ, რის გამოც იძულებულნი არიან პაპს ყველანაირი ცილი დასწამონ, ყველა დანაშაულობა მას მიაწერონ, რათა მათ როგორმე გაამართლონ, გააკანონიერონ თავიანთი ანტიქრისტიანული მოქცევა. ხსენებულ წერილის ავტორიც აჰყოლია ამ ბატონების ფეხის ხმას და თავისი დანასკვნი გამოჰყავს ისე, როგორც შეუსწავლია ხსენებულ ჟურნალ-გაზეთებიდან“. - ასკვნის მიხეილ თამარაშვილი.

ავტორი თედო სახოკიას საყვედურობს, რომ თუ წერილის გამოქვეყნება აუცილებელი იყო, ავტორს ცალსახად არ აეწერა და არ დასჯერებოდა მარტო ფრანგულ გაზეთებს, ანუ იტალიური პრესაც უნდა შეესწავლა, კერძოდ, ვატიკანის მხრივ გაზეთებიც უნდა მოეშველიებინა, - ამბობს წერილის ავტორი და საყვედურობს თედო სახოკიას, რომ მან „თავისი წერილი თავიდან ბოლომდე უსამართლო აზრებით გაავსო. საფრანგეთის მთავრობა დიდი ხანია იყო უთანხმოების ჩამომგდები და არა - წმინდა საყდარი ანუ ვატიკანი და რომის პაპი. ე. ი. საფრანგეთის მთავრობამ არაერთხელ აგრძნობინა წმინდა საყდარს, შენთან კავშირის გაწყვეტა მწადიანო, ეს უთანხმოება(უფრო გაუგებრობა) მიხეილ თამარაშვილსა და თედო სახოკიას შორის საკმაო ხანს გაგრძელებულა. როგორც ვიცით, შემდეგში მათ განაახლეს მჭიდრო ურთიერთობა, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობა მიხეილ თამარაშვილის ტრაგიკულად გარდაცვალებამდე ჰქონიათ

3. 1905 -1909 წწ. კორესპოდენციები

პატიმრობა. 1906 წლის 9 მარტის „ცნობის ფურცლის“ #3031 ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანის საქმის ისტორიას იუწყებოდა და ამ საქმესთან დაკავშირებით თედო სახოკიას დაპატიმრებას: „როგორც გვატყობინებენ, აზრად აქვთ სამხედრო სამართალში მისცენ ქართველი ლიტერატორი თედო სახოკია, რისთვის ამლევენ სამხედრო სამართალში, არავინ იცის. სახოკია ამჟამად სოხუმის ციხეშია.“ - წერს ჟურნალისტი.

1907 წლის 17 აპრილის გაზეთი „ისარი“ აქვეყნებს თედო სახოკიას რწმუნებულის, ბ-ნ ვასილ აბულაძის შუამდგომლობას სასამართლო პალატის პროკურორის წინაშე, რომ სოხუმის ციხეში დაპატიმრებული სახოკია გაათავისუფლონ და თუ საჭირო იქნება, სათავდებოდ გადახდილ იქნას მეტი თანხა. („ისარი“ 1907: #85).

1907 წლის 19 მაისის ამავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ სოხუმის ციხეში ჰყავთ დაპატიმრებული თედო სახოკია უკვე ორი თვეა. „დაპატიმრებისას ჯანმრთელობის მხრივ კარგად იყო, ხოლო ამისა შემდგომ ავად გახდა. საექიმო კომისიამ შეამოწმა და „აღმოჩნდა, რომ თედო სახოკია მძიმე ავადმყოფია ტუბერკულოზით, ხოლო რაც შეეხება ამ დაავადებას, იგი შედეგია ციხეში არსებული ანტისანიტარული მდგომარეობისა“ („ისარი“ 1907; #107).

„სოხუმის ციხე აშენებულია ჭაობიან და ციებიან ადგილას და არათუ ციხეში მყოფნი, არამედ ახლომახლო მდგომნიც კი ავადდებიან ზაფხულობით მალარიით. ციხე აშენებულია 30 კაცისათვის, პატიმართა რაოდენობა კი ორასზე მეტია“. ამასვე იტყობინებოდა გაზეთის მომდევნო, 22 მაისის ნომერი („ისარი“ 1907: #109).

პატიმრობაში მყოფ თედო სახოკიას შესახებ გაზეთი „დროება“ 1908 წლის 23 ნოემბრის # 5-ში გვაუწყებს: „ბათუმიდან გვწერენ, რომ 17 ოქტომბერს ქუთაისიდან ჩამოიყვანეს და სხვებთან ერთად ციმბირისკენ გაგზავნეს თედო სახოკია. არ ვიცით, რა მიზეზით, მას ბორკილები ჰქონდა გაყრილი, დღემდე პოლიტიკურ დამნაშავეებს ჩვეულებრივ უბორკილოდ ისტუმრებდნენ, ამბობენ, ეს განკარგულება მოუხდენია ქუთაისის ადმინისტრაციასო. მოსკოვამდე ასე წაიყვანენ, იქ კი, ამბობენ, ბორკილებს მოვხსნითო. სახოკია ყოჩაღად იყო, თუმცა ციხეში ჯდომას მაინც თავისი კვალი დაუჩნევია. თედო სახოკიას საგაზეთო წერილი გამოგზავნილი ირკუტსკიდან, რომელიც გაზეთ „დროებაში“ (1909 წელი, #406, გვ. 2-3) დაიბეჭდა. პოლიტიკურ პატიმრებს, სასამართლო განაჩენით, მათი დანაშაულისათვის ძირითადად ციმბირში ასახლებდნენ. 1908 წელს ყველა გადასახლებული ირკუტსკის გუბერნიაში გუბერნატორის განკარგულებაში იგზავნებოდა. პოლიტიკურ პატიმართა შორის იყვნენ გადასახლებულნი არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, აგრეთვე ბალტიისპირეთისა და პოლონეთის მოქალაქეები, აგრეთვე ებრაელებიც. 1908 წლის მიწურულს გადასახლებაში 30 კაცი გაიგზავნა .

პოლიტიკურ პატიმრებს ძირითადად საცხოვრებლად ასახლებდნენ კირენსკის, ვერხოლენსკის, ბალაგანსკის, იშვიათად ნიჟნეუდინსკის მაზრებში. გადასახლებულთა ბანაკებიდან ყველაზე ახლო იყო ბალაგანსკის მაზრა, რომელიც რკინიგზის გასწვრივ იყო განლაგებული, მაგრამ აქ მხოლოდ რუსი ეროვნებისანი ხვდებოდნენ, ხოლო არარუსი პატიმრები კი - უფრო შორს, კირენსკისა და

ვერხოლენსკის, მაზრებში. ეს ძირითადად გამოწვეული იყო, იმით რომ გადასახლებულთა უმეტესი ნაწილი ვერ ჩერდებოდა, ვერ ეგუებოდა იქაურ პირობებს და ხშირად ცდილობდნენ გამოქცევას.

თედო სახოკიას ეს კორესპონდენცია ერთადერთია ციმბირიდან გამოგზავნილი, მასში განხილულია, თუ როგორი ურთიერთობა იყო ამ პერიოდში გადასახლებულთა და იქაურ მკვიდრ მოსახლეობას შორის: „ჯერ ერთი, მოსახლეობა რკინიგზის ლიანდაგიდან დაშორებულია და მეორეც, სოფლები იშვიათია, ბინები ძვირია და გარდა ამისა, შოვნაც გასაჭირია, სანოვაგე ყველაფერი მამასისხლად იყიდება: შეუძლებელია რაიმე სამუშაო იშოვნოს კაცმა; თვით ხალხი მეტად პურ-ძვირია და თან პოლიტიკურებს მტრული თვალთ უყურებს - ხელმწიფის მოღალატე ხალხიო და თავის მოვალეობად მიაჩნია, უსასყიდლოდ იკისროს ჟანდარმის როლი. თვალყურს ადევნებს, „პატიმარი“ არსად გაიქცესო და შეამჩნევს თუ არა ვისმე პოლიტიკურს, გაქცევას აპირებსო, ეცდება დაიჭიროს და მთავრობას გადასცეს ხელში“. ასეთი მძიმე იყო პირობები პოლიტიკურ გადასახლებულთა. თედო სახოკიას კორესპონდენცია მეტად დრამატულ სურათს აღწერს: „ხვედრი ასეთი ხალხისა ძირითადად აქ, შორეულ ციმბირში, არის ლოთობა ან თავს მოკვლა, ან მარცვა-გლეჯის გზას ადგება, ან, უკეთეს შემთხვევაში, ეცდება აქაურობას, ასეთ მძიმე პირობებს თავი დააღწიოს. შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო ავადმყოფი პატიმრებისათვის. ამ ადამიანებს ვერ აგზავნიდნენ ასე შორს, რადგან მკურნალობას საჭიროებდნენ. იმ ხალხს, ვინც 45⁰/ყინვას ვერ აიტანს, კირენსკის მაზრას ვერხოლენსკის მაზრით უცვლიან. ასეთი ადამიანების რიცხვში ხვდება თედო სახოკია. ე.ი. თედო სახოკიას თავის მოგონებებში არა აქვს აღნიშნული, თუ რამდენი ქართველი იყო მაშინ იქ, მაგრამ ირკუტსკიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში კი ჩამოთვლილი აქვს ყველა იმ ქართველის ვინაობა, ვინც მასთან ერთად მოხდა ან მანამდე იყო გადასახლებული. საინტერესოა, რომ მათ შორის ერთი ქალია, **სოფიო უთნელიძისა**, გადასახლებულთა შორის არიან: პოლიტიკური პატიმარი **ასლან ბეგ აბაშიძე**, **მიხეილ ტეტაშვილი**, **ნიკო კეცხოველი** და სხვები. თედო სახოკიასთან ერთად იარაღის შემოტანის საქმეზე იყვნენ დაპატიმრებული: **კირილე კორშია**, **ესტატე ხუბუა**, **ელიზბარ ჩარტია**. აღსანიშნავია ისიც, რომ თედო სახოკიამ 1931 წელს დაწერილი „ციმბირში“ (მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან) სწორედ ამ

პიროვნებების ხსოვნას უძღვნა. (ხელნაწერი გამოცემულ იქნა 2012 წელს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ).

განსაკუთრებით მძიმე იყო პატიმრობა ქართველებისათვის იმიტომ, რომ ისინი ჯერ საქართველოშიც დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ პატიმრობაში. „უმეტესობა ქართველ პატიმართა (პოლიტიკურ - გადასახლებულთა), - იგონებს თედო სახოკია - დაავადებულია ჯერ სამშობლოში ხანგრძლივი პატიმრობით, მერე შუაგულ ზამთარში ეტაპით შორი გზის გავლით, სრულიად შეუფერებელ ტანსაცმლით „სახელმწიფო სიფრიფანა ფარაჯისა, სახელმწიფო მაუდის ძიქვისა, ტილოს საცვლებისა და ჩვენებური ჩუსტების ანაბარა“!... ამ ყველაფერთან ერთად, პატიმრებს ბორკილები ხელების ნაცვლად ფეხებზე ჰქონდათ.

დანიშნულების ადგილამდე მგზავრობა ერთი თვე გაგრძელდა და იქ ჩასული პატიმარს, რა თქმა უნდა, სიცოცხლის ნიშანწყალიც ძლივს ეტყობოდა. ამას ემატება ის, რომ პატიმრები ჩაყვანისთანავე კი არ გაათავისუფლეს, არამედ ორი კვირას კიდევ ამყოფეს ეგრეთ წოდებულ „პერესილნიში“ - ეს იყო სავსე ხალხით ოთახი, ისეთი ბული იდგა, რომ ღამით ლამპებს არ ეკიდებოდა, რადგან სასუნთქი ჰაერი ჟანგბადის მაგიერ მარტოოდენ ნახშირბადისაგან შესდგებოდა. ამას დამატებული სიბინძურე და 35-40⁰ სიცივე, უჭმელობა, უსმელობა. ბევრი გახდა სახადით ავად.

ამგვარ მდგომარეობაში მყოფი თედო სახოკია მეგობრებთან ერთად უნდა გადაესახლებინათ კირენსკის მაზრაში. პატიმრების ჩივილზე, თუ რატომ იგზავნებიან ასე შორს ისედაც დაუძღურებულები, საგუბერნიო სატუსალოთა ინსპექტორის პასუხი იყო: „რაც დასთესეთ, იმასვე იმკით! - მახლობელ მაზრაში ვინც კი გავზავნეთ, თავის ვოლოსტში აღარავინ გაჩერდა, ყველა გამოიქცა, ახლა შორს იმიტომ ვგზავნით, რომ ადვილად ვერ გამოიქცევიანო“.

შემდგომ თედო სახოკიას აღწერილი აქვს პატიმართა მდგომარეობა დანიშნულების ადგილას მიყვანისას: პატიმარი თავისუფალი იყო ამ შორეულ, უკაცრიელ, ცივ-სუსხიან, მისთვის უჩვეულო ტემპერატურას შეუგუებელ მდგომარეობაში ცხოვრებას. მას თავად უნდა უზრუნველყო, თავად ეზრუნა მატერიალური მდგომარეობისათვის; „არავის ადარდებს იცხოვრეთ, როგორც გნებავთ და რითაც გნებავთ, მხოლოდ ერთად ერთი მოთხოვნა თვით ვოლოსტს არ უნდა გასცდნენ. ასეთ პირობებში ექვსი თვის გატარება კანონით იყო აუცილებელი.

შემდგომ პატიმრებს აძლევდნენ ბილეთს, რითაც მთელ მაზრაში ჰქონდათ უფლება „თავისუფლად“ ცხოვრების. შემდგომ ერთი წლის გასვლისა, უფლება ჰქონდათ მთელ გუბერნიაში ცხოვრებისა (გარდა საგუბერნიო ქალაქ ირკუტსკისა) და საბოლოოდ, ხუთი წლის შემდეგ, მთელ ციმბირში. რვა წლის შემდეგ კი აძლევდნენ გლეხის ბილეთს, რომლითაც შესაძლებლობა ეძლეოდათ აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი, ე. ი. სამშობლოშიც კი შეეძლოთ დაბრუნება.

თავი XIV. თედო სახოკიას სამეცნიერო და

მთარგმნელობითი მოღვაწეობა

§1. სამეცნიერო მოღვაწეობა

თედო სახოკიას მეცნიერული მუშაობა, როგორც ზემოთ, მის საუნივერსიტეტო განათლებასთან დაკავშირებით საუბრისას ვნახეთ, ჟენევისა და პარიზის უმაღლეს სასწავლებელშივე დაუწყო რაც საფუძვლად დაედო მის შემდგომ მოღვაწეობას. თავდაპირველად მთარგმნელობითი საქმიანობით დაიწყო და გააგრძელა ქართული ენის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, პუბლიცისტიკის, ლექსიკოლოგიისა და სხვა დარგების შესწავლა-გაღრმავებით. მან სამეცნიერო მოღვაწეობით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს. მისი სამოცდაათწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფი უდიდესი მონაპოვარია ქვეყნისათვის.

საფრანგეთში პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოებასთან არსებულ ცნობილ ანთროპოლოგ ბროკას მიერ დაარსებულ უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში. ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი მოწინავე სასწავლებელი ამ სფეროში, რადგან აქ პროფესორებად იყვნენ მიწვეულნი მაშინდელი ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა წამყვანი სპეციალისტები, როგორებადაც ითვლებოდნენ: **შარლ ლეტურნო, ანდრე ლეფევრო, ლ. მანუვრიე, ლაბორდი** და სხვ. თედო სახოკია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ სკოლაში გატარებულ წლებს, ამბობს რომ „სიცოცხლის საუკეთესო, უტკბესი დრო იყო ის ოთხი წელიწადი“, რომლებიც მან „ამ ადამიანთა, ჩვენთა სულ უძველეს წინაპართა, ნახევრად ადამიანთა და ნახევრად მაიმუნთა“, ყოფა-ცხოვრების შესწავლას მოანდომა. ის აცნობიერებდა თუ რამდენად მნიშვნელოვანია აქ დაცული მასალები კაცობრიობის ისტორიისათვის: „ათი ათას წელს გაუვლია ჩვენის წინაპრის ტაატით სიარულში, ტაატით ჭეშმარიტების ძიებაში ურთიერთ ცხოვრების კანონების, ზნეობის ამა თუ იმ პირველყოფილი სახის პრინციპების შემუშავებაში, სანამ დღევანდელ ადამიანს დაემსგავსებოდა, მისის ცოდნითა და გონებრივის ავლადიდებით შეიმოსებოდა“. წერდა თედო სახოკია (**სახოკია. 1969: 228**).

საანთროპოლოგიო სკოლაში სწავლის დროს თედო სახოკიამ ანთროპოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე 1903 წელს წაიკითხა

ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა სახალხო მკურნალობის ერთ-ერთი სახის - „ბატონებისა“ (ყვავილის) და მისი მოვლის შესახებ. „ადვილი წარმოსადგენია, რარიგ ვლელავდი, რომ გაკვადნიერდი და ცხრა მთას იქიდან მოსული ქართველი გამოვედი და ასეთ მეცნიერთა წინაშე ქართველების შესახებ ჩამოვაგდე ლაპარაკი. მოხსენება დიდის ყურადღებით და ფრანგულის თავაზიანობით მომისმინეს, მერე საზოგადოებამ პატივი მცა და საზოგადოების ერთ-ერთ თავის სხდომაზე საზღვარგარეთელ წევრ-კორესპოდენტად ამირჩია, ხოლო ხსენებული მოხსენება ცალკე იქნა გამოშვებული.

ამ ხანებშივე იქაურ სახალხო საზეპირსიტყვაო ჟურნალში დავბეჭდე ქართული ანდაზები, მერე ცალკე დაბეჭდილი და ამნაირადვე მოკრძალებული წვლილი შევიტანე ფრანგთა მიერ ჩვენი ხალხის გონებრივის მდგომარეობის გაცნობის საქმეში“ (სახოკია 1969: 228).

თედო სახოკიამ პარიზში ყოფნისას საფუძვლიანად შეისწავლა ანთროპოლოგია, იმ დროისათვის საქართველოში ის იყო პირველი ადამიანი, ამ კუთხით განათლება - მიღებული. „იმთავითვე ძალიან მაინტერესებდა ყოველ ორგანული არსის და, უმთავრესად, ადამიანის წარმოშობის ისტორია, მისი პირველყოფილი მდგომარეობა და კულტურა, თანდათან ტაატიტ მავალი პროგრესი, ვიდრე დღევანდელ მდგომარეობამდე მიღწევდა. კერძოდ, ჩემი გული მიიწევდა ეთნოგრაფიისაკენ, რომელიც, და ბოლოს, ჩემს სალიტერატურო მუშაობაში ჩემს სპეციალობად უნდა გამეხადა“ (სახოკია 1969: 227).

სწავლის პარალელურად სისტემატიურად მონაწილეობდა დე-მორტილიეს სახელობის სემინარებში და პარიზის ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით მოწყობილ ყოველკვირეულ სამეცნიერო ექსპედიციებში, ექსკურსიებში. თედო სახოკიას არქივში ინახება ამ ექსკურსიების, ანუ სამეცნიერო ექსპედიციების, ამსახველი ფოტოსურათები.

საფრანგეთში სწავლისას თედო სახოკია რეგულარულად ბეჭდავდა ეთნოგრაფიულ ნარკვევებს **ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე**, პარიზიდან საქართველოში სისტემატურად აგზავნიდა მეცნიერული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური შინაარსის კორესპონდენციებს, რომელთა

ქართულ ენაზე გამოქვეყნებით ქართველი მკითხველი მრავალ საინტერესო საკითხს ეცნობოდა. სწორედ ეს იყო მისი სწავლისა და მუშაობის მიზანი და ამოცანაც.

თედო სახოკიას მიერ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი ნარკვევები ეთნოგრაფიასა და ფოლკლორიდან 1956 წელს გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად სათაურით: „**მოგზაურობანი - გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი**“.

თედო სახოკიას ამ წიგნის შესახებ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ვკითხულობთ: „ავტორი ამ ნაშრომებში არ არის ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის უბრალო შემკრები, ან რომელიმე ძველი ლიტერატურის, რელიგიური რწმენის, ხალხის ზნე-ჩვეულების, სამეურნეო წყობის, არსებული ყოფაცხოვრების უბრალო აღმწესხველი. იგი მოვლენათა ანალიზით სათანადო დასკვნებს აკეთებს და ამბობს რაღაც ახალს. მოგზაურობათა ეს კრებული თავისი დროის ერთგვარი მატთანაა, მაგრამ არა ძველ მატთანეთა მსგავსად, არამედ ხალხის ყოფაცხოვრებითა და ხასიათით დაინტერესებული. ამასთანავე, ავტორი ამ ნარკვევის მიხედვით დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ოსტატია“ (ლიტ. საქ. 1993: #5, 20/03;).

თედო სახოკია სამეცნიერო მუშაობის პარალელურად აგრეთვე იყო ეთნოგრაფიული კოლექციების შესანიშნავი შემგროვებელი, დასძენს ავტორი ეს საკოლექციო კომპლექსები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (თბილისი), რუსეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (პეტერბურგი), ისტორიულ მუზეუმში (მოსკოვი), საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების მუზეუმში (პარიზი) („ლიტ. საქ“ 1993: 20/03; #5).

სტატიაში თედო სახოკიას კორესპონდენციების საინტერესო შეფასებას წავაწყდით: „ეს კორესპონდენციები მრავალ საჭირობო და საყოფაცხოვრებო საკითხს აშუქებს და თავისი დამაჯერებლობით უმტვერო სარკეა ჩვენი და უცხოეთის ყოველდღიური ცხოვრებისა.“

ქართველი ერის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი ბრძნული ანდაზები და ზღაპრები, ჩვენი და უცხოეთის წარჩინებულ მოღვაწეთა შესახებ მოგონებები, რუსეთის და უცხოეთის კლასიკოს მწერალთა თარგმანები და

სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევანი ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ოქროს ფონდად უნდა ჩაითვალოს.

თედო სახოკიამ მთარგმნელობითი საქმიანობა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო. 1888 წლიდან იწყება მისი თარგმანების გამოქვეყნება. ,თედო სახოკია, იყო აგრეთვე გაზეთ „ივერიასთან“ არსებული ჟურნალისტთა და მთარგმნელთა წრის წევრი.

თარგმნიდა ფრანგულიდან, იტალიურიდან, ინგლისურიდან, ბულგარულიდან და რუსულიდან. მის მიერ თარგმნილია ჯოვანო ბოკაჩოს, გი დე მოპასანის, ვიქტორ ჰიუგოს, ვოლტერის, ემილ ზოლას, ჯუზეპე გარიბალდის, მარკ ტვენის, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ანრი ბარბიუსის, ოქტავ მირბოს და სხვათა თხზულებები.

თედო სახოკიას სამეცნიერო ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სამეცნიერო აკადემიის დავალებით შედგენილი სამტომეული -„ქართულ ფიგურალურ თქმათა“ ლექსიკონი. ასეთი ლექსიკონი ყველა კულტურულ ერს მოეპოვება, ქართველებს კი მისი უქონლობა დიდად აბრკოლებდა. დღესდღეობით თედოს წყალობით ქართველი მკითხველი ამ დაბრკოლებას თავიდან აიცილებს.

თედო სახოკიამ ჯერ კიდევ 1943 წელს დაწერა თავისი „ავტობიოგრაფია“, მასში იგი საინტერესოდ და მძაფრად მოგვითხრობს თავისი ცხოვრების ქარცეცხლიანი ფურცლების შესახებ, ცდილობს იყოს ობიექტური და სამართლიანი თავისი ღირსებებისა და შეცდომების მიმართ. ამაგი გაწეული მის მიერ ფასდაუდებელია არცერთი წუთი ქართული სულისა და იდეის გარეშე არ ყოფილა, ამის დასტურად მოგვყავს ამონარიდი ემიგრაციაში ყოფნისა: „საზღვარგარეთ ნებით თუ უნებლიეთ ყოფნის დროს, სხვათა შორის, იმასაც ვცდილობდი გამეცნო ესა თუ ის გავლენიანი პიროვნებანი ან მეცნიერების თუ სალიტერატურო დარგში მომუშავენი. ვცდილობდი გამეცნო მათთვის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი ხალხის გაჭირვება, მისი პოლიტიკური ჩაგვრა რუსეთის იმპერიალიზმის მიერ, გაჭირვება, მისი პოლიტიკური ჩაგვრა რუსეთის იმპერიალიზმის მიერ, ჩვენი თავგანწირული ბრძოლა ამ დამონებულ მდგომარეობისაგან თავის ხსნისათვის. ყველა მათგანის თუნდ უბრალო თანაგრძნობის სიტყვა მალამოდ ესობოდა ქართველის დაკოდილ გულს და

შიგ იმედს უსახავდა, რომ პოპულარული გახდებოდა სახელი საქართველოსი, მის სვე-ბედის თანამგრძობთა რიცხვი თანდათან გაიზრდებოდა და შეიქმნებოდა ერთგვარი მიმდინარეობა აზრისა, აღიმალეობდა ერთგვარი ხმა უკმაყოფილებისა და პროტესტისა, რომლისათვის ძალაუვნებურად ანგარიში უნდა გაეწია რუსეთის მთავრობას“ (სახოკია 1969: 241).

§2. მთარგმნელობითი მოღვაწეობა

თედო სახოკია საზღვარგარეთ ცხოვრების წლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიარა ევროპის ქვეყნები, გაეცნო ამ ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, შეისწავლა მათი სალაპარაკო ენა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ და მანამდეც ეცნობოდა, იწერდა და აქვეყნებდა მასალებს მათ შესახებ. ამ უაღრესად საჭირო და ძნელ საქმიანობაში მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მისმა პოლიგლოტობამ. ეს კიდევ ერთი ფასდაუდებელი ჯილდო იყო მისთვის. ენების ცოდნა და ღრმად განსწავლულობა მას საშუალებას აძლევს კიდევ ერთი დარგის განვითარებას დასდოს ამაგი, - თარგმან-მცოდნეობას.

თარგმნა სრულიად ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ 20 წლისამ, დაიწყო. 1888 წელს უკვე გამოაქვეყნა პირველი თარგმანი, ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ეს იყო ფრანგულიდან თარგმნილი ჟიულ ლემეტრის „მეფის ასული და მისი მიჯნურნი“ („ივერია“ 1888: #164), ამასთან დაკავშირებით თედო სახოკია წერს: „ვცდილობდი ქართულად მეთარგმნა ისეთი წიგნები, რომლებიც ქართველ მკითხველს დაანახვებდა თავისს პოლიტიკურად დამონებულ მდგომარეობას, მთელ სიმძიმესა და გაუსაძლისობას ამ მდგომარეობისას და დაუბადებდა კირთებისაგან თავის დაღწევის, ძებნისა და კისრიდან მონობის უღლის გადაგდების აზრს“ (სახოკია 1969: 223). ასეთ წიგნთა შორის თედო სახოკია ასახელებს იმდროინდელი ცნობილი პოლონელი მწერლის ეჟი მილკოვის „განთიადს“, ასევე ცნობილი ბულგარელი რომანისტის ივან ვაზოვის რომანს „დამონებულნი“. ეს თარგმანები“ თავდაპირველად ჟურნალ „მომბის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა, ხოლო შემდგომ ცალკე წიგნებად გამოიცა.

1890-ანი წლებისათვის ამგვარ ნაწარმოებთა თარგმნას და ქართველი ხალხისათვის მიწოდებას, როგორც თავად გადმოსცემს, „დიდი აღმზრდელითი, გამათვისებელი და ეროვნული შეგნების გამაღვიძებელი გავლენა ჰქონდა ქართველ მკითხველზე, რასაც, რა თქმა უნდა, დიდ და ზნეობრივად დამაკმაყოფილებელ სასყიდლადა ვთვლიდი ჩემთვის (სახოკია 1969: 223).

1891 წელს დაიწყო გამოცემა ვიქტორ ჰიუგოს რომანისა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, ამას მოჰყვა ვოლტერის „უმანკო“ (1892 წ.). განსაკუთრებით ხელხვაყიანი ამ მხრივ 1924-1936 წლები იყო. ეს ალბათ გამოწვეულია იმით, რომ თედო სახოკიამ საზოგადოებრივ საქმიანობას (პედაგოგიურ მოღვაწეობას) თავი დაანება. არც შემდგომ, სიცოცხლის ბოლომდე, კალამი განზე არ გადაუდია, ჩვეული ახალგაზრდული შემართებით, დაუღალავად მუშაობდა, თარგმნიდა, იწერდა, აქვეყნებდა და ა. შ.

მისი თარგმანების არეალი ვრცელია. თედო სახოკიას თარგმანები შესრულებული აქვს რუსულ, ბულგარულ, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე.

მან ქართველი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახადა იტალიელი და ფრანგი კლასიკოსი მწერლების საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები, კერძოდ, ვიქტორ ჰიუგოს „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, ვოლტერის „უმანკო“, ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“, ემილ ზოლა „ბრძოლა“, „სისხლი“, სერიით (ნინოსთვის ნათქვამ ზღაპრებიდან) გი დე მოპასანი „სიყვარული“ (ნოველები), ჯოვანო ბოკაჩოს „დეკამერონი“, ჯუზეპე გარიბალდის „კლელია“ და სხვები.

თედო სახოკიას თარგმანები არამარტო მხატვრული-ლიტერატურული თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ საინტერესოა მის მიერ შესრულებული სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების თარგმანი, ასეთთა შორისაა ცნობილ მოგზაურ კორნელიო ბოროზდინის (1828-1896 წწ) რუსეთის მეფის წარმომადგენელი XIX საუკუნის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, დატოვა მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკური წყობის შესახებ თარგმანები „სამეგრელო-სვანეთი“ და სხვა.

თარგმანთა შორის გამოირჩევა ქართულიდან უცხო ენებზე შესრულებული თარგმანები. ასეთთა რიცხვში შედის თარგმანები ქართულიდან ფრანგულ ენაზე:

„ქართული ანდაზები“, ვრცელი სამეცნიერო მოხსენება „ბატონები“ (ყვავილი) საქართველოში, რომელიც ცალკე იქნა გამოცემული საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების მიერ. ქართულიდან იტალიურ ენაზე შესრულებული „ქართული ანდაზები“ ქალის შესახებ, აგრეთვე ქართულიდან ინგლისურ ენაზე ანთროპოლოგიურ ჟურნალ „Man“-ში დაბეჭდილი „The Animal Folklore in Georgia“; რუსულ ენაზე „Петербургския ведомости“-ში „Брачные обряды в Мингрелии“, ქართული კულტურისა თუ სამეცნიერო კუთხით საინტერესო მრავალი ნაწარმოები. „თარგმანები საუცხოო ქართული ენითაა დაწერილი, როცა ამ თარგმანებს კითხულობ, გავიწყდებათ, რომ ნათარგმნ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. თითოული სიტყვა, წინადადება, მთლად მთელი ნაწარმოები ისეთი დახვეწილი, ძარღვიანი ენითაა გამართული, რომ ორიგინალურ ნაწარმოებს მოგვაგონებს“ (ქლსმ. თ.სახოკიას ფონდი, #19868/302).

§3. ეთნოგრაფიული კვლევები

თედო სახოკია ქართველ ეთნოგრაფთა იმ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80 – 90-იან წლებში და რომელმაც თავისი უანგარო და თავდადებული შრომით ქართულ ეთნოგრაფიას დიდი სამსახური გაუწია.

თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში თედო სახოკია მოვლენებს და ფაქტებს სრულად აღწერს, თითქმის ყოველმხრივ და შედარებით ზუსტად. ამიტომაცაა, რომ აღწერილ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიული სინამდვილის თვალსაზრისით. მკვლევარს აქვს შესაძლებლობა გარკვეული დროისათვის ფიქსირებული მასალა შეადაროს შემდეგ ხანებში მოცემულ ფაქტებს, ისევე, როგორც წინა პერიოდის მოვლენებს და ამ გზით გაარკვიოს მოვლენის არსი, მისი წარმოშობის პირობები, მისი განვითარება, მისი „მომრაობა“.

თედო სახოკიას ეთნოგრაფიულ ნაწერებში უხვადაა მოცემული საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის ამსახველი მასალა და ამავე დროს რიგი მეცნიერული ღირებულების მქონე საკითხი სწორადაა დასმული და სათანადოდ გადაწყვეტილი (ჩიტაია.1985: 4).

თედო სახოკიას „მოგზაურობანი“ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80 – 90-იან წლებში იწერებოდა და ქვეყნდებოდა იმდროინდელ ჟურნალ „მოამბეში“, „გურია, აჭარა მგზავრის წერილები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათი) „მოამბე“ 1897: #11, #12; 1898: #1, #4, #6, #9, #10, #11; 1901: #1, #3, #5, #8, #9, #10, #11. შემდგომ - „ცნობის ფურცელში“, ხოლო წიგნად გამოიცა ავტორის სიცოცხლეში 1950 წელს, გამოჩენილი მეცნიერისა და ეთნოგრაფის გოგიტა ჩიტაიას რედაქტორობითა და მისი წინასიტყვაობით.

თედო სახოკიას დამსახურებაზე ქართულ ეთნოგრაფიაში და მისი ამ კუთხით მუშაობა ვრცლად აქვს შესწავლილი პროფესორ ვალერიან ითონიშვილს წიგნში „თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში“ (ითონიშვილი 2013:).

თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობის საწყისად შეიძლება მივიჩნიოთ 1903 წელს საფრანგეთში, რეიმსის აკადემიაში, გამოსვლა. მან ანთროპოლოგიურ საზოგადოებაში წაიკითხა რამდენიმე მოხსენება, მათ შორის, ქართულ ხალხურ სამკურნალო მედიცინაზე „ყვავილ-ბატონები საქართველოში“. ამ თემაზე მოპოვებულმა ძალზე მნიშვნელოვანმა მასალამ ყურადღება მიიქცია და იგი ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა. ეს მოხსენება საგულისხმოა არა მარტო იმიტომ, რომ მასში ქართული თავისებურებაა გამოვლენილი, არამედ იმიტაც, რომ მოვლენებს მეცნიერული შეფასება აქვს მიცემული („ლიტ. საქ.“ 1993:20/03; #5).

თედო სახოკიას მიერ დაწყებული სამეცნიერო ხასიათის ნაშრომზე მუშაობა იმავდროულად გახდა საწყისი მისი შემდგომი მდიდარი მემკვიდრეობისა. ამას, რა თქმა უნდა, სათავე უკვე ჰქონდა დადებული. თედო სახოკიას, როგორც ვიცით, ამ დრომდე უკვე მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა აქვს შექმნილი. ამ მხრივ გამორჩეული იყო მისი მთარგმნელობითი საქმიანობა, საეთნოგრაფიო მოგზაურობები, მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, საგაზეთო პუბლიკაციები, წერილები და სხვა.

თედო სახოკიას არქივის შესწავლა ამ მემკვიდრეობის მეცნიერული კუთხით შეფასების საშუალებას იძლევა.

ევროპაში ყოფნის დროს ეხება აგრეთვე მოგზაურობათა ჟანრის ფელეტონი, დაწერილი 1902 წელს, შვეიცარიის სოფელი ამით ქართველ მკითხველს თედო სახოკიამ გააცნო ეთნოგრაფიულ-მხარეთმცოდნეობითი დაკვირვების მასალები. ეს

ნაშრომი ერთგვარი სიახლის მომცემი იყო ქართველი მკითხველისათვის, ტურისტის თვალთახედვით დანახული ევროპული სოფელი ქართველ მკითხველს უხსნის, აცნობს, აწვდის ცნობებს მოგზაურობის მსურველებს, აგრეთვე შეიცავს ინფორმაციებს დასვენების და უცხოეთში მოგზაურობის შესაძლებლობას.

თედო სახოკიას საეთნოგრაფიო და სამეცნიერო ხასიათის შრომების ნაწილი, ღრმა ერუდიციით, შთამბეჭდავად დაწერილი, თარგმნილია ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე.

სპეციალისტების დამოწმებით, ეს შრომები დიდ განძად უნდა ჩაითვალოს მეცნიერების საერთო განვითარების საქმეში. ამ აზრისა იყო ელიზ რეკლიუ, რომელმაც პირველმა გამოთქვა ეს აზრი თავის შრომებში. ამავე აზრს გამოთქვამდნენ მეცნიერები, სხვა ცნობილი მკვლევარები, რომლებიც დიდად აფასებენ თედო სახოკიას, როგორც ეთნოგრაფსა და მეცნიერს (**ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302**).

ფასდაუდებელია თედო სახოკიას დამსახურება ქართული ეთნოგრაფიის წინაშე. რას ფიქრობდა თედო სახოკია ანთროპოლოგიურ სასწავლებელში სწავლის შესახებ, ჩვენთვის უკვე ცნობილია.

თედო სახოკია პირველი იყო ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელმაც სპეციალური განათლება მიიღო ეთნოგრაფიის დარგში. მისი სახით ევროპიდან საქართველოში დაბრუნდა აღიარებული პროფესიონალი, რომელიც თავის სამეცნიერო მუშაობაში ეყრდნობოდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისა და საველე მუშაობის ევროპაში აღიარებულ მეთოდებს. სამშობლოში დაბრუნებული მკვლევარი დიდი გულმოდგინებით აგრძელებს ქართველი ხალხის ყოფისა და ტრადიციების შესწავლას და ეროვნულ პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებს ეთნოგრაფიულ გამოკვლევებსა თუ პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიულ ნარკვევებს. მისი მოგზაურობის მარშუტების მასალების მოპოვებისა და კვლევა-ძიების გეოგრაფია მოიცავდა დასავლეთ საქართველოს კუთხეებს (**გურიას, აჭარას, სამეგრელოს, აფხაზეთს, რაჭას**). (**ითონიშვილი, 2013: 7**).

თედო სახოკიას ჰყავდა პირველი გზის გამკვალავი წინაპრები - დიმიტრი ბაქრაძე და გიორგი ყაზბეგი, მაგრამ პირველის მოგზაურობის მთავარი მიზანი არქეოლოგიური ნაშთების მოძიება იყო, ხოლო მეორემ თავისი ნაშრომი

სამუსლიმანო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და სამხედრო-სტრატეგიულ აღწერას მიუძღვნა. ამათ შორის თედო ნამდვილი მოგზაურ-ეთნოგრაფად გვევლინება. მართალია, მის ჩანაწერებშიც მრავლად შეხვდებით მხარის ისტორიას, გეოგრაფიას, ტოპონიმებს, მაგრამ მთავარი მაინც აჭარელთა ყოფა, ადათ-წესები, ტრადიციები, დემოგრაფია და ზნე-ჩვეულებებია. ამ მხრივ ავტორი მართლაც პიონერად გვევლინება“, გადმოცემული აქვს თავის ნაშრომში, თედო სახოკიას „აჭარის“ აღწერის განხილვისას რამაზ სურმანიძეს და იქვე დასძენს; „თედო სახოკიას აჭარაში არ უცხოვრია, ამიტომ აქაურთა ყოფა-ცხოვრებაში და მოსახლეობის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მისი მოგზაურობის ერთთვიანი შთაბეჭდილებები იმდენად ზუსტად და შთამაგონებლად აღწერილი, რომ იფიქრებ, ავტორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ კუთხეში ცხოვრობდა და ამ ხალხში ტრიალებდაო. თედო სახოკიას დაკვირვებულმა თვალმა აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში და ადათ-წესებში იმდენი ახალი რამ გამოავლინა, რაც მანამდე და მის შემდეგაც არც ერთ მოგზაურსა და ორიენტალისტს არ გაუკეთებია“ (სურმანიძე, 2004: 58).

§4. ქართული ფოლკლორის მკვლევარი

თედო სახოკიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა ქართულ ფოლკლორს. მას განსაკუთრებული ყურადღება აქვს გამახვილებული ქართული ეთნოგრაფიული ყოფისა და საწესჩვეულებო ტრადიციათა მიმართ. მან დიდი ამაგი დასდო ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრება-პუბლიკაციის საქმეს, ბევრი მასალა-ჩანაწერი აქვს გაკეთებული. საველე მუშაობისა და მოგზაურობების დროს, როგორც ვიცით, არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, რომ არ ჩასულიყო, ძირისძირობამდე არ მოეგლო. ამგვარი მუშაობა გახდა საწინდარი იმისა, რომ მდიდარ ფოლკლორულ მასალას მოუყარა თავი. „თედო სახოკია არ სტოვებდა მშობლიური კუთხის არც ერთ უბანს, რომ თავისი სიტყვა არ ეთქვა, თავისი ხელი არ მიეწვდინა, ღველფ-წაყრილი ქართული კერა არ გადაეჩხრიკა და წინ არ წამოეწია ყოველივე ის, რაც მშობლიური იყო, რაც ქართველთა სულიერი თუ მატერიალური კულტურის დამახასიათებელი იყო“ (ოქროშიძე 1969: 25).

ფოლკლორისტიკის კუთხით თედო სახოკიას ღვაწლის წარმოჩენას ეძღვნება ვრცელი სამეცნიერო ნაშრომი, შესრულებული პროფესორ თინა შიოშვილის მიერ. ავტორს ნაშრომში განხილული და შესწავლილი აქვს თედოს მიერ შეკრებილი ზეპირსიტყვიერების მასალები, შრომის ლექს-სიმღერები, საწესჩვეულებო პოეზია, მითოლოგიური თქმულება-გადმოცემები, ზღაპრები, ლირიკა და ა. შ. ყურადღება გამახვილებული აქვს აგრეთვე ანდაზებსა და ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებზე.

თედო სახოკიას ინტერესი და სიყვარული ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი ბავშვობიდანვე დაჰყვა, სოფელში დაბადებულ გაზრდილი, თანატოლებისა და იქაურ მკვიდრთა წიაღიდან გამოსული, ყურადღებით ისმენდა ძიძის მოყოლილ ზღაპრებს, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ლექსებსა და წეს-ჩვეულებებს. „მეგრელის ფანტაზია აქაურობას ავსებდა ყოველგვარ მავნე სულებითა და ჩემს ნორჩ ფანტაზიას აუარებელი მასალა ეძლეოდა საზრდოდ. აქ ჩაეყარა ჩემს გონებას წარმოდგენა ოჩოკოჩებზე, ტყის მეფეებზე, ჭინკებზე. როგორც ერთი, ისე მეორე და მესამე შეადგენდა ცეცხლა პირას ყოველდღიურ ბაასის საგანს...“ (სახოკია 1969: 206). ამას მოჰყვება თედო სახოკიას ძიძის სახლში ცხოვრების წლები, სწორედ აქ მოსმენილი, ნანახი და თავს გადამხდარი ამბებია თავმოყრილი მის ძირითად ფოლკლორულ ნაშრომში, ამას ემატება სწავლის დროის ჩანაწერები და მათი შეფასებები პედაგოგების **პოლიევქტოს კვიციანიძისა და ვასილ ბარნოვის** მიერ. ამავე სასწავლებელში მოსმენილი „**არსენას ლექსი**“ თუ გოგებაშვილის „დედაენით“ შეცნობილი საკუთარი ქვეყნის ტრადიცია თუ წეს-ჩვეულებები.

სემინარიაში სწავლის პერიოდში თედო სახოკია განსაკუთრებულად გამოყოფს **თედო ჟორდანიას**, მასთან დაკავშირებით იხსენებს: „ავგიხსნა ფასდაუდებელი მნიშვნელობა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და აუცილებლობა მისი შეგროვებისა. მისმა ნათქვამმა ძალზე დააინტერესა მოწაფეობა და საზაფხულო არდადეგების შემდეგ სოფლიდან დაბრუნებულებში არავინ დარჩენილა ისეთი, განსაკუთრებით ქართლ-კახელები, რომ თითო რვეული არ ჩამოეტანა, სადაც ჩაწერილი იყო როგორც ზღაპრები, ისე ანდაზები და გამოცანები. თედო ჟორდანიამ ბევრს გაუღვიძა სიყვარული ხალხური მეტყველებაში და სურვილი მისი შეკრება-შეგროვებისა“. თედო ჟორდანიას მოწაფეთაგან ერთ-ერთ

პირველი, ვინც მშობელი ხალხის მდიდარი ზეპირსიტყვიერი საუნჯის შეკრება და პუბლიკაცია თავისი ცხოვრების მიზნად გაიხადა, თედო სახოკია იყო. ბავშვობიდანვე „არსენას ლექსსა“ და სამეგრელოში გაგონილმა სხვა ხალხურმა თქმულებებმა, ათასწრად აფერადებულმა ბავშვის მეხსიერებაში, ღრმად ჩაბეჭდილმა მოზარდის მგრძნობიარე სამყაროში, შემდგომში სამოციანელთა მოწინავე იდეებს ზიარებამ დიდი წვლილი შეიტანა თედოს მსოფლხედვის იმგვარად ფორმირებაში, როგორმაც მოგვცა ქართულ ფოლკლორისტიკაში განსაკუთრებული ღვაწლის მქონე მეცნიერი“ (შიომვილი 1978: 3-4. სახოკია 1969: 97).

წერილებში ყურადღებას იპყრობს თედო სახოკიას ინტერესი სამეგრელოს ფოლკლორული მასალებისადმი, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება მეუღლის ნადე კეკელიასა და ისტორიკოს თედო ჟორდანიასთან მიმოწერიდან. ამ პერიოდში დაწერა წერილები პეტერბურგის მუზეუმისათვის, სამეგრელოს შესახებ (საისტორიო მოამბე, 1984:179).

ნაწყვეტები წერილებიდან: „წყარიშ დიდაშ“ (წყლის დედის) ამბავი და ვინძლო დაწვრილებით მომწერო, ან „დიხაშ კოჩიშ“, (მიწის კაცი) ან კიდევ „მესეფების“, ან კიდევ „ნაჟამა“ (მიწიდან რო აყვება ბავშვს, თუ დიდს), იმის წამალი რა არის. ან კიდევ ტაბაკოლაზე არის კუდიანების უფროსი, იმას ხომ „როკაპი“ ჰქვიან? ზედ ტაბაკოლაზე იმას მგონი ერთ მოსამსახურეს, გინა მომხსენებელს „докадчик“ რას ეძახიან. ან სახალხო ლექსი თუ არის როკაპის ან „მაზაკვალის“ შესახებ...“ (1910/9/12; ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #861).

„ახლა მუზეუმისათვის სამეგრელოს შესახებ წერილებს ვწერ, მერე ერთად მოვუყრი თავს და მინდა ინგლისურად ვთარგმნო“... ჩვენებურ სალოცავების შესახებ საუცხოო წერილი დაიწერება მარამ მასალები ნაკლებად მაქვს...მიხას უთხარი შეჰკრიბოს სახალხო ასტროლოგიის შესახებ (საასტროლოგიო მითოლოგია) თქმულებები ქვეყნის გაჩენა, მთვარისა, მზისა და ვარსკვლავების შესახებ“ (1911/2/5; ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #900).

„რაც ხელნაწერებია ყუთში, ყველას დახვიე ხელი (გაურიე ჩემს ბაბუასთან ცაიშელი მიტროპოლიტის მონაწერი წერილები და იმათთან, რაც იყო ჩემის დედის მზითვის სია) და ყველაფერი გამომიგზავნე, ყველაფერი გამომადგება...“ წერს თედო

სახოკია მეუღლეს მორიგ წერილში, რომელიც 1911 წლის, 22 მაისით არის დათარიღებული (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #908).

მიხეილ კეკელიასადმი გაგზავნილ წერილში 1911 წლის 25 მაისს აღნიშნავს შემდეგს: - „საჭიროა მეგრული სიმღერის ნოტები, მგონი ადვილად შეგიძლია მეც გამომადგე, ჩვენს მუსიკასაც გაუწიო სამსახური“, აი ჩასაწერი 1. ოყონური; 2. ზარი (ტირილისა); 3. კუჩხა ბედინერა (მაყრულა); 4. დალიე ღვინო შეგერგება (სუფრული);გარდა ამისა ერთი ლექსი აქ ვსწერ, დარწმუნებული არ ვარ სწორია თუ არა „უჩარდია უჩა კოჩი / ვაშუნდი და, მუშა მორთი!.. / გეშვია, გეშვია, ახლი დო ჯვეშია. / გეშვი ღვინი, გეშაწკუპი... / აშო მომიხარკალე... / მა დედიბი მუშო მოკო, / ცირა მომიჩაკალე“. ძალიან გამოიკითხე ეს ლექსი, ახლა შენ იცი“ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #590).

თედო სახოკიას წერილი თედო ჟორდანიასადმი იმავე 1911 წლის 23 მაისით დათარიღებულში ვკითხულობთ: „აი თვით სიტყვები, რომელთა ახსნასა გთხოვ ჯერჯერობი; 1. ძღაბი - (გოგო); 2. სიტყვა - მაყარი, ჩილი, მინოსინჯალაფა... და სხვ. კიდევ ბევრი რამ უნდა მეკითხნა, მაგრამ ეგეც ბევრია და ამისიც მადლობელი ვიქნები“... (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #488).

თედო სახოკიას ფოლკლორული მასალა ძირითადად შესულია მისსავე წიგნებში. „მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო)“, აგრეთვე „ეთნოგრაფიული ნაწერები“, „სამეგრელოს ეთნოგრაფია“, აგრეთვე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, რომელშიც ქვეყნდებოდა ავტორის მიერ მოგზაურობისას ჩაწერილი ვრცელი მასალა. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, წიგნში ფოლკლორული კუთხით ვრცელი სამეცნიერო მასალა იყრის თავს.

თედო სახოკიას შეკრებილი ზეპირსიტყვიერების მასალები მრავალფეროვანია; შრომის ლექს-სიმღერები, საწესჩვეულებო პოეზია, მითოლოგიური თქმულება - გადმოცემები, ზღაპრები, ლირიკა და ა. შ. განსაკუთრებულად გამოირჩევა ანდაზები და ვრცელი ნაშრომი „ქართულ ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ რომელშიც უხვადაა წარმოდგენილი ფოლკლორული მასალები ხატოვან თქმებში გაბნეული.

თარგმათა შორის გამოირჩევა ქართულიდან სხვა უცხო ენებზე თარგმანები ასეთია მაგალითად, თარგმანები ქართულიდან ფრანგულ ენაზე: „ქართული

ანდაზები“, სამეცნიერო ვრცელი მოხსენება „ბატონები“ (ყვავილი) საქართველოში“, რომელიც ცალკე გამოსცა საფრანგეთის ანთროპოლოგიურმა საზოგადოებამ; ქართულიდან იტალიურ ენაზე; „ქართული ანდაზები“, ქალის შესახებ; ქართულიდან ინგლისურ ენაზე ანთროპოლოგიურ ჟურნალში „Man“-ში, *The Animal Folklore in Georgia.*; რუსულ ენაზე: „С Петербургския ведомости“-ში „Брачные обряды в Мингрелии“; ქართული კულტურისა თუ სამეცნიერო კუთხით შესრულებული მრავალი ნაწარმოებები.

ზეპირსიტყვიერებაში ყველაზე მეტად ვლინდება ერის შემოქმედებითი პოტენცია, მისი სული; ხალხური შემოქმედება ის დაუშრეტელი წყაროა, რომელიც ამდიდრებს მშობლიურ ენას და მოწინავე იდეებით ემსახურება თავისი ხალხის წარსულს, აწმყოს და მომავალს (შიოშვილი 1987: 143).

ამრიგად, თედო სახოკია ქართული ფოლკლორული ნიმუშების ფიქსაციას პუბლიკაციას და შესწავლას საზოგადოებრივ საქმედ მიიჩნევდა, იყო ქართველი ხალხის - ქართული წეს-ჩვეულების, ტრადიციის, ღირსეული აღმწერი, ფოლკლორის კუთხით.

§5. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“

თედო სახოკია სამეცნიერო მოღვაწეობიდან ცალკე გამოვეყოფთ მის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს. იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხატოვან სიტყვა-თქმებს, ეწეოდა მის სისტემატიზაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამტომეული „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. ეს არის ოცდაათწლიანი შრომის ნაყოფი, განმარტებითი მასალა ხალხურ მეტყველებაში გამოყენებული ფიგურალური გამოთქმებისა, რითაც მან უზომოდ გაამდიდრა ქართული ლექსიკური ფონდი.

1936 წელს იწყებს თედო სახოკია ამ გამონათქვამების ანბანზე დალაგებას, თითოეული სიტყვის, ფრაზის ახსნას, წარმოშობის ისტორიების ჩართვას. საბოლოოდ ეს სამუშაო ცნობილი ხდება „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“-ის სახელით. წიგნი გამოსაცემად უკვე მზად ჰქონდა, რომ 1941 წელს მეორე მსოფლიო

ომის დაწყებამ ამ ნაშრომის დაბეჭდვის შეჩერება გამოიწვია ვინ იცის, რამდენი ხნით...

„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ 7000-ზე მეტ ერთეულს მოიცავს. გამოცემულია ორჯერ, პირველ გამოცემა სამტომეულის სახით განხორციელდა 1950, 1954, 1955 წლებში. არის სიტყვა-თქმანი, ანუ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობისა და მათი ფიგურალური მნიშვნელობის განმარტება. ხოლო მეორე, 1979 წლის გამოცემა, ერთტომეული და მასში სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა ამოღებულია, მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობაა განმარტებული. „ამ საოცარ წიგნს, რომელიც არღვევს ჟანრობრივ რკალს და გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მისი სათაური გვიხასიათებს - ერის სულიერ ცხოვრებას ჰფენს შუქს, ქართველი ადამიანის ბუნებას გვიხსნის, და მის ხასიათს გვაცნობს“ (ჩხეიძე, 2015:641).

ლექსიკოლოგიურ წიგნში „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ ხატოვნად და სხარტად ასახულია ქართველი ხალხის გონებრივი და სულიერი ცხოვრების გამოცდილება, გადმოცემულია ვრცელი ისტორიული და ეთნოგრაფიული ექსკურსები, აგრეთვე ფოლკლორული მასალა, ეს ყოველივე მეტად საინტერესოა ქართული სულიერი ყოფისა და კულტურის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად. თუმცა წიგნი ლექსიკონის პრინციპზეა აგებული, მასში საინტერესოდ იკითხება ის ვრცელი ინფორმაცია, რომელიც ახლავს ყოველ სიტყვას თუ ფრაზას (სახოკია 1979: 2-3).

თედო სახოკიას თავად აქვს გადმოცემული, თუ როგორ დაინტერესდა „ხატოვანი სიტყვების“ შეკრება-შეგროვებით და მათი სამზეოზე გამოტანისათვის ზრუნვა დაიწყო. „ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოვყევი ქართლის სოფელში. თუმცა ქართულ ენას ძალიან ვეტანებოდი და მეგონა სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა, ასე თუ ისე, ვიცი-მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართლელების ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ დიდი და დიდი მუშაობა მჭირდებოდა ამ ენის შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა.

თედო სახოკია თავად აღნიშნავს და ივე დასძენს, პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვიერებამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ

ხალხის სიბრძნისა... აქვე ჩაეყარა საძირკველი ჩემს მიერ ქართულ ხატოვან თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზების, შეკრების საქმეს.

ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავმოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად. ამ ათის წელს წინათ შევუდექი ჩემის ახალგაზრდობის დროის ნაღვაწის დალაგებას წესრიგზე, დასაბეჭდად დამზადებას. და თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყოდი, რომ იმედი მაქვს, როცა გამოქვეყნდება, მომავალი თაობა არ დაიშურებს, რომ ლოცვა-კურთხევით მომიხსენიოს-მეთქი“ (სახოკია 1969: 220).

თედო სახოკია თავისი ცხოვრების ამ ერთ მონაკვეთს დიდად აფასებდა „ხუმრობით არაერთგზის უთქვამს, - იგონებს მისი შვილიშვილი შუქია აფრიდონიძე, - ქართლში უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე ვასწავლეო და ჭაბუკობიდან მოკიდებულ, სალიტერატურო ქართულს ეს საყრდენი მუდამ ბურჯად ჰქონდა შეყენებული მის მართლაც მდიდარსა და წვნიან ენას, რეზო ინანიშვილი „მამპანურივით შუშხუნას“ რომ უწოდებდა. აქვე ჩაეყარა საფუძველი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმებისა და ანდაზების შეგროვებას („განათლება“ 1998: #11/10).

ეთნოგრაფი გოგიტა ჩიტაია წიგნის „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ შესახებ აღნიშნავს: „უხუცესი ქართველი ეთნოგრაფის, თედო სახოკიას ეს ნაშრომი პირველი ქართული გამოცემაა, რომელშიც ფართოდ არის ასახული ჩვენი ერის ხატოვანი სიტყვა-თქმების მდიდარი მარაგი. იგი გულმოდგინედ შეკრებილ მასალას აწვდის მკითხველ საზოგადოებას“ (სახოკია 1954: 241. ტ. III).

„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ დალაგებულია ანბანზე, სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა გადმოცემულია ან პირდაპირ, ან ხატოვნად, შედარებების მოშველიებით, რომელთა რაოდენობა საკმაოდ ვრცელია, რაკი ნაშრომი სამ ტომს მოიცავს, ხოლო მნიშვნელობის სადემონსტრაციოდ მოხმობილია მაგალითები მხატვრული ტექსტებიდან.

ცნობილ ეთნოგრაფ ვალერიან ითონიშვილს აქვს ვრცელი მონოგრაფია „თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში“, რომელშიც ცალკე თავი ეთმობა „ლექსიკოგრაფიას“. ამ თავში განხილულია ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, მოძიებული და განმარტებული თედო სახოკიას მიერ. ავტორი თვლის, რომ ენციკლოპედიური ხასიათის გარდა, ამ ნაწილის ეთნოგრაფიული მნიშვნელობაც და

მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, არის უაღრესად ძვირფასი შენამძენი ქართული ეთნოგრაფიისთვისაც.

ლექსიკონში შეტანილი ყოველი სიტყვის პირდაპირი და გადატანითი, ანუ ხატოვანი, შინაარსის ახსნაში მკვლევარი ეფუძნება მხატვრული ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის მონაცემებს. ჭარბად გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალის უდიდესი ნაწილი საკუთრივ თედო სახოკიას მიერაა მოპოვებული, რაც ამ ლექსიკონს დიდ ადგილს უმკვიდრებს ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. თედო სახოკიას არც ერთი ეთნოგრაფიული ნაშრომი რომ არ დაეწერა, მარტო ამ ლექსიკონითაც კი საპატიო ადგილს მოიპოვებდა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში.

ყოველთვის ასე იქნება, როდესაც სიტყვის ახსნა თვალწინ წარმოგისახავს ხალხის თვისებასთან დაკავშირებულ რეალობას (**ითონიშვილი 2013: 303**).

ყველა ხატოვანი გამოთქმა, რომელიც გამოყენებულია ამა თუ იმ მწერლის ლიტერატურულ ნაწარმოებსა თუ სხვადასხვა ეთნოგრაფიულ, პუბლიცისტურ წერილში, მოხვედრილა თედო სახოკიას წიგნში „**ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი**“..მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თედო სახოკიას მიერ წლების განმავლობაში გაწეული მუშაობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. ეს მასალა დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში. მასალა ამომწურავ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რამდენად დიდი შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია.

თედო სახოკიას. „ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბიბლიოგრაფია შედგენილი თედო სახოკიას მიერ მკათათვეს 29/01/1920 წელი ტფილისი. ამ სამუშაოს შესრულებისათვის აღებული ჰონორარიც კია მითითებული. (6 000 ათასი მანეთი). საქმეში არის 119 მიწერ-მოწერა გამგეობის წევრებთან და ხელშეკრულება ვაჟა-ფშაველას ნაწერების გამოცემის შესახებ 1919/06 - 22/1920 წლებში; 23 საქმეა, საქმეში დაცული“. (თედო სახოკიას მიერ შედგენილი ვაჟა-ფშაველას თხზულებების ბიბლიოგრაფია (**სცსსეა. საქმე #1881**)).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თედო სახოკიას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან ხატოვანი სიტყვა-თქმის ორასამდე ნიმუში აქვს აღწერილი და შეტანილი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

ხელი - ლექსიკონში ხატოვნად ნათქვამის მნიშვნელობით 165-ჯერ არის ახსნილი: ხელის მომართვა; ხელის შეკვრა; ხელსა და პირს შესცქერის; ხელსა ძლევს.

დამოწმებული მაგალითები: „როცა ხელისგული მოუპოხეს, მაშინ მოწმობაც მისცა და „პეჩატიც“ დაუკრა (სახოკია1979: 916) „თუკი გარემოება ხელს უმართავს... ხევსური ჯანს და ღონეს არ დაზოგავს საზრდოსა და ქონების მოსაპოვებლად“. „და გჭირდება რამ და, ღმერთმანი, ხელს არ გაგიმართავს!“ (სახოკია1979: 920) „ხელი შეგვეკრა, ბიძავ, - სთქვა ერთმა ახალგაზრდამ“. (სახოკია1979: 922) „როცა ის ადამიანის ხელსა და პირს შესცქეროდა“ (სახოკია1979: 926) „ჩემი შემოხედვა ხელს არ მოგცემს, შვილო, მე იქნება კიდევ ვკვდები, ცხოვრება არ გინდა“ (სახოკია1979:927) „ღმერთო მართლაც, ჩემზე ხელაღებული როდია“, „ხევსური არ არის ხელგაუძრავი, როგორც ზოგსა ჰგონიათ“ (სახოკია1979: 906).

საბრძოლო იარაღები: თოფი, ხმალი - ხმალამოღებული; ხმლის ძირს დადება; ხმლის შემორტყმა.

დამოწმებული მაგალითები:

„მუდამ ხმალამოღებული წელზე შემდგარის თოფითა“ (სახოკია1979: 935); „ეთნოგრაფიული დახასიათებით ხმალი ერთგვარი იარაღი შუაში ჩაზნექილია, ვადა (ტარი) წვერი ზევითაა აშვერილი“;

„ფშაველს დრო გმირობისა ვაჟკაცობისა წაერთო, ხმალი ძირს დასდო;“

„ხმალი მტერზე მისასვლელი და იმავე დროს მტრის მოსაგერიებელი იარაღია და თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებს“ (სახოკია1979:937);

მიწა-წყალი - „ჩვენი წყლისაა რას ნიშნავდა? მიწა და წყალი, არც ცისაა, არც მიწისა (სახოკია1979:28); „შავი მიწის შემჭმელი“ (სახოკია1979: 735); „ჩაილურის წყალი დალია“ (სახოკია1979: 768); „წვერმოტეხილი ენით“. (სახოკია1979: 863);

მანდილი - „ქალი, რომელიც ღამე ლოგინშიაც კი არ იშორებდა მანდილს, შეუძლებელი იყო, თავშიშველი სჩვენებოდა ვისმე“; „მაშინ რაღას მანდილოსანი იქნებოდა!.. ასევე მამაკაცი, „ქალის მანდილი დამხურეთ, თუნდა ჩამაგდეთ წყალშია, აღარ მწადიან, გაიგეთ, აღარ, გარევა ჯარშია“ (სახოკია1979: 672).

ამრიგად, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ ქართველი ერის მხატვრულ, ლიტერატურულ, კულტურულ მემკვიდრეობაში გამორჩეულ

ადგილს იკავებს, როგორც სრულიად უნიკალური წიგნი გამომხატველი ქართველი ერის ნიჭიერებისა და პოეტური აზროვნებისა.

§6. თედო სახოკიას მოგონებები „ჩემი საუკუნის ადამიანები“

თედო სახოკიას ეკუთვნის მოგონებების კრებული, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ ორჯერ გამოიცა 1969 და 1984 წელს. ამ მოგონებებში ავტორს გადმოცემული აქვს იმ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ცხოვრება, რომლებთანაც ბედმა დააკავშირა. იგი რეალისტურად, დამაჯერებლად აღწერს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, აცნობს ქართველ მკითხველს ამ ადამიანების ცხოვრების დეტალებს, რომლებიც ან საერთოდ უცხონი იყვნენ ჩვენთვის, ან ამ ასპექტს მათი ცხოვრებისას არ ვიცნობდით.

წიგნის წინასიტყვაობაში კრიტიკოსი სარგის ცაიშვილი აღწერს თედო სახოკიას ამაგს, დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე: „თედო სახოკიას სახელს ჩვენ უფრო ხშირად XIX საუკუნეს ვუკავშირებთ. იგი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე მაჩაბელის უმცროსი თანამებრძოლი იყო, მათთან ერთად ეწეოდა საზოგადო მოღვაწის მძიმე უღელს. საბედნიეროდ, მან დიდხანს იცოცხლა და გადმოაბიჯა ამ საუკუნის მეორე ნახევარს, მოგონებებში აღგვიდგინა თავის თანამედროვეთა ნათელი სახეები და სიჭაბუკეში წამოწყებული ბევრი დიდი საქმე ბრწყინვალედ დაასრულა“ (ცაიშვილი 1969: 5).

მოგონებებში გაშუქებული მოღვაწეების ჩამოთვლა საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად ფართო იყო თედო სახოკიას სამეგობრო წრე ქართველი და უცხოელი საზოგადო მოღვაწეებისა, ამავე დროს, რამდენად მრავალფეროვანია ეს წრე სოციალური საფეხურის თვალსაზრისით: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, სიმონ ჯანაშია, არტურ ლაისტი, მარჯორი და ოლივერ უორდროპები, კლარა ცეტკინი და სხვა.

მოგონებანი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ავტორი გვაწვდის ამ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის თავისეულ შეფასებას, წარმოაჩენს მათ დამსახურებას ქართველი ხალხის ეროვნული და სულიერი კულტურის გადარჩენის საქმეში.

აკაკი წერეთლის შესახებ მოგონებებში თედო სახოკიასადმი ვკითხულობთ: „ბედნიერი ვარ, რომ პარიზი ვნახე და საფლავში არ ჩამყვა მისი ჯავრი... მინდა სხვა ქალაქები ვნახო აი თუნდა თქვენი ბრიუსელი, (ამ დროს თედო ემიგრანტად ბრიუსელში იმყოფებოდა – ლ. ბ.) თქვენი ნახვაც გამეხარდებოდა, მაგრამ რა ვქნა, უფულობა, როგორც ყოველთვის, ხელს მიშლის. ამიტომ მიიღეთ შორი სალამი!“ (სახოკია 1969ა:41) ამ წერილთან დაკავშირებით თედო სახოკია გულისტკივილით იგონებს: „დიდი მადლობა მოვახსენე (აკაკის - ლ. ბ.) წერილის მოწერისთვის და გამოვთქვი ბელგიაში მყოფი ქართველების საერთო, გულწრფელი სინანული, რომ ჩვენმა ხელმოკლეობამ ნება არ მოგვცა მისი აქ მოწვევით უსაზღვრო სიამოვნება განგვეცადნა“ (სახოკია 1969ა:42).

თედო სახოკიას ამავე მოგონებიდან ირკვევა, რომ მას წამოუწევია გიორგი დეკანოზიშვილის ღვაწლი და დამსახურება ჩვენი საზოგადოების წინაშე, რასაც აღნიშნავს კიდევ ამავე მოგონებებში: „1910 წელს... კანში გარდაიცვალა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოძღვრების განმახორციელებელი და დაუღალავი მოჭირნახულე თავის სამშობლო ქვეყნისა და ერისა - გიორგი გაბრიელის ძე დეკანოზიშვილი. მის თანამშრომელსა და მისი ტანჯვა-წვალების მოზიარეს ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ჩემი მოგონება გავუზიარო ახალ თაობას ამ ადამიანზე, რომელიც მარად უნდა იხსენიებოდეს, სანამ არსებობს ჩვენი ერი და არსებობენ მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი. მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია ამ ადამიანის პიროვნება გავაცნო მკითხველს, რომ მისი გარდაცვალებისას მისი პილიტიკური მოღვაწეობა, მაშინდელ საცენზურო პირობათა გამო, თითქმის აღუნიშვნელი დარჩა (სახოკია 1969ა: 194).

მოგონებაში თედო სახოკია იხსენებს ქართველი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ მხატვარ ალექსანდრე ბერიძეს: „მისი ნახატები ვის ან სად დარჩა, სამწუხაროდ არაფერი ვიცი. როგორც ადამიანი, მეტად ტკბილი რამ იყო, უწყინარი, გულშემატკივარი“ (სახოკია 1969ა:132).

ასევე საინტერესოდ და დამაჯერებლად აცოცხლებს თედო სახოკია თავის ცხოვრების გზაზე შეხვედრილ რამდენიმე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მათი სულიერი და ფიზიკური პორტრეტები შეიცავს მრავალ აქამდე უცნობ შტრიხს.

თავი XV. თედო სახოკიას წერილები

თედო სახოკიას ეპისტოლარული მემკვიდრეობა მეტად მდიდარია. მისი დაწერილი თუ მასთან მიწერილი წერილების საერთო რიცხვი ათასს აჭარბებს, ხოლო ადრესატების რიცხვი (ნათესავების გამოკლებით) ასს აღემატება.

ამჟამად წერილები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თედო სახოკიას პირად ფონდში, აგრეთვე, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

აღსანიშნავია, რომ უკლებლადაა დაცული თედო სახოკიას მიერ 1900 წლამდე მიღებული წერილები. ამის თაობაზე იგი თავად შენიშნავს: „1900 წელს პარიზში მივდიოდი.... რაც გულსაწვავი წერილები მქონდა მეგობრებისა... თავი ერთად მოვუყარე, გადავსინჯე, შიგ მთავრობის „საწყენი“ არაფერი ყოფილიყო, საცა იყო ასეთი რამ, წავშალე... ასეთ სიფრთხილეს იმისათვის ვთვლიდი საჭიროდ, რომ იმას, ვისაც ამ წერილებს მივაბარებდი, ამ წერილების გამო რამე უსიამოვნება არ შეხებოდა ნიკოლოზის აგენტების მხრივ. ამნაირად გაუშიშროებული წერილები.... ჩავაბარე ჩემს მეგობარს გიგო ტატიშვილს (ცნობილ გრავიორს) და ვთხოვე - ჩემს საზღვარგარეთიდან დაბრუნებამდე გეზარებოდეს და, თუ ცოცხალი ვერ დავბრუნდი სამშობლოში“, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაეცი, რომ შთამომავლობას არ დაუკარგონ-მეთქი.

უკან ჩემი მინაბარები, უკლებლივ დავიბრუნე გიგო ტატიშვილის მეუღლე მინადორასაგან 1917 წელს. რაც შეეხება 1900-1914 წლების წერილებს, მცირე გამონაკლისის გარდა, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს: ისინი დარჩა ციმბირში და საზღვარგარეთ, ბელგიაში. სამშობლოში დაბრუნებიდან ვიდრე გარდაცვალებამდე მიღებული წერილები სრულადაა დაცული კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

თედო სახოკიას ეპისტოლარული მემკვიდრეობა შეიძლება ცალ-ცალკე დავყოთ პერიოდებად.

1.1890 – 1898 წწ. ამ პერიოდის წერილები ძირითადად ეხება სოხუმში მოქმედ „ქართულ პარტიას“ და მასთან დაკავშირებულ პირთა მიწერ-მოწერას.

თედო სახოკია ამ წერილებში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს აცნობს ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. ეს წერილები ძირითადად თედო სახოკიას ადრესატთა არქივებშია დაცული. ამ პიროვნებათა შორისა არიან: ანტონ კეკელია, დავით კარიჭაშვილი, დიმიტრი ხომტარია, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყიფშიძე, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი.

ხოლო თედოსადმი გამოგზავნილი წერილების ადრესატები არიან: ნიკო ლომოური, ილო ხახუტაშვილი, დავით კარიჭაშვილი, შალვა დადიანი, კოტე ტყავაძე, ვახტანგ ღამბაშიძე, ვალერიან გუნია, ნიკო ჯანაშია, დიმიტრი ხომტარია, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები, ალექსანდრე მიქაბერიძე, ალექსანდრე ჯაბადარი, გიორგი ქოჩაკიძე, გრიგოლ ვოლსკი, სოფრომ მგალობლიშვილი, ივანე მაჩაბელი, გრიგოლ გველესიანი, ივანე თიკანაძე, ნიკო თავდგირიძე, ივანე ბურჭულაძე, კობა ცინცაძე, თედო ჟორდანიას, იპოლიტე ვართაგავა, მარიამ შერვაშიძე, ვასილი ველიჩკო, ვლადიმირ ლესევიჩი, დანიელ მორდოვცევი, ილო ბარათაშვილი.

2. 1899 – 1900 წწ. ამ პერიოდში ადრესატთა რიცხვი კიდევ უფრო იზრდება, თედო სახოკიას მიერ გაგზავნილი წერილების ადრესატები არიან: ნატალია გაბუნია - ცაგარელისა, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო ცხვედაძე, გრიგოლ ვოლსკი, მიხეილ თამარაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, სოსიკო მერკვილაძე.

წერილები თედოსადმი - გამომგზავნელთა სახელებს, ვინც ჩამოთვლილი იყო პირველ პერიოდში, ემატება: ბესარიონ ხელაია, ივანე ბურჭულაძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, ალექსანდრე ნიკოტინი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, რაჟდენ ქუთათელაძე, ვლადიმერ კანდელაკი, გრიგოლ ტატიშვილი, რაფიელ ისარლიშვილი, ალექსანდრე ჭყონია, ალექსანდრე გაბუნია, იაკობ ფანცხავა, ივანე გეგია, პეტრე ჭარაია.

3. 1900-1916 წწ. წერილები, სავარაუდოდ, თედო სახოკიას პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაკლებია. ეს გამოწვეული იყო მისი ემიგრაციასა და გადასახლებაში ყოფნით. წერილები ძირითადად დაიკარგა არა რაიმე დაუდევრობის გამო, არამედ თედო სახოკიას უსაფრთხოების ანუ ცენზურის მიზეზით. ემიგრაციიდან წერილები მეუღლისადმი გამოგზავნილი. უკვე

დასახელებულთა გარდა, თედოსადმი მიწერილი წერილების ადრესატები არიან: კონსტანტინ ინოსტრანცევი, რიჰარდ შმიდტი, ალექსანდრ მილერი, მიხეილ თამარაშვილი, მარიამ ორბელიანი, გიორგი ჟორდანია, ივანე გომართელი, ამბროსი ხელაია, გიორგი ჩუბინიშვილი, სერგო გორგაძე, არტურ ლაისტი და სხვ. ამავე წლებში თედოს წერილები გამოუგზავნია აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, თედო ჟორდანიაშათვის

4. 1917-1956 წწ. საქართველოში საბოლოოდ დაბრუნებული, ამ პერიოდშიც ამრავლებს თავის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას და ადრესატთა რიცხვიც იზრდება: აკაკი გაწერელია, თინა გოლეთიანი, ჰენრიეტა დეკანოზიშვილი, გიორგი დიმიტროვი, პავლე ინგოროყვა, ნოე კაკუშაძე, გიორგი კაჭახიძე, გიორგი ლეონიძე, ევგენი მარკოვი, აკაკი მგელაძე, ალექსანდრ მილერი, ვასილ მჟავანაძე, დავით მჭედლიშვილი, ნინო ნაკაშიძე, იასონ ჟორდანია და სხვ.

5. თედო სახოკიას წერილებიდან ცალკე გამოვეყოფთ ოჯახის წევრებისადმი მიწერილ წერილებს, რომელიც ძირითადად მეუღლის, ნადე კეკელია სახოკიასადმი, არის მიწერილი და პირიქით, მათი რიცხვიც საკმაოდ დიდია და საინტერესო და გამოსარჩევია იმ მხრივ, რომ ამ წერილების საფუძველზე შესაძლებელია თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერა.

თავი XVI. თედო სახოკიას სიცოცხლის ბოლო წლები

„სამეგრელო, სოხუმი, ციმბირი, ბელგია, ბრიუსელი, ნეაპოლი, რომი, პარიზი, ლონდონი, სტამბული და ისევ ჩემი თბილისი, ისევ ჩემი ვასო და მიშო“ (იგულისხმება ვასილ ბარნოვი და შიო არაგვისპირელი), - აღნიშნავს თედო სახოკია. მისი დამოკიდებულება მეგობრებისადმი განსაკუთრებულია (ასეთთა რიცხვი კი საკმაოდ მრავალია). თავის მხრივ, გამორჩეული მეგობრების რიცხვში მყოფნი ასევე ხაზს უსვამენ მისი ამ უანგარო მეგობრობის ისტორიებს.

„შენი სათნო და დასამხარი ხასიათი, შენი ყველგან და მარადის გულწრფელობა და თავაზიანობა, შენი მეგობრობა, ამხანაგების ჭირსა და ლხინში მოკითხვა, მშობელი ერისათვის სულიერ და ეროვნულ საქმეში შენი თავდადება და უანგარო სამსახური ის ძვირფასი დროშაა, რომელიც ბრწყინვალედ უნდა ფრიალებდეს შენს ირგვლივ ყოველ წლის თავზე, დღევანდელ დღეს“. ალექსანდრე მიქაბერიძის სიტყვიდან წარმოთქმული თედო სახოკიას დაბადების დღისადმი გამართულ სადილზე 1936 წლის 15 მარტს ნათლად მეტყველებს მათ შორის არსებული მეგობრობის სიმღიერეზე (ხეც. თ. სახოკის ფონდი, #76).

ყოველ კვირაში, განსაზღვრულ დღეს, თედო თავისი გულითადი მეგობრების ოჯახებს აუცილებლად მოინახულებდა. თუ მოხდებოდა, რომ რაიმე საპატიო მიზეზის გამო თედო დაიგვიანებდა მისვლას ან სრულად ვერ მივიდოდა, მასპინძელი ოჯახის წევრები წუხდნენ, ღელავდნენ, მოთმინებას კარგავდნენ, ვაითუ, თედოს ცუდი რაიმე შეემთხვაო!

კვირის დღეები თედოს შვიდ მეგობარ ოჯახს შორის ჰქონდა განაწილებული, რომელ დღეს რომელ ოჯახში უნდა მისულიყო, განაწილების ამ „გრაფიკს“ ზუსტად იცავდა.

ორშაბათი - საქართველოს კათალიკოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე;

სამშაბათი - ელინური მითების და „ილიადას“ მთარგმნელი ალექსანდრე მიქაბერიძე;

ოთხშაბათი - ექიმ-გინეკოლოგი ევგენი შალამბერიძე;

ხუთშაბათი - შიო დედაბრიშვილი;

პარასკევი - სოლომონ ცაიშვილი;

შაბათი - აგრონომი კოლა ყავრიშვილი;

კვირა - ვასილ ბარნოვი (ბარნაველები);

„დავდიოდით გერმანული სიზუსტით, – იხსენებს შვილიშვილი შუქია აფრიდონიძე, – რვა საათზე უსათუოდ ადგილზე უნდა ვყოფილიყავით. როგორც იხსენებენ, ჩვენს ზარსა და კაკუნზე საათის გასწორებაც კი შეიძლებოდა... ამ საღამოების მნიშვნელობა, ცხადია, ბავშვობაში სათანადოდ არ მქონდა გაცნობიერებული. ადამიანური ურთიერთობისა და კულტურის ყველაზე შთამბეჭდავი გაკვეთილები პაპას მეგობრებთან სტუმრობისას მივიღე“ (**„მწიგნობარი“ 1988: #98,33-49**).

ალექსანდრე მიქაბერიძის მონოგრაფია, როგორც ვიცით თედოს სიცოცხლეში დაიწერა და ამდენად, ქვემოთ მოყვანილი თხრობა პირველ პირშია. ამ ვიზიტების მნიშვნელობის შესახებ აი, რას წერს იგი: „პირადად ჩემს ოჯახში, მაგალითად, თედო სამშაბათობით მოდის, საღამოს სრულ 9-1/2 საათზე, ჩემს მოდუნებულ ერთფეროვან ცხოვრებაში სიცოცხლე და სიხარული შემოაქვს.

თედო სამშაბათის საღამოებზე გვიამბობს, ხოლმე კვირის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში რა ცვლილება მოხდა, რა არის ახალი მწერლებს შორის, სამამულო ომის დღეებში ფრონტზე რა მდგომარეობაა შექმნილი, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლების მოსახლეობის დაღვინებისა და გაჭირვების ამბებს და სხვა“ (**ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302**).

ერთხელ და სამუდამოდ შემოდებული რეჟიმის თანახმად, თედო 12 საათზე ტოვებდა მეგობრის ოჯახს და სახლში მოსასვენებლად ბრუნდებოდა, ეს წესი თანაბრად მოქმედებდა ყველა იმ ოჯახში, სადაც კი დადიოდა.

თედო სახოკია ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, როცა მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმ კერძო ხასიათის წრეებში, რომელთაც მიზნად ჰქონდათ მდაბიო ხალხში კულტურული საქმიანობის გაღვივება და აღორძინება. დაბალი სოციალური საფეხურისათვის ხელმისაწვდომი „დამამზადებელ ქალთა წრე“, ეკატერინე გაბაშვილის სახელობის ღარიბ ქალთა პროფესიული სკოლის სამზრუნველო, განათლების საზოგადოების გამგეობა და სხვა მრავალი საზოგადოება და წრე, რომლებშიც თედო სახოკია თავდადებულად მუშაობს და დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით ასრულებს საზოგადოებათა და წრეების

მესაკუთრეთა დავალებას. ის სული და გულია ამ საზოგადოებებისა და წრეებისა, მათს საქმიანობაში სიცოცხლე და სიხარული შეაქვს.

თედო სახოკია თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგრძელებს ხალხისათვის ხელმისაწვდომი წიგნებისა და ბროშურების გამოცემას, ფულად სახსრებს არ იშურებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი საქმიანობის გასაძლიერებლად და გასაფართოებლად. ამ ხაზით თედო სახოკიას საზოგადოებრივი მოღვაწეობა დიდად საგულისხმო და მნიშვნელოვანია (**ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302**)

ვასილ ბარნოვისა და თედო სახოკიას ურთიერთობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ისინი თავდაპირველად, როგორც მასწავლებელი და მოსწავლე, ისე შეხვდნენ ერთმანეთს და ეს შეხვედრა ცხოვრების სარბიელის დასასრულამდე უწყევად გაგრძელდა.

ჩვენ ხელთაა ამონარიდი დახასიათებიდან, რომელსაც იძლევა **აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია** თედო სახოკიას საერთო მოღვაწეობის შესახებ. ამ დახასიათებას ის უგზავნის იმდროინდელ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანს ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანს, რათა ნათელყოს თედო სახოკიას ღვაწლი და დამსახურება ქართველი საზოგადოების წინაშე. ამონაწერი ოფიციალური დოკუმენტიდან: „თედო ტიმოთეს ძე სახოკია რევოლუციური წარსულის მქონე ცნობილი საზოგადო მოღვაწეა.

თავისი ნიჭი, კარგი მომზადება და ქართულისა და რუსულის გარდა სამი ევროპული ენის: ფრანგული, ინგლისური და იტალიური ენების - საფუძვლიანი ცოდნა თედო სახოკიამ ფართოდ მოახმარა ქართული კულტურის საქმეს. ის ხანგრძლივად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პროგრესულ ჟურნალ-გაზეთებში: ქართველი ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ბრძნული თქმები - ანდაზები მან გააცნო ევროპელებს: თარგმნა და სათანადო კომენტარებით გამოსცა ისინი ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე; დიდ ევროპელ მწერალთა თხზულებები ხელმისაწვდომი გახადა ქართველთათვის: თარგმნა მშვენიერ ქართულ ენაზე გიდე მოპასანის ოთხი წიგნი, ბოკაჩოს - „დეკამერონი“, გარიბალდის „კლელია“, ვიქტორ ჰიუგოს - „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“, ვოლტერისა, და სხვათა ნაწარმოებები.

თედო სახოკიას მეცნიერული ნაშრომები - საეთნოგრაფიო ნაწერები, წერილები გურია-აჭარა - სამურზაყანო - აფხაზეთის შესახებ თავიანთი მაღალი ღირსების გამო ცნობილია სპეციალისტთა შორის; მოგონებები ჩვენი ახლო წარსულიდან სანდო ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. თედო სახოკიას მიერ შეკრებილი ქართული ანდაზები ყურადღებას იქცევს სისრულითა და დამუშავების წესით. ორმოცდაათამდე ნაშრომი, რომელთაგან ოცდათვრამეტი დაბეჭდილია, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოქვეყნდა, ამ უკანასკნელ წლებში /1938წლიდან/. თედო სახოკია თანამშრომლობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლის დავალებით მან შეადგინა სამი ტომი „ქართულ ფიგურალურ /ხატოვან/ თქმათა ლექსიკონი“. მიმდინარე წელს დაიბეჭდა I ტომი, ასეთი ლექსიკონი ყველა კულტურულ ერს მოეპოვება, საქართველოში კი იგი პირველად გამოდის, ამდენად, მისი მნიშვნელობა დიდია“ (სიმონ ჯანაშიას მოხსენება.1942 წლის 18/04). (ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302).

თედო სახოკია თავის „ავტობიოგრაფიას“ ასრულებს სიტყვებით, რომლებითაც თავად ახერხებს საკუთარი ცხოვრების დახასიათება-შეფასებას: „იმედი მაქვს, შთამომავლობამ ლოცვა-კურთხევით მოიხსენიოს თავისი წინაპარი, რომელსაც თავისი სიცოცხლის მიზნად მიაჩნდა სამშობლოსა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ გარჯა და შრომა და გააკეთა ის, რის გაკეთებაც ძალ-ედვა“ (სახოკია 1969: 245).

თედო სახოკია გარდაიცვალა 1956 წლის 17 თებერვალს, 88 წელს მიტანებული,- იხსენებს შვილიშვილი შუქია აფრიდონიძე: „განემორა სააქაოს. იმ დამეს უცნაური დაჟინებით მოგვთხოვა საწერ მაგიდასთან მიყვანა, კალმისტარი დავაკავებინეთ ხელში, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი დაწერა და ბედს მიენდო.... გაზეთებში, თუმც შედარებით ძუნწად (იმ დღეებში სტალინის განმაქიქებელი ყრილობის მასალები იბეჭდებოდა მხოლოდ), მაგრამ მაინც დაიწერა: თედო სახოკია გარდაიცვალაო.... გულითადი სიტყვები უთხრეს მწერალთა კავშირში, რომელთაგან გერონტი ქიქოძის ხმა ყველასაგან გამოირჩეოდა. დიდუბის პანთეონში კი, როგორც ყოველთვის, თავისებურად, დასამახსოვრებელი სიტყვით გამოეთხოვა კონსტანტინე გამსახურდია“, თუმცა იმ დღეს გადაუღებლად ბარდნიდა, დიდძალმა ხალხმა

მოიყარა თავი დაკრძალვაზე. მართლაც, გრანდიოზული სანახავი იყო თოვლით გადაპენტილ რუსთაველის პროსპექტზე უწყვეტ ნაკადად მომდინარე შავქოლგიანი მდუმარე და თავჩაქინდრული პროცესია („მწიგნობარი“ 1988: 48).

თედო სახოკიას სიცოცხლეში, 1953 წელს 18 აპრილს, გადაუხადეს დაბადებიდან 85 და შემოქმედებით-სამწერლო მოღვაწეობის 65 წლისთავის აღმნიშვნელი იუბილე.

გარდაცვალების შემდეგ, 1963 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შედგა თედო სახოკიას 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც საზოგადო მოღვაწეები და თედოს ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

1968 წლის 17 ივნისს რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. სხდომა გიორგი ლეონიძემ გახსნა. მოხსენებები თედო სახოკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხეს სოლომონ ცაიშივილი, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძემ, გოგიტა ჩიტაიამ და სხვებმა (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #77): „ასი წლის წინ, როდესაც თედო სახოკია დაიბადა სოფელ ხეთაში, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, თუ რა ქუდბედი დაჰყვებოდა მას, მაგრამ შრომამ, დაუღალავმა ენერგიამ, მიზანსწრაფვამ ნაყოფი გამოიღო და თედო სახოკია ჩვენი ხალხის საყვარელი მოღვაწე გახდა“, - ბრძანა გერონტი ქიქოძემ (ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #91).

1990 წელს სამეგრელოში, მის მშობლიურ სოფელ ხეთაში, /ზობის მუნიციპალიტეტი/ გაიხსნა მემორიალური სახლ-მუზეუმი.

1998 წელს აღინიშნა თედო სახოკიას დაბადებიდან 130 წლისთავი.

2018 (მომდინარე) წელს დაბადებიდან 150 წელი სრულდება.

დასკვნა

საოქტორო-სადისერტაციო ნაშრომის „**თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა“ (1868-1956 წწ.)** - საკვლევო მასალის შესწავლამ და ანალიზმა საშუალებამოგვცა ჩამოგვეყალიბებინა დასკვნითი დებულებები.

აღნიშნული ნაშრომი შესრულდა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას ბიოგრაფიული მასალებისა და წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამოყენებით.

სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი შემდეგი ქვეთავებისგან შედგება:

- თედო სახოკია - პოლიტიკური მოღვაწე;
- თედო სახოკია საზოგადოებრივ საქმეში;
- თედო სახოკია - სამეცნიერო მოღვაწე (ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მოგზაური);
- თედო სახოკია - მწერალი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი;
- თედო სახოკია საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

თედო სახოკია მრავალი მიმართულებით იყო ჩართული ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებში, ასევე მრავალფეროვანი იყო მისი სამეცნიერო და ლიტერატურული მუშაობა. მიუხედავად ამისა, თედო სახოკიას ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების, ასევე აქამდე უცნობი ფაქტობრივი მონაცემების შესწავლითა და კვლევებით ვეცადეთ, მისი პოლიტიკური თავგადასავალი, საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი მოღვაწეობა ერთიან სივრცეში მოგვექცია.

თედო სახოკიამ საქართველოს ისტორიაში **საზოგადოებრივი, სამეცნიერო, პედაგოგიური, მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმეებით** დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და საქმიანობა სამ უმძიმეს პოლიტიკური რეჟიმის პერიოდებს უკავშირდება (1868-1956 წწ.).

პირველი პერიოდი (1888-1917 წწ.) - როდესაც თედო სახოკია (20-49 წლის) პირველად გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და დაიწყო ბრძოლა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კერძოდ, აფხაზეთში ებრძოდა „**შავრაზმელთა**“ რეაქციულ პოლიტიკას და „**ქართული პარტიის**“ სახელით სათავეში ედგა ამ მოძრაობას. რუსეთის ცარისტულმა ხელისუფლებამ თედო სახოკია არაერთგზის

(ხუთჯერ) გამოკეტა სატუსალოში და მიუსაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში. იქედან გამოქცეული პოლიტიკოსი ემიგრაციაში სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდა (1909-1916 წწ.), საქართველოდან დევნილმა 12 წელი გაატარა საზღვარგარეთ. სამშობლოში დაბრუნებული აქტიურად იბრძოდა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის, იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი.

საარქივო და ემპირიული მასალების კვლევამ დაგვანახა, რომ თედო სახოკია მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში, ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული პროცესების კვალდაკვალ, ერთნაირად იყო ჩართული საზოგადოებრივი მოვლენების თითქმის ყველა სფეროში.

მეორე პერიოდი (1918-1921 წწ.) - საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში თ. სახოკია (50-53 წლის) ისევ აქტიური საზოგადო მოღვაწეა. იგი აგრძელებს 1916 წელს დაწყებულ პედაგოგიურ მოღვაწეობას, არის საკათალიკოსო საბჭოს წევრი.

მესამე პერიოდი (1921-1956 წწ.) - საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უკანონოდ დამყარების შემდეგ, თ. სახოკია (54-87 წლის) სიცოცხლის ბოლომდე, მთლიანად დაკავებულია ლიტერატურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმეებით. იგი თავისი შემოქმედებით ღიად უპირისპირდება რუსეთის იმპერიალისტურ და სოციალისტურ პოლიტიკას, ამასთანავე, ცდილობს ქართული ეროვნული ცნობიერების, ერის სულიერების გადარჩენასა და განვითარებას.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თედო სახოკიას პირადი ცხოვრების დეტალებზე, ოჯახზე, რაც აქამდე შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი

თედო სახოკიამ პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი წელი (1890 წ.) გორში, სოფელ ტირძნისში გაატარა. აქვე ჩაეყარა საფუძველი მის ძირითად საქმიანობებს: საგაზეთო და პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებას, ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვება-მოდებისა და შესწავლის საქმეს, ასევე, „**ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი**“-ს მრავალწლიან შრომას, რომელიც ავტორმა წლების შემდგომ გამოსცა.

1917-1924 წლებში ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ თედო სახოკია აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სემინარიასა და ვაჟთა მე-8 გიმნაზიაში.

თედო სახოკია აქტიურდ მოღვაწეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ამ საზოგადოების მეშვეობით იგი იძიებდა, სწავლობდა და გამოსცემდა ქართული ეროვნული კულტურის სიძველეთა ნიმუშებს.

ასევე, აღსანიშნავია თედო სახოკიას თანამშრომლობა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებასთან და საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, რომლის წევრი იყო 1908 წლიდან. აღნიშნულ საზოგადოებებში საქმიანობის დროს მან არაერთი უცნობი ისტორიული მასალა მოიძია და შეისწავლა. ხელისუფლებისაგან გამუდმებით დევნილი „მეამბოხე მამულიშვილი“ (სურმანიძე 2004:23) მშვიდი სამეცნიერო საქმიანობისთვის დროსა და ადგილს ვერ პოულობდა, ამიტომ მოძიებულ მასალებსა და წიგნებს ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებს უგზავნიდა. იგი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის საქმიანობაშიც.

თედო სახოკია, როგორც გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა მოღვაწეობდა შემდეგ პოლიტიკურ პარტიებში:

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“ (1898-1900 წწ.);

„ქართული პარტია“ (ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი - აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების, კერძოდ, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ);

"საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია" (აქტიური წევრი); რევოლუციის შემდეგ, აქტიურად გულშემატკივრობდა ანტისაბჭოთა და ეროვნული ძალების მიერ ორგანიზებული მოძრაობის - **1924 წლის აჯანყების** მომხრეებს, რომელთა მიზანი რუსული საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმისაგან საქართველოს გათავისუფლება და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

სადოქტორო-სადისერტაციო თემაზე: **"თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა (1868-1956 წწ.)"** - მუშაობისას გამოყენებულმა სათანადო კვლევამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა ნაშრომი, რომელიც ეყრდნობა მდიდარ საისტორიო წყაროებს, საარქივო, მემუარულ და სამეცნიერო ლიტერატურას. ქართულ საისტორიო, ლიტერატურულ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში შეიქმნა ობიექტური სურათი ამ პიროვნების ღვაწლისა და დამსახურების შესახებ.

წარმოდგენილი ნაშრომი საშუალებას იძლევა ახლებური კუთხით შევხედოთ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარ მრავალ

ისტორიულ მოვლენას. ამასთანავე, კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებისაგან გათავისუფლების შემდეგ შესაძლებელი გახდა ახლებურად შევაფასოთ მისი აქამდე უცნობი ცხოვრებისეული ფაქტები და ეპიზოდები.

ამრიგად, თედო სახოკია ჩვენი ქვეყნის გამორჩეული მამულიშვილისა და შესანიშნავი მოქალაქის სახეა. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მასალებიდან ჩანს, რომ მისი პოლიტიკური, შემოქმედებითი, პედაგოგიური თუ სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუჯობესებას, ეროვნული და ენობრივი თვითშეგნების შენარჩუნებასა და განვითარებას ემსახურებოდა.

45. ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1059: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #1069;
46. ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1107: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #1107;
47. ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1145: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #1145;
48. ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1146: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #1146;
49. ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1832: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #1832;
50. ხეც. თ. სახოკიას ფონდი, #1884: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #1884;
51. ხეც. მ. თამარაშვილის ფონდი, #68: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ თამარაშვილის პირადი ფონდი. საქმე #68;
52. ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #11166: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალები. თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #11166;
53. ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #11284: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალები. თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #11284;
54. ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #11295: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალები. თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #11295;
55. ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #4396: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალები. თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #4396;
56. ქლსმ. თ. სახოკიას ფონდი, #19868/302: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალები. თედო სახოკიას პირადი ფონდი. საქმე #19868/302;
57. საისტორიო მოამბე 1975: საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო. ტ. 31-32. თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან (1890-1898) გვ.135-246. თბილისი, 1975.
58. საისტორიო მოამბე 1976: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო. ტ. #33-34. თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან. თბილისი, 1976.

59. საისტორიო მოამბე 1984: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო. ტ. #49-50. თედო სახოკიას მიმოწერა. გვ. 178 – 219. თბილისი, 1984.

საარქივო დოკუმენტები და მასალები

- 60. სცსსეა, საქმე #42:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 481, ფურცელი 1,2,3.
- 61. სცსსეა, საქმე #64:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 481, ფურცელი 17.
- 62. სცსსეა, საქმე #67:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 2094.
- 63. სცსსეა, საქმე #135:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფურცელი 1,2,3.
- 64. სცსსეა, საქმე #542:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 481.
- 65. სცსსეა, საქმე #608:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 481, ფურცელი 1.
- 66. სცსსეა, საქმე #942:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 440. ფურცელი 33.
- 67. სცსსეა, საქმე #954:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 440.
- 68. სცსსეა, საქმე #1896:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 481, ფურცელი 21.
- 69. სცსსეა, საქმე #2024:** საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 481 ფურცელი 96-105.

გამოყენებული ლიტერატურა

- 70. ბუკია 2018:** ბუკია ლ., თედო სახოკიას პოლიტიკური მოღვაწეობა (1868-1916). გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“. თბილისი, 2018.

71. **გამახარია 2005:** გამახარია ჯ., აფხაზეთი და მართლმადიდებლობა თბილისი, 2005.
72. **გიორგაძე 1929:** გიორგაძე გრ., თვითმპყრობელობა და რევოლუცია. საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში 1870 - 1902 წელი წიგნი I. ტფილისი, 1929
73. **გურული... 1999:** გურული ვ., სილაგაძე აპ., საქართველოს განუყოფლობის ისტორიიდან. ნარკვევი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბილისი, 1999.
74. **გრძელიძე 2000:** გრძელიძე რ., საქართველოს თავისუფლების ლიგა. თბილისი, 2000.
75. **ვართაგავა 1962:** ვართაგავა იპ., თედო სახოკია მისსავე წიგნში: მოგონებანი. ნაწილი II. თბილისი, 1962.
76. **თალაკვაძე 2013:** თალაკვაძე ნ., მოგონებათა დღიურები. თბილისი 2013.
77. **ითონიშვილი 2013:** სახოკია თ., ფელეტონები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. თბილისი, 2013.
78. **ითონიშვილი 2013:** ითონიშვილი ვალ., თედო სახოკიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი. გამომცემლობა: თბილისი, 2013.
79. **კეკელია 2004:** მამა ანტონ კეკელია (1855-1920 წწ.) გამოიცა ახალქალაქისა და კუმურდოს მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზის ლოცვა-კურთხევით. თბილისი 2004.
80. **ლომსაძე 1964:** ლომსაძე, მიქაელ თამარაშვილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი, 1964.
81. **ლასხიშვილი 1992:** ლასხიშვილი გ., მემუარები. თბილისი, 1992.
82. **მამული ენა სარწმუნოება 2010:** მამული, ენა, სარწმუნოება - ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი. გამომცემლობა „მთაწმინდა“, თბილისი, 2010.
83. **მწერალთა ავტობიოგრაფიები 2013:** სახოკია თ., /მწერალთა ავტობიოგრაფიები, წიგნი1/ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული

- ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. რედაქტორი თეა თვალავაძე. თბილისი, 2013.
- 84. მეტრეველი 1952:** მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბილისი, 1952.
- 85. მეტრეველი 1985:** მეტრეველი რ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9. თბილისი, 1985.
- 86. ნიკოლეიშვილი 2014:** ნიკოლეიშვილი ავთ., ორტომეული; ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი. ტ. II. ქუთაისი, 2014.
- 87. სახოკია 1895:** აკაკი წერეთლის ნაკვესები, წიგნი 1. შეკრებილი თედო სახოკიას მიერ. ტფილისი, 1895.
- 88. სახოკია 1950:** სახოკია თ., მოგზაურობანი. თბილისი -1950.
- 89. სახოკია 1955:** სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად (მოგონებანი). საქართველოს სსრ. განათლების სამინისტრო. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი, 1955.
- 90. სახოკია 1956:** სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956.
- 91. სახოკია 1969:** სახოკია თ., კრებული. მიძღვნილი თედო სახოკიასადმი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება. თბილისი, 1969.
- 92. სახოკია 1969ა:** სახოკია თ., მოგონებათა ფურცელი - ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი, 1969.
- 93. სახოკია 1954:** სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი ტომი III. თბილისი, 1954.
- 94. სახოკია 1979:** სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა „მერანი“ თბილისი, 1979.
- 95. სახოკია 2012:** სახოკია თ., ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი, 2012.
- 96. სახოკია 1976:** სახოკია თინ., თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან (1899-1905წწ.) თბილისი, 1976. იხ.: საქართველოს სსრ

- მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველო. „საისტორიო მოამბე“, ტ. 33-34; თბილისი, 1976.
- 97. სახოკია 1984:** სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი, 1984.
- 98. სახოკია 2012:** სახოკია თ., „ქართული ანდაზები“. რედაქტორი - აფრიდონიძე შ., გამომცემლობა „სიესტა“, კილურაძე ქ., თბილისი, 2012.
- 99. სილოგავა... 2007:** სილოგავა ვ., შენგელია კ., საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან „ვარდების რევოლუციის“ ჩათვლით, კონსპექტური სალექციო კურსი. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007.
- 100. სურმანიძე 2004:** სურმანიძე რ., ნაცნობი და უცნობი თედო სახოკია. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2004.
- 101. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 2004:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თანამედროვეთა მოგონებანი. გამომცემლობა „რჩეული“, თბილისი, 2004.
- 102. ქიქოძე 1965:** ქიქოძე გერ., - განთიადიდან შუადღემდე. რჩეული თხზულებანი, ტ. III; თბილისი, 1965.
- 103. შიოშვილი 1987:** შიოშვილი თ., თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობა. ბათუმი, 1987.
- 104. შველიძე... 2010:** შველიძე დიმ., გაფრინდაშვილი გ., გიორგი დეკანოზიშვილი - მამულიშვილის დაბრუნება. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2010.
- 105. შველიძე 1969:** შველიძე ზ., რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, 1969.
- 106. ჩხეიძე 2015:** ჩხეიძე რ., „მოციქული“ - თედო სახოკიას ცხოვრების ქრონიკა. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, „ჩვენი მწერლობა“ თბილისი, 2015.
- 107. ცაიშვილი 1954:** ცაიშვილი სოლ., უხუცესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. – „ლიტერატურული ალმანახი“, 1954, #7.
- 108. ჭავჭავაძე 1939:** ჭავჭავაძე ი., თედო სახოკია მოგონება ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული. თბილისი, 1939.

109. ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. II. თბილისი, 1953.
110. ხარბედია 2006: ხარბედია მალხაზ, პირადი ბიბლიოთეკა: წერილების კრებული, პირველი გამოცემა. თბილისი, 2006.
111. ჯანელიძე 2001: ჯანელიძე ოთ., პოლიტიკური პარტიები. საისტორიო შტუდიები. თბილისი, 2001.
112. ჯულაბაშვილი 1961: ჯულაბაშვილი ლეონ., ვაზოვი და ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ - თბილისი, 1961.
113. Sakhokia 1903: Sakhokia Th., Les proverbs Georgiens, Pariz, 1903.
114. Sakhokia 1903: „Buletions ot Memoires do la Societe‘ d’ Anthropologie do Pariz”, Pariz 1903.

დისერტაციები, კრებულები, წელიწადული, აღმანახები, ბროშურები

115. ბუკია 2018: ბუკია ლ., თედო სახოკია - „ქართლიდან დაწყებული ქართული საქმე - პედაგოგიური მოღვაწეობა - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. კრებული #15. გორი, 2018, გვ. 255-272.
116. ბუკია 2018: ბუკია ლ., თედო სახოკია და ქართული ფოლკლორი - ქართველური მემკვიდრეობა. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. XIV სამეცნიერო კრებული. ქუთაისი, 2018, გვ. 29-36.
117. შიოშვილი 1978: შიოშვილი თ., „თედო სახოკიას ფოლკლორული მემკვიდრეობა“. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 1978.
118. „საისტორიო ვერტიკალები“ 2014: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო ჟურნალი. ავთანდილ დიასამიძე, გრიგოლ გურიელის და შერიფ ხიმშიაშვილის დაუვიწყარი ღვაწლი გვ. 301-316. თბილისი, 2014; #24.

119. შრომები 2010-2011: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები №VIII, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. გივი როგავა, აფხაზეთში ისლამის გავრცელებისა და დამკვიდრების შესახებ. გვ. 420-433; თბილისი, 2010-2011.

ჟურნალები

120. „საქართველოს ბიბლიოთეკა“ 2017: ბუკია ლ., „თედო სახოკია და იაკობ გოგებაშვილი“. - სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი, - „საქართველოს ბიბლიოთეკა“, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2017, #3, გვ. 23-27.
121. „ბალავარი“ 1988: აფრიდონიძე შ., „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“, მცირე მოგონება - „ბალავარი“, ქართული ენა და ლიტერატურა საქართველოს სსრ სასწავლებლებში. თბილისი, 1988, #1.
122. „ბურჯი ეროვნებისა“ 1998: ჭუმბურიძე ზ., თედო სახოკია -130 „უჩინარი გაკვეთილები“. ჟურ. „ბურჯი ეროვნებისა“, 1998: #5, გვ.11.
123. „კავკასიონი“ 1964: ტულუში მ., გიორგი დეკანოზიშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია 1901-1906წწ.) - „კავკასიონი“, პარიზი, 1964, #10, გვ. 127-123.
124. „კვალი“ 1897: - ლალიძე მ., რეც. (ბ-ნი თედო სახოკია და მისი რუსულ-ქართული ლექსიკონი) ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. ჟურნ. „კვალი“, 1897, #25, გვ. 486-487.
125. „კვალი“ 1897: - სხვადასხვა ამბავი, თედო სახოკიას ალჟირში გამგზავრების განზრახვა, ჟურნ. „კვალი“, 1897, #28. გვ. 527-529.
126. „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1956: გოგოლაძე ვალ., „როგორ ვიზრდებოდით ძველად“-რეცენზია თედო სახოკიას წიგნზე. - ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, # 3. გვ.91-92.
127. „მოამბე“ 1895: სახოკია თ., აფხაზეთი აფხაზეთ-სამურზაყანოს სამღვდლოება. ქართული ენა სკოლებსა და ეკლესიაში. ჟურნ. „მოამბე“, 1895, #11, გვ.114-123.

128. „მოამბე“: 1896: სახოკია თ., სამურზაყანო. მგზავრის შენიშვნები ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის. ჟურ. „მოამბე“, 1896, #12, გვ. 1-28.
129. „მოგზაური“ 1905: სახოკია თ., ფონოგრაფი და მისი გამოყენება ეთნოგრაფიისათვის, ჟურ. - „მოგზაური“, 1902, #9-10.
130. „მნათობი“ 1938: თედო სახოკია ციმბირში /მოგონება წარსულიდან/, - ჟურნ. „მნათობი“, 1938, #10-11.
131. „მნათობი“ 1938: სახოკია თ., შიო მღვდელი. სურათები ქართული ცხოვრებიდან, - ჟურნ. „მნათობი“, 1938, #17.
132. „მნათობი“ 1989: სახოკია თ., თედო სახოკიას წერილები. მოგონებები, ფაქტები. ჟურნ. „მნათობი“, #1. გვ. 155-163.
133. „მნათობი“ 1955: ქიქოძე გერ., განთიადიდან შუადღემდე, - ჟურნ. „მნათობი“, 1955, #6.
134. „საისტორიო ვერტიკალები“ 2007: ურუშაძე ლ., გიორგი დეკანოზიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისთვის „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 1890-1906. - ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2007, #12.
135. „მწიგნობარი“ 1988: აფრიდონიძე შ., მოგონება მოუგონელი. შვილიშვილის ხსოვნაში დარჩენილი თედო სახოკია. - ჟურნ. „მწიგნობარი“, 1988, #98, გვ. 33-49.

პერიოდიკა

136. „გამარჯვება“ 1968: ჯულაბაშვილი ლეონარდ, თედო სახოკიას დაბადების 100 წლისთავის გამო. „გამარჯვება“, (გორი) 1968, 15/03.
137. „განათლება“ 1998: კოროშიძე ელ., ნათელი ადამიანები, - „ნიმუში სამშობლოს სამსახურისა“. გაზ. „განათლება“, 1998, #11, გვ.10.
138. „დროება“ 1878: მღვდელ სახოკიას წერილი. 1876 წელს აფხაზეთიდან წამოდებული საეკლესიო ნივთების შესახებ. „დროება“, #68, 1878.
139. „დროება“ 1908: ახალი ამბები. თედო სახოკიას გადასახლება. გაზ. „დროება“, 1908. #5.

140. „ივერია“ 1889: სახოკია თ. კორესპ. ტირძნისი (გორის მაზრა) მოსავალი, სკოლა და მისი მზრუნველი, გაზ. „ივერია“, 1889. #267.
141. „ივერია“ 1890: სახოკია თ. ტარეელის ზღაპარი ანუ ხალხში დაშთენილი „ვეფხისტყაოსანი“ (ქართლში გაგონილი) ტირძნისში ჩაწერილი, გაზ. „ივერია“, 1890, ## 7,8.
142. „ივერია“ 1891: სახოკია თ., ხალხური ნაწარმოების მოყვარულთა მიმართ (თხოვნა მეგრულ ხალხურ სიტყვიერების მასალის მიწოდების შესახებ). გაზ. „ივერია“, 1891, #22.
143. „ივერია“ 1892: სახოკია თ. კორესპ. წილკანი (დუშეთის მაზრა) ეკონომიკური მდგომარეობა უსკოლობა). გაზ. „ივერია“, 1892. #84.
144. „ივერია“ 1892: სახოკია. კორესპ. ზესტაფონი (შორაპნის მაზრა) შავი ქვის წარმოება. გაზ. „ივერია“, 1892, #132.
145. „ივერია“ 1892: სახოკია თ. კორესპ. ზესტაფონი (შორაპნის მაზრა) ვაზის ავადმყოფობა და სტაროსელსკის მუშაობა, გაზ. „ივერია“, 1892, #135.
146. „ივერია“ 1897: ახალი ამბავი. თედო სახოკიას საჩივარი ა. ახნაზაროვის მიერ „აკაკის ნაკვესების“ გარჩევის გამო. გაზ. „ივერია“, 1897, #131.
147. „ივერია“ 1898: ახალი ამბავი. შაბათს 28 ნოემბერს (ილია ჭავჭავაძის საქმე თბ. სასამართლო პალატაში თედო სახოკიას საჩივრის გამო) „ივერია“, 1898, #250.
148. „ივერია“ 1898: თვ. ილია ჭავჭავაძისა და თედო სახოკიას საქმე (არტემ ახნაზაროვის წრილის გამო თედო სახოკიას მიერ გამოცემული აკაკი წერეთლის „ნაკვესების“ შესახებ.) სასამართლოს მატთანე. თედო გაზ. „ივერია“, 1898, #255.
149. „ისარი“ 1907: ქრონიკა თედო სახოკიას შესახებ, გაზ. „ისარი“, 1907, #85.
150. „ისარი“ 1907: ქუთაისიდან. ქრონიკა თედო სახოკიას ავადმყოფობის შესახებ, გაზ. „ისარი“, 1906, #107.
151. „ისარი“ 1907: სოხუმი. თედო სახოკიას ავად გახდომის შესახებ. გაზ. „ისარი“, 1907, #109.
152. „კომუნისტი“ 1928: სიმონ გაჩეჩილაძე (წ-ლი) ბიბლიოგრაფია. ბოკაჩო ჯ. „დეკამერონის“, ნაწ. I. ნათარგმნი თ. სახოკიასი, - გაზ. „კომუნისტი“, 1928, #110.

153. „კომუნისტი“ 1934: სახოკია თ. ვასილ ბარნოვი (მოკლე ბიოგრაფია), გაზ. „კომუნისტი“, 1934, 5/11.
154. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1998: ჟორდანია გ. თედო სახოკია - 130 დიდი მამულიშვილი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, #183, 21/07.
155. „ლიტერატურული საქართველო“ 1993: რუხაძე ჯ. თედო სახოკია - 125 მწერლის საიუბილეოდ, დიდი მოამაგე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1993, #5, 20/03.
156. „სახალხო გაზეთი“ 1910: სახოკია თედო, ჭიათურის შავი ქვა. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910, #171.
157. „სახალხო გაზეთი“ 1911: დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის გამო. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, #211.
158. „სახალხო გაზეთი“ 1911: ბიბლიოგრაფია. Michel Tamarati. L' Eglise Georgienne des origins jusqu' a nos jours, 1910 Rome. მიქაელ თამარაშვილი ქართული ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დღემდე, 1910, რომი. გაზ. „სახალხო გაზეთი“, #274.
159. „სახალხო გაზეთი“ 1911: ქართულ ენა (თანამედროვე ლაპარაკი და წერა). გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, ##339, 340, 343, 344, 345, 346, 348.
160. „ცნობის ფურცელი“ 1898: კორესპ. სოხუმი. სამრევლო სკოლების უმთავრესი ზედამხედველის მობრძანება. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, #545.
161. „ცნობის ფურცელი“ 1898: კორესპ. სოხუმი. თხოვნა ქართული წირვა-ლოცვის შესახებ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, #553.
162. „ცნობის ფურცელი“ 1901: სახოკია თ. პოლ ადამის აზრიჩვენს შესახებ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, #1343.
163. „ცნობის ფურცელი“ 1901: ბიბლიოგრაფია. ბარონ დე-ბაი საქართველოში. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, #1369.
164. „ცნობის ფურცელი“ 1901: სახოკია თ. ივ. ვააზოვის აზრი ჩვენი ხალხის შესახებ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, #1428.
165. „ცნობის ფურცელი“ 1901: სახოკია თ. ბარონ დე-ბაის ნაწერები საქართველოს შესახებ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, #1622.

166. „ცნობის ფურცელი“ 1903: სახოკია თედო. წერილი რედაქციის მიმართ (საფრანგეთში მყოფ ქართველ მოსწავლეთა ხელმოკლეობის შესახებ), გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, #2096.
167. „ცნობის ფურცელი“ 1903: სახოკია თედო. მოზარდ თაობისათვის ზრუნვა საფრანგეთში (წერილი პარიზიდან), გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, ##2097, 2103.
168. „ცნობის ფურცელი“ 1903: წერილი სოხუმიდან თ. სახოკიას ქალაქის გამგეობის წევრად არჩევის გამო, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, #2269.
169. „ცნობის ფურცელი“ 1903: წერილი სოხუმიდან. სასამართლო საქმე ბერენსის საჩივრის გამო. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, #2320.
170. „ცნობის ფურცელი“ 1904: წერილი პარიზიდან. სახოკია თედო. უთანხმოება რომის პაპსა და საფრანგეთს შორის. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, #2541.
171. „ცნობის ფურცელი“ 1905: სამეცნიერო საუბარი. თანამედროვე სკოლა, როგორც მიზეზი სიბეცისა და კუზიანობისა, მავნებლობა ირიბად წერისა და ქართულ (პირდაპირ) წერის უპირატესობა.. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, #2740.
172. „Кавказ“ 1894: სახოკია თედო. კორესპ. С. Цхинвали. (ორ კლასიან სკოლის გახსნის შესახებ, ანტისანიტარია), გაზ. „Кавказ“, 1894, #107.
173. „Кавказ“ 1894: სახოკია თედო. კორესპ. С Кирбали. (ყურძნისა და პურის მოსავალი), გაზ. „Кавказ“, 1894, #162.
174. „Кавказ“ 1895: სახოკია თედო. Письмо в редакцию. (განმარტება: გაზ. „ივერიის“ რედაქციასთან საჩივრის მიზეზის შესახებ), გაზ. „Кавказ“, 1895, #137.
175. „Кавказ“ #1895: სახოკია თედო. კორესპ. Сел. Кавтисхеви. (ხეხილის მოსავალი, სოკოვანი დაავადებანი), გაზ. „Кавказ“, 1895, #200.
176. „Новое Обозрение“ 1895: სახოკია თედო. კორესპ. Бомборы (სოფ. ბომბორში დასახლებულ რუს გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობაზე), გაზ. „Новое Обозрение“, 1895, N4078.
177. „Новое Обозрение“ 1895: სახოკი თედო. კორესპ. Сухум (სოხუმის ოლქში ახალი სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ), გაზ. „Новое Обозрение“, 1895, #4095.

178. „Новое Обозрение“ 1896: სახოკია თედო. კორესპ. Сухум (სოხუმის ქალაქის არჩევნები), გაზ. „Новое Обозрение“ 1896, #4319.
179. „Петербургския ведомости“ 1900: კორესპ. სახოკია თედო. Из С ухума (სოხუმსა და სოხუმის ოლქის სხვადასხვა სოფლებში მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვის შესახებ), გაზ. „Петербургския ведомости“ 1900, #177

ელექტრონული რესურსები

180. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/204739>. dspace.nplg.gov.ge/handle/1234/204739/1/ilia_Chavchavadze.pdf.
181. www.damoukidebloba.com/c/news/rusetis_koloniuri_politika. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში 21 სექტემბერი 2015 *Shadow* ავტორები: ვახტანგ გურული, ომარ თუშურაშვილი წყარო: [საარქივო მოამბე](#)
182. Not secure /nat da.net/biographies/166-sakhokia
183. https://ka.wikipedia.org/wiki/მასალა_ვიკიპედიიდან_-_თავისუფალი_ენციკლოპედია. ეს გვერდი ბოლოს დარედაქტირდა: 06:26, დეკემბერი 2016.
184. www.ai.-info/onlain-argaiivi/145-eqvtime-takaishvili-ilia-chavchavadze-mogoneba.htm. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება-აქ იხსენიებს თედო სახოკიას საჩივარს აკაკის ნაკვესებზე.

თედო სახოკიაცხოვრება და მოღვაწეობა 1868-1956 წწ.

(ქრონოლოგია)

1. 1868 წელს 2 მარტი, დაიბადა ზუგდიდის მაზრის - სოფელ ხეთაში.
2. თედო სახოკიას მშობლები: მამა - მღვდელი მამა ტიმოთე (სახოკია) სასულიერო პირი (1844-1887წწ.)
3. დედა ელისაბედი /ელისა/ კუკავა.(-1875 წ) სოფელ ხეთის მკვიდრი.
4. (1868-1871/2წწ.) გაძიძავება მახლობელ სოფელში /ზია/.
5. 1872 წელი მშობლების მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა სოხუმში.
6. 1874 წელს იწყებს სწავლას, შეჰყავთ სოხუმის ე. წ. „მთიელთა სკოლაში“.
7. 1876 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადების გამო, ოჯახის საცხოვრებლად ბრუნდება უკან, სოფელ ხეთაში.
8. 1876 წ. დროებით /2თვე, მაის-ივნისი/ სწავლობს ხეთაში, ლარჩვის ორკლასიან სკოლაში, ქართული წერა-კითხვის შესასწავლად.
9. 1876/7 წლებში ცხოვრობს მღვდლის მამა შიო (იოსავას) ოჯახში, ე. წ. „განსაწმენდელში“, ე. ი. მოსამზადებელი პერიოდი მარტვილში სწავლის დასაწყებად.
10. 1877-1884 წლებში სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში.
11. 1884 წელს იწყებს სწავლას თბილისის სასულიერო სემინარიაში.
12. 1886 წლის დასაწყისი. სემინარიიდან გარიცხეს, რასაც ნებაყოფლობით გამოშვებას არქმევდნენ.
13. 1886 წელს მიემგზავრება საზღვარგარეთ სწავლა-განათლების მისაღებად, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, ემზადება ფრანგულ ენაში და შედის შვეიცარიაში იქაურ უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ნაწილზე.
14. 1887 წლის მარტში მამის გარდაცვალების გამო მცირე ხნით ბრუნდება საქართველოში.
15. 1887 წელს ისევ მიემგზავრება საფრანგეთში სორბონის (უნივერსიტეტში) ისტორიის ნაწილზე აგრძელებს სწავლას. (სწავლა უფასო იყო)
16. 1888 წლის დასაწყისში, ისევ ბრუნდება საქართველოში.

17. 1888 წელს იწყებს გაზეთ „ივერია“- ში საგაზეთო კორესპონდენციებისა და თარგმანების გამოქვეყნებას.
18. 1889 წელს ერთი წელი მუშაობს, ქართლში - გორის მაზრის სოფელ ტირძნისში მასწავლებლად.
19. 1889 წელს ხარკოვიდან საექსკურსიოდ ჩამოსულ ბუნებისმეტყველ სტუდენტებთან ერთად მოგზაურობს აფხაზეთის მთებზე.
20. 1890–1897 წლებში თედო სახოკია, „ვმსახურობდი საარსებო პურის მოსაპოვებლად“. (სახოკია 1969: 220).
 - ა). მუშაობს ბორჯომში, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში, მეტყვევის თანაშემწის თანამდებობაზე.
 - ბ). 1895-1897 წლებში „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში“.
 - გ). ზესტაფონში - შავი ქვის მრეწველ ნიკოლოზ ლოლობერიძის მრეწველობაში უცხოეთთან კორესპონდენტად.
 - დ). ეგრეთწოდებულ „ფილოქსერის პარტიაში“, რომელიც იკვლევდა ვენახის დაავადებებს და ზრუნავდნენ მის აღმოსაფხვრელად.
21. 1894 წელი პირველი პატიმრობა - ქუთაისის ციხეში. 1892 წელს „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“-ის ვარშავაში ჩამოყალიბებულ ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციაში მონაწილეობის გამო. პატიმრობა გაგრძელდა სამი თვე, სექტემბერში გაათავისუფლეს, (თავდებით) მაგრამ მალე საქმეც დაიხურა.
22. 1895 წელს გადადის თბილისში - საცხოვრებლად და სამუშაოდ.
23. 1996 წელს მიწვეულ იქნა თანამშრომლად, ვალერიან გუნიას გაზეთ, „ცნობის ფურცელში“, რომელიც გამოიცემოდა 1896 წლიდან.
24. 1897 წელს თედო სახოკია მხარის ეთნოგრაფიული აღწერის მიზნით მოგზაურობს სამურზაყანოში.
25. 1898 წელს თედო სახოკია მხარის ეთნოგრაფიული აღწერის მიზნით მოგზაურობს რაჭაში.
26. 1888 წლიდან თედო სახოკია იწყებს მთარგმნელობით საქმიანობას.
27. 1898-1900 წლებში გადადის სოხუმში და „ქართული პარტიის“ სახელით აგრძელებს საქმიანობას.

28. 1900 მიემგზავრება პარიზში, პარიზის მსოფლიო გამოფენაზე საქართველოდან კორესპოდენტად, ამით საქართველოში პატიმრობა აიცვალა.
29. 1900-1905 პარიზში სწავლას იწყებს, ანთროპოლოგიურ უმაღლეს სკოლაში.
30. 1901/1902 წლის ზაფხულის არდადეგებს ატარებს იტალიაში, იქ ეხმარება ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს მიხეილ თამარაშვილს, რომელმაც სთხოვა ნაწერების გასწორებასა და გამოქვეყნებაში დახმარება.
31. 1903 წელის გაზაფხულზე ჩამოდის საქართველოში. აფხაზეთში, სოხუმში გამგეობის წევრად აირჩიეს და იწყებს მუშაობას.
32. 1903 წლის შემოდგომაზე 1898-1904 წლების „ქართული პარტიის“ საქმის გამოძიების განახლების გამო მიდის საფრანგეთში, ამით დაპატიმრება თავიდან აიცვალა.
33. 1903-1905 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებს საფრანგეთში ქართული გაზეთის, „საქართველოს“, როგორც ქართულ ასევე ფრანგულ ენებზე გამოცემასა და რეალიზაციის საქმეში.
34. 1905 წელს ბრუნდება საქართველოში პარტიული დავალებით საზღვარგარეთიდან და ხელმძღვანელობს საქართველოში, გამოგზავნილი იარაღის შავიზღვისპირა რეგიონში მისი მიღება განაწილების საქმეს.
35. 1906 წელი მეორე პატიმრობა - თებერვალში დააპატიმრეს საქართველოში იარაღის შემოტანის საქმეზე, სამი თვის შემდეგ მისში, - თავდებით გამოუშვეს.
36. 1906 წელს სოხუმში დაქორწინდა სამეგრელოში ცნობილ სასულიერო მოღვაწე დეკანოზ ანტონ კეკელიას ქალიშვილზე - ნადე კეკელიაზე.
37. 1907 წლის მესამე პატიმრობა - კვლავ დააპატიმრეს, ქართული პარტიისა და იარაღის შემოტანის საქმის გამო. სახელწოდებით „საქმე სოხუმის რესპუბლიკისა“, გაასაჩივრეს და სენატიდან პასუხის მიღებამდე დროებით, - თავდებით გამოუშვეს.
38. 1907 წელს მოიარა სამეგრელო და მრავალი საინტერესო მასალა და ეთნოგრაფიული ექსპონატები მოაგროვა.
39. 1908 წელს მეოთხე პატიმრობა - დააპატიმრეს და ციმბირში გადასახლეს.

40. 1909 წელს მაისში ციმბირიდან გამოიქცა და საქართველოში დაბრუნებული ბათუმიდან მეგობრების დახმარებით მიემგზავრება ემიგრაციაში ხოფა, სტამბული, მარსელი, პარიზი და საბოლოოდ გადადის ბელგიაში, სადაც იღებს თავშესაფარს, როგორც პოლი ტიკური დამნაშავე რუსეთის ხელისუფლებისაგან, ადგილობრივი კანონით დაცულია.
41. 1916 წელს რუსეთის საიმპერატორო კარისგან მიეცა ნებართვა საქართველოში დაბრუნების. საქართველოში დაბრუნება.
42. 1917 წელს იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სემინარიაში ფრანგულის მასწავლებლად.
43. 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტიური მონაწილეა, ამავე წლიდან არის საკათალიკოსო საბჭოს წევრი.
44. 1924 წელს პირადი განცხადების საფუძველზე წყვეტს პედაგოგიურ საქმიანობას და მთლიანად ლიტერატურული მუშაობას აგრძელებს.
45. 1927 წლის მეხუთე პატიმრობა, მეტეხის ციხეში ორი თვე დაყო.
46. 1953 წელს 18 აპრილს გადაუხადეს სიცოცხლეში დაბადების 85 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 65 წლისთავი.
47. 1956 წელს 17 თებერვალს გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.
48. 1963 წელს გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გადახდილ იქნა 95 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.
49. 1968 წელს 17 ივნისს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრში გადახდილ იქნა 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
50. 1986 წელს /სამეგრელოში/ ხობის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხეთაში გაიხსნა მემორიალური სახლ-მუზეუმი.
51. 1998 წელს ხობის მუნიციპალიტეტში გადახდილ იქნა 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო (კვირეული) ღონისძიებები:
52. 2018 წელს სრულდება დაბადებიდან 150 წელი

თედო სახოკიას ფსევდონიმები:

თ. ს.-

საზოელი თედო

ცანგალა

შავიზღვისპირელი თ.

თ. სა-კია

თედო - ია

ს.

თ. სა-ია

ს-ა

ხმოსანი

მცოდნე

Q. C.

Q. C—a

Q. Ca—io

C—a

C

C—kia

S

S—a